საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№5 (96)

16 – 22 თებერვალი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

**რა უნდა ვიცოდეთ, რომ სადაზღვევო კომპანიებმა არ გაგვაბითურონ** 2

## სამგანზომილებიანი ნულოვანი ტოლერანტობა 3

გაუგებარია, რატომ გახადეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი დაუმთავრებელი თამაში, რომელიც მის დღევანდელ მდგომარეობაში „გეიმერების" მხოლოდ ზიზღნარევ ღიმილს თუ გამოიწვევს.



## სააკაშვილი პარლამენტში, ანუ ერთი მსახიობის გაკოტრებული თეატრი 4

იგი საეჭვოდ ბევრს საუბრობდა მაღალმოსავლიან თესლზე და გამორიცხული ნამდვილად არაა, რომ მომავალში ადგილი ექნება მანიპულაციებს ექსპერიმენტულ გენმოდიფიცირებულ თესლთან, რაც შეიძლება სერიოზულ რისკს დაუკავშირდეს.





ზაზა ხატიაშვილი: 10 **ხელისუფლებამ 110 ადვოკატი დააპატიმრა, ასეთი რამ პინოჩეტისა და ჩაუშესკუს არ გაუკეთებია**

## ღამე ციხეში 60 ლარად, 11

## ანუ როგორ ვიშოვოთ სამი მილიონი პატიმრების ხარჯზე

**სააკაშვილი სოროსმაც გაამათრახა** 9

**მარჩენალ-დაკარგული მშობლები უპენსიოდ დატოვეს!** 12

## რა ურჩევნია ქართველს — იაფი პური თუ ძვირი სანახაობა?!

**გაღატაკებული ქვეყნის გაუმაძღარი პრეზიდენტი საკუთარი ფუფუნებისთვის ასეულობით მილიონს ხარჯავს** 14

სააკაშვილს „ჩელენჯერ N240W" -ის კომფორტი აღარ აკმაყოფილებს და 200-მილიონიანი „ბოინგ 787"-ის შეძენა აქვს განზრახული

## «ლენდ კრუიზერი» გაგუბერნატორებული შიკრიკისთვის

15



95 899 ლარი — სახელფასო ანგარიშზე, 54 000 ლარი — გრანტისა და პრემიის სახით, 52 280 ლარი — დახმარება და «გასაკეთებელი კიდევ ბევრია»

**მეცნიერებაშიც დამღუპველია «მივარდნით» ცვლილებების განხორციელება** 18

**21 ნაცისტები ამერიკული დემოკრატიის სამსახურში**

## რატომ დაიმსხვრა მითი კეთილი ძია სემის შესახებ 8



გულბაათ რცხილაძე: **დაუნდობელმა ეკონომიკურმა ექსპლუატაციამ სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკას აშშ შეაძულა**



მამუკა გიორგაძე: **თუ ამერიკას კვლავ ჯინსებით და მძიმე როკით მივეგებებით, არსებობა არ გვიწერია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა უნდა ვიცოდეთ, რომ სადაზღვევო კომპანიებმა არ გაგვაბითურონ

**გასულ კვირას კონტროლის პალატამ სადაზღვევო კომპანიების ზემოგებაში სრულიად „შემთხვევით“ დაადგინა, რომ თურმე სახელმწიფოს მიერ დაზღვევისთვის გამოყოფილი 284 მილიონიდან კომპანიებმა მოსახლეობის მომსახურებაზე მხოლოდ 40% დახარჯეს, ანუ მკურნალობის საფასურის გადახდაზე უარით გასტუმრებული დაზღვეულების ხარჯზე მოგება მიიღეს. ამასთან, აღნიშნული თანხა დაზღვეულთა მხოლოდ მეხუთედს მოხმარდა, კომპანიების მოგების მარჟამ კი 60%-ს გადააჭარბა მაშინ, როდესაც სადაზღვევო ბიზნესის მომგებიანობის საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, კერძო დაზღვევაში მოგების მარჟა 4%-ია. სახელმწიფოს, სამედიცინო პერსონალისა და პროგრამით მოსარგებლეთა ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე სადაზღვევო კომპანიებმა მიიღეს 170 მილიონი მოგება.**



სახელმწიფომ 2008-2010 წლებში 340 მილიონის ჯანდაცვის პოლისი შეიძინა, ხოლო ამ თანხის 55-57%, ანუ 250 მილიონი სადაზღვევო კომპანიებმა მოგების სახით მიიღეს, ავადმყოფებამდე კი ყოველი გადახდილი 100 ლარიდან არაუმეტეს 20-30 ლარი მივიდა.

**მიუხედავად იმისა, რომ კორუფციასთან ბრძოლაში, კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე არსებულ ყველა რეიტინგში ჩვენ პირველები ვართ, ცხადია, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ, „ელიტურ კორუფციასთან“!**

**მოზიდული თანხებისა და ანაზღაურებული ზარალის შეუსაბამო თანაფარდობა აშკარად თვალში საცემია. საინტერესოა, რატომ ვერავინ შენიშნა ეს აქამდე?**

სახელმწიფო ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გამოყოფს თანხებს, მოქალაქეთა დაზღვევის მიზნით. მაგრამ სადაზღვევო კომპანიებს, როგორც ჩანს, ამ თანხის ჯიბეში ჩადება ბევრად უფრო უადვილდებათ, ვიდრე მოქალაქეების კეთილსინდისიერად მომსახურება.

**„საქართველო და მსოფლიო“ ესაუბრა პირს, რომელმაც საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, გვთხოვა, არ გაგვემხილა მისი ვინაობა და სადაზღვევო კომპანიების მიერ ზემოგების მიღება შემდეგნაირად ახსნა:**

— სქემა ძალიან მარტივია, სანამ საბიუჯეტო თანხები ხების, ანუ სახელმწიფო ფულის გათეთრება. კერძოდ, **თანხის ნაწილი 30-დან 40 პროცენტამდე ხმარდება მომსახურებას, ნაწილი, 10 პროცენტამდე, რჩება სადაზღვევო კომპანიებში, დანარჩენი კი არის ე. წ. ატკატი, რომლის ბედიც თავად კომპანიებისთვისაც უცნობია. ეს არის სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო თანხების გათეთრების მეთოდი.** როგორც ჩანს, ამ თანხების გათეთრების სხვა გზა გამოინახა, თორემ კონტროლის პალატა ამ საკითხზე ხმის ამოღებას ვერ გაბედავდა. ხელისუფლებამ კი ესეც თავისი პიარისთვის გამოიყენა.

ვერ გეტყვით, რამდენად „აღმოჩენა“ უნდა გახდეს სადაზღვევო სისტემაში არსებული დარღვევებისა და ხარვეზების აღმოფხვრის წინაპირობა.

**სადაზღვევო სფეროში არსებულ დარღვევებზე, ხარვეზებსა და ხარისხზე „საქართველოს სადაზღვევო ინსტიტუტის“ პრეზიდენტ გიორგი გიგოლაშვილს** ვესაუბრეთ.

— ჩვენ მიერ საჯაროდ მრავალჯერ აღნიშნული პრობლემები სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ხარვეზებს ეხება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეზღუდულობას, დაზღვეულთა უფლებების სუსტ სისტემას. ამ პრობლემების დაფიქსირება და შე-

## ელიტური კორუფცია და მკურნალობის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა

სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაზე გადანაწილდება, უკვე წინასწარაა ცნობილი, ვის რამდენი ერგება, ვინ რამდენი პროცენტი უნდა დახარჯოს მომსახურებაში და კერძოდ, რომელ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართოს თანხები დაზღვეული პაციენტებითურთ.

ის, რომ კლიენტების მომსახურებაზე სადაზღვევო კომპანიებმა მხოლოდ 40 პროცენტი დახარჯეს, მათი ბრალი არ არის. საქმე ის არის, რომ ამ გზით ხდება საბიუჯეტო თანუტყუარია ჩვენი წყაროს ინფორმაცია, თუმცა „საქართველოს სადაზღვევო ინსტიტუტი“, რომელიც სადაზღვევო სისტემის სამოქალაქო მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციაა, თვლის, რომ კონტროლის პალატის ეს სწავლა ჩვენ მიერ ხდება სისტემის ხარისხობრივი მაჩვენებლის, ბაზრის კვლევების, დაზღვეულთა მომართვების შედეგად. ამ ყველაფრის ობიექტურობა კი კიდევ ერთხელ დაადასტურა კონტროლის პალატის მიერ სა- ▶

# ვის და რა მიზნით შემოყავს სომხური ბიზნესი, ანუ ინვესტიცია თუ კომერციული აგრესია?!

**ინვესტიციების ჩადება, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა ღონისძიებები ეკონომიკის განვითარებისთვის არის საჭირო, რათა სახელმწიფო ძლიერი იყოს. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქართული ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში ბევრად წინ მიიწევს და უამრავი წარმატებული ნაბიჯია გადადგმული ბიზნესისა და ეკონომიკის გასავითარებლად. თუმცა მოსახლეობა ამ წინსვლას ვერ გრძნობს, ხოლო ექსპერტების ნაწილი აღნიშნავს, რომ საქმე პირიქით — ძალიან ცუდადაა და ორიენტირება მხოლოდ ტურიზმზე ქვეყნის ეკონომიკას არათუ ვერ გააუმჯობესებს, მალე კოლაფსის რეალური საფრთხის წინაშე დააყენებს.**

საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების დასტურად, ხელისუფლებას ხშირად მოაქვს არგუმენტი, რომ სომხური კომპანიები და ბიზნესი ბოლო 2 წლის განმავლობაში აქტიურად გადმოდის საქართველოში. სომეხი ბიზნესმენები საკუთარ ფირმებს ჩვენს ქვეყანაში არეგისტრირებენ. და მართლაც, სომხურ პრესაში აღშფოთებას გამოხატავენ იმის გამო, რომ **შარშან სომხეთიდან საქართველოში 103 კომპანიამ გადმოიტანა საკუთარი ბიზნესი; არაოფიციალური მონაცემებით კი, ბოლო 2 წლის განმავლობაში მათმა რაოდენობამ 4 ათასს მიაღწია.** სომხების ტრაილერები ქართული ნომრებით თურქეთისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ამის მიზეზი კი ისევ და ისევ, ხელისუფლების მტკიცებით, თურმე არის სომხეთთან შედარებით უკეთესი ბიზნესგარემო.

**რა ხდება სინამდვილეში და რამ გამოიწვია სომხური კომპანიების საქართველოში გადმოდინება? ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი არა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული „საუკეთესო ბიზნესგარემოა“, არამედ ის პოლიტიკური მოტივაციაა, რომელიც სომხეთს ამოძრავებს. კერძოდ კი, საიდუმლო არავისთვისაა, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე, ბიზნესის ყველა, მეტ-ნაკლებად მომგებიანი, სფერო საქართველოში სომეხ საქმოსნებს ეკუთვნოდა, ვაჭრობაშიც სომეხი სოვდაგრები სჭარბობდნენ, ანუ გასაგებად რომ ვთქვათ, ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო სომხებს ჰქონდათ „ოკუპირებული“.**



## ის, ვინც ამ პროცესს კარგი ბიზნესგარემოთი ხსნის, ან ბრიყვია, ან — პროვოკატორი

დღეს კი, ხელისუფლების უნიათობით, ისინი კვლავ ცდილობენ ჩვენი ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური სადავეების ხელში ჩაგდებას, რაშიც ხელისუფლებისგან მწვანე შუქი აქვთ ანთებული. **რეალურად, „საუკეთესო ბიზნესგარემოს“ ნიღბით ხდება ბიზნესის იმ სფეროების სომეხ საქმოსნებზე გადაცემა, რომელთა სარფიანად გასხვისება ქართული ეკონომიკური რეფორმების მამებმა ჯერ ვერ მოასწრეს.**

მაშ, რასთან გვაქვს საქმე — ერთგვარ „სომხურ რევანშთან“ თუ ქართული ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებასთან?! **ამ კითხვებზე გვპასუხობს გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი, მწერალი და პუბლიცისტი როლანდ ჯალაღანია:**

— რამდენიმე წლის წინათ ველიჩკოს წიგნი „კავკასია“ ქართულად ვთარგმნე და მან უდიდესი ინტერესი იმიტომ გამოიწვია, რომ დასაბამიდან მოდის ქართულ-სომხური ურთიერთობები და ეს რომ ყოფილიყო ქართველის დაწერილი, იმდენად არ მიიქცევდა ყურადღებას. ესაა რუსი ადამიანის დაწერილი წიგნი. ამ კაცმა უნიკალური ნაშრომი შექმნა. ამ წიგნშია მოყვანილი ტაციტუსის სიტყვები, რომელიც ამბობდა სომხებზე, რომ შემოდიან სტუმრებად და მერე უცებ ხდებიან მასპინძლებიო.

ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ველიჩკო ნაწყენიც კი იყო ქართველებზე იმიტომ, რომ დავით ხიდაშელმა დუელშიც კი გამოიწვია იგი თავისი შეხედულებების გამო, მაგრამ იმდენად მართალი კაცი იყო, სიმართლე დაწერა. **როცა საქართველო XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთს შეუერთდა, ქართველ კაცს ჰქონდა ორად ორი ფუნქცია: ცალ ხელში ხმალი ეკავა და მეორეში — გუთანი. სომხები კი იმთავითვე სოვდაგრობდნენ და იმძლავრეს კიდეც.** რა თქმა უნდა, ამას ქართულმა უდარდელობამაც შეუწყო ხელი. შეიქმნა კომიკური სიტუაცია, თბილისში სომხებმა სამეძაო სახლები გახსნეს. ქართველი ქალები ჰყავდათ დაქირავებული. ქართველი თავადი კი გაყიდდა მამულს, ჩამოდიოდა თბილისში და ფულს სომეხს აძლევდა ქართველ მეძავთან კოტრიალისთვის. ძლიერ მოიკიდა ფეხი სომხურმა კაპიტალმა საქართველოში.

**გასაბჭოების შემდეგ კი, განსაკუთრებით ლავრენტი ბერიას მონდომებით, ბალანსი ასე თუ ისე აღდგა. მაგრამ ამ უკანასკნელ პერიოდში კვლავ სპეციალურად შებოჭეს ქართული ბიზნესი, მიწათმოქმედება.** ამასწინათ გურული გლეხის ინტერვიუ წავიკითხე: შესაწამლი რომ არ ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

სახელმწიფო სადაზღვევო აუდიტის წინასწარმა შედეგებმა, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო კომპანიებმა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის 60% მიითვისეს. ეს არის დანაშაული!

**— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სადაზღვევო სისტემაში ხარვეზები აღმოიფხვრას და დაზღვევა იყოს შედეგიანი?**

— იმისთვის რომ გაიზარდოს სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების შედეგიანობა და დაზღვეულთა დაცულობა, გამოირიცხოს სადაზღვევო კომპანიათა მხრიდან ნებისმერი სახის არასათანადო დამოკიდებულება, აუცილებელია შემდეგი პირობების შესრულება:

1) 2010 წლის აპრილის ტენდერის პირობებიდან უნდა გამოირიცხოს სადაზღვევო კომპანიათა 33-წლიანი ტერიტორიული მონოპოლისტური მდგომარეობა. დაზღვევის პერიოდის დასაწყისში დაზღვეულებს უნდა მიეცეთ სადაზღვევო კომპანიის თავისუფლად არჩევის უფლება;

2) სადაზღვევო კომპანიათა სამედიცინო პროგრამები უნდა გახდეს გამჭვირვალე. სადაზღვევო კომპანიებს უნდა დაევალოთ სტატისტიკური და ფინანსური ანგარიშების პერიოდულად გამოქვეყნება მასმედიის საშუალებით;

3) დაზღვევის ფასი და სტრუქტურა უნდა განისაზღვროს სადაზღვევო პერიოდის დასაწყისში წინა პერიოდის სტატისტიკურ-ფინანსური მონაცემებისა და სამედიცინო სერვისის მიმდინარე ფასების გათვალისწინებით;

4) უმწეოთა და პედაგოგთა სადაზღვეო ვაიუჩერის პირობებში უნდა განისაზღვროს სამედიცინო დაწესებულებათა ჩამონათვალი, სადაც დაზღვეულებს ექნებათ სერვისის მიღების შესაძლებლობა;

5) მკაფიოდ უნდა განისაზღვროს დაზღვეულთა უფლებების შელახვის კრიტერიუმები. სადაზღვევო კომპანიებს უნდა დაევალოთ დაზღვეულთა ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის შემუშავება და განხორციელება. ამ პირობების შესრულება არის აუცილებელი, რათა სადაზღვევო ბაზარზე დღეს არსებული ქაოსური მდგომარეობა გამოსწორდეს.

**— სადაზღვევო ბიზნესში რამდენი უნდა იყოს მოგების მარჟა? არსებობს თუ არა კანონი ამასთან დაკავშირებით?**

— სამწუხაროდ, არანაირი კანონი, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს, არ არსებობს. აუცილებელი და ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ სადაზღვევო სისტემა დალაგდეს, არის ის, რომ კანონში აისახოს რა პროცენტი უნდა დახარჯოს სადაზღვევო კომპანიამ. ვთქვათ, 100 ლარიდან დაზღვეულის მომსახურებაზე მაქსიმუმ რამდენი პროცენტი შეიძლება დაიხარჯოს ადმინისტრაციულ ხარჯებზე და რამდენი უნდა იყოს მოგება. მოგება 5-7%-ს არ უნდა აღემატებოდეს. სადაზღვევო ბაზარი, გვინდა თუ არა, კრიტიკულ მდგომარეობაშია და გადაწყვეტილებები აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული.

**— სახელმწიფო დაზღვევისთვის „ბრმად", ყოველგვარი კონტროლის გარეშე, გამოყოფს ბიუჯეტიდან თანხას?**

— სახელმწიფო კი გამოყოფს თანხას, მაგრამ შემდეგ ამ თანხას აღარ აკონტროლებს. სადაზღვევო კომპანიებიც სწორედ ამით სარგებლობენ. სახელმწიფოს სადაზღვევო კომპანიებთან მიმართებაში არანაირი მაკონტროლებელი სტრუქტურა — ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხიდან რაზე რამდენი უნდა დაიხარჯოს — არ გააჩნია. სანამ ეს საკითხები არ მოგვარდება, საქართველოში არც სადაზღვევო სისტემა განვითარდება და მუდმივი უკმაყოფილების მიზეზიც არ დაილევა.

**ესაუბრა**
**თეო ტაბატაძე**

---

მაქვს, ჭინჭრისა და დაფნის ფოთლის ხსნარით ვწამლავო. ასეთი კაცი, რა თქმა უნდა, მოსავალს ვერ მოიყვანს. ამიტომაცაა, რომ წალეკა ჩვენი ბაზარი სომხური წარმოების სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის პროდუქციამ. **ეს ყველაფერი სწორედ იმისთვის კეთდება, რომ აქაურობას კვლავ სომხური კაპიტალი დაეპატრონოს, თორემ, გეკითხებით, რატომ აზერბაიჯანული ბიზნესი არ გადმოდის?**

ამ პრობლემის არსი ის არის, რომ ამას პოლიტიკური მოტივაცია აქვს. სპეციალურად აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, რომ ქართული სამეწარმეო სული ჩაკლას. ქვეყნის განადგურება მეტი კი არაფერია! ესაა ტრაგედია და შეკვეთა, რაც ჰქონდა იმ სანფრანცისკოელი სომეხი ბიზნესმენებისგან, რომლებმაც (როგორც ამის შესახებ არაერთი ავტორიტეტული გამოცემა და ავტორი წერდა) სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა დააფინანსეს! **თუ ქართველი კაცი არ გამოიღვიძებს და ამას წინ არ აღუდგება, ასე არ დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს სომხური კაპიტალი გადაყლაპავს.**

თვითონ ეს ველიჩკოც წერს, რომ უსინდისოდ ძარცვავენ სომხები ქართველებს. უკვე დაიწყეს, რომ „საფერავი" სომხური ღვინოა, „ჩაკრულო" და „მრავალჟამიერი" — სომხური სიმღერები, ჩურჩხელაც სომხური ყოფილა თურმე. ამას ყველაფერს ხელისუფლებამ უნდა გასცეს პასუხი, მაგრამ რას გასცემენ, თვითონვე დაინტერესებული არიან ამით. **აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს გასომხების პროცესი მიდის, ეს კომერციული ანექსიაა და ის, ვინც ამ პროცესს „კარგი ბიზნესგარემოთი" ხსნის, ან ბრიყვია, ან — პროვოკატორი!**

**ლილი მიროტაძე**

**«თუ ქართველი კაცი არ გამოიღვიძებს და ამას წინ არ აღუდგება, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს სომხური კაპიტალი გადაყლაპავს»**

---

# სამგანზომილებიანი ნულოვანი ტოლერანტობა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მიერ შექმნილი კომპიუტერული თამაშის ერთ-ერთი ვერსია შსს-ს ოფიციალურ საიტზე დაიდო და მისი გადმოწერა ყველა მსურველმა შეძლო.**
**თავიდანვე მინდა ბოდიში მოგიხადოთ იმისთვის, რომ იძულებული ვიქნები, ამ თამაშისადმი მიძღვნილ წერილში უწმაწური ლექსიკა გამოვიყენო; სამწუხაროდ, თამაშის შემქმნელებმა სხვა არჩევანი არ დამიტოვეს.**



თუ თქვენ გაიგებთ, რომ თქვენი შვილის ოთახიდან გამუდმებით გაისმის შეძახილები: **„ბოზებო! მომარტყეს ამ ბოზებმა! ჩემი დედა! ბლიად!"** ეს ნიშნავს, რომ ბავშვი შსს-ში შექმნილ კომპიუტერულ თამაშს თამაშობს. ეს რეპლიკები გაისმის მაშინ, როდესაც ბოროტმოქმედებს პოლიციელის ტყვია ხვდება. ხოლო ვინაიდან ეს ხდება ძალიან ხშირად, ხსენებული სიტყვები, პრაქტიკულად, გამუდმებით ისმის. ნუ იფიქრებთ, რომ მსგავს ლექსიკას თამაშში მხოლოდ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები იყენებენ; ერთ-ერთი პოლიციელის რეპლიკა ასე ჟღერს: **„რით ვერ ისწავლეს ამჩემისებმა, ეგეთი რამეები არავის გასდის, სპეცრაზმი გზაშია, ათ წუთში ყვე...თ გამოათრევენ ჯიგრებს".** მართალია, ამის თქმის შემდეგ პოლიციელი ამჩნევს, რომ იქვე მანდილოსანი დგას და ბოდიშს იხდის, თუმცა ამას მნიშვნელობა, ალბათ, აღარ აქვს, რადგან უწმაწური ფრაზა უკვე გაჟღერებულია.

**გასაგებია, რომ რეალურ ცხოვრებაში პოლიციელებიც და ბოროტმოქმედებიც ბილწსიტყვაობენ და მსგავსი პასაჟები სხვა კომპიუტერულ თამაშებშიც გვხვდება (ოღონდ, რასაკვირველია, არა ასეთი მომაბეზრებელი სიხშირით), თუმცა იმ თამაშებს ახლავს გაფრთხილება, რომ ის არანორმატიულ ლექსიკას შეიცავს და მითითებულია ასაკობრივი რეიტინგი; ჩვენს შემთხვევაში კი, მსგავსი არაფერი შეინიშნება. ვინაიდან ეს თამაში შეიძლება პატარა ბავშვებმაც გადმოწერონ, მშობლებმა, ალბათ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ, რათა შეზღუდონ პატარების შეხება ამ სიბინძურესთან.**

აღნიშნულ თამაშთან დაკავშირებით, ვანო მერაბიშვილმა შემდეგი რამ თქვა: **„ჩვეულებრივ, კომპიუტერული თამაშების მთავარი გმირები არიან მაფიოზები, კრიმინალები, რომელიც პოლიციელებს კლავენ, ბანკებს ძარცვავენ და ასე შემდეგ. ჩვენ გადავწყვიტეთ, ეს წესი შეგვეცვალა და თამაშის მთავარ გმირებად პოლიციელები წარმოგვედგინა, რომლებიც კრიმინალებს კი არ კლავენ, არამედ, კანონის გათვალისწინებით, მათ წინააღმდეგ გარკვეულ ქმედებებს ახორციელებენ".** ძნელი სათქმელია, რას გულისხმობდა მინისტრი, რადგან **თამაშის მთავარი გმირი, ბანდიტების ხოცვის გარდა, არაფერს აკეთებს, თანაც მათ ისეთი სტახანოვური სიხშირით კლავს, გეგონება, თამაში ასახავს არა ქართველი პოლიციელების ყოველდღიურ ყოფას, არამედ გენოციდს რუანდაში.**

მსოფლიოში სამართალდამცავების მუშაობისადმი მიძღვნილი ბევრი თამაში არსებობს. ზოგიერთ მათგანში, მოთამაშეს ექვითება ქულები, როდესაც შეუძლია ბოროტმოქმედი დააპატიმროს და ამის ნაცვლად ესვრის. შსს-ს თამაში კი თითქოსდა ავადსახსენებელი ლოზუნგის „ნულოვანი ტოლერანტობა" სამგანზომილებიან ილუსტრაციას წარმოადგენს.

თანაც მოთამაშე მოწინააღმდეგეებს, პრაქტიკულად, დაუსჯელად ხოცავს, რადგან შანსები არათანაბარია. ისინი მას შემდეგ, რაც 1-2 ტყვია მოხვდება, კვდებიან, ხოლო მთავარ გმირს ეს საფრთხე არ ემუქრება. თუ მისი „ჯანმრთელობა" შემცირდება, შეუძლია კედელს მოეფაროს და ეს მახასიათებელი რამდენიმე წამში ისევ 100%-მდე გაიზრდება. ამასთანავე, მისი ოპონენტები აშკარად გონებაშეზღუდულები არიან, ისინი ძალზე უხეიროდ მოძრაობენ და იბრძვიან.

**რეალურ ბრძოლაში მსგავსი არაფერი ხდება და ზოგიერთი თამაში ამას მეტ-ნაკლებად ადეკვატურად ასახავს. იქ 1-2 ტყვიის „დაჭერა" მთავარი გმირის სიკვდილსა და თამაშის დასრულებას იწვევს; მერაბიშვილის უწყების თამაშში კი „დაუსჯელობის სინდრომი" სუფევს.**

თუ ამ თამაშის მთავარი ქვეტექსტის ჩატევა ერთ ფრაზაში იქნებოდა აუცილებელი ის, ალბათ, შემდეგნაირად ჩამოყალიბდებოდა: **„დახოცე ყველა, შენ მაინც არაფერი დაგიშავდება, თამაშის გადატვირთვაც კი არ დაგჭირდება"**; ეს, ალბათ, კიდევ ერთი გარემოებაა, რომლის გამო მშობლებმა ბავშვები ამ თამაშს უნდა მოარიდონ.

რა თქმა უნდა, მსოფლიოში არსებობს უამრავი უწმაწური ლექსიკით გაჯერებული კომპიუტერული თამაში, რომელიც, ამასთანავე, სისასტიკეს აღვივებს, მაგრამ ის თამაშები სახელმწიფო უწყებებში არ იქმნება და მათზე გადამხდელის ჯიბიდან ამოღებული ფული არ იხარჯება. ისე, საინტერესო კია, რა დაჯდა ეს თამაში, რომლის პერსონაჟები (როგორც პოლიციელები, ისე ბოროტმოქმედები) ისე კოშმარულად გამოიყურებიან და მოძრაობენ, თითქოს ბირთვულ დაბომბვაში მოყვნენ. **ასეთი დაბალი დონის** (ტექნიკური თვალსაზრისით) **თამაშებს მსოფლიოში, დიდი ხანია, აღარ ქმნიან, ხოლო, თუ ვინიცობაა, ჯერ კიდევ სადმე ქმნიან, ამას ოფიციალური პირები ერსა და ბერს ზარზეიმით არ ამცნობენ.**

მართალია, თამაშის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მომავალში მათი პროდუქტი გაუმჯობესდება, თუმცა, დღეისთვის მიღებული შედეგის გათვალისწინებით, ალბათ, ნაკლებად სასურველია, ჩვენმა ისედაც გაჭირვებულმა ქვეყანამ ამ საეჭვო ექსპერიმენტის დაფინანსება განაგრძოს. ვის ან რისთვის სჭირდება ასეთი თამაშები?

ერთი საგულისხმო დეტალი: თამაშის დასაწყისში მთავარი გმირი ტუალეტის ფანჯარაში მიძვრება, რათა ბოროტმოქმედებს იქიდან შეუტიოს. თუმცა შენობა, სადაც ის უნდა მოხვდეს, ქუჩის მეორე მხარეს დგას, მაგრამ ეს, ალბათ, უმნიშვნელო დეტალია; იქვე კედელზე წარწერაა „Stop Russia"; შესაძლოა, თამაშის ავტორებს განზრახული ჰქონდათ იმის ჩვენება, რომ ეს ლოზუნგი საქართველოში იმდენად გავრცელდა, რომ მას ყველგან, მათ შორის ტუალეტების სიახლოვესაც წერენ, თუმცა ტექნიკური შესრულების დონე იმდენად დაბალია, რომ ასოების ნაწილი „მოიჭრა" და თამაშის ავტორებმა მათზე (სავარაუდოდ) დაკისრებული იდეოლოგიური ამოცანის წარმატებული შესრულებაც კი ვერ მოახერხეს. **გაუგებარია ისიც, რატომ გახადეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი დაუმთავრებელი თამაში, რომელიც მის დღევანდელ მდგომარეობაში „გეიმერების"** (როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ მსოფლიოში) **მხოლოდ ზიზღნარევ ღიმილს თუ გამოიწვევს.**

და ბოლოს, რამდენიმე შტრიხი: სასწავლო მისიაში მთავარი გმირი სამიზნეებს ესვრის, რომელზეც ბოროტმოქმედებია გამოსახული, მათ შორის ორი ქალია, რომელთაგან ერთ-ერთი, არც მეტი, არც ნაკლები, ყუმბარმტყორცნითაა შეიარაღებული. **ქართულ რეალობაში ქალი ყუმბარმტყორცნით დინოზავრივით იშვიათია, თუმცა აქ, ალბათ, ის იდეაა ჩადებული** (ეს მხოლოდ ვარაუდია), **რომ ბავშვი თამაშში, შემდგომ კი ცხოვრებაში ხელის აუკანკალებლად ქალსაც გაუსწორდეს. დაახლოებით ისე, როგორც ეს ახლახან შსს-ს თანამშრომელმა გვენეტაძემ გააკეთა, როდესაც ვეტერანების აქციის დარბევის დროს, ყველა ნორმის დარღვევით, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ქალს მუშტი სახეში ჩაარტყა. არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ზოგიერთ ბოროტმოქმედს აცვია მაისური ჩე გევარას პორტრეტით, საინტერესოა, რა ქვეტექსტი ჩადეს (თუ ჩადეს) ამაში თამაშის შემქმნელებმა.**



**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გამონათქვამები



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა პატარა ქვეყნებმა თვითმყოფადობა და კულტურა შეინარჩუნონ, ამავდროულად კი დიდმა სახელმწიფოებმა პატარა ქვეყნების კულტურა არ გადაყლაპონ.

*BBC*



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

თურქეთი არა მარტო ეკონომიკურად მზარდ განვითარებად ქვეყნად იქცა, არამედ ინოვაციების სტანდარტად, სადაც უახლესი ტექნოლოგიები და სიახლეები წარმატებით ინერგება. ის, რომ ჩვენ საზღვრებს ვხსნით, კარგი მაგალითია რეგიონის სხვა ქვეყნებისთვისაც. ჩემი სურვილია არსებობდეს ერთიანი კავკასია. ეს აზრი ჩვენს აზერბაიჯანელ და სომეხ მეგობრებსაც გავუზიარეთ. იდეის შესრულებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ ეს პირველი კარგი წინგადადგმული ნაბიჯია.

*president.gov.ge*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

ადრეც მითქვამს, ეს ყველა დიქტატორის სენია — სკამზე რომ დაჯდებიან და შეიგრძნობენ, რა არის ხელისუფლება, რა ძალა აქვს, მერე უკვე დროის შეგრძნებასა და აზროვნების უნარს კარგავენ.

*„ასავალ-დასავალი“*



**დავით გამყრელიძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:**

ყველა სიტყვაზე ვარ პასუხისმგებელი, რომ „პე-ეს-პეს“, „ავერსის“ მიერ გაყიდულ ყველა წამალში, ყველა ფირფიტასა და კოლოფში არის ხელისუფლების ინტერესი. ხელისუფლების ინტერესია ყველა ლიტრ საწვავში, რომელიც რეალიზდება. ასეა შაქარში, ფქვილში, პურში და ა.შ.

*„ახალი თაობა“*



**სოსო ცისკარიშვილი,**
**ეკონომიკის ექსპერტი:**

საქართველოში თვითმკვლელობათა რაოდენობა გაზრდილია და ერთ დღესაც ეს იქცევა პოლიტიკურ აქტად, თვითმკვლელობამდე მიყვანილი ადამიანი გააცნობიერებს, რომ ეს უნდა იყოს შურისძიება. აი, ეს კი, დამერწმუნეთ, ძალიან საშიშია.

*„ასავალ-დასავალი“*



**ზვიად ძიძიგური,**
**კონსერვატიული პარტიის ლიდერი:**

ახლაც ხალხის გატყავების ახალი ტალღა წამოვა, რადგან სააკაშვილს ყველაფერი 2011 წელშივე აქვს მოსასწრები, მომდევნო წელი საარჩევნო წელია და მაშინ ბევრს ვერაფერს გაბედავს. სანაძლეოს დავდებ, რომ საწვავზე, ენერგომატარებლებზე, მედიკამენტებსა და საკვებ პროდუქტებზე ფასები კიდევ უფრო გაიზრდება.

*„კვირის პალიტრა“*



**ზაზა ფირალიშვილი,**
**ფილოსოფოსი:**

დღეს საქმეს მხოლოდ აფუჭებენ ის ჰიპერაქტიური პოლიტიკური მოთამაშეები, ვინც ვერა და ვერ შეგუებია, რომ მათი დრო წავიდა. სამწუხაროა, რომ პოლიტიკურ ძალთა დიდი ნაწილი ვერ გასცდა პოლიტიკური ფსევდოხალხურობის დონეს.

*„ყველა სიახლე“*



**ლაშა ჩხარტიშვილი,**
**კონსერვატიული პარტიის წევრი:**

სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკური გემოვნების საკითხი კი არ არის, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, რადგან საქმე გვაქვს ძალიან სახიფათო დამნაშავეთა დაჯგუფებასთან, რომლის სათავეშიც დგას შუშის დიქტატორი მიხეილ სააკაშვილი.

*„კვირის ქრონიკა“*

# სააკაშვილი პარლამენტში, ანუ ერთი მსახიობის გაკოტრებული თეატრი

**11 თებერვალს, როდესაც მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში გამოდიოდა, საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა ეგვიპტის პრეზიდენტის — ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლებიდან წასვლის შესახებ. 30 წლის განმავლობაში მისი რეჟიმი იყო ურყევი, როგორც ხეოფსის პირამიდა, თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და ის, როგორც წესი, ძალზე სევდიანია. საინტერესოა, რამდენ ხანს შეინარჩუნებს ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილი, გაიმეორებს თუ არა ის მუბარაქის რეკორდს, თუ მისი ხელისუფლებიდან წასვლა უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ მოხდება? თავად სააკაშვილს პარლამენტში გამოსვლისას ოცდაათწლიან პერსპექტივაზე ნამდვილად არ უსაუბრია, თუმცა გამუდმებით ახსენებდა 2015 წელს. იმ ადამიანებისთვის, ვინც მიიჩნევს, რომ 2015-ში სააკაშვილი იქნება ემიგრაციაში ან ციხეში, ან, როგორც მინიმუმ, პოლიტიკიდან წავა, ამის მოსმენა, ალბათ, არცთუ სასიამოვნო იყო.**





**იგი საექვოდ ბევრს საუბრობდა მაღალმოსავლიან თესლზე და გამორიცხული ნამდვილად არაა, რომ მომავალში ადგილი ექნება მანიპულაციებს ექსპერიმენტულ გენმოდიფიცირებულ თესლთან, რაც შეიძლება სერიოზულ რისკს დაუკავშირდეს**

## დიპლომატებს რაღას ერჩოდა?

როდესაც სააკაშვილი პარლამენტში იმყოფებოდა, ადგილი ჰქონდა ერთ ეპიზოდს, რომელიც შეიძლება მთელი რიგი პოლიტიკური რებუსების ამოხსნაში დაგვეხმაროს. მან შემდეგი რამ განაცხადა: **„აქ იმყოფებიან უცხოეთის სახელმწიფოების ელჩები და მინდა მათ ვთხოვო, დაესწრონ დებატებს. დემოკრატია წყდება აქ, ამ დარბაზში, და არა სადღაც ბნელ კაბინეტებში, სადაც მერე ათასგვარი ჭორები ვრცელდება და ათასგვარ არაკეთილმოსურნეებს ყურები აქვთ მიდებული, იქნებ ცუდი რამ გაიგონ. ეს არის ქვეყნის მთავარი ორგანო, აქ მიიღება მთავარი გადაწყვეტილებები. კონსტრუქციულ კრიტიკას ყოველთვის მივიღებთ, მაგრამ მერე სურვილი რომ არ ჰქონდეს ვინმეს არასწორი კრიტიკის, დავესწროთ დებატებს და ბოლომდე მოვისმინოთ, თუ გვინდა ვიცოდეთ, რა ხდება ქვეყანაში. უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება აქ ოპოზიციის გამოსვლები და შემდეგ დებატები ოპოზიციასთან“** („ინტერპესნიუსი“). სააკაშვილის თხოვნას მხარი დავით ბაქრაძემაც აუბა.

იმისათვის, რომ ამ ბუნდოვანი პასაჟის სავარაუდო ქვეტექსტს ჩავწვდეთ, ალბათ, თავიდან იმ პერიოდში უნდა დავბრუნდეთ, როდესაც Wiki-Leaks-ის „ქართული დოსიე“ გამოქვეყნდა. მაშინ ყველა წამყვანი დასავლური გამოცემა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ამერიკელი დიპლომატები თბილისში, კერძოდ კი **ელჩი ჯონ ტეფტი მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებიდან მიღებული ინფორმაციით კმაყოფილდებოდა, ხოლო მის კრიტიკულ გააზრებასა და ალტერნატიული წყაროებიდან მიღებულ ცნობებს სათანადო ყურადღებას არ აქცევდა; ეს კი დიპლომატის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის უგულვებელყოფაა.** ეს კრიტიკა სავსებით სამართლიანი იყო, რადგან ამერიკელი დიპლომატები ასე ტრადიციულად მოკავშირე ქვეყნებშიც კი არ მუშაობენ.

**შეგვიძლია ძალიან დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ახალმა ელჩმა ძველი პრაქტიკა შეცვალა.** ასეთ ვითარებაში უმნიშვნელოა, რა დამოკიდებულება აქვს აშშ-ის ადმინისტრაციას და პირადად ჯონ ბასს მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მიმართ; მთავარია ის, რომ **დღეს ელჩი, სავარაუდოდ, ახდენს მასპინძელი ქვეყნის ოფიციალური პირებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმებას და, ამასთანავე, სათანადო ყურადღებას სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასაც უთმობს.** ამ კონტექსტში სააკაშვილი ვაშინგტონზე საინფორმაციო გავლენის ერთ-ერთ შესაძლებლობას კარგავს და, ალბათ, ამის გამო თავს არაკომფორტულად გრძნობს. შესაძლოა, სწორედ აქედან მოდის მიხეილ სააკაშვილის სურვილი, მიუთითოს დიპკორპუსის წარმომადგენლებს, საიდან და როგორ მიიღონ ინფორმაცია, რაც კარგ დიპლომატიურ ტონად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. **ასეთი საჯარო განცხადებებისგან, ნებისმიერ შემთხვევაში, თავის შეკავება სჯობს. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობდა რაღაც კონკრეტული მიზეზი, რომელმაც სააკაშვილს ამის თქმისკენ უბიძგა.**

**მართალია, დარბაზში ბევრი დიპლომატი იმყოფებოდა და სააკაშვილის რეპლიკა ყველას ეხებოდა, მაგრამ მთავარი ადრესატი, ალბათ, მაინც ჯონ ბასი იყო.**

ამ შემთხვევაში შეგვიძლია სამი ძირითადი ვერსია განვიხილოთ:

1) სააკაშვილმა მიიღო ინფორმაცია, რომ აშშ-ის ელჩი (სადღაც, თუნდაც „ბნელ კაბინეტებში“) ხვდება ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს და ეს კონტაქტები სააკაშვილს ეჭვს აღუძრავს. ვინაიდან შეხვედრები მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკოსებთან ჩვეულებრივი პრაქტიკაა, უნდა არსებობდეს დამატებითი, „დამამძიმებელი“ გარემოება — ან ეს შეხვედრები მეტისმეტად ინტენსიურია, **ან სააკაშვილი ფლობს ინფორმაციას შეხვედრების შინაარსზე და ეს ინფორმაცია აძლიერებს მის შიშს, რომ მას ხელისუფლებიდან ჩამოშორებას უპირებენ; ან კიდევ, გაჩნდა რაღაც ახალი კონტაქტები, რომელიც მას ძალზე არ მოსწონს.** სხვათა შორის, განხილულ ვარიანტში, სულაც არაა აუცილებელი „ქართველ პოლიტიკოსებად“ მოხსენიებული პირები მაინც და მაინც ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ;

2) სააკაშვილმა მიიღო ინფორმაცია თავისი მოკავშირეებისგან ვაშინგტონში, რომ **ელჩის მოხსენებები, რომელთაც სახელმწიფო დეპარტამენტში აგზავნის, ტეფტის ტელეგრამებისგან განსხვავებით, მეტისმეტად კრიტიკული გახდა და შტატების ხელისუფლებაში იმ განწყობებს ამყარებს, რომლებიც სააკაშვილის ხელი-** ▶



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀**სუფლებისთვის საშიშია,** რის გამოც ის ანერვიულდა და ექსპრომტად გადაწყვიტა მიეთითებინა ელჩისთვის, თუ საიდან უნდა მიიღოს სანდო ინფორმაცია ქართული „დემოკრატიის" (ალბათ, მაინც ბრჭყალებში) შესახებ;

3) შესაძლოა, წინა ვარიანტში განხილულ კონსპიროლოგიურ სქემას (ვაშინგტონიდან ინფორმაციის მიღებას) ადგილი არ ჰქონია, მაგრამ **სააკაშვილმა ჩათვალა, რომ ჯონ ბასის დღევანდელი ქმედებები ზოგადად არ ჯდება აშშ-საქართველოს ურთიერთობების ლოგიკაში, უფრო სწორად იმ მოდელში, რომელიც სააკაშვილისთვის იდეალური იქნებოდა.** ეს მოდელი ძალზე მარტივია, ხელისუფლება თამაშობს სპექტაკლს სახელწოდებით „ქართული დემოკრატია", ხოლო შტატების ელჩი ამაში ხელს არ უშლის და მწვავედ არ აკრიტიკებს, როგორც ეს სულ ცოტა ხნის წინ, ვეტერანების აქციის დარბევის შემდეგ გააკეთა. ქვეტექსტი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: „ჩვენ (სააკაშვილის ხელისუფლება) აშშ-ის მიმართ ლოიალურები ვართ, ვცდილობთ, დემოკრატიული ქვეყნის ფასადი გვქონდეს (დებატები პარლამენტში და რამე), „დიდმა ბიძიებმა" ვაშინგტონში ამ თამაშის წესები მშვენივრად იციან და შენ რაღა გინდა, ჯონ?!".

**ნუ წარმოვიდგენთ, რომ ჯონ ბასი თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდია, რომელიც საქართველოში დემოკრატიისა და სამართლიანობის დამკვიდრებისთვის ხმალამოღებული იბრძვის. ის, უბრალოდ, აშშ-ის ინტერესებს იცავს და, შესაძლოა, სააკაშვილის დღევანდელი პოლიტიკა ამ ინტერესებთან სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობაში მოდის.**

## დიქტატორებს არავინ სწყალობს

**სააკაშვილის განწყობა დღეს, ალბათ, არც ისე ოპტიმისტურია. ვაშინგტონის მთელ რიგ პარტნიორებს სერიოზული პრობლემები შეექმნა: ბენ ალი და მუბარაქი ჩამოაგდეს. თუმცა საქმე მხოლოდ ჩამოგდებაში როდია. პოლიტიკოსი შეიძლება მშვიდად წავიდეს, თუ გარკვეულ გარანტიებს მიიღებს. თუმცა ბოლო დროს ეს სისტემა, როგორც ჩანს, აღარ მუშაობს.** არაბი დიქტატორების გადაყენებისთანავე შვეიცარიამ მათი საბანკო ანგარიშები გაყინა; ამავე თემაზე ევროკავშირშიც იმსჯელეს. ფულს თავი დავანებოთ, პრობლემები შეიძლება კიდევ უფრო სერიოზული გამოდგეს. **გასულ კვირას პაკისტანის სასამართლომ პერვეზ მუშარაფის დაპატიმრების ორდერი გასცა. არადა, მან თავის დროზე ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღო და სავარძელი, მეტ-ნაკლებად, უპრობლემოდ დატოვა.** ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლებიდან წასვლის მეორე დღეს მედიაში გაჩნდა ცნობა, რომ ის კომაშია. რა თქმა უნდა, მუბარაქი მოხუცებული ადამიანია და გამორიცხული არაა, რომ ჯანმრთელობასთან პრობლემა ნამდვილად შეექმნა, თუმცა იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელთანაც შეხება ჰქონდა ყოფილ პრეზიდენტს, ალბათ, სხვა ვერსიებიც არ უნდა გამოვრიცხოთ.

**ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავად ჯორჯ ბუშმა არც თუ დიდი ხნის წინათ გააუქმა ვიზიტი შვეიცარიაში, სადაც საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა მიეღო.**

კომენტატორების ნაწილმა აღნიშნა, რომ **ბუშმა ეს გააკეთა შვეიცარიული სასამართლოს მიერ მისი შესაძლო დაკითხვის გამო** (საქმე ადამიანის უფლებების დარღვევას, კერძოდ კი გუანტანამოს პატიმრების წამებას ეხება). **როდესაც ასეთი პრობლემები ზესახელმწიფოს ყოფილ მეთაურს ეხება, წვრილფეხა დიქტატორებისთვის გარანტიებზე ზრუნვით თავს დიდად არავინ შეიწუხებს.**

აშშ ბოლოს ძალზე იოლად თანხმდება ძველი მოკავშირეების ხელისუფლებიდან ჩამოშორებას, მეტიც პროცესებს ხელს აქტიურად უწყობს. ამასთანავე, ფაქტია, რომ გარანტიების სისტემა აღარ მუშაობს ისე, როგორც ადრე; ასეთ ვითარებაში სააკაშვილის ადგილას, ალბათ, ნებისმიერი ადამიანი აღელდებოდა. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც, შესაძლოა, მის განწყობაზე უარყოფითად მოქმედებს: **მოვლენებმა არაბულ სამყაროში აჩვენა, რომ ყოფილი თანაგუნდელები „ჩასარეცხ" პრეზიდენტებს ძალზე იოლად წირავენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი შტატებიდან სათანადო სიგნალებს იღებენ.**

საბოლოო ჯამში, რა იყო ეგვიპტეში განვითარებული მოვლენები? ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, სახალხო ამბოხი და, ძველად რომ იტყოდნენ, მშრომელთა მასების რევოლუციური აღმაფრენა. თუმცა, მეორეს მხრივ, ეს ჩვეულებრივი გადატრიალებაა — ელიტამ ხელისუფლების მწვერვალიდან ერთი კონკრეტული (მუბარაქების) კლანი გადმოაგდო. უბრალოდ, სამხედროებმა ხელისუფლება აიღეს არა კლასიკური სამხედრო გადატრიალების გზით, არამედ ამ პროცესში უკმაყოფილოთა მასების ჩართვით და „ფერადი" ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა არმიის წარმომადგენლები არა სისხლიან უზურპატორებად, არამედ სტაბილურობაზე მზრუნველ არბიტრებად წარმოჩენილიყვნენ. შესაძლოა, ამ მანიპულაციების დროს, მათ ბოთლიდან გამოუშვეს ჯინი, რომელიც ადრე თუ გვიან ბოლოს მათაც მოუღებს, თუმცა ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.




**მოვლენებმა არაბულ სამყაროში აჩვენა, რომ ყოფილი თანაგუნდელები „ჩასარეცხ" პრეზიდენტებს ძალზე იოლად წირავენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი შტატებიდან სათანადო სიგნალებს იღებენ**

## ხუთწლედი ოთხ წელიწადში

**პარლამენტის კედლებში გამართული ღონისძიება ერთობ ჰგავდა თეატრალურ სანახაობას — აქეთ პროტაგონისტი (სააკაშვილი), იქით ანტაგონისტი (გიორგი თარგამაძე). მართალია, გურამ ჩახვაძე ტრიტაგონისტამდე ვერ ქაჩავდა, თუმცა, რომც გაექაჩა, ამას, ალბათ, ვერავინ შეამჩნევდა. იყო დითირამბები, პათოსით გაჯერებული მონოლოგები, კლოუნადაც იყო, თანაც საკმარისზე მეტი; იყო კულმინაციური სცენა „ქრისტიან-დემოკრატების" მიერ მოტანილ ფურცლებთან, რომელშიც პროტაგონისტის სამსახიობო ნიჭი მთელი სიგრძე-სიგანით გამოვლინდა. აპლოდისმენტები კი იმდენი იყო, რომ ცხონებულ ბრეჟნევსაც შეშურდებოდა.**

სააკაშვილის მოწოდება დიპლომატისადმი ამ კონტექსტში ისე გამოიყურებოდა, თითქოს სცენაზე მთავარი გმირი გამოვიდა და დარბაზს შეეხვეწა: „პირველი აქტის შემდეგ არ წახვიდეთ!". ასეთი რამ მხოლოდ ძალიან ცუდი სპექტაკლის დროს გაკოტრებულ თეატრში თუ მოხდება. ვინაიდან ქართული საზოგადოება ცხოვრობს რეალობაში და არა პოლიტიკური პერფორმანსის სივრცეში, ალბათ, ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო — ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ თუ არა სააკაშვილი და თარგამაძე, რაზეც სოციალურ ქსელებში ძალიან ბევრი დაიწერა. ვის აინტერესებს, რა ხდება სცენაზე, როდესაც თეატრი იწვის?

გამოსვლის დასაწყისში სააკაშვილმა წარმოადგინა მგზნებარე ლირიული მონოლოგი: **„ერთი წუთით წარმოიდგინეთ, როგორ თენდება დილა დედისთვის, რომელსაც ყოველი თეთრი გაწერილი აქვს...",** ვინაიდან **საზოგადოების უდიდეს ნაწილს ამის წარმოდგენა არ სჭირდება, რადგან ყოველივეს ყოველდღე საკუთარი თვალით ხედავს.** მისი გამოსვლის ეს ნაწილი შეგვიძლია, უბრალოდ, გამოვტოვოთ; არა მგონია, ვინმეს აინტერესებდეს სააკაშვილის ემოციები და ვნებები; მთავარია, თუ რას აკეთებს ის. საზოგადოებას ჰქონდა კონკრეტული კითხვები და კონკრეტულ პასუხებს ელოდა (იგულისხმება ის ნაწილი, რომელიც სააკაშვილისგან ჯერ კიდევ რაღაცას ელის).

კონკრეტიკა იყო შემდეგი: ელექტროენერგიის 20-ლარიანი ვაუჩერი — თებერვალში, სურსათის 30-ლარიანი ვაუჩერი — მარტში. ეს ნაბიჯი ძნელი ამოსაცნობი არ იყო. იმაზე, რომ წლის დასაწყისშივე განხორციელდებოდა **„აქტიური საინფორმაციო კამპანია, რომლის მთავარი მიზანი იქნება, ვითარება ისე წარმოაჩინოს, რომ მთავრობა სოციალურ პასუხისმგებლობას იზიარებს და სიღატაკეს სრული სერიოზულობით ებრძვის (იქნება პენსიონერთა ოჯახებში სიარული, უმნიშვნელო ბონუსების დარიგება, ცრემლების ღვრა და ა.შ.), რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან ყველა მოქალაქე როდი გაეცნო 2011 წლის ბიუჯეტს, რომლიდანაც ნათლად გამომდინარეობს, რომ ხელისუფლებამ ხსენებული პასუხისმგებლობა მოიხსნა. ყოველივე ეს, სავარაუდოდ, 2011 წლის პირველი კვარტლის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცევა",** — „საქართველო და მსოფლიო" ჯერ კიდევ 29 დეკემბრის ნომერში წერდა.

სააკაშვილმა თქვა, რომ სოფლის მეურნეობისთვის 150 მილიონი გამოიყოფა. ძნელი დასადგენი იყო, ეს ფული კონკრეტულად სად წავა, თუმცა **იგი საეჭვოდ ბევრს საუბრობდა მაღალმოსავლიან თესლზე და გამორიცხული ნამდვილად არაა, რომ მომავალში ადგილი ექნება მანიპულაციებს ექსპერიმენტულ გენმოდიფიცირებულ თესლთან, რაც შეიძლება სერიოზულ რისკს დაუკავშირდეს.** ვნახოთ, რა გამოვა სააკაშვილის ახალი აგრარული გატაცებიდან, თუმცა ის ფაქტიც გავითვალისწინოთ, რომ მისი მმართველობის პერიოდში სოფლის მეურნეობა წლიდან წლამდე კატასტროფულ ვარდნას განიცდიდა. **მხოლოდ 2010-ში, ნოდარ ჯავახიშვილის ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით, ნათესი ფართობები 11%-ით შემცირდა, მათ შორის ხორბლის ნათესები — 81%-ით, საქონლის ხორცის მოცულობამ 10%-ით იკლო, რძის — 3%-ით, კვერცხის — თითქმის 11%-ით; ცხვრის სულადობამ — 16%-ით, ღორისა კი 29%-ით შემცირდა.**

ყველა სხვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთან დაკავშირებული დაპირება, ძირითადად, 2015 წელს ეხებოდა (იყო რამდენიმე გამონაკლისიც, „2013 წლისთვის იფუნქციონირებს ასზე მეტი ახალი, თანამედროვე კლინიკა და ჰოსპიტალი"; „2013 წლისთვის ჩვენ 35%-მდე გავზრდით ხორბლის ადგილობრივ წარმოებას"; აგრეთვე, 2013-ისთვის საინჟინრო-ტექნიკური უნივერსიტეტის გახსნას შეგვპირდა). თუმცა მისი დაპირებების ჩამოთვლას აზრი, ალბათ, ნაკლებად აქვს, ვინაიდან წინა ხუთწლედში სააკაშვილმა უამრავი დაპირება უკვე მოგვცა და ვერ შეასრულა. ახალ დაპირებებზე რატომ უნდა ვისაუბროთ, როდესაც ძველი შესრულებული არ არის? ან **როგორ უნდა მოვთხოვოთ პასუხი 2011, 2012, 2013, 2014 წლებში, როდესაც ხელს ჰორიზონტისკენ გაიშვერს და გვეტყვის, რომ 2015-ში ყველაფერი კარგად იქნება; ხოლო როდესაც ეს საკრალური 2015 დადგება, გვამცნობს, რომ არნახულ წარმატებებს 2020-ში მივაღწევთ. არადა, ალბათ, დროა, შეუსრულებელ დაპირებებზე პასუხი „Right Here, Right Now" (აქ და ახლავე) მოვთხოვოთ.**

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებები



**დიმიტრი ლორთქიფანიძე,**
**პარლამენტის წევრი:**

საქართველოს ხელისუფლებას აქვს პატიმართა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის ინტერესი, რადგან, როდესაც პატიმართა რიცხვი კატასტროფულ, წარმოუდგენელ მაღალ მაჩვენებელს მიაღწიეს, ხელისუფლება მართლაც მიიღებს დონორი ორგანიზაციებისგან ფინანსურ დახმარებას, ყოველ შემთხვევაში, შეეცდება, რომ მიიღოს.

*„ასავალ-დასავალი"*



**ეკა ბესელია,**
**„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელი:**

კრიტიკას ვერ უძლებს პატიმართა რაოდენობის ზრდა და მათდამი მოპყრობის სისასტიკე. საქართველო მსოფლიოში სამეულშია პატიმართა რაოდენობის მიხედვით. ხოლო სასამართლოს პოლიტიზირების დამადასტურებელია 2010 წელს გამამართლებელი განაჩენების 0,01 პროცენტი.

*„ახალი თაობა"*



**კახა კაციტაძე,**
**ექსპერტი სამხედრო საკითხებში, პოლიტოლოგი:**

ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოს პერსპექტივა არის ნული! ჩვენ საქმე გვაქვს არაადეკვატურ რეჟიმთან, რომელიც ქვეყნის მთავარ საფრთხედ გვევლინება! ამ რამდენიმე წლის წინათ ამ ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელს (ზოგიერთი მათგანი ჩემი სტუდენტიც იყო) ჩემთვის პირდაპირ უთქვამს, ქართველები ყველაფერს აიტანენო! დღემდე ამ ლოგიკით მოქმედებენ!

*„ასავალ-დასავალი"*



**თენგიზ სიგუა,**
**ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**

მესტიაში სველი თოვლია, ამიტომ ის ვერასოდეს გახდება ისეთი სამთო-სათხილამურო კურორტი, რომ ნახევარი მილიარდი ამოქაჩოს... ანაკლია-მესტიის კომპლექსურ გაერთიანებაზეცაა საუბარი, რომ ზღვიდან შეგეძლება მთაში ასვლა და თოვლზე სრიალიო. ანაკლიაში ღამე ვერ გახვალ გარეთ და ვერც ფანჯრებს დატოვებ ღიად, კოღო შეგჭამს.

*„ალია"*



**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
**„თეთრი მოძრაობის" (თეთრების) ლიდერი:**

სააკაშვილს საქართველოსთვის სიკეთე რომ უნდოდეს, შესაძლოა, ცდებოდნენ ოსები, ცდებოდნენ აფხაზები, მაგრამ სააკაშვილი მართალიც რომ იყოს, მაგის ადგილზე ავდგებოდი და წავიდოდი, მაგრამ არა — ხომ ხედავთ, 2015 წელზე ლაპარაკობს, უკვე დაინიშნა პრემიერ-მინისტრად თავი!.. დიახ, დაინიშნა თავი, მაგრამ მოუწევს წასვლა!

*„კვირის ქრონიკა"*



**იაგო კაჭკაჭიშვილი,**
**სოციოლოგი:**

ვერც 20 და ვერც 30-ლარიანი ვაუჩერი ვერ შეაკავებს სოციალურ ბუნტს, თუ ასეთი ტალღა აგორდა. 30 ლარი 3 კილო ხორცია, რომელსაც ოთხსულიანი ოჯახი ერთ კვირაში მოიხმარს, ხოლო ელექტროენერგიის 20-ლარიანი ვაუჩერი, კომუნალური გადასახადების ერთმანეთზე გადაბმის პირობებში, თვიურ დავალიანებასაც კი ვერ დაფარავს. მეტიც, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, როგორც ეკონომისტები განმარტავენ, ასეთი ვაუჩერები ინფლაციის მასშტაბს უფრო გაზრდის. ასე რომ, არსებობს რისკი, ეს ვაუჩერები პროტესტის გაძლიერების კატალიზატორი აღმოჩნდეს.

*„კვირის პალიტრა"*



**გიორგი გუგავა,**
**ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი:**

სააკაშვილმა სოციალური გენოციდი მოუწყო ქართველ ერს და ახლა ფარისევლურად ცდილობს ხალხის დარწმუნებას — ნახეთ, როგორი მზრუნველი მმართველი ვარო! ვინ დაუჯერებს სააკაშვილის ნიანგის ცრემლებს, როდესაც ეს არსება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართველები საქართველოში უუფლებო ეთნიკურ უმცირესობად გადაიქცნენ?!

*„ასავალ-დასავალი"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფრაზებული



**ზურაბ ქაფიანიძე, სახალხო არტისტი, შუმეროლოგი:**

სამასი წელი რომ იცოცხლოს სააკაშვილმა, იმის ნახევრის-ნახევრის-ნახევარს ვერ მიაღწევს, რასაც სტალინმა მიაღწია. ამათ ყველას ერთი სტალინი მირჩევნია. დიახ, სტალინი ქართულად აზროვნებდა. ის იყო განუმეორებელი გენია, რომელმაც ილია ჭავჭავაძის გეგმის მიხედვით მოაწყო საბჭოთა კავშირი.

*„ასავალ-დასავალი“*



**გიორგი ლაღიძე, პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი:**

ის, რომ სააკაშვილი დღეს ხელისუფლებაშია, დიდი დამსახურებაა იმ ე.წ. ოპოზიციისა, რომელმაც სააკაშვილს შეუქმნა იმის პირობა, რომ ამდენი წელი მშვიდად ყოფილიყო ხელისუფლებაში. სწორედ მათ უნდა გადაინაწილონ პასუხისმგებლობა ყველა იმ შეცდომაზე, რომლებიც ამ ხელისუფლებამ წლების განმავლობაში დაუშვა. მერწმუნეთ, თავის დროზე რომ ეს ე.წ. ოპოზიცია ჩამოშორებოდა პოლიტიკურ პროცესებს, ყველაფერს მიიყვანდა ხალხი თავის ლოგიკურ დასასრულამდე და შედეგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

*„ახალი თაობა“*



**ირაკლი პეტრიაშვილი, საქართველოს პროფკავშირთა გაერთიანების ხელმძღვანელი:**

ადამიანებს სახლიდან პირადი ნივთების გამოტანა უწევთ უსაშველოდ და უაზროდ გაზრდილი კომუნალური გადასახადების გადასახდელად. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასაც კი შეშურდება გადასახადები, რომელიც ამ ქვეყანაშია, ხელფასები კი კამბოჯისა და ბირმის მსგავსი გვაქვს...

*„ყველა სიახლე“*



**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი, „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ ერთ-ერთი ინიციატორი:**

როგორი „გულადია“ სააკაშვილი, ყველამ კარგად ვიცით! რამდენიც არ უნდა დაარწმუნოს თავი, ჩემს ძალაუფლებას არაფერი ემუქრებაო, გარწმუნებთ, სინამდვილეში ძალიან დამფრთხალია!.. ამერიკისთვის ჰოსნი მუბარაქი სააკაშვილზე ბევრად ღირებული სტრატეგიული პარტნიორი გახლდათ, მაგრამ თავად ნახეთ, როგორ შეიცვალა თეთრი სახლის დამოკიდებულება ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებისადმი.

*„ასავალ-დასავალი“*



**ნიაზ ბოლქვაძე, მწერალი, ფილოსოფოსი, აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე:**

ქალაქ ბათუმში, ქობულეთში (კვირიკე), ახალციხესა და ადიგენში ისტორიულ-მატერიალური ძეგლების აღდგენა სწორედ იმ საზღვრებში, რომლებიც თურქეთის საუკუნოვანი ოკუპაციის დროს 1878 წლამდე იყო, აჭარა-მესხეთის კვლავ თურქეთის სახელმწიფოში დაბრუნების სურვილით არის განპირობებული.

*„ასავალ-დასავალი“*



**თენგიზ დიხამინჯია, უზენაესი საბჭოს დეპუტატი:**

ოპოზიციის რიგი წარმომადგენლები ხელისუფლებისგან უზარმაზარ ფულად დახმარებას იღებენ და მასთან შეხმატკბილებული არიან, თითქოს სააკაშვილი არ უნდათ.

*„ახალი თაობა“*



**ნათელა პატარკაციშვილი, ბადრი პატარკაციშვილის დედა:**

ერთხელ, ბადრის გარდაცვალების შემდეგ, ქალბატონი მზია შემხვდა, მიხეილ სააკაშვილის ბებია და ასეთი რამ მითხრა: „ქალბატონო ნათელა, ვინც თქვენს ოჯახს ეს გაუკეთა, იმისმა არც შვილმა და არც შვილიშვილმა არ იცოცხლოსო!“. გეფიცებით ბადრის სულს, ასე მითხრა!

*„ასავალ-დასავალი“*

# ქვეყანა, რომელიც ტურიზმის იმედზეა, არაფერი ეშველება

**ერთ მიკროდიალოგს გაგახსენებთ უკვდავი ქართული ტელეფილმიდან „ქვევრი“.
კახელი გოგია რთველისთვის იმერეთიდან ქვევრს ჩამოიტანს. მის თავქარიან ქალიშვილს კი ქვევრი მანქანიდან ჩამოუვარდება და გვერდი გამოემტვრევა. თავისივე დაუდევრობით ქურში გამომწყვდეული ხელოსანი გაცეცხლებულ გოგიას იქიდან გამოსძახებს:
„— ბარაქა, გოგი!
— წადი, შენი!.. ძალიან უხარია ჩემი ბარაქა“... — ჩაიბურტყუნებს გოგია.**



## «ქვევრის» რიმეიკი, ანუ «წადი, შენი!..»

რატომ გაგახსენეთ ეს კადრი, ამაზე — ქვემოთ. ახლა კი ჩვენს ბარაქას მივხედოთ, ჩვენს ეკონომიკას, რომელიც 11 თებერვალს გამართულ პარლამენტის საზეიმო-საჩვენებელ სხდომაზე მიხეილ სააკაშვილის პათეტიკური ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, აღმავლობის გზაზე დგას, დიდმოსავლიანია, და სახელმწიფო ბიუჯეტი თუ არ ივსება, მხოლოდ იმიტომ, რომ იმერეთში ნაყიდი ქვევრივით გვერდი აქვს გამომტვრეული აცეტებული მსოფლიო კრიზისის ხრიკების გამო. მაგრამ, დღეს თუ არა, ხვალ ტურიზმის განსავითარებლად მოზიდული ინვესტიციებით ამოვქოლავთ გასავლის შავ ხვრელს და მსოფლიოში საუკეთესო თოვლის ტრასებით თხილამურებით დავეშვებით მესტიიდან, ავადგაფუნებთ შავი ზღვის ხავერდოვან წყალს ანაკლიის „ტროპიკულ“ პლაჟზე და „პრომეთეს მღვიმის“ გავლით შევალთ საქართველოს მეორე დედაქალაქში, სადაც გადაწვას გადარჩენილი დუქნები ბათუმი-ქობულეთის ტურისტული ზონის ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ფილიალებად იქნება გამოცხადებული.

**საქართველო — აშშ-ის ასოცირებულ შტატად...**

**და მთელს ამ გზაზე გვიმშუქარებს განათებული უშბა, როგორც დანკოს ამოგლეჯილი გული.**

**„— ბარაქა, გოგიიი!..“**

რა ბარაქა, რის ბარაქა! ჩვენი მკითხველი, ვინც თვალს ადევნებს „საქართველო და მსოფლიოს“ პუბლიკაციებს, უთუოდ დაგვერწმუნება, რომ ამ ბაქიბუქს საერთო არაფერი აქვს რეალურ ეკონომიკასთან, რომ თუნდაც სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამი ქვეყნიდან საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ულარიბეს სახელმწიფოდ რჩება, რომ **უცხოეთის გრანტები და კრედიტები იყო ის უძირო ფულის ორმო, საიდანაც მიხეილ სააკაშვილს ამოჰქონდა სახსრები „სანიმუშო სოციალური რეფორმების განსახორციელებლად, ხელფასის გასაზრდელად, არმიის შესაიარაღებლად, სამხრეთ ოსეთში ომის გასაჩაღებლად და საქართველოში არნახული დეკორატიული გარდაქმნების გასაპიარებლად“.**

ცნობილი ანალიტიკოსების დასკვნა ერთია: **ქართული ეკონომიკური სასწაულის ბუნება არის ის, რომ იგი საერთოდ არ არსებობს.**

პერსპექტივა, აქედან გამომდინარე, კატასტროფულია: **2013-2014 წლებში საქართველო შევა დეფოლტისწინა პერიოდში, რაც მიხეილ სააკაშვილის „ეკონომიკური სასწაულის“ დასასრულად მოგვევლინება.**

**დეფოლტის საშიშროება დამოკლეს მახვილივით კიდია ყველა იმ ქვეყნების თავზე, რომლებშიც ტურიზმი წამყვანი დარგია. ესენია — საბერძნეთი, პორტუგალია, მალდივის კუნძულები, ეგვიპტე და ასე შემდეგ.**

ჩვენ, რა თქმა უნდა, გამონაკლისი ვიქნებით, რადგან ასე მიაჩნია მიხეილ სააკაშვილს და მის მდგრადი ეკონომიკის მინისტრს — ვერონიკა ქობალიას!

**ვისაც სჯერა, გავატარებთ!**

**მაგრამ რა ვუყოთ მსოფლიო გამოცდილებას, რომლის მიხედვით, ტურიზმში ჩადებული ინვესტიციის და-**



## ვლადიმერ პაპავა: გზას მოაქვს დადებითი ეფექტი მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში; მოკლევადიანში — ინფლაციური ხარჯია

**საფარად დიდი დროა საჭირო — დაახლოებით ორმოცდაათი წელიწადი. ეს ერთი. მეორე — ტურიზმის პრიორიტეტულობას დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ძალიან დაბალია ინფლაციის დონე.**

თვალსაჩინო მაგალითია, ამტკიცებენ ექსპერტები, ესპანეთში განვითარებული პროცესი: როგორც კი ამ ტრადიციულ ტურისტულ ქვეყანაში გაძლიერდა ინფლაციური პროცესი, ქვეყანას დეფოლტის საშიშროება დაემუქრა. რაღა შორს წავიდეთ, საქართველო დღეს სწორედ ასეთი საშიშროების წინაშე დგას ტურიზმის განვითარების გარეშეც: **გასაყიდი ყველაფერი გაიყიდა, იწურება ის 4,5 მილიარდი დოლარიც, რაც აგვისტოს ომის შემდეგ გრანტებისა და კრედიტების სახით დასავლეთმა გამოგვიყო, პრივატიზაციიდან ბიუჯეტის შევსების ყველა წყარო დაიწრიტა და დაშრა, ვითარცა „ღარიბების ბედის წყარო“. ასეთ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი უმწიფართა მთავრობას ფულის დამატებითი ოდენობით გამოშვება რჩება.**

ამუშავება საბეჭდი დაზგის.

ასე იწყება და ვითარდება ინფლაცია.

არ შეიძლებაო, გვიმტკიცებენ ეკონომიკის ანალიტიკოსები, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე სერიოზული საუბარი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე, „ტურიზმი ვერასოდეს ააყვავებს საქართველოს“.

**ვინ ჩადებს ინვესტიციებს ქვეყანაში, სადაც მოქალაქეებს დაპირებებით, მოლოდინით კვებავენ. რომელი ბიზნესმენი გადაყრის ფულს მოლოდინში?**

ის კი არა, პრეზიდენტის ამალაში მყოფი ქალების სილამაზით მოხიბლულმა და აღფრთოვანებულმა ამერიკელმა მილიარდერმა ტრამპმაც თავისი დანაპირებიდან მხოლოდ ტრამპა-ცუმპა შემოგვატოვა.

გაგვაბითურა.

ჰოდა, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ არ დავრჩეთ, ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების განმარტებისთვის ცნობილ ანალიტიკოსებს მოვუსმინოთ.

### ტურიზმი – ინფლაციის წყარო

**ვლადიმერ პაპავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— მხოლოდ ერთი დარგის განვითარებაზე ყურადღების გადატანა ეკონომიკაში ქვეყნისთვის ზიანის მომტანია. ტურიზმი, ამასთან ერთად, ძალიან ფაქიზი დარგია. საკმარისია, რაღაც მიზეზის გამო ტურისტები შენთან არ ჩამოვიდნენ, ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდება. ასეთი მიზეზები, როგორც წესი, შეიძლება შენზე სულაც არ იყოს დამოკიდებული.

ჩვენთან ტურისტები, ძირითადად, ჩამოდიან აზერბაიჯანიდან ან სომხეთიდან. ხვალ აზერბაიჯანში ან სომხეთში, ან ორივეში ერთდროულად კრიზისი რომ განვითარდეს, ამ ტურისტებს დავკარგავთ, ანუ არანაირი ტურისტული სეზონი არ შედგება და არანაირი შემოსავალი ჩვენს მოსახლეობას არ ექნება. თუ გლობალური კრიზისი განვითარდება, ბუნებრივია, ყველას გაუჭირდება და ტურისტობისთვის არავის ეცლება.

**ტურიზმის განვითარება ნიშნავს, რომ ქვეყანა დამოკიდებული ხდება გარე ფაქტორებზე, რომლებიც ამ ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილების გარეთ დგას, მისი კომპეტენციის ფარგლებში არ შედის.**

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ, თუ ქვეყანაში ეკონომიკა არ არის განვითარებული, ტურიზმი წარმოგვიდგება ინფლაციის წყაროდ. ტურისტი ჩვენი საქონლის დამატებითი მომხმარებელია. თუ სასოფლო-სამეურნეო წა- ▶

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნოდარ ჯავახიშვილი: რომელი სულელი ტურისტი ჩამოვა ქვეყანაში, სადაც ხარისხის კონტროლიც კი არ არის საკვებ პროდუქტებზე?!

◀რმოება სათანადო დონეზე არ გვაქვს განვითარებული, დამატებითი მომხმარებელი ზედმეტ ტვირთად დააწვება ქვეყანას, რაც იწვევს დამატებითი მოთხოვნის ზრდას, მოთხოვნის ზრდა არის ინფლაციის ზრდის წყარო.

**დღევანდელ პირობებში, როცა ქვეყანა ისედაც დამძიმებულია ინფლაციური პროცესებით, რომლებიც, უმთავრესად, საერთაშორისო დონეზეა წარმოქმნილი, წყარო საერთაშორისოა, ტურიზმის განვითარება კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ინფლაციურ ფონს.**

მიაქციეთ ყურადღება: სამომხმარებლო პროდუქტების მხოლოდ 20 პროცენტს ვაწარმოებთ ადგილზე, 80 პროცენტი — იმპორტირებულია. იმპორტი კი ძვირდება ინფლაციის გამო. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ტურისტების ჩამოსვლა კიდევ უფრო გაგვიძვირებს სამომხმარებლო საქონელს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, **ტურიზმის განვითარება ნაკლებმიმზიდველია ქვეყნის ეკონომიკური მომავლისთვის.**

ცნობილია, რომ ინფრასტრუქტურის გარეშე, რომლის განვითარებას ხელს უწყობს ხელისუფლება, ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე ვერასოდეს დადგება. თუმცა, ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ, სანამ გზები მშენებლობის პროცესშია, მათზე გაწეული ხარჯები თავისი ბუნებით ინფლაციურია, ანუ **გზას მოაქვს დადებითი ეფექტი მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში; მოკლევადიანში — ინფლაციური ხარჯია.** თანაც, ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არის არაერთი შემთხვევა, როცა გზა იმდენად უხარისხოდაა გაკეთებული, რომ მოკლე პერიოდში საჭირო ხდება ხელმეორედ დაგება. ეს გადაყრილი ფულია.

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული განვითარება ყოველმხრივ გამართლებულია. მაგრამ **ჩვენ გვჭირდება არა უბრალოდ სოფლის მეურნეობა, არამედ ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა,** რომელიც დაფუძნებული იქნება გლეხებისთვის ტექნიკის, შხამქიმიკატების, სასუქების, თანამედროვე სათესლე მასალის ხელმისაწვდომობაზე.

ფრიად სამწუხაროა, როცა ის ადამიანები, რომელთაც მინდობილი აქვს ამ დარგის გაძღოლა, ვერანაირად ვერ უპასუხებენ ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი. ამ სისტემაში დღეს გაბატონებულია არაპროფესიონალიზმი.

**— მაშ, რატომ აირჩიეს „გენერალურ მიმართულებად“ ეკონომიკაში ტურიზმი?**

— ტურიზმის მეშვეობით ეფექტის მიღწევა უფრო ადვილია. სოფლის მეურნეობის განვითარებას, აღარაფერს ვამბობ მრეწველობის განვითარებაზე, მეტი დრო სჭირდება, უფრო მეტი ძალისხმევა.

არც ტურიზმია იოლი საქმე, მაგრამ შედეგი უფრო სწრაფია. ტურიზმი უფრო იმ სტილის სამუშაოა, რომელიც ამ ბოლო პერიოდში ჩვენი ხელისუფლებისთვისაა დამახასიათებელი.

**— ტურიზმის განვითარება და ერის თვითმყოფადობა, — შეიძლება საკითხის ასე დასმა?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენ წინაშე დადგა არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის საკითხი, არამედ — ერის თვითმყოფადობის კიდევ უფრო განმტკიცების ამოცანა. ეს თემა განსაკუთრებით მწვავეა გლობალიზაციის ეპოქაში. ამ დროს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურას, მეცნიერებას. სამწუხაროდ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩვენთან დაზარალდა ერთიცა და მეორეც. **მოწოდება — ყველანი გავხდეთ ტურისტების მომსახურენი — ნიშნავს, რომ ჩვენს მოქალაქეს მაცივარში ჰქონდეს ხორცი, ძეხვი, ყველი, ლუდი, მაგრამ ინტელექტუალური თვალთახედვით იყოს ტაქსის მძღოლისა და, საუკეთესო შემთხვევაში, სასტუმროს მენეჯერის დონეზე.**

**ეს არის გზა საქართველოს საბერძნეთიზაციისკენ ან თურქეთიზაციისკენ.**

ვფიქრობ, ჩემი თანამემამულეები დამეთანხმებიან, რომ მეცნიერების შექმნა ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ძვირადღირებული ფუფუნებაა, მაგრამ, რადგან გვქონდა მეცნიერება და დღესაც არის შემორჩენილი, მისი დანგრევა დანაშაულის ტოლფასია.



## „ისინი ჩვენ გვაღადავებენ“

**შეკითხვაზე, როგორ შეაფასებთ ჩვენი ხელისუფლების მცდელობას ტურიზმის განვითარებით საქართველოს ეკონომიკის კოლაფსიდან გამოყვანის თაობაზე, ნოდარ ჯავახიშვილი კატეგორიულად მოჭრის:**

— „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველები რომ არ დავაბნიოთ, გარკვევით უნდა ვთქვათ: **ხელისუფლება არაფერს ცდილობს, ლაყბობს, სლენგისთვის ბოდიშს ვიხდი, გვეღადავება! ქვეყანა, რომელიც ტურიზმის პრიორიტეტზე ლაპარაკობს, ღირსებადაკარგულია.**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ გადაწვეტილი აქვს, იცხოვროს იმით, რაც ღმერთმა მისცა, ბუნებამ, თვითონ კი არაფერს შექმნის.

ეს ერთი.

მეორე. რამდენიც გინდა ილაპარაკოს სააკაშვილმა, საქართველოში არ იქნება ტურისტების მოზღვავება, რადგან ჩვენ ვართ ისეთი ქვეყანა, რომელიც საკვები პროდუქტების 75 პროცენტს ყიდულობს თურქეთში და მის მსგავს ქვეყნებში — გენმოდიფიცირებულს და ყოველნაირად გაუბედურებულს. **რომელი სულელი ტურისტი ჩამოვა ქვეყანაში, სადაც ხარისხის კონტროლიც კი არ არის საკვებ პროდუქტებზე?! მდიდარი ხალხი, ყველას კარგად მოეხსენება, როგორ უფრთხილდება თავის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.**

მესამე. რაც ყველაზე მთავარია. ჩვენი ხალხი თურქულ საკვებზეა გადასული, გერმანული თუ იაპონური მანქანებით გადაადგილდება, აზერბაიჯანულ საწვავს ყიდულობს, ამ ყველაფერში დახარჯული ფული კი მიდის თურქეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკის გასაძლიერებლად — 90 პროცენტი გადაედინება იმპორტიორ ქვეყნებში. იმიტომ ვჭამთ თურქულ კარტოფილს, ბრაზილიულ ხორცს, კანადურ ხორბალს.

**— ეყოფა კი მეორე საპრეზიდენტო ვადა საქართველოს ტურისტულ მექად გადაქცევას?**

— პრეზიდენტობის თუნდაც პირველ ვადაში რაც დაგვპირდა, იმის ათი პროცენტი მაინც შეასრულა?! დავიჯეროთ, რომ ახლა შეასრულებს? მიაქციეთ ყურადღება, კაცი გვეუბნება, ყველაფერი, რაც გასაკეთებელია, გაკეთდება 2015 წლისთვისო. რატომ? იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრობა უნდა იმ დროისთვის. ეს მის ბოლო ანგარიშში პარლამენტის წინაშე აშკარად გამოჩნდა.

**ტურისტებისთვის მიმზიდველი რომ გახდეს ჩვენი ქვეყანა, იგი უნდა აწარმოებდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს მთელ საქართველოში.** ამის შემდეგაა უცხოელისთვის გელათი, იყალთო, მცხეთა და არმაზი...

**— დადგება 2015 წელი. მაგრამ შიმშილისგან და სილატაკისგან ჩვენი ხალხი თუ ამოწყდა, ვის რა ჯანდაბად უნდა თუნდაც სააკაშვილის დანაპირები სამოთხე და ედემის ბაღი?!**

— მაგასაც ეს უნდა! ჯერ ბურებს ჩამოიყვანს და დაასახლებს, შემდეგ ჰოლანდიელებს — ჯერ გუშინდელებს, შემდეგ — დღევანდელებს.

**— რეიტინგებში პირველები კატასტროფულად რომ ვღარიბდებით, ეს როგორ ხდება?!**

— რეიტინგებს აკეთებს ბევრი ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტი. **ხელისუფლება კი გვაწვდის მხოლოდ მის მიერ მოსყიდული სარეიტინგო კომპანიების დასკვნებს.** თორემ რომ გავეცნოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, „ფრიდომ ჰაუსის“ და სხვათა მონაცემებს, ვნახავთ, რომ **ყველგან ბოლო ადგილებზე ვართ. მაგრამ სააკაშვილის საამო ჭიკჭიკს თუ მოუსმენ, სხვა ქვეყანა ვართ. არადა, 139 ქვეყანას შორის 130-ის იქით ვართ ყველაფერში.**

მის მიერ რომ არის მოსყიდული მსოფლიო ბანკი, პარლამენტში გამოსვლისას თვითონ განაცხადა, როცა ერთ წინადადებაში ჯერ თქვა, რომ მონოპოლიები — ეს მანკიერება ჯერ კიდევ შემორჩენილაო ჩვენს ქვეყანაში, ამას კი მოაყოლა, რომ მსოფლიო ბანკმა შარშან გვაღიარა საუკეთესო ქვეყნად, სადაც არ არის მონოპოლიები და ოლიგოპოლიებიო! ერთ წინადადებაში ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები!

**— მაშასადამე, არ უნდა ვენდოთ ამ რეიტინგებს?**

— უმრავლეს შემთხვევაში არ უნდა ვენდოთ. კარგად უნდა ჩაიხედო, რადგან თითოეულ მაჩვენებელს აქვს რამდენიმე ათეული პარამეტრი, და შეიძლება ის, რაც ცუდია, სწორედ ის გქონდეს მაღალი. ვიმეორებ, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგით საქართველო ბოლო ან ბოლოს წინა ადგილზეა.

* * *

**— ბარაქა, მუბარაქ!**

მოუსმენ ექსპერტებს და საძროხე ქვაბიდან ამოსული ოშხივარივით, როგორც გოგლა წერდა, გაქრება ქვეყნის პირველი პირის დანაპირები სიკეთენი.

ისმენ და რწმუნდები, თუნდაც მუბარაქის მაგალითზე, რომ როგორც გაიძვერების უკანასკნელი თავშესაფარი არის პატრიოტიზმი, ასევე დიქტატორებისთვის ძალაუფლების შენარჩუნების უკანასკნელი საშუალებაა მშვიდობიანი გზით ხელისუფლების გადაბარების დაპირება.

მოჩვენებითი უკანდახევა, რეაქცია ამბოხებული ხალხის შეურიგებლობაზე.

მაგრამ ფერადი რევოლუციების „თეორეტიკოსი“ ჯინ შარპი, პრაქტიკულ რჩევებსა და წინადადებებში, რომლებიც თავმოყრილია მის წიგნში „დიქტატურიდან დემოკრატიამდე“ (რომლის თარგმანი „საქართველო და მსოფლიომ“ თავის დროზე გამოაქვეყნა), პირდაპირ მიგვითითებს: **ხალხის უკმაყოფილების აღზევების ჟამს დიქტატურა შეიძლება გარკვეულ დათმობებზე წავიდეს, განახორციელოს კიდეც დემოკრატიული ღონისძიებები, მაგრამ ეს იქნება დროებითი ინექცია მოქალაქეთა უკმაყოფილების ჩასაცხრობად და მალევე ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგება.** ეგვიპტის **რევოლუციამ,** რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთი ასე დარწმუნებით ლაპარაკობდა (რევოლუცია რომ იყო და არა აქციები კაიროს ცენტრალურ, ტახრირის მოედანზე), ეს დაადასტურა: მუბარაქი თავდაპირველად ხელისუფლების მშვიდობიან გადაბარებას დაჰპირდა წლევანდელ სექტემბერში ეგვიპტელ ხალხს (საპრეზიდენტო არჩევნებში არ მივიღებო მონაწილეობას), რათა შეენარჩუნებინა თავისი პოსტი თუნდაც სექტემბრამდე, რომელსაც 30 წლის განმავლობაში, ეტყობა, შეეჩვია და არ ეთმობოდა. ეროვნული ტელევიზიით მეორედ გამოსვლის დროსაც იგივე გაიმეორა.

ბოლოს — გატყდა და გადადგა.

— ბარაქა, მუბარაქ!

— წადი, შენი!..

წადიო, ხალხმა უთხრა, ეგვიპტელმა მოქალაქეებმა, ახალგაზრდობამ.

ბევრის მთქმელი და ძალიან მწარე „მესიჯი“ გამოუგზავნა იმ დღეს მაყურებელმა დავით აქუბარდიას კავკასიის „სპექტრში“: **„გთხოვთ, მიმართოთ ეგვიპტელ ხალხს, არ დაიშალოს და დაგვეხმაროს!..“**

— ბარაქა, მუბარაქ!

— წადი, შენი!

ვინ წავა შემდეგი?

**არმაზ სანებლიძე**

## გაჟღერებულნი



**გურამ ჩახვაძე, პარლამენტის წევრი:**

რესპუბლიკური პარტია უკვე 30 წელია, არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ქართულ პოლიტიკაში საკუთარი სიტყვა ვერ თქვა. ეს პარტია საკუთარი წარმატების „გამოჩეკვას“ გუგულის პრინციპით ცდილობს, აქედან გამომდინარე, მის შენიშვნებს ვერ მივიღებთ.

*„პირველი“*



**ირაკლი ალასანია, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ძირითადად რუსეთში გადიოდა. რუსეთთან ეკონომიკური ბაზრის გახსნაზე მოლაპარაკებები უნდა დავიწყოთ. რუსეთს მსო-ში გაწევრიანების სურვილი აქვს, რასაც ევროპა და ამერიკაც მხარს უჭერენ, ჩვენ კი მათ გაწევრიანებაზე თანხმობის სანაცვლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვის გარანტია უნდა მივიღოთ. ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ეკონომიკურ საკითხებზე რუსეთთან დიალოგი დაიწყოს, თუმცა საქართველოს მხრიდან გონივრული და მომზადებული ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

*„პირველი“*



**თორნიკე გორდაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

ჩვენ ვშიშობთ, ჩვენი შრომითი კანონმდებლობის გამო, ასევე სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, რომელსაც თურქეთი დღეს უკვე სერიოზულ კონკურენციას უწევს. თუკი ძალიან ყურადღებით არ ვიქნებით, ჩვენი ეკონომიკა შეიძლება დაინგრეს. ასეთ შემთხვევაში როგორ გავზარდოთ ევროპული იდეების პოპულარობა ქართველებში?! მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვიქნებით დიდ რისკებზე წასასვლელად, თუკი ევროკავშირისგან გაწევრიანებაზე თანხმობას მივიღებთ, თუნდაც ეს გაწევრიანება სწრაფი არ იყოს... ბალტიის ქვეყნებმა, სირთულეების მიუხედავად, საზოგადოებაში ლიბერალური განწყობები შეინარჩუნეს, მაგრამ ჩვენ შევძლებთ ამას? დანის წვერზე დავდივართ.

*diploveb.com*



**სერგეი ბაგაფში, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი:**

საქართველოს ზუგდიდის რაიონსა და აფხაზეთის გალის რაიონში მცხოვრები ნათესავებისთვის საზღვარზე გამარტივებული რეჟიმის დაწესების შესაძლებლობა არ გამოირიცხება. ჩვენ ამ საკითხს ჟენევაშიც ვაყენებთ. ამის წინააღმდეგი არ ვართ, თუმცა საზღვრის გადაკვეთის პუნქტები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. ეს შესაძლებელია, საქართველოსთან მხოლოდ ნორმალური ურთიერთობების პირობებში.

*„პირველი“*



**ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი:**

ქართველებს შეუძლიათ, თავისუფლად დაბრუნდნენ, დაამუშაონ მიწა, აიღონ მოსავალი, მაგრამ საბოლოოდ ცოტა დაბრუნდა. ჩვენ გვახსოვს ისინი, ვინც ჩვენი ხალხის დაღუპვაზეა პასუხისმგებელი და ვინც პირადად მონაწილეობდა სისხლისღვრაში. 1990 წლის შემდეგ 117 ოსური სოფელია გადამწვარი. ამ ადამიანების პატიება არ შეიძლება, მაგრამ ქართველი ხალხის მიმართ სიძულვილი არ გვაქვს.

*ჟურნალი „პროფილი“*



**თემურ გოცაძე, სახალხო მხატვარი:**

ვინ ჰკითხავს სააკაშვილს ქანდაკებების კეთებას! ვინ ჰკითხავს, გეკითხებით, ან ფანქარი გაუსვია ფურცელზე, ან აკადემია აქვს დამთავრებული, სამხატვრო სკოლაში უვლია თუ ნამუშევრის წინ გაუვლია?! გია ბუღაძე ატარებს ამ კონკურსებს, მის მეტს აზრის გამოხატვას არავის ანდობენ. გია ბუღაძემ ქანდაკება ისე იცის, როგორ მე — ჩინური.

*„ასავალ-დასავალი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ დაიმსხვრა მითი კეთილი ძია სემის შესახებ



**გულუბრყვილო მითები აშშ-ის ჰუმანურობისა და ყოვლისშემძლეობის შესახებ, რა ხანია, გახუნდა და კეთილშობილი დემოკრატის მაცდურ ნიღაბს ამოფარებული ვაშინგტონის რეალური სახე მსოფლიომ საკუთარ ზურგზე სახრედ იგემა. ამერიკის იმუნიტეტი დაქვეითდა და მსოფლიო მოვლენებში მისი აქტიური ჩართულობა კანონზომიერად შენელდა. საყოველთაო გამოღვიძების მიუხედავად, საქართველო კვლავ ამერიკული ექსპერიმენტების პოლიგონად რჩება. რატომ იყო და არის ქართველი საზოგადოების ნაწილი ამერიკული მირაჟის მსხვერპლი და რატომ გვიჭირს რეალობის სწორი აღქმა, რა მითები ითხზვებოდა აშშ-ზე ვაშინგტონისათვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრისა და სტერეოტიპების ჩამოსაყალიბებლად — ამ საკითხებზე გვესაუბრებიან ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე და სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე. ისინი, ასევე, განმარტავენ, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია ანტიამერიკული განწყობის ზრდა.**

**გულბაათ რცხილაძე:**

— ამერიკის იმიჯი და ე. წ. დასავლური ფასეულობები, რომელთა უნივერსალიზაციასაც დასავლეთი დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა, საბოლოოდ დისკრედიტებულია პოსტსაბჭოთა სივრცეში და კერძოდ, საქართველოში, დასავლეთის ხიბლის გაქრობის პროცესი შედარებით ახალი დაწყებულია, თუმცა, ფაქტობრივად, დასავლეთს, განსაკუთრებით აშშ-ს, იმიჯი აქაც სერიოზულად შეელახა.



## გულბაათ რცხილაძე: დაუნდობელმა ეკონომიკურმა ექსპლუატაციამ სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკას აშშ შეაძულა

აღნიშნული პროცესის მიზეზებიდან გამოვყოფდი იმ მითების მსხვრევას, რომელთაც თავის დროზე წარმატებით ამკვიდრებდა აშშ და მასთან ერთად დასავლური სამყარო. საგულისხმოა, რომ ამ მითების სიყალბე და მავნებლობა ქართველებმა საკუთარ თავზე მწარედ გამოვცადეთ.

**მითი პირველი — ამერიკის გავლენა და ამერიკის მოკავშირეობა ნიშნავს ცხოვრების მაღალ დონეს;**

**მითი მეორე — ამერიკის გავლენა და ამერიკის მოკავშირეობა ნიშნავს დემოკრატიის განვითარებას, თავისუფლებას, მშვიდობას;**

**მითი მესამე — ამერიკის გავლენა და ამერიკის მოკავშირეობა ნიშნავს დაცულობას, უსაფრთხო ცხოვრების გარანტიას.**

ვფიქრობ, საქართველოში ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს ასე არ არის და ამის დასტურად ჩვენი უახლოესი ისტორია საკმარისზე მეტ არგუმენტს წარმოადგენს.

**— იქნებ, სხვა მაგალითებიც მოიშველიოთ არგუმენტაციის გასამყარებლად.**

— კი, ბატონო, ძალიან ბევრია იმის მაგალითი, თუ რატომ არ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეობა ცხოვრების მაღალ დონეს. **მთელი ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა აშშ-ის გავლენის სფერო იყო ბოლო დრომდე, მაგრამ არსად არ შეინიშნებოდა ეკონომიკური წინსვლა. სწორედ ამ სიღატაკემ და აშშ-ის მიერ რეგიონის დაუნდობელმა ეკონომიკურმა ექსპლუატაციამ განაპირობა დიდი ზიზღი აშშ-ის მიმართ სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში.** კარიბის აუზში, მაგალითად, კუბა, მიუხედავად აშშ-ის მიერ დაწესებული ეკონომიკური ბლოკადისა, უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე პროამერიკული ჰონდურასი ან იამაიკა. ვენესუელაში უგო ჩავესს იმიტომ აქვს უზარმაზარი მხარდაჭერა, რომ მან ამერიკის მარწუხები მოაშორა თავის ქვეყანას, რამაც შედეგად გამოიღო ის, რომ ვენესუელის მცხოვრებთა ღატაკი ფენებისთვის შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელება, ხოლო საკუთრივ ღატაკი მოსახლეობის წილი 60 პროცენტიდან 40 პროცენტამდე შემცირდა.

**აშშ-ისა და მისი „ფილიალის“ — საერთაშორისო სავალუტო ფონდის უტყვი მორჩილი იყო კარლოს მენემის არგენტინა, რომელიც, თითქოს იმედისმომცემ ციფრებს აჩვენებდა და საქართველოსავით რეგიონისთვის „სამაგალითოდ“ ცხადდებოდა. მაგრამ აშშ-დან წამოსულ „რეცეპტებზე“ აგებული არგენტინული „სასწაული“ ერთ მშვენიერ დღეს სტრუქტურულმა კრიზისმა მოიცვა და უმალ საპნის ბუშტივით გასკდა.** არგენტინა რამდენიმე წლის მანძილზე უმძიმეს ვითარებაში ჩავარდა საოცარი ინფლაციით. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ არგენტინის ქალაქების ქუჩებში სიარული უსაფრთხო აღარ იყო, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ასოციალური ელემენტების თავდასხმა. არგენტინა დატოვა უამრავმა ადამიანმა და თავი ევროპას შეაფარა. ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებმა — ბრაზილიამ, ბოლივიამ და ჩილემ თავს უშველეს შეერთებული შტატებისგან მეტი დისტანცირებით. მსგავსმა კრიზისებმა ამერიკის სხვა მოკავშირეებიც შეარყია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად, ინდონეზია და სხვა აზიური, თითქოს მზარდი კაპიტალისტური ქვეყნები. პოსტსაბჭოთა სივრცის ბოლო ოცწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამერიკის ფსევდოდახმარებას, დადებითი შედეგის ნაცვლად, ამ ქვეყნების კიდევ უფრო მეტი დაკნინება — მოჩვენებითი ეკონომიკური ზრდა, სინამდვილეში კი სოციალური უთანასწორობა, ეკონომიკური დაუცველობა, რესურსების გაჩანაგება და სხვა უბედურებები მოაქვს.

რაც შეეხება მითებს, რომლებიც ამერიკასთან დაახლოებულ სახელმწიფოებს დემოკრატიას ჰპირდებოდა, ესეც სრული აფსურდია. აშშ-ს რომ დემოკრატია და თავისუფლება არ მოაქვს, ეს განსაკუთრებით „დემოკრატიის ექსპორტით“ მოსპეკულანტო ბუში-უმცროსის მმართველობის დროს დამტკიცდა.

**აშშ-ის მოკავშირეები — ნავთობით მდიდარი საუდის არაბეთი, ომანი, კუვეიტი — ტოტალიტარული სისტემებია, სადაც მთელი ძალაუფლება მონარქთა ხელშია კონცენტრირებული. ახლა „ლაივში“ ვხედავთ, სადამდე მიიყვანა ამერიკის მოკავშირე მუბარაქმა ეგვიპტე, როგორ გააჩანაგა იგი ეკონომიკურად და მორალურად. ქვეყანაში არ არის დემოკრატიის ელემენტარული ჩანასახი და ამიტომაც ძალზე გაჭირდება იქ, ასე თუ ისე, სტაბილური სისტემის შექმნა, რომელიც სამართლიანობის საფუძველზე იარსებებს.**

ყველამ ნახა, რაც მოუტანა ამერიკამ ერაყსა და ავღანეთს, როგორ ფეხქვეშ ითელება დღემდე ადამიანის უფლებები გუანტანამოს საკონცენტრაციო ბანაკში, როგორ აწამებდნენ ხალხს აბუ გრეიბის ციხესა და ბაგრამის სამხედრო ბაზაზე, როგორ იტაცებდნენ სი-აი-ეის აგენტები უბრალო ადამიანებს, რომელთაც უსაფუძვლოდ აბრალებდნენ ტერორისტობას და აწამებდნენ. ეს ყველაფერი გამომზეურდა და, შესაბამისად, მოხდა ამერიკის იმიჯის დევალვაცია.

ის, რომ ამერიკის მოკავშირეობა არ ნიშნავს დაცულობას, და რომ ამერიკას შეუძლია თავისი მოკავშირე პროვოკაციულ ინსტრუმენტად გამოიყენოს, შემდეგ კი პასუხისმგებლობა მოიხსნას მასზე, 2008 წლის აგვისტოს ომმაც აჩვენა მსოფლიოს — ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს მაგალითზე. კიდევ ბევრი ფაქტორია, რის გამოც, ამერიკის პოზიტიური იმიჯი, პრაქტიკულად, დაიმსხვრა მთელ პლანეტაზე.

**— ამერიკული ცხოვრების წესის უნივერსალურობის დამცველები და დემოკრატიის ტოტალური ექსპორტის მომხრეები ხშირად იშველიებენ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს, დახმარებას, რომელიც აშშ-მა დასავლეთ ევროპას აღმოუჩინა...**

— ესეც მითის ნაწილია, რომლის დასადასტურებლად აშშ-სა და მის მიერ დაქირავებულ ადგილობრივ წვრილფეხა იდეოლოგიურ დამქაშებს მაგალითად სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასავლეთ ევროპის სწრაფი განვითარება და „ეკონომიკური სასწაული“, ანუ ე.წ. მარშალის გეგმა მოჰყავთ. ისინი ხშირად ერთმანეთს ადარებენ კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეას და კაპიტალისტურ სამხრეთ კორეას, რომელთა შორის ცხოვრების დონე შეუდარებლად განსხვავდება პროამერიკული სამხრეთის სასარგებლოდ. **მაგრამ ამ წვრილფეხა დამქაშებს ავიწყდებათ, რომ მარშალის გეგმის წილი დასავლეთევროპული სახელმწიფოების ეკონომიკის ნახტომისებრ ზრდაში მინიმალურია, ევროპის „ეკონომიკური სასწაული“ ამერიკულმა იაფმა კრედიტებმა კი არა, გამანადგურებელი ომის მიუხედავად, შენარჩუნებულმა მაღალგანვითარებულმა საწარმოო საშუალებებმა, მაღალკვალიფიციურმა კადრებმა, მეცნიერების მაღალმა დონემ და მდიდარმა ევროპულმა გამოცდილებამ განაპირობა.** არ უნდა დაგვავიწყდეს 1960-იან წლებში აზიური და აფრიკული ქვეყნებიდან იაფი მუშახელის შემოყვანაც, რაც კაპიტალისტური ევროპის ეკონომიკური ბუმის მთავარ ფაქტორად იქცა. ყოველივე ამის საფუძველზე ომის შემდგომი დასავლეთი ევროპა სწრაფად განვითარდა, ანუ საკუთარი ძალებით, და არა ამერიკის დახმარებით. **სტალინის საბჭოთა კავშირიც საოცარი ტემპებით ვითარდებოდა, ომის შემდეგ სსრკ პირველი სახელმწიფო იყო მოკავშირეებს შორის, რომელმაც გააუქმა კვების პროდუქტებზე ტალონები და პროდუქტებით ვაჭრობაზე შეზღუდვა. ასევე, მისი აღმოსავლეთევროპული მოკავშირეებიც სწრაფად ვითარდებოდნენ საბჭოთა რესურსების ხარჯზე. რა თქმა უნდა, ხრუშჩოვის პერიოდიდან მოყოლებული, საეჭვო ხასიათის ექსპერიმენტებმა და არასწორმა სტრატეგიამ სოციალისტური ბანაკი დაასუსტა და დასავლეთი თანდათან უპირატესობას ეუფლებოდა, მაგრამ ეს ამერიკის დამსახურება ნაკლებადაა.** რაც შეეხება ორ კორეას, ეს გამონაკლისი შემთხვევაა, რომელიც განპირობებულია მხოლოდ კორეული სპეციფიკით.



## მამუკა გიორგაძე: თუ ამერიკას კვლავ ჯინსებით და მძიმე როკით მივეგებებით, არსებობა არ გვიწერია

**მამუკა გიორგაძე:**

— ჩვენს თაობაში ასეთი ხუმრობაც კი იყო, რომ დაგიჭირონ, საკუთარი მამა ვერ დაგიცავს ისე, როგორც ამერიკის პრეზიდენტი რონალდ რეიგანიო. ამერიკა ერთადერთ დამცველად მიაჩნდა საზოგადოების დიდ ნაწილს, რადგანაც იმ დროისთვის მხო- ▶

## ის, რომ ამერიკის მოკავშირეობა არ ნიშნავს დაცულობას, და რომ ამერიკას შეუძლია თავისი მოკავშირე პროვოკაციულ ინსტრუმენტად გამოიყენოს, შემდეგ კი პასუხისმგებლობა მოიხსნას მასზე, 2008 წლის აგვისტოს ომმაც აჩვენა მსოფლიოს

◀ლოდ ამერიკის დეკლარირებულ ღირებულებებს ამჩნევდა, მაგალითად, კანონის უზენაესობას, რეალურ თვითმმართველობას, ადამიანის უფლებების დაცვას, ადამიანის სიცოცხლის დაცვას, არაპოლიციური სახელმწიფო სისტემის შექმნას, ეკონომიკურ სფეროში ანტიმონოიპოლიურ გარემოს, კონკურენციის შექმნას და ა.შ. სწორედ ამის გამო იყო ქართული საზოგადოების მზერა მიპყრობილი დასავლეთისკენ. ბევრ ადამიანში ამერიკასთან ურთიერთობა ოცნებადაც გადაიქცა, თუმცა ეს ოცნება გაიგივებული იყო სალეჭ რეზინთან, კოკაკოლა-პეპსისთან, ჯინსებთან, მძიმე როკის მოსმენასთან და ა.შ. ასე მიაჩნდა არაპოლიტიკური საზოგადოების დიდ ნაწილს, თუმცა დრომ და ასე ვთქვათ „ახლო კონტაქტმა" აჩვენა, რომ დასავლურ ცხოვრების წესში რეალურად ბევრი რამ მისაბაძი არ აღმოჩნდა, თუნდაც რელიგიური საკითხები ავიღოთ — მათ ცხოვრება თავიანთი რელიგიური ღირებულების შესაფერისად მოაწყვეს... **ამერიკა არ შეცვლილა, იგი მუდამ ისეთი იყო, როგორიც დღეს არის, უბრალოდ, ჩვენ შევიცვალეთ, შეიცვალა ჩვენი ინფორმირებულობის დონე, გამოცდილება... ასე რომ, ძველი სტერეოტიპების გადაფასება გასაკვირი სულაც არ არის.**

ამერიკა პოლიტიკურად დომინანტი ქვეყანაა. მისი ამბიციები გავლენის სფეროებში იმ ღირებულებების დამკვიდრებაა, რომელიც ბუნებრივად მისაღებია მისთვის. მეორე მსოფლიო ომში დაქცეულ გერმანიას აშშ-მა, დახმარების სანაცვლოდ, კონსტიტუციაში ჩააწერინა, რომ ფედერალური სახელმწიფო იქნებოდა, მაგრამ გერმანიამ გამოსავალი მოძებნა და ამ ჩანაწერს სხვა ისეთი ჩანაწერებიც დაურთო, რომლითაც დღეს ისევ უძლიერესი სახელმწიფოა და გერმანული გვარები ანტიგერმანულ საქმეებზე ხელის მოსაწერად არ გამოუყენებია. მათ ამერიკისგან საკუთარი ღირებულებები და ინტერესები დაიცვეს. პირველად გერმანელმა კანცლერებმა ჩაუყარეს საფუძველი, ამერიკის ანგარებიანი „დახმარების" ხარჯზე, გერმანიის უძლიერესი სახელმწიფოს მშენებლობას. იგივე გააკეთა იაპონიამ, მიცემული ფულის სანაცვლოდ ამერიკას ფეხქვეშ კი არ დაეგო, ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, კონკურენციას თავად ამერიკასაც კი უწევს. მართალია, ამერიკაზე ოცნებები და მითები უკვე საქართველოშიც, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ჩვენთან ჯერ კიდევ არსებობს რეალური საფრთხე, რომ იმას, რასაც ამერიკამ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ვერ მიაღწია, მიაღწიოს ჩვენთან, რადგან ამერიკის „დახმარება" ანტიხალხურს, ანტიეროვნულს ხმარდება და საკუთარი პოზიციები ვერ გაგვიმყარებია, იმის მიუხედავად, თუ რა მაგალითი მოგვცა ევროპამ.

რა იქნება მაშინ, როცა ამერიკა მთელი თავისი კონკურენციით საქართველოში შემოვა? **ჩვენ თუ ამერიკას ცარიელი ოცნებებით მივეგებებით, ჯინსებითა და მძიმე როკით აღფრთოვანებული, არსებობა აღარ გვიწერია.** თუ შენ თამაში საკუთარ მოედანზე წააგე, სადაც გულშემატკივარი და გარემო შენია, იმ მორალურ უპირატესობასაც დაკარგავ, რაც აქამდე გადავარჩინეთ.

ამერიკა რუსეთს არც შეაწუხებს, წინასწარ შეთანხმებული და მოლაპარაკებული საკითხების გარეშე, რადგან იცის, რომ რუსეთს წინააღმდეგობის გაწევის უნარი ნამდვილად შესწევს, მეტიც, დღესაც კი, სპეცსამსახურები რუსეთს ამერიკაზე ძლიერი და დახვეწილი ჰყავს. სხვათა შორის, ამერიკას რუსეთი ამჟამადაც სჭირდება ავღანეთის, ერაყის, ეგვიპტის პრობლემების გადასაჭრელად. მართალია, ამბიციები ამერიკას დიდი აქვს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — ის მაინც სხვაზეა დამოკიდებული, რაც სავსებით საკმარისია მისი ყოვლისშემძლეობის შესახებ მითის დასამსხვრევად...

მოამზადა
**ეკა რობაქიძემ**

**P.S. ამერიკული მითების მსხვრევას მოჰყვა „ექსპორტირებული დემოკრატიის" შესახებ მითების მსხვრევაც, უნიღბო ამერიკა, ისევე, როგორც უნიღბო დემოკრატია, არც ისეთი ლამაზი და სასიამოვნო საყურებელი აღმოჩნდა, როგორსაც ველოდით. საბოლოოდ უნდა დაგვარწმუნოს, რომ თავისუფლება, პირდაპირი გაგებით, ყველაფრისგან თავისუფლებას არ ნიშნავს და მორალის, ზნეობის, ეროვნული ღირებულებებისგან არავის ათავისუფლებს. ზნეობისა და ყოველგვარი პოზიტიური ღირებულებებისგან დაცლილი საზოგადოების მართვა ერთობ ადვილია ისეთი ზესახელმწიფოსთვის, როგორიც აშშ-ია, თუმცა საკითხავია — გვინდა კი ჩვენ ასეთ საზოგადოებად ჩამოყალიბება?!**

**ამერიკას რუსეთი ამჟამადაც სჭირდება ავღანეთის, ერაყის, ეგვიპტის პრობლემების გადასაჭრელად. მართალია, ამბიციები ამერიკას დიდი აქვს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — ის მაინც სხვაზეა დამოკიდებული, რაც სავსებით საკმარისია მისი ყოვლისშემძლეობის შესახებ მითის დასამსხვრევად...**



# სააკაშვილი სოროსმაც გაამათრახა



**სააკაშვილის უგუნური საშინაო და საგარეო პოლიტიკა იმდენად თვალშისაცემი გახდა, რომ ეს თვით სოროსის („ღია საზოგადოება საქართველო") ფონდმაც კი აღიარა, მეტიც: იგი ევროკავშირს საქართველოს ხელისუფლების მისამართით ტონის გამკაცრებას სთხოვს. 8 თებერვალს ბრიუსელში ფონდ „ღია საზოგადოების ინსტიტუტის" მიერ ორგანიზებულ ბრიფინგზე ევროკავშირს მსგავსი რეკომენდაციები არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ" და „ახალგაზრდა იურისტთა ასოსიაციამ" გაუწია.**

**აღნიშნულ ბრიფინგს ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის" ხელმძღვანელი მანანა ქოჩლაძე. მას გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" გაესაუბრა.**

— ევროკავშირი მეტად ინფორმირებული უნდა იყოს საქართველოს შესახებ და საქართველოს მთავრობას იმ აუცილებელი რეფორმების გატარება მოსთხოვოს, რაც სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. ის, რომ ამჟამად საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები ასოცირებულ ხელშეკრულებაზე მიმდინარეობს, რაც ეკონომიკური სფეროს გაუმჯობესებას გულისხმობს, არ ამართლებს ქვეყნის დემოკრატიული საკითხების უკანა პლანზე მოსროლას.

2010 წელს საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში მთელი რიგი პრობლემები გამოიკვეთა, დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმიდან, დამთავრებული არჩევნებით. ჩვენ ერთი რეალური რეფორმაც კი ვერ ვიხილეთ ვერც კანონის უზენაესობაში, ვერც ადამიანის უფლებების დაცვაში, ვერც გამოხატვის თავისუფლებაში და სხვ. 2010 წლის 3 იანვარს როგორ დაარბია მომიტინგეები პოლიციამ არაკანონიერად. 2010 წელი არც გამჭირვალეობითა და დოკუმენტაციებზე ხელმისაწვდომობის ზრდის კუთხით გამოირჩეოდა.

ამ დროს კი ევროკავშირი ერთი ხელშეკრულების გეგმის განხორციელებას წინა ხელშეკრულების ვალდებულებების მივიწყების ხარჯზე ცდილობს. მას მიაჩნია, რომ ეკონომიკური პარამეტრების გატარებას ავტომატიურად მოსდევს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის განვითარებაც. მართალია, ევროკავშირს იგივე ხელშეკრულები აქვს დადებული ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთანაც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, სადაც ხელისუფლება რეალობას მალავს, ასეთი სამოქმედო გეგმა ვერ გაამართლებს. ის, რომ ევროკავშირი ცდილობს, ქართული საზოგადოება ამა თუ იმ პროცესებში ჩართოს, არ არის საკმარისი დემოკრატიის იმ დონეზე განვითარებისთვის, რაც საქართველოს ხელისუფლებას ხელშეკრულების საფუძველზე ევალება.

**ჩვენ ევროკავშირს მივეცით რეკომენდაცია, რომ აღებული ვალდებულების შესრულება სრულად მოსთხოვოს ჩვენს ხელისუფლებას და არამარტო გაარკვიოს, მოხდა თუ არა საკონსტიტუციო რეფორმა, არამედ შეაფასოს ამ რეფორმების შედეგები. ბრიუსელიდან დანახული საქართველო და თბილისიდან დანახული საქართველო ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.**

**ევროკავშირისგან მეტ ინფორმირებულობას საქართველოსადმი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თამარ ხიდაშელიც ავალდებულებს და ევროკავშირის წარმომადგენლებს მოუწოდებს, საქართველოს ხელისუფლებას აუცილებელი რეფორმების გატარება მოსთხოვონ:**

— ბრიუსელში ევროკავშირის რამდენიმე სტრუქტურისა და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრებისას, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ევროკავშირი საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასა და ეკონომიკურ საკითხებზე იმდენადაა ფოკუსირებული, ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქვეყნის დემოკრატიულობის საკითხს, შესაბამისად, არ აყენებს კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის საკითხს.

უპრიანი იქნებოდა, ევროკავშირს მეტი აქცენტები ამ საკითხებზე გაეკეთებინა. **საქართველოს ხელისუფლებისგან მას უნდა მოეთხოვა კონკრეტული რეფორმების გატარება სასამართლო და მედია სტრუქტურებში, არჩევნების საკითხებში და ა.შ. სწორედ ამ სფეროებზეა დაფუძნებული ქვეყნის დემოკრატიულობა. ვიდრე ევროკავშირი რეფორმების თვალსაჩინო შედეგებს არ იხილავდა, არ უნდა გაეწია ქვეყნისთვის ეკონომიური დახმარება.**

ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება დახურულ კარს მიღმა ევროკავშირის წარმომადგენლებისა და ჩვენი ხელისუფლების შეხვედრებზე, მაგრამ მიმაჩნა, რომ ევროკავშირს არ მიეწოდება სათანადო ინფორმაცია პირველი წყაროსგან. ჩვენს ხელისუფლებას მშვენივრად ეხერხება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების თავის სასარგებლოდ წარმოჩენა და ამას ვერავინ უარყოფს. როცა ჩვენ ევროკავშირის წარმომადგენლებს ჩვენი პრეტენზიები გავაცანით სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით და საამისოდ დეტალებიც დავუკონკრეტეთ, პასუხი ასეთი იყო: თქვენი მთავრობის წარმომადგენლებისგან ვიცით, რომ სასამართლო სისტემამ თქვენს ქვეყანაში დიდ წარმატებებს მიაღწიაო.

ევროკავშირი კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა კონტაქტობდეს სამართლებრივ სექტორებთან, რომ გაცილებით ობიექტური ინფორმაციები მიიღოს. ამ გზით ბევრი რამის გამოსწორება და გაკეთებაა შესაძლებელი.

**ჩვენ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსაც" დავუკავშირდით, რომელიც ზემოხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჩვენი ხელისუფლებისადმი საყვედურების გამოთქმასა და ევროკავშირისთვის რეკომენდაციების მიცემაში უერთდება, თუმცა ფონდის ხელმძღვანელი ქეთევან ხუციშვილი საქართველოში არ იმყოფება, ხოლო ფონდის სხვა წარმომადგენლებმა პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს.**

**ხელისუფლებას, ალბათ, ერჩივნა, ათობით პოლიტიკურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციას გაეკრიტიკებინა და სოროსის გაწნილი სილა ეგემნა.**

აშკარაა, რომ იმ ფონდის სახელით გაჟღერებული კრიტიკა, რომელიც თავის დროზე „ვარდების რევოლუციის" იდეური და ფინანსური სულისჩამდგმელი იყო, დასავლეთში გაცილებით მეტ რეზონანსს გამოიწვევს, ვიდრე თუნდაც 20-ათასიანი მიტინგი — პარლამენტის შენობასთან...

**ეკა რობაქიძე**

## მოკლედ

### ოჯახების გაერთიანება ჩაიშალა

**სამხრეთ კორეა დასთანხმდა ჩრდილოეთ კორეის წინადადებას 1950-1953 წლებში გაყოფილი ოჯახების გაერთიანების საკითხზე მოლაპარაკებების განახლების თაობაზე.** სეული ფხენიანთან დაუყოვნებლივ დიალოგს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამართავდა, თუ ოჯახების გაერთიანებასთან ერთად დღის წესრიგში სხვა საკითხებიც დადგებოდა. ამ მიმართულებით კონფლიქტის ორივე მხარემ გასულ წელს მოლაპარაკება დაიწყო, მაშინ შუამავლის როლი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა შეასრულა. ფხენიანის მიერ 2010 წლის ბოლოს წაყენებული პირობის თანახმად, კომიტეტმა, ოჯახების გაერთიანების კუთხით, სამხრეთ კორეის ფინანსური მხარდაჭერით უნდა იმუშაოს. როგორც ცოტა ხანში სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, ეს მოლაპარაკებები ჩაიშალა, თანაც ისე, რომ მომდევნო შეხვედრის თარიღიც კი არ დასახელებულა.

### ეგვიპტე აშშ-ს ადანაშაულებს

**ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ აბდულ-გეიტმა აშშ, რომელიც რესპუბლიკაში რეფორმების დაუყოვნებლივ განხორციელებას ითხოვს, „საკუთარი აზრის თავს მოხვევაში" დაადანაშაულა.**

მან განსაკუთრებით აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გააკრიტიკა იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა კოლეგას — ომარ სულეიმანს ეგვიპტეში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებისაკენ მოუწოდა. კითხვაზე, დაეხმარა თუ არა ეგვიპტეს პოლიტიკური კრიზისის მოგვარებაში ჯო ბაიდენისა და ომარ სულეიმანის სატელეფონო საუბარი, მან უპასუხა, რომ „სულაც არა, არ დაეხმარა". „როდესაც ამერიკელები ლაპარაკობთ სწრაფ და დაუყოვნებლივ ცვლილებებზე ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც ეგვიპტეა, რომელთანაც თქვენ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გქონდათ, ამით მას საკუთარ აზრს ახვევთ თავს... ჩვენ უკვე ვიცვლებით", — განაცხადა მინისტრმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ევროპის ადვოკატთა ასოციაციამ საქართველოს პრეზიდენტს შეშფოთების წერილი გამოუგზავნა, საერთაშორისო საზოგადოება უნდა დავარწმუნოთ, რომ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა არ არის.**

**„ადამიანები ყველგან კვდებიან, ციხეშიც და გარეთაც და ამაში განსაკუთრებული არაფერია. პატიმრის გარდაცვალების მიზეზი, ძირითადად, ასაკია“, — განაცხადა ცოტა ხნის წინათ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, ხათუნა კალმახელიძემ, თუმცა ქალბატონ მინისტრს ის აღარ დაუკონკრეტებია, რა ასაკის ადამიანს მიიჩნევს სასიკვდილოდ განწირულად.**

**23 წლის თამაზ დადვანი, 48 წლის ბელა გონაშვილი, 57 წლის იოსებ თადიაშვილი, 45 წლის მიხეილ მახარაძე... — ეს ადამიანები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარდაიცვალნენ და არც ერთი არ ყოფილა ხანდაზმული, როგორც უფლებადამცველები აცხადებენ, პატიმრების არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, არც ერთ მათგანს არ ჩაუტარდა მკურნალობა, რამაც მათი ნაადრევი სიკვდილი გამოიწვია.**

**ქვეყანაში ადვოკატების ირგვლივ შექმნილი სიტუაციისა და საქართველოს ციხეებში არსებული ვითარების შესახებ, „საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელს — ზაზა ხატიაშვილს ესაუბრა.**


აუგუსტო პინოჩეტი


ნიკოლაე ჩაუშესკუ


მიხეილ სააკაშვილი

## ზაზა ხატიაშვილი: ხელისუფლებამ 110 ადვოკატი დააპატიმრა, ასეთი რამ პინოჩეტისა და ჩაუშესკუს არ გაუკეთებია

**— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ციხეების მშენებლობა ქვეყნისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. გაუმჯობესდა თუ არა ბოლო წლებში პატიმრების მდგომარეობა?**

— სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა თავი „დემოკრატიის შუქურად“ წარმოაჩინოს. რეალურად კი, პოზიტიური კუთხით ქვეყანაში არაფერი შეცვლილა. ციხეებში პატიმრებს აწამებენ, არაადამიანურად ეპყრობიან, მაგრამ მათ ხმის ამოღების ეშინიათ, რადგან იციან, სიმართლის გამჟღავნებისთვის სიკვდილი ელით.

რამდენიმე ხნის წინათ მიხეილ სააკაშვილმა, უცხოელებისთვის თავის მოსაჩვენებლად, ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულება დიდი სიამაყითა და ზარზეიმით გახსნა, სადაც პატიმარ ქალბატონებს თითქოს ყველა ნორმალური პირობა უნდა ჰქონოდათ. შემდგომში აღმოჩნდა, რომ საკანში, სადაც ქალბატონები სასჯელს იხდიდნენ, იყო ბეტონის იატაკი, არ მუშაობდა საშხაპეები და ელემენტარული ჰიგიენური ნორმებიც არ იყო დაცული. პატიმრებს ტანსაცმლის გასაშრობი ოთახიც კი არ ჰქონდათ, მაგრამ მთავარი მისია შესრულდა: **საერთაშორისო საზოგადოების თვალის ასახვევად, პატიმარი ქალბატონები დიდი ამბით გადაიყვანეს ვითომდა ევროსტანდარტებით აშენებულ ახალ ციხეში.** ასეთი ვითარება იმიტომ შეიქმნა, რომ ქვეყანას დანაშაულებრივი რეჟიმი, ციხეს კი არაპროფესიონალი მართავს. ხათუნა კალმახელიძეს თავი პოდიუმზე ჰგონია.

**— კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც უფლებადამცველები ყურადღებას ამახვილებენ ისაა, რომ ციხე დახურულ ზონად იქცა და იქ შეღწევა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვისაც კი შეუძლებელია. ცოტა ხნის წინათ ჟურნალისტებმაც გამართეს საპროტესტო აქცია და ციხეში შესვლა მოითხოვეს. რატომ გახდა საჭირო პენიტენციარული სისტემის ასეთი იზოლირება?**

— ეს ნებისმიერი ავტორიტატული რეჟიმისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. ხელისუფლებას არ სურს, ხალხმა გაიგოს, რა ხდება რეალურად სასჯელაღსრულების სისტემაში. **ხელისუფლების მიერ მართული ტელევიზიები მხოლოდ იმას გადასცემენ, რაც ჩვენს „დემოკრატიის შუქურას“ მოსწონს. თუ ციხეებში ყველაფერი ისე იდეალურადაა, როგორც ხელისუფლება აცხადებს, რატომ არავის უშვებენ?**

**უფრო მეტსაც გეტყვით, ციხეებში ადვოკატების შესვლაც კი გართულებულია, მათ საათობით უწევთ რიგში დგომა, ზოგჯერ კი, პატიმრების ნახვის ნებართვასაც რამდენიმე დღე ელოდებიან.**

ციხის თანამშრომლები ადვოკატებს ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან და ყველანაირად ცდილობენ, დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრების მონახულების საშუალება არ მისცენ. **პატიმარსა და მის ადვოკატს შორის დაცული არ არის კონფიდენციალურობა, ყველაფერი ისმინება და, როცა დასჭირდებათ, გამოიყენებენ ხოლმე.**

**— ყველაზე ხშირად რა სახის საჩივრებით მოგმართავენ ადვოკატები, რა პრობლემებს უქმნიან მათ?**

— 2004-დან 2010 წლამდე ხელისუფლებამ 110 ადვოკატი დააპატიმრა და გაასამართლა. ასეთი რამ პინოჩეტისა და ჩაუშესკუსაც კი არ გაუკეთებიათ, ეს მხოლოდ სააკაშვილის ანტიდემოკრატიული რეჟიმის პირობებში ხდება. საშინლად ავიწროებენ ადვოკატებს და ყველანაირად ცდილობენ, მათ საქმიანობას ხელი შეუშალონ. **ადვოკატების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება, მათ ასამართლებენ და სჯიან გამოგონილი ბრალდებების საფუძველზე. მიზანი ერთია — გააჩუმონ და დააშინონ საზოგადოება.**

პატიმრებზეც კი ხდება პოლიციისა და პროკურატურის მხრიდან ზეწოლა, რათა მათ ადვოკატის წინააღმდეგ მისცენ ჩვენება, თითქოს ადვოკატი ცუდად მოემსახურათ, რის გამოც ადვოკატს აპატიმრებენ.

**დამამცირებლად ექცევიან ქალ ადვოკატებს, მათ ჩხრეკისას მკერდს უსინჯავენ და ხელებს უფათურებენ, ვითომ იმ მიზეზით, რომ გამოავლინონ, ადვოკატს ნარკოტიკი ხომ არ შეაქვს ციხეში.**

**— რატომ არ გადაჰყავთ პატიმრები დროულად ციხის სამკურნალო დაწესებულებაში? თუ ადამიანი იმდენად მოხუცებული და დაძაბუნებულია, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლის, რატომ იმყოფება ის საპატიმროში და თუნდაც სამკურნალო დაწესებულებაში არა? ცნობილია, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ასაკოვან, დაავადებულ პატიმრებზე გარკვეული შეღავათები ან სულაც პირობითი მსჯავრი ვრცელდება...**

— ესეც ამ დანაშაულებრივი რეჟიმის მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილია. პატიმრებს აშინებენ, რათა ნებისმიერმა მათგანმა საპროცესო გარიგება გააფორმოს და ამით ბიუჯეტი შეავსონ. ხოლო, თუ ასე არ მოიქცევიან, აჩვენებენ, რა ელით. ამით პირდაპირ ეუბნებიან, რომ ციხეში მოხვედრის შემთხვევაში, მათი სიკვდილი გარდაუვალია და პატიმრებს დათმობაზე წასვლას აიძულებენ.

ასევე ყველაფერს აკეთებს ხელისუფლება, რათა პატიმრებმა ევროსასამართლოში არ შეიტანონ სარჩელი. მაგალითად გამოდგება ევროსასამართლოში გაგზავნილი 45 წლის ნიკოლოზ მახარაძის საქმე, რომელსაც აიძულებდნენ, უკან გამოეტანა სარჩელი, მაგრამ ვაჟკაცურად განაცხადა, მე შეიძლება მოვკვდე, მაგრამ სამართალს მაინც ვიპოვიო. როდესაც სასამართლო ნიკოლოზ მახარაძის საქმეზე განაჩენს გამოიტანს, საბრალდებო სკამზე ბევრი ადამიანი აღმოჩნდება.

**— Human Rights Watch-ის ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოში ციხეების გადატვირთულობა კვლავ პრობლემად რჩება, თუმცა ხელისუფლება ამას კატეგორიულად უარყოფს.**

— პატიმრების რაოდენობა, რა თქმა უნდა, დიდია. **საერთაშორისო საზოგადოება უნდა მივახვედროთ, რომ სააკაშვილი სულაც არ არის „დემოკრატიის შუქურა“. ჩვენ მივმართეთ ევროპის ადვოკატთა უფ-** ▶

## საერთაშორისო საზოგადოება უნდა მივახვედრო, რომ სააკაშვილი სულაც არ არის დემოკრატი

## მოკლედ



### 1,5 მილიონი ლობისტებისთვის

**Eurasianet.org-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2010 წელს საქართველომ გავლენიან ამერიკულ კომპანიებს საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის 1.5 მილიონ დოლარზე მეტი გადაუხადა. ინტერნეტგამოცემის ცნობით, ქართული მხარე აშშ-ის ხელისუფლების წინაშე თავის წარმოსაჩენად ოთხ ფირმას იყენებს, აზეირბაიჯანი და ყაზახეთი კი — მხოლოდ ერთს.** „ამ დროისთვის აზეირბაიჯანი ერთ კომპანიას Patton Boggss-ს თვეში 35 ათას დოლარს უხდის, ყაზახეთი პიარ-ფირმა BGR-ს — 25 ათასს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკები: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მარკ საილორს წელიწადში 120 ათასს უხდიან საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების მოსაგვარებლად”, — წერს გამოცემის მიმომხილველი, — ლობირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამბიციური, განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც არ ჰყავთ გამოცდილი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ნაცვლად იმისა, რომ ვიღაც ღარიბი ქართველები გამოუშვან კონტაქტების სწრაფად დასამყარებლად, საქართველო ქირაობს იმ ხალხს, რომლებიც მუშაობდნენ ამა თუ იმ დაწესებულებისთვის და აქვთ კარგი ურთიერთობა, როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე პოლიტიკურ მოთამაშეებთან ვაშინგტონში“, — წერს გამოცემა.

### ანტიტერორისტული სწავლებები

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ტრანსპორტში ანტიტერორისტული სწავლებების ჩატარების ბრძანება გასცა. მისი დავალებით, ამგვარი სწავლებები მთელი რუსეთის ტერიტორიაზე რეგულარულად ჩატარდება.** ტრანსპორტსა და ადამიანთა მასიური თავშეყრის სხვა ადგილებში, მათი ანტიტერორისტული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სწავლებების გეგმის შესამუშავებლად პრეზიდენტმა თვე-ნახევრიანი ვადა დააწესა. პროექტზე პასუხისმგებელ პირებად უშიშროების ფედერალური სამსახურის მეთაური ალექსანდრე ბორტნიკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი რაშიდ ნურგალიევი, საგანგებო სიტუაციების მინისტრი სერგეი შოიგუ, თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი და ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი დასახელდნენ.

### პოლონელ მფრინავებს რუსეთში ასწავლიან

**პოლონელი მფრინავები თვითმფრინავების — „იაკ-40“-ისა და „ტუ-154-მ“-ის ავიასიმულატორებზე სწავლებებს რუსეთში გაივლის. შესაბამის ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად რუსეთში პოლონეთის ავიაციის 36-ე პოლკის მეთაური ჩავიდა.** აღნიშნული სტანდარტით, პოლონელი მფრინავების სწავლება პოლონეთის მიერ წლის დასაწყისში მიღებული ახალი სასწავლო პროგრამითაა გათვალისწინებული. სახელმწიფოთაშორისი საავიაციო კომიტეტის პოლონეთის წარმომადგენელი ედმუნდ კლიხი ირწმუნება, რომ სმოლენსკის კატასტროფა, რომელსაც სხვა მაღალ თანამდებობის პირებთან ერთად პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკიც ემსხვერპლა, სწორედ ამგვარი სწავლებების არარსებობის მიზეზითაც მოხდა.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ხათუნა კალმახელიძე:**

**ადამიანები ყველგან კვდებიან — ციხეშიც და გარეთაც და ამაში განსაკუთრებული არაფერია. პატიმრის გარდაცვალების მიზეზი, ძირითადად, ასაკია**



# ღამე ციხეში 60 ლარად, ანუ როგორ ვიშოვოთ სამი მილიონი პატიმრების ხარჯზე




**წინა კვირას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე პარლამენტში ადამიანის უფლებათა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წინაშე საკანონმდებლო ინიციატივით წარსდგა.**
**აღმოჩნდა, რომ მინისტრი იმაზე მეტად „ზრუნავს“ პატიმრებზე, ვიდრე აქამდე გვეგონა. მისი განცხადებით, გრძელვადიანი პაემნების პროგრამა, რომელიც 2014 წლისთვის უნდა განხორციელებულიყო, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე წელს განხორციელდება.**

ახალი კანონპროექტის თანახმად, პატიმრებს მიეცემათ შესაძლებლობა, წელიწადში 2-ჯერ, წახალისების შემთხვევაში, — 3-ჯერ (არასრულწლოვანებს წელიწადში 3-ჯერ, წახალისების შემთხვევაში 4-ჯერ) 24 საათი გაატარონ თავიანთ ოჯახის წევრებთან კომფორტულ და მშვიდ გარემოში. როგორც მინისტრმა აღნიშნა, გრძლევადიანი პაემნებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა სასჯელაღსრულების სამ დაწესებულებაში (არასწულწლოვანთა №11, რუსთავის №6 და №16) უკვე მზადაა.

ფაქტი თავისთავად დადებითია, პატიმრები, რა თქმა უნდა, გაიხარებენ ცოლებთან, შვილებთან — ოჯახის წევრებთან შეხვედრით, თუნდაც წელიწადში 2-ჯერ, მაგრამ ამ ახალ პროექტს ერთი „პატარა ნაკლი“ აღმოაჩნდა — იგი ფასიანია და არც თუ ისე იაფი. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ათი ათასობით პატიმარია, ამ სერვისით წელიწადში ორჯერ სარგებლობისას სასჯელაღსრულების სამინისტროს ყოველწლიურად დაახლოებით 3 მილიონამდე ლარი შეემატება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქალბატონი კალმახელიძე არა მარტო პატიმრებისთვის კომფორტულ, მყუდრო გარემოს შექმნაზე, არამედ საკუთარი უწყების ბიუჯეტის შევსებაზეა ორიენტირებული.

**ტურიზმის განვითარების უტოპიური იდეით შეპყრობილი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ისე შევიდა როლში, რომ ტურიზმისთვის აუცილებელი სასტუმროების ინფრასტრუქტურის ელემენტების დანერგვა ციხეებშიც გადაწყვიტა. სამვარსკვლავიან სასტუმროში ჩვენთან ერთი დღეღამე საშუალოდ 60 ლარი ღირს. იგივე ტარიფია ციხეშიც... ვფიქრობ, მხოლოდ სასტუმრო ბიზნესისადმი ხელისუფლების ლტოლვა აქ არაფერ შუაშია. ფაქტია, რომ არარეალური ბიუჯეტის გადამკიდე ხელისუფლება არამხოლოდ მსხვილ ბიზნესმენებს, არამედ რიგით მოქალაქეებსაც აქტიურად უფათურებს ჯიბეში ხელს და „ხეირის მისაღებად“ პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების „გაფცქვნასაც“ აღარ თაკილობს...**

**ერთი ასეთი პაემანი 60 ლარი ღირს, პატიმართა უმრავლესობას კი გარეთ სოციალურად დაუცველი, სიღატაკის ზღვარზე მყოფი ოჯახები ჰყავთ. წარმოიდგინეთ ვითარება, ასეთი ტუსაღის, სავარაუდოდ, უმუშევარმა მეუღლემ პაემნისთვის საჭირო თანხა რომ ვერ იშოვოს და ფრთაშესხმულმა პატიმარმა უფულობის გამო დიდი ხნის ნანატრი ოცნება ვერ აისრულოს?!**

მინისტრმა კალმახელიძემ მოკლედ მოჭრა — არავითარი შეღავათები და დაკლებებიო. **„გრძელვადიანი პაემნები უფასო რომ ყოფილიყო, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ამ შესაძლებლობის ასე სწრაფად ამოქმედება. უფასო გრძელვადიანი პაემნების დანერგვას 10 წელი მაინც დასჭირდებაო“**, — განაცხადა მან პარლამენტის ტრიბუნიდან. თურმე ისიც საკმარისი ყურადღებაა, ხელისუფლების მხრიდან პატიმრებისთვის 3-ვარსკვლავიანი სასტუმროს ტიპის შენობებს რომ ვაშენებთო...

**„ჩვენი მიზანია, მსჯავრდებულებმა და მათთან მისულმა სტუმრებმა გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილ შენობებში თავი ისე იგრძნონ, როგორც სასტუმროში ან საკუთარ სახლებში. იქ შექმნილი გარემო, ჰიგიენური პირობები, სერვისი სამვარსკვლავიანი სასტუმროს ანალოგიური იქნება. ეს თანხა — 60 ლარი არის მინიმალური, რაც შეიძლება დაწესებულიყო“,** — ასე გაამართლა თავისი შეუვალი პოზიცია ხათუნა კალმახელიძემ.

გრძელვადიანი პაემნისთვის აუცილებელი პირობები ასეთია: **მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს ხანგრძლივი პაემანი შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან, მშვილებელთან, დასთან და ძმასთან. ხანგრძლივი პაემნის თაობაზე ადამინისტრაცია წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული 2 კვირით ადრე. ხანგრძლივი პაემანი გრძელდება არა უმეტეს 24 საათისა. ხანგრძლივი პაემნის მიცემის საკითხს წყვეტს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი.**

ხათუნა კალმახელიძის მტკიცებით, აღნიშნულ 3 დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემნების ამოქმედების შემდეგ, ხელისუფლება შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას სხვა დაწესებულებებშიც გააგრძელებს და 2012 წლის 1 ივნისისთვის გრძელვადიანი პაემნის შესაძლებლობა ქვეყნის თითქმის ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ექნება.

**თეო ტაბატაძე**

**P.S. ასე ადვილად და მარტივად, წელიწადში სულ რაღაც 120 ლარად, პატიმრებს ეძლევათ შესაძლებლობა, საქართველოს დემოგრაფიული პრობლების გამოსწორებაში ციხიდანაც შეიტანონ საკუთარი წვლილი, შესაფერისი გარემოს შექმნაზე, როგორც ვხედავთ, თავად მინისტრი უკვე ზრუნავს და ნებისმიერი, ვინც ამის შემდეგ იტყვის, რომ საქართველოს „ანტიეროვნული, დესპორტი“ ხელისუფლება ჰყავს, ერთ-ერთი ფორუმელის მტკიცებით „გაზპრომის“ მოსყიდული მეხუთე კოლონისტია!.. ნეტარ არიან მორწმუნენი, ამაზეა ნათქვამი.**

# პატიმართან სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო

# ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (CCBE) პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილს შეშფოთების წერილი გამოუგზავნა

**◀ლებების დაცვის საერთაშორისო ობსერვატორიას და მოვიითხოვეთ მათი წარმომადგენლების ჩამოსვლა, რათა შეესწავლათ მე-8 საპყრობილეში შექმნილი ვითარება, სადაც ადვოკატები საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრების მონახულებასაც ვერ ახერხებდნენ. შედეგად, მათ გამოაქვეყნეს დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოში ადვოკატთა კორპუსის დევნა მიმდინარეობს. საინტერესო ისაა, რომ მდგომარეობა მეორე დღესვე გამოსწორდა. ადვოკატების მოსასვენებლად სკამებიც დადგეს და აღარც რიგები იყო.**

ცოტა ხნის წინათ ევროპის ადვოკატთა ასოციაციამ (CCBE) საქართველოს პრეზიდენტს წერილი გამოუგზავნა; ასოციაციის ხელმძღვანელმა ხოსე-მარია-დავო-ფერნანდესმა შეშფოთება გამოთქვა ქვეყანაში ადვოკატებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო.

**„ამ წერილით გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი სერიოზული შეშფოთება საქართველოში ადვოკატთა წინაშე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. CCBE-მ მიიღო ინფორმაცია სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან, განსაკუთრებით ციხის თანამშრომლებისა და პოლიციის წევრებისგან ადვოკატების დაშინების რამდენიმე შემთხვევის შესახებ, კერძოდ ის, რომ მათ უკრძალავენ ციხეში მყოფი პატიმრების მონახულებას“, — ნათქვამია წერილში.**

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტს, დაუყოვნებელი და ქმედითი ზომები მიიღოს აღნიშნული ფაქტების გამოსაძიებლად და დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს უკანონოდ დაპატიმრებულები.

CCBE, აგრეთვე, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, აღკვეთილ იქნას ადვოკატთა წინააღმდეგ მიმართული ყველანაირი ქმედება და მუქარა, რაც მათ ხელს უშლის პროფესიული მოვალეობების კანონიერ განხორციელებაში.

ჩვენ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა სააკაშვილის რეჟიმის რეალური სახე მთელმა მსოფლიომ დაინახოს.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

## მოკლედ

### კურილიის საკითხს ისტორიკოსები გადაწყვეტენ

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი იაპონელ კოლეგა სეიძი მაეჰარასთან შეხვედრის დროს რუსი და იაპონელი ისტორიკოსებისაგან შემდგარი სპეციალური კომისიის შექმნის წინადადებით გამოვიდა.** ლავროვის განცხადებით, აღნიშნული კომისია რუსეთისა და იაპონიის ორმხრივ ურთიერთობებს შეისწავლის. როდესაც იაპონია რუსეთთან ამ საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ნაცვლად რადიკალურ მეთოდებს იყენებს, მოლაპარაკებების წარმოება არაპერსპექტიულია. „ისტორია უნდა განვიხილოთ მეცნიერების დონეზე, ამიტომ აუცილებელია, შეიქმნას ერთობლივი კომისია ჩვენი ურთიერთობების ისტორიის შესასწავლად. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ყველა საკითხი მშვიდ გარემოში გადაწყდეს,“ — განაცხადა ლავროვმა.

### ჯალათებს აწინაურებენ

**აშშ-ის ხელისუფლება, რომელიც მთელ მსოფლიოს ადამიანის უფლებათა დაცვისაკენ მოუწოდებს, თვალს ხუჭავს ამერიკული სპეცსამსახურების მიერ ამ უფლებათა უხეშ დარღვევებზე, რაც პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ადამიანთა გატაცებასა და წამებას მოიცავს.** როგორც სააგენტო „AP“-ის ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ცსს-ს იმ აგენტებს, რომელთაც ხელი, ძირითადად, უდანაშაულო ადამიანთა სისხლში აქვთ გასვრილი, არა მხოლოდ არავინ სთხოვს პასუხს ნაწამებელთა გამო, არამედ აწინაურებენ კიდეც. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით ყვავის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტისა და ვაშინგტონის მიერ საერთაშორისო ტერორიზმისათვის ომის გამოცხადების შემდეგ. სააგენტო დაკავებულ ეჭვმიტანილებთან სასტიკი დამოკიდებულების უამრავ შემთხვევას აღწერს.

### ვნუკოვოში პრეზიდენტი გაჩხრიკეს

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უფაში გაფრენის წინ, სადაც სახელმწიფო პრეზიდიუმის სხდომას უნდა დასწრებოდა, ყველასთვის მოულოდნელად მოსკოვის ვნუკოვოს აეროპორტის ინსპექტირება გადაწყვიტა.** ის მეტალოდეტექტორით ჩვეულებრივი მგზავრივით გაჩხრიკეს. შემოწმების შემდეგ პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აეროპორტის უსაფრთხოების ზომებით კმაყოფილია, მაგრამ შსს-ს თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა მაინც ურჩია. პრეზიდენტმა დომოდედოვოს აეროპორტში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ სატრანსპორტო სადგურები პირადად უკვე მესამედ შეამოწმა. ვნუკოვომდე ის კიევის სარკინიგზო სადგურზე და დედაქალაქის ერთ-ერთ მეტროსადგურზე იმყოფებოდა. კიევის სარკინიგზო სადგურზე მედვედევის ვიზიტის შემდეგ მეტალოდეტექტორები დაამონტაჟეს.

### აშშ ასანჟს ვერ ადანაშაულებს

**ამერიკელმა გამომძიებლებმა ვერ შეძლეს რაიმე დამაჯერებელი მტკიცებულებების მოპოვება იმისათვის, რომ ვიკილიქსის დამფუძნებელ ჯულიან ასანჟს სასამართლოში უჩივლოს.** გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრო კი იმ მტკიცებულებებს ეძებს, რომელთა საფუძველზეც ასანჟს ბრალდებას წაუყენებენ და აშშ-ში გასამართლებისთვის მის გადაცემას მოითხოვენ. აშშ-ის ხელისუფლებას არ სურს, ასანჟს ჯაშუშობის ბრალდება წაუყენოს, რადგან ამ შემთხვევაში ევროპა მის გადაცემას ვერ მოითხოვენ. ჯაშუშობისთვის ამერიკის კანონმდებლობა სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, ევროპა კი ამერიკას არ გადასცემს ეჭვმიტანილებს, რომლებსაც იქ სიკვდილით დასჯა ელით.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მარჩენალდაკარგული მშობლები უპენსიოდ დატოვეს!

**სოციალურად დაუცველი მოხუცების ხსენებისას პრეზიდენტ სააკაშვილს, მართალია, ტელეკამერების წინ გული ხშირად უჩუყდება, მაგრამ ამას ხელისუფლებისთვის ხელი სულაც არ შეუშლია, სახელმწიფო კანონში პენსიის შესახებ ცვლილებები შეეტანა და მარჩენალდაკარგული მშობლები უპენსიოდ დაეტოვებინა. საქმე სწორედ იმ კაბალურ კანონს ეხება, რომელიც ამჟამინდელი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შევიდა ძალაში: 2005 წლის 23 დეკემბერს, სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს პარლამენტმა კანონი მიიღო, რომლის მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, მოქალაქეები, რომლებიც იღებდნენ პენსიას ასაკის გამო და, ასევე, მარჩენალის გარდაცვალების გამო, არჩევანის წინაშე დააყენეს. მათ მხოლოდ ერთი პენსიის აღების უფლება დაუტოვეს.**



რატომ მიიღო თავის დროზე პარლამენტმა ზემოაღნიშნული კანონი და ვის მოეჩვენა მაშინ პენსიონერები ზედმეტად განებივრებულებად, დღეს ამაზე პასუხის მოპოვება რთულია, ვინაიდან, პარლამენტის ძველი შემადგენლობა შეცვლილია და პასუხსაც უკვე აღარავინ აგებს. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, შემდგომში აღიარა კიდეც აღნიშნული კანონის უსამართლობა, ამით მაინც არაფერი შეცვლილა და, როგორც ჩანს, არც ახალ პარლამენტს აქვს ამ მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება.

**მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლის 27 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და შეღავათები ენიჭებათ, დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათის ან დახმარების აქტის გაუქმება, თუ სხვა ტოლფასი აქტი არ იქნა მიღებული. მაშინდელი პარლამენტისთვის ხელი არც ამას შეუშლია, კანონში ცვლილება შეეტანა.**

**პენსიონერ ამირან ნორაკიძის** ვაჟი, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს გამომძიებელი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა. 50-წლიანი სამუშაო სტაჟის მიუხედავად, ამირან ნორაკიძეს პენსიის აღება აეკრძალა. მდგომარეობა არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც პენსიონერმა ხელისუფლების წარმომადგენლებს, პარლამენტის წევრებს, ქართულ თუ უცხოურ ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს რამდენჯერმე მიმართა:

**„ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მივმართე, მათ შორის, ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველ საბჭოს და მათგან მეტად გაუგებარი და უცნაური პასუხი მივიღე — ჩვენ სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ვერ ჩავერევითო. ამას მწერენ ორგანიზაციიდან, რომელიც მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებების დამცველ ორგანოდ გვევლინება და ოფიციალური ვალდებულება აქვს აღებული, ადამიანის უფლებები დაიცვას.**

**რა ხდება საქართველოში, ჩემთვის გაურკვეველია.**

ბას აღარ ველოდები", — ამბობს ამირან ნორაკიძე.

აპირებს თუ არა პარლამენტი უახლოეს მომავალში ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელებას და „უსამართლოდ აღაიარებული" კანონის შეცვლას, **პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს — ოთარ თოიძეს** მივმართეთ:

„დანამდვილებით ვერ გეტყვით დაენიშნებათ თუ არა პენსიონერებს ორი პენსია, მაგრამ მთავრობა ამუშავებს ახალ წინადადებას. მაგრამ ვინაიდან ორი პენსიის აღება აკრძალულია, გამონაკლისი დავუშვით და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუ-

# სად გაქრა წინასაარჩევნოდ დაპირებული ასდოლარიანი პენსია

**შვილდაღუპული მშობლები, რომლებსაც ერთადერთი მარჩენალი შვილი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაეღუპათ, ფაქტობრივად, უპენსიოდ, 50 ლარის იმედად დატოვეს.**

საპენსიო ფონდიდან ოფიციალური პასუხი მივიღე, დაწერეთ განცხადება, უარი თქვით მარჩენალი შვილის პენსიაზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღებთ კუთვნილ პენსიასო.

2005 წლის კანონის თანახმად, პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ ორი პენსიის მიღება არ შეიძლებოდა და, რადგან მარჩენალდაკარგულის პენსია უკვე დანიშნული მქონდა, ამას ხელი ვეღარ ახლეს და ჩვენი შრომით მოპოვებული, კუთვნილი პენსია წაგვართვეს. ამას გარდა, ქალაქ თბილის მერია რომ აძლევს პენსიონერებს სტაჟზე დანამატის სახით თანხას, მე იმასაც ვერ ვიღებ.

გაუგებარია ისიც, მარჩენალდაკარგული ოჯახებისთვის გასაცემ კომპენსაციას საერთოდ რატომ დაარქვეს მეორე სახელმწიფო პენსია.

ვისაც მივმართეთ, ყველა გვეუბნება, რომ ჩვენი მოთხოვნა სრულიად სამართლიანია, მაგრამ კანონის მიღებას არავინ ჩქარობს. **სანამ რამეს მოიფიქრებენ, იქამდე ჩვენ, ალბათ, ცოცხლები აღარ ვიქნებით, საერთოდ თუ გადაწყვეტენ რამეს. მე უკვე იმედი გადამეწურა, რადგან უსამართლობასთან ჩემმა ხანგრძლივმა ბრძოლამ შედეგი არ მოიტანა.**

უკვე აღარც ვიცი, როგორ მოვიქცე, არანაირ ცვლილე-

პული ოჯახის მარტოხელა წევრს (ან თუ ოჯახის ორი წევრია დაღუპული) სახელმწიფო დამხარება დავუნიშნეთ. თუმცა ამას არ ჰქვია პენსია, ეს არის დახმარება და ზოგიერთი პენსიონერი 22, ზოგიერთი კი 44 ლარს იღებს.

ვინაიდან ორი პენსიის ერთად აღება არ შეიძლება, პენსიებს ხშირად ემატება ფულადი დახმარება, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, გაცილებით მეტია, ვიდრე პენსია. დღეს, როდესაც საუბრობენ, რომ პენსია საარსებო მინიმუმს უნდა მიუახლოვდეს, ვერ ვიტყვით, რომ ყველა, მაგრამ პენსიონერების ნაწილი, საარსებო მინიმუმთან მიახლოებულ, ზოგჯერ კი უფრო მეტ თანხასაც იღებს."

**აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში მუდმივად დავის საგანს წარმოადგენს ის ფაქტი, თუ რამდენად სწორად არის გამოთვლილი საქართველოში საარსებო მინიმუმი, მითუმეტეს ახლა, როდესაც ფასები ლამის ყოველდღიურად, კატასტროფული სისწრაფით იზრდება, აღნიშნული საარსებო მინიმუმის ფარგლებში, რამდენად შესაძლებელია არათუ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, საერთოდ არსებობაც კი.**

**ჯერჯერობით რეალობა ასეთია: დაპირებული „ასდოლარიანი პენსია" პენსიონერებისთვის ჯერ მხოლოდ ოცნების საგნად რჩება. დევნილებს ქუჩაში ყრიან, ომის ვეტერანებს არბევენ, ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ, მარჩენალდაკარგულ მშობლებს უპენსიოდ ტოვებენ.**

გაუგებარია, რატომ აჭიანურებს პარლამენტი კანონის მიღებას და რატომ დაინანა კუთვნილი პენსია ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ოჯახებისთვის, მითუმეტეს, ზოგიერთმა მათგანმა ერთადერთი მარჩენალი შვილიც კი ომში დაკარგა და სრულიად უსახსროდ, მხოლოდ პენსიის იმედად დარჩა. და ეს მაშინ, როდესაც მთავრობის წევრები პირადი კეთილდღეობისთვის უამრავ თანხას ხარჯავენ და ყოველთვიურად სოლიდურ პრემიებზეც არ ამბობენ უარს.

**შორენა ციჭქარაშვილი**

# ხელისუფლების რესტრუქტურიზაცია იწყება

**ჩვენს პრეზიდენტს, რომელსაც კარუსელი ბავშვივითართობს, დიდი ხანია, სამთავრობო გადაადგილებები არ მოუწყვია. ამიტომ მინისტრთა კაბინეტის ცვლილებებს ელიან. მოსალოდნელია როგორც საკადრო, ასევე სტრუქტურული ცვლილებები.**

საუბარი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაშლაზე ორი წლის წინათ დაიწყო. ასევე, კახა ბენდუქიძის პროექტი იყო ამ სამინისტროსთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეერთება. ამის გამო ბენდუქიძემ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან თავისი ნათლული გარემოს დაცვის სამინისტროში მიავლინა, მაგრამ შემდეგ პროექტი ჩავარდა და მისი პროტეჟე გიორგი ცხაკაია შემოსავლების სამსახურის უფროსად დანიშნეს. ამ სამინისტროებმა დროებით სახე შეინარჩუნეს, თუმცა პრეზიდენტს ერთ-ერთი საკადრო გადაადგილების დროს მინისტრის პორტფელი დასჭირდა დავით ტყეშელაშვილისთვის. ვინაიდან მაშინ თავისუფალი სამინისტრო არ იყო, საგანგებოდ შეიქმნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

სააკაშვილმა, ამ სამინისტროს მსგავსად, შექმნა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, რომელიც მას გუბერნატორ ლადო ვარძელაშვილისთვის დასჭირდა. **საუბარია, რომ ახლადშექმნილი სამინისტრო კვლავ რურუას უწყებას, კულტურის სამინისტროს შეუერთდება და ვარძელაშვილს ისევ გორში, ამჯერად იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მინისტრად უკრავენ თავს.**

ეს სამინისტრო სააკაშვილს გორში გადააქვს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობა უკვე დაცალეს; სწორედ იქ დაიდებს ბინას სუბელიანის უწყება. **პარლამენტის ქუთაისში გადატანისა არ იყოს, გაჩნდა ეჭვი, რომ ამ სამინისტროს რეგიონში გადატანაც საპროტესტო აქციების „გადასატანად" გახდა საჭირო ასე სასწრაფოდ. რაც შეეხება სუბელიანს, მის მოხსნაზე, დიდი ხანია, საუბრობენ. გარდა იმ სასტიკი მოპყრობისა, რომელიც სუბელიანმა დევნილების მიმართ განახორციელა და ამის გამო იგი არამარტო ქართველი უფლებადამცველების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, დასავლეთიც აღაშფოთა მისმა ქმედებებმა;**

სხვა უამრავ დარღვევაშიც ადანაშაულებენ. ამიტომ სააკაშვილი იძულებულია, სუბელიანი გამოცვალოს.

უკვე დაწყებულია ცვლილებები ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ესეც ის სტრუქტურაა, რომლის დანიშნულებაზეც დღემდე თავად თანამშრომლებმაც არაფერი იციან. მინისტრის აპარატში ამჟამად თურმე საშტატო ერთეულებს ამცირებენ. 38 თანამშრომლიდან მხოლოდ 23 დარჩება. ბარამიძესაც უმცირებენ მოადგილეების რაოდენობას, აქამდე თურმე მას სამი მოადგილე ჰყოლია, ახლა კი ერთს დაუტოვებენ, ხუთი დეპარტამენტიდან კი მხოლოდ სამი დარჩება.

რაც შეეხება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროს ეხება, Pპრემიერის განცხადებით, **გარემოს დაცვის სამინისტრო, შესაძლოა, სახელმწიფო მინისტრის აპარატად ჩამოყალიბდეს, ენერგეტიკის სამინისტრო კი — ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდ.** გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური საკითხები სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციაში დარჩება, ლიცენზირება, ბუნებრივი რესურსების ათვისება და გამოყენება კი ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქციებში შევა. დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროს შეუერთდება, ისეთივე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, როგორც ტურიზმის დეპარტამენტია. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაეცემა ლიცენზირების აუქციონების მოწყობის უფლება, რომელსაც ამჟამად ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს. **მოკლედ, გარემოს დაცვის სამინისტროს მარტივ მამრავლებად შლიან, რასაც უკვე მოჰყვა გარემოს დაცვითი ორგანიზაციების შეშფოთება.**

**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მშიერი ქვეყნის მილიონერი დეპუტატი

**საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი საქართველოში ერთ-ერთი ოფიციალური მილიონერია, ამას დეკლარაციითაც ადასტურებს. ბეჟუაშვილს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები სააკაშვილის „კასირადაც“ მოიხსენიებენ. გადავხედოთ ბიოგრაფიას, თუ როგორ გახდა მილიონერი დავით ბეჟუაშვილი.**

## საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის ძმას დეპოზიტზე 2 მილიონ 654 ათას 768 ევრო უდევს

ოფიციალური ბიოგრაფიის თანახმად, 1998-1999 წლებში იგი „საქტრანსგაზმრეწვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. ამით იწყებს თავის შრომით საქმიანობას ბეჟუაშვილი, პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით. ამავე წლებში უთითებს სს „საქგაზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობასა და გენერალურ დირექტორობას. 1999 წლიდან იგი საქართველოს პარლამენტის წევრი ხდება და დღემდე არ თმობს ამ მანდატს.

**შევარდნაძის მმართველობის დროს დეპუტატ ბეჟუაშვილს „საქგაზში“ მიმდინარე ფინანსურ მაქინაციებს გენერალური პროკურატურა ედავებოდა. „საქგაზის“ ხელმძღვანელობის დროს, მილიონ 400 ათასი ლარის ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტზე საქმე აღიძრა და პროკურატურამ საკანონმდებლო ორგანოს მიმართა ბეჟუაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის შუამდგომლობით, მაგრამ მაშინ დეპუტატი მისმა კოლეგებმა დაიცვეს და იმუნიტეტი არ მოუხსნეს. ციხეს გადარჩენილმა ბეჟუაშვილმა საკუთარი ქონების გაათმაგება წარმატებით მოახერხა.**

ბეჟუაშვილის სახელი ფიგურირებდა ძალით გაკოტრებულ და კაპიკებად გაყიდულ „თბილსრესთან“ დაკავშირებითაც. „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ბეჟუაშვილებს ადანაშაულებდა „ჭიათურმანგანუმის“ ხელში ჩაგდებაში, ასევე, მოიაზრებდა ქუთაისის ავტოქარხნის უკან. მისი განცხადებით, **სააკაშვილმა საავტომობილო ქარხანა, სადაც 100 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების მხოლოდ ჯართი დევს, რამდენიმე ათას დოლარად საკუთრებაში გადასცა დავით ბეჟუაშვილს და მის საკუთრებაში არსებული ტერიტორია ინდუსტრიულ ზონად გამოაცხადა, განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათებით. მას ეკუთვნის ტყიბულის ქვანახშირიც.**

შაშიაშვილის განცხადებით, სააკაშვილი უნიკალური პროექტის წინააღმდეგ წავიდა. სამაგიეროდ, მხარი დაუჭირა იმას, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის გარეთ გამოტანილი სილიკომანგანუმი ნაგავსაყრელად გამოეცხადებინათ და 130 მილიონ დოლარად შეფასებული ნედლეული ვილაცის საკუთრება გამხდარიყო. იგი **ბეჟუაშვილს მოიაზრებს ცემენტის, ოქროს, მარგანეცის, ნახშირის საბადოების, საავტომობილი, ნავთობისა და სატელევიზიო ბიზნეს-მაგნატად საქართველოში.**

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, ჰოლდინგი, რომელშიც შედის „ფერო“, „ჭიათურმანგანუმი“, ტყიბულის მაღაროები, ტელევიზიები, „კასპიცემენტი“, „რუსთავცემენტი“ (რომელიც ერთი ბრენდის ქვეშ მოექცა), ოფიცერთა სახლი და კიდევ მრავალი ობიექტი, რომლებიც დაფარულია და ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული, სწორედ ბეჟუაშვილების კუთვნილებაა.

ქვანახშირის მაღაროში მომხდარ ტრაგედიაში ლეიბორისტები სწორედ ბეჟუაშვილებს ადანაშაულებენ. მათი განცხადებით, იმის გამო, რომ ტყიბულის ქვანახშირის საბადოში მოიპოვება მეთანი, რომელიც არის ფეთქებადსაშიში ნივთიერება, „იუსაიდმა“ გამოყო 450 ათასი დოლარი ტექნოლოგიური უსაფრთხოების მექანიზმების დასანერგად, მეთანთან დაკავშირებით, რაც არ შესრულებულა, თანხები კი ბეჟუაშვილებმა მიითვისეს. **ტრაგედია ტყიბულის ქვანახშირის საბადოში, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, სწორედ იმის გამო მოხდა, რომ უსაფრთხოების ზომები არ იყო გათვალისწინებული და არ იყო დანერგილი ეს ტექნოლოგიები, რამაც მეთანის გაჟონვა გამოიწვია.**

**ბეჟუაშვილების ბიზნესის სასარგებლოდ საქართველოში კანონებიც კი იქმნება სახელდახელოდ. ამის ნათელი მაგალითია „კასპიცემენტის“ ისტორია.** ერთ მშვენიერ დღეს „კასპიცემენტის“ 1500-მდე თანამშრომელმა მარშალის კუნძულებიდან „კასპიცემენტის“ აქციების 95%-ის მფლობელისა და საწარმოს ხელმძღვანელის — დავით ბეჟუაშვილის მამის, რობერტ ბეჟუაშვილისაგან დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი მიიღო: თქვენი აქციები 0,26 ლარად მომყიდეთ, თუ არადა, მაინც წაგართმევთო.

**„კასპიცემენტის“ აქციონერები მშვიდად იყვნენ, მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილმა ცვლილებამ ისინი აქციების გარეშე დატოვა. წერილით, რომელიც აქციონერებმა მარშალის კუნძულებიდან მიიღეს, გაირკვა, რომ სააქციო საზოგადოება „კასპიცემენტი“ საიდუმლო ვითარებაში გადაკეთებულა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და მისი ხელმძღვანელი ყოფილა რობერტ ბეჟუაშვილი. წერილში იდო პირობა, რომ აქციონერებს გაეყიდათ თავიანთი კუთვნილი აქციები 0,26 ლარად, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, მათ დეპოზიტზე დაჯდებოდა თანხა, ანუ წაართმევდნენ ამ აქციებს. „კასპიცემენტის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 6 მილიონ 162 ათას 74 ლარს, გამოშვებული აქციების ოდენობა იყო 4740057. შესაბამისად, ერთი აქციის ღირებულება უნდა ყოფილიყო 1,3 ლარი და არა 0,26.**

ლეიბორისტების განცხადებით, **„ეს ცვლილება კანონში საგანგებოდ იმისთვის შეიტანეს, რომ სხვაგვარად „კასპიცემენტის“ ხელში ჩაგდება შეუძლებელი იყო. მათ ქართული წარმოება შეწყვიტეს და სათაო ოფისები სომხეთში გადაიტანეს. ამ ბრენდით დღეს გამოდის სომხური ცემენტი და იქიდან შემოდის საქართველოში“.**



**ბეჟუაშვილების ბიზნესის სასარგებლოდ საქართველოში კანონებიც კი იქმნება სახელდახელოდ**

ბეჟუაშვილ-ბენდუქიძის ტანდემს შპს „წიდას“ დირექტორი ოთარ დოლიძეც ადანაშაულებს უამრავ კანონდარღვევაში. მან ევროსასამართლოსაც კი მიმართა საჩივრით, თუმცა ბენდუქიძისა და ბეჟუაშვილების მიერ წართმეული წარმოების დაბრუნებასა და ამუშავებას დღემდე ვერ ახერხებს. ახლახან სტუდია „მონიტორმა“ ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ **2009 წლის 11 სექტემბერს, საკრებულოს დადგენილებით, გასხვისებული 8 ჰექტარი ტერიტორია დიღმის ტყეპარკში, სხვადასხვა მაქინაციებით, მმართველი პარტიის ცნობილმა სახეებმა მიითვისეს, ერთ-ერთი მათგანი კი დავით ბეჟუაშვილი გახლავთ.**

სააკაშვილი კი დიდად სწყალობს. მაგრამ ეს ის ბეჟუაშვილია, რომელიც აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის — პაატა დავითაიას მიერ გამოქვეყნებულ „შავ სიაში“ მოხვდა. **საქართველოს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის ძმა, საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ბეჟუაშვილი, საქართველოში მიმდინარე ომის დროს, გერმანიაში, უკრაინასა და პეკინში იმყოფებოდა. ბეჟუაშვილმა თავი კი იმართლა 6 აგვისტოს პირად საქმეზე გერმანიაში გავემგზავრე და ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო უკან დაბრუნება ველარ მოვახერხეო, მაგრამ 6 აგვისტო ის დღე იყო, როცა სახელმწიფო მოხელეებისთვის ქვეყანაში ყოფნა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საგარეო საქმეები.**

მოკლედ, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო, ალბათ, ბეჟუაშვილის დეკლარაციაში ასახული მილიონები აღარ გაგაკვირვებთ. ერთად გადავავლოთ თვალი დეპუტატის დეკლარაციებს 1999 წლიდან დღემდე. დავით ბეჟუაშვილის 2010 წლის დეკლარაცია ასე გამოიყურება: **დავით ბეჟუაშვილი ფლობს 70 კვ.მ ფართის ბინას უკრაინაში, ქ. კიევში; ასევე, 180 კვ.მ ფართის ბინას რუსეთში, ქ. მოსკოვში, რომლის ღირებულებასაც დეკლარაციაში არ უთითებს. მის მეუღლეს, თეა ჭეიშვილს აქვს 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საგურამოში (ასევე არ უთითებს სავარაუდო ღირებულებას). ბეჟუაშვილს, დეკლარაციის მიხედვით, საქართველოში მის საკუთრებაში არსებული სახლი არ გააჩნია.** დეკლარაციაში მეუღლის კუთვნილ მსუბუქ ავტომანქანას — „Lend Rover 2004“-ს უთითებს.

საკმაოდ მრავალფეროვანია პარლამენტარის მიმდინარე ანგარიშებზე არსებული თანხები: **„აბნ-ამრო ბანკში“ — ათასი ევრო, „ბანკ ოფ.საიპრუსში“ — 2 ათასი ევრო, „ბარკლის ბანკში“ — 2 ათასი დოლარი, „ბარკლის ბანკში“ — 2 ათასი გირვანქა სტერლინგი, „ამს.ტრეიდ ბანკში“ — 5 ათასი ევრო, „ვი თი ბი“ ბანკში სახელფასო ანგარიშზე — 2530 ლარი, „ტაო პრივატ ბანკში“ დეპოზიტზე — 2 მილიონ 654 ათას 768 ევრო. საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულის გრაფაში კი ასე უთითებს: დავით ბეჟუაშვილი — 210 ათასი დოლარი, 100 ათასი ევრო, თეა ჭეიშვილი — 5 ათასი დოლარი, ირაკლი ბეჟუაშვილი (შვილი) — 50 ათასი ლარი, ნიკა ბეჟუაშვილი (შვილი) — 50 ათასი ლარი.**

დეპუტატს შევსებული აქვს სამეწარმეო საქმიანობის გრაფაც — Chemexim International ltd, Marshal Islands MH 96960, Manjuro, Ajeltake Road Box 1405, Kemble Trading ldt, Ciprus, Limassol, 229, Arch. Makarios III Ave. Meliza Court, Fourth Floor. ბეჟუაშვილი ამ კომპანიების, რომლის მისამართებს სართულის მითითებითაც კი აღწერს დეკლარაციაში, პარტნიორია; სამეწარმეო საქმიანობიდან კი წერს, რომ მოგება 0 ლარს შეადგენს. თუმცა ძნელი გასარკვევია, მარშალის კუნძულებსა და კვიპროსში დარეგისტრირებული კომპანიებიდან აქვს თუ არა შემოსავალი. 2010 წლის განმავლობაში პარლამენტარს ხელფასის სახით 46 ათას 601,23 ლარი მიუღია. ბეჟუაშვილი ასევე უთითებს დეპოზიტიდან შემოსულ თანხას წლის განმავლობაში, რომელიც 371 ათას 667,75 ევროს შეადგენს.

**1999 წელს, პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილი დეკლარაციაში უთითებდა მიწის ნაკვეთს საცხოვრებელი სახლით მანგლისში, ღირებულებით 30 ათასი ლარი; საცხოვრებელ სახლს ქ. თბილისში, ღირებულებით 55 ათასი ლარი; ბინას კიევში (25 ათასი დოლარი); ბინას მოსკოვში (180 ათასი დოლარი); ავტომანქანას (47 ათასი დოლარი); მოძრავ ქონებას: საძინებელი — 15 ათასი დოლარი, სასადილო — 12 ათასი დოლარი, სამზარეულო — 8 ათასი დოლარი, რბილი ავეჯი — 27 ათასი დოლარი, ტელევიზორი — 4 ათასი დოლარი, კაბინეტის ავეჯი — 12 ათასი დოლარი. საბანკო ანგარიშები კი ასე გამოიყურებოდა: „აბნ-ამრო“ ბანკი (ამსტერდამი) 27 ათასი დოლარი, 15 ათასი გულდენი; „ბანკ ივ საიპრური“ 18 ათასი დოლარი, „ბარკლის ბანკი“ (ლონდონი) 32 ათასი დოლარი, 24 ათასი გირვანქა სტერლინგი, „ასბს ბანკი აგრო“ (ამსტერდამი) — 50 ათასი დოლარი, 37 ათასი გულდენი. ნაღდი ფული — 250 ათასი დოლარი, 80 ათასი ლარი.**

**2002 წელს ბეჟუაშვილის დეკლარაციაში ჩნდება მეუღლე — დიასახლისი თეა ჭეიშვილი.**

მისი ქონების ფასები კი 2002 წლის დეკლარაციაში ეროვნულ ვალუტაშია გადაყვანილი. ძველ ქონებას ბეჟუაშვილი ამჯერად 5000-ლარიან ტელევიზორს, საგურამოში 25000-ლარიან ნაკვეთსა და 2000 წელს გამოშვებულ „ლენდ როვერს“ უმატებს, ღირებულებით 70 ათასი ლარი. ნაღდი ფულის გრაფაში თავის 250 ათას დოლარს თეა ჭეიშვილის 12 ათას დოლარს უმატებს.

**2003 წელს ბეჟუაშვილის დეკლარაცაში შვილი, ირაკლი ბეჟუაშვილი ემატება და ნაღდი ფულის გრაფაშიც მისი შვილის სახელზე 50 ათასი ლარი ჩნდება.**

**2005 წელს ბეჟუაშვილს კიდევ ერთი შვილი, ნიკა ბეჟუაშვილი ემატება, მის ქონებას კი — 55 ათას ლარად ღირებული საცხოვრებელი სახლი თბილისში. ცხადია, მილიონერი დეპუტატი ახალშეძენილი შვილის სახელზეც 50 ათას ლარს დებს.**

2008 წლის დეკლარაციიდან ქრება დეპუტატის სახლი თბილისში. მის უძრავ ქონებას შეადგენს ბინები კიევსა და მოსკოვში, მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი მანგლისში, მიწის ნაკვეთი საგურამოში, ასევე სამი ძვირადღირებული ავტომანქანა, რომლებსაც წინა დეკლარაციებში უთითებდა. **მის დეკლარაციებში ამ წელს პირველად ჩნდება 2 მილიონ 655 ათას 768,31 ევრო „ვითიბი“-ბანკის ანგარიშზე. დეპუტატს სხვადასხვა ბანკში სხვადასხვა ანგარიშებზეც უდევს თანხები, მაგრამ 2 მილიონთან ისინი რა მოსატანია! უცხოური კომპანიიდან მიღებულ შემოსავლად, რომლის პარტნიორიც ბეჟუაშვილი 1994 წლიდან გახლავთ (თუმცა ყველა დეკლარაციაში უთითებდა, რომ იქიდან შემოსავალი არ მიუღია), დივიდენდის სახით, 2008 წელს მიუღია 5 მილიონი დოლარი.**

2006 წელს ხელფასის სახით ბეჟუაშვილს მიღებული აქვს 26 ათას 600 ლარი, მივლინების ასანაზღაურებლად კი — 6 ათას 395 ლარი. ამავე წლის დეკლარაციაში უთითებს სესხის ხელშეკრულებას ფონდ „კონსტანტასთან“ (20.12.07-28.02.08) 2 მილიონ 753 ათას 369,35 ლარზე. რამდენად გასაოცრად უნდა მოგეჩვენოთ, ეს თანხა ზეპირი შეთანხმებით მიუცია ფონდ „კონსტანტას“ ბეჟუაშვილისთვის. რა მაქინაციები ჩაატარა და რაში გამოიყენა ეს თანხა დეპუტატმა, უცნობია, თუმცა დეკლარაციაში უთითებს, რომ ხელშეკრულებით მიღებულმა მატერიალურმა მოგებამ 75 ათას 826 ლარი შეადგინა.

2009 წლის დეკლარაციაში ბეჟუაშვილი უძრავ-მოძრავ ქონებას საერთოდ აღარ უთითებს, იგი მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებზე, დარიცხულ ხელფასსა და მივლინებაზე (რომელმაც 32 ათას 687 და 635,61 ლარი შეადგინა), ნაღდ ფულსა და დეპოზიტიდან მიღებულ შემოსავლებზე წერს, რამაც 223 ათას 611,49 ევრო და 73 ათასი დოლარი შეადგინა. იმ კომპანიიდან, რომელმაც წინა წელს დივიდენდის სახით დეპუტატს 5 მილიონი უფეშქაშა, დეპუტატი წერს, რომ 2009 წელს შემოსავალი არ მიუღია.

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რა ურჩევნია ქართველს — იაფი პური თუ ძვირი სანახაობა?!

**როცა ქვეყანა სოციალური აფეთქების ზღვარზე დგას, როცა ინფლაციამ კატასტროფულ ნიშნულს მიაღწია, ქვეყანაში პირველადი მოხმარების საგნები და „პური ჩვენი არსობისა“ ბოლო თვეებში 30 თეთრით გაძვირდა, სააკაშვილი მილიონებს პირადი ფუფუნებისთვის და გასართობ ღონისძიებებზე ხარჯავს. ბათუმი, როგორც ადგილობრივი ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, სააკაშვილის პირადი ბიზნესპროექტია, საიდანაც მიღებულ შემოსავლებს მერაბიშვილთან ერთად ინაწილებს, ამიტომაც ამ ქალაქზე მილიონები იხარჯება და, შესაბამისად, სოლიდური თანხები „თეთრდება“. ამჯერად ბათუმის ბულვარში ანბანის კოშკი უნდა დაიდგას. 130-მეტრიან ქანდაკებაზე თანმიმდევრულად განთავსდება ანბანის ასოები. კოშკურის თავზე მოთავსდება კაფეები, რესტორნები, ობსერვატორია და ტელესტუდია. მბრუნავი კოშკურიდან შესაძლებელი იქნება ბათუმის ხედების დათვალიერება.**



## გალატაკებული ქვეყნის გაუმაძღარი პრეზიდენტი საკუთარი ფუფუნებისთვის ასეულობით მილიონს ხარჯავს

ეს ყველაფერი 60 მილიონი დაჯდება. მაგრამ სააკაშვილს მხოლოდ სამუშაოების დაჩქარებულ რეჟიმში განხორციელება ედარდება.

ახლახან ხელისუფლებამ, როგორც იქნა, აღიარა ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური ფონი და 20-ლარიანი ელექტროენერგიის ვაუჩერების დარიგება დაიწყო, რაც ბიუჯეტს 20 მილიონი ლარი დაუჯდება. ამ ნაბიჯით მთელი მინისტრთა კაბინეტი, ერთი თვეა, თავს იწონებს. გაჭირვებული მოსახლეობისთვის 20 ლარიც შეღავათია, მით უმეტეს, რომ ერთიანი გადახდის სისტემა ამოქმედდა და წყლის, ნაგვის, დენის ან გაზის ფულიდან ერთ-ერთს თუ არ გადაიხდის, ოჯახს ყველა მომსახურებას შეუზღუდავენ. ეს მაშინ, როცა, ბათუმის ანბანის კოშკს რომ თავი დავანებოთ, **ბათუმში მოწყობილი საახალწლო ღამე, ბოჩელის ვიზიტი, სასტუმროს მომსახურება და კონცერტის ტრანსლირება ბიუჯეტს, არაოფიციალური ინფორმაციით, 20 მილიონი დაუჯდა. 2011 წლის ახალი წლის ღამისგან განსხვავებით, შარშანდელი ახალი წლის ხარჯები გარკვეულია, ის 4 მილიონამდე დაჯდა, ამ თანხის ნახევარი კი წელს მხოლოდ ბოჩელის საჰონორარო ანაზღაურება იყო. გაცილებით ძვირი იყო მისი სასტუმროს მომსახურებისა და სასცენო ხარჯები, ასევე, ხელისუფლების მთელი დელეგაციაც ხომ ბიუჯეტის ხარჯზე იწყობს დასვენებას და მათი სასტუმროს ნომრებით უზრუნველყოფაც ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება.** ახალი წლის ღამეს დაგეგმილ კონცერტთან დაკავშირებით, ბათუმის ყველა საჯარო სამსახურის რესურსი იყო ჩართული, ოფიციალურად ამ ღონისძიებისთვის ბიუჯეტში 2 500 000 ლარი გამოყვეს, თუმცა ეს ის თანხაა, რომელიც მხოლოდ რესტორნებისთვის, სასტუმროს ნომრებისთვის და სხვა ხარჯებისთვის იყო გათვალისწინებული, თორემ თავად ბოჩელის საჰონორარო ანაზღაურება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გადაირიცხა. ძვირადღირებული აპარატურა, ყინულის მოედანი, განათება და ტექნიკა კიდევ ცალკე საკითხია. ამასთან, ბიუჯეტში გათვლილი იყო 296 400 ლარი საშობაო-სანახაობითი ღონისძიებების დასაფინანსებლად, ცოტა ხნით ადრე კი — 72 100 ლარი ქალისა და მამაკაცის ქანდაკების გახსნის პირდაპირ ეთერში ტრანსლირებისთვის.

**საქართველოს მოსახლეობას არავინ ეკითხება, გაძვირებული პურის ფასის სხვაობის სუფსიდირება ურჩევნია თუ უცხოელი მომღერლების კონცერტები. ამას ხელისუფლება ერთპიროვნულად წყვეტს და მშიერ ხალხს საკმაოდ ძვირადღირებულ სანახაობას სთავაზობს. პლასიდო დომინგოს კონცერტისთვის პრეზიდენტის ფონდიდან მილიონ-ნახევარი ლარი გადაირიცხა. იმისთვის, რომ პრეზიდენტმა საქართველოს ტელევიზიების საშუალებით ყოველწლიურად ახალი წელი მოგვილოცოს, 97 675 ლარი იხარჯება. არადა, მეტად საეჭვოა, რომელიმე ქართველს ერთი გოზინაყი არ ერჩივნოს სააკაშვილის მილოცვის მოსმენას.**

თბილისში გამართული საახალწლო კონცერტის სცენის მოწყობა, ოფიციალური ინფორმაციით, 450 000 ლარი დაჯდა. საკრებულოს ოპოზიციამ ამ ციფრებში ეჭვი შეიტანა, რადგან, როგორც წესი, ასეთ ღონისძიებებზე მილიონების ხარჯვა ჩვენს ხელისუფლებას წესად აქვს. შარშან ყოველგვარი ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ეს საქმე შპს „ბიზნეს პროტოკოლს“ დაუკვეთეს. კონცერტის მონაწილეების სასტუმროში დაბინავება 115 000 ლარი დაჯდა, 7 500 ლარი — მანათობელა ჩხირები, 37 000 ლარი კი — ჯებირები. კონცერტის რეჟისურისთვის ლაშა ონიანს 37 000 ლარი გადაუხადეს; საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლე ნინო ანანიაშვილს, რომელსაც ადრე სააკაშვილმა საჩუქრად ძვირადღირებული მიწის ნაკვეთი უსახსოვრა, 20 750 ლარი მისცეს საახალწლო კონცერტში მონაწილეობისთვის; ჯანსუღ კახიძის სახელობის ორკესტრის დირიჟორს 10 400 ლარი გადასცეს. წელს, „ბიზნეს პროტოკოლი“ შპს „არტფორუმმა“ შეცვალა, რომლის დამფუძნებლებიც სტეფანე მღებრიშვილი და კახა ცისკარიძე არიან. სტეფანე მღებრიშვილმა სააკაშვილის გული მას შემდეგ მოიგო, რაც პუტინზე უხამსი სიმღერა შეასრულა. თუმცა, თბილისში ჩატარებული საახალწლო კონცერტის შემდეგ, რამდენად შეინარჩუნებს მის კეთილგანწყობას, ძნელი სათქმელია, რადგან კონცერტით კმაყოფილი (მერიის თანამშრომლებით დაწყებული, მოსახლეობით დამთავრებული) არავინ დარჩენილა. იმისათვის, რომ კონცერტზე ხალხის რაოდენობა გაეზარდათ, შს სამინისტრომ მოსახლეობას სამოქალაქო ფორმებში გამოწყობილი პოლიციის თანამშრომლებიც მიაშველა და თბილისის პოლიციის თითქმის მთელ შემადგენლობას თავისუფლებაზე მოუხდათ ღამის გათენება.

**ცალკე თემაა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის პირადი ფუფუნებები, მან ჯერ 2005 წელს, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტით, 100 მლნ ლარად თვითმფრინავი „ჩელენჯერი N240W“ შეიძინა. თვითმფრინავის შიდა ინტერიერი კინო და საკონფერენციო დარბაზებით, სამუშაო კაბინეტით, რელაქსაციისათვის სპეციალური ოთახებითაა მოწყობილი, მარმარილოთი მოპირკეთებული სველი წერტილებითა და მრავალი სხვა ფუფუნების საგნით აღჭურვილი. მოგვიანებით სააკაშვილმა, პოლონეთის პრეზიდენტის ტრაგედიის შემდეგ, თვითმფრინავი სპეციალური „კაფსულითაც“ აღჭურვა, რომლის დამონტაჟებაც 12 მლნ ლარი დაუჯდა ქვეყნის ბიუჯეტს.**

**როგორც ჩანს, ყველაფრის მიუხედავად, სააკაშვილს „ჩელენჯერ N240W“-ის კომფორტი აღარ აკმაყოფილებს და, როგორც „საქართველო და მსოფლიო“ წერდა, 200-მილიონიანი „ბოინგ 787“-ის შეძენა აქვს განზრახული.**

ლეიბორისტების ინფორმაციით, საბერძნეთში ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად ჩასულმა პრეზიდენტმა თურმე მცურავ კუნძულზე დაიდო ბინა. შუა ზღვაში მოტივტივე სასტუმროში ერთი ადამიანის დასვენება დღეში 4000 ევრო ჯდება. იქ სააკაშვილს დაცვაც ახლდა და თავისი ამალაც, დაახლოებით ათი-თორმეტი ადამიანი, რაც დღეში 40-45 ათასი ევრო ჯდებოდა. მის მეუღლეს, სანდრა რულოვსს, შვილებსა და დედ-მამასთან ერთად, ფლორიდაში დაუსვენია, სასტუმროში, სადაც ერთი დღე 12 ათასი დოლარი ღირს.

**სააკაშვილის კიდევ ერთი გატაცება, პიარკამპანიებში დახარჯული მილიონებიც საზოგადოებისთვის ცნობილია.** Eurasianet.org-ის ინფორმაციით, 2010 წელს საქართველომ გავლენიან კომპანიებს საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის მილიონ-ნახევარ დოლარზე მეტი გადაუხადა. ინტერნეტ გამოცემის ცნობით, საქართველოს ხელისუფლება აშშ-ის ხელისუფლებასთან თავის წარმოსაჩენად ოთხ ფირმას იყენებს, მაშინ, როცა აზერბაიჯანი და ყაზახეთი ერთ კომპანიას იყენებენ. აზერბაიჯანი პიარ კამპანიისთვის თვეში 35 000 დოლარს ხარჯავს, ყაზახეთი — 25 ათასს, საქართველოს კი „სტრატეგიულ პარტნიორებთან“ საკუთარი თავის ლობირება მილიონები უჯდება.

**სოფო გელაშვილი**

# მოკლედ

## იაპონიამ სტატუსი დაკარგა

**იაპონიამ აშშ-ის შემდეგ მსოფლიოს მეორე ეკონომიკის სტატუსი დაკარგა. ამის დამადასტურებელი ციფრები 14 თებერვალს ქვეყნის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საერთო შიდა პროდუქტის მასშტაბებში აისახა.** საერთო შიდა პროდუქტის მოცულობით, იაპონია მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკის ადგილს 1968 წლიდან უცვლელად იკავებდა. 2010 წლის შედეგების თანახმად, ამ მაჩვენებელმა 5,474 ტრილიონი დოლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც ჩინეთის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა 5,879 ტრილიონით განისაზღვრა, შესაბამისად, მეორე ადგილი ჩინეთმა დაისაკუთრა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იაპონიის ეკონომიკა პირველად გაიზარდა 3,9%-ით, მაგრამ ამავე პერიოდში ჩინეთის ეკონომიკამ 10,3%-იანი ზრდა აჩვენა.

## კონგრესმენი სიშიშვლეს გადააჰყვა

**ამერიკელმა კონგრესმენმა კრისტოფერ ლიმ თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც მედიამ ინტერნეტნაცნობთან მისი მიმოწერის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.** მედიამ გამოაქვეყნა კონგრესმენის ფოტოები, რომლებსაც ცოლშვილიანი კრისტოფერ ლი ახალ ნაცნობ ქალბატონს ინტერნეტით უგზავნიდა. თანამდებობის დატოვებამდე კონგრესმენმა პატიება ითხოვა მომხდარის გამო და როგორც ამომრჩევლებს, ასევე თავის ოჯახს, ბოდიში მოუხადა. ფოტოებზე კონგრესმენი წელს ზემოთ შიშველია. „მე ძალიან ვნანობ მომხდარის გამო, ამ ქმედებით ზიანი მივაყენე ჩემს ოჯახს, კოლეგებს და ამომრჩევლებს. მე დავუშვი შეცდომა და პირობას ვდებ, ამიერიდან ისე ვიმუშავებ, რომ ყოველი თქვენთაგანისგან პატიება დავიმსახურო“, — განაცხადა 46 წლის რესპუბლიკელმა ლიმ.

## ცვლილებები სამხედრო სტრატეგიაში

**აშშ-ში სამხედრო სტრატეგიის შესახებ ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს დოკუმენტში ბოლო 7 წლის განმავლობაში პირველად ცვლილებები და დამატებები შეიტანეს.** განახლებული სტრატეგიის თანახმად, აშშ ბირთვული შეიარაღების შემცირებასა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის სრულყოფაზეა ორიენტირებული. ახალი დოკუმენტის მიხედვით, ქვეყანა მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად ბირთვული იარაღის გარეშე იბრძოლებს, თუმცა იქვე ხაზგასმულია გარკვეული პირობაც: ვიდრე ბირთვული შეიარაღება არსებობს, თავდასხმის შესაჩერებლად აშშ-ის ბირთვული ძალებიც იარსებებს. ვაშინგტონი ბირთვული შეიარაღების შემცირების პირობასაც დებს. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა კი უფრო მეტად გაძლიერდება.

## მერკელი დაკითხეს

**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბუნდესტაგის კომისიას, რომელიც სპეციალურად ავღანეთის 2009 წლის 4 სექტემბრის ავიადარტყმის გარემოებათა გამოსაძიებლად შეიქმნა, ჩვენება მისცა. აღნიშნულ ოპერაციას ათობით მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა.** ავიადარტყმა, რომლის მიზანიც თალიბების მიერ გატაცებული ორი ბენზინმზიდი იყო, ნატოს ავიაციამ გერმანელი პოლკოვნიკის გეორგ კლაინის ბრძანების შესაბამისად განახორციელა. დაკითხვაზე ანგელა მერკელმა უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ავიადარტყმის შემდეგ იგი მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის დამალვას ცდილობდა. კანცლერი აცხადებს, რომ მან 5 სექტემბერს იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრს ფრანც-იოზეფ იუნგს მიმართა თხოვნით, კიდევ ერთხელ გადაემოწმებინა, თუ ვინ შეეწირა ავიადარტყმას. იუნგმა კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ დახოცილები ავღანელი ბოევიკები იყვნენ.

საქართველო



# «ლენდ კრუიზერი» გაგუბერნატორებული შიკრიკისთვის

**ორი წლის წინათ, როცა კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი პარლამენტში გადაამისამართეს, მისი პოსტი თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა დაიკავა. მანამდე ცოტა ხნით იგი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოშიც გახლდათ. გიორგი ღვინიაშვილმა ქალაქის პროკურორის თანამდებობაზე ვალერი გრიგალაშვილი შეცვალა და მის ფონზე იმდენად კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, რომ, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ, როცა რეგიონებში მაჟორიტარი დეპუტატების ნაკლები გაყალბებით გაყვანა სურდა, ღვინიაშვილის გადეპუტატება გადაწყვიტა. სანამ გიორგი ღვინიაშვილი კარიერულ აღმასვლას დაიწყებდა ს/გ „საქაგრომშენში" მე-4 თანრიგის შემკეთებელი გახლდათ, შემდეგ — საქართველოს სსრ პროკურატურის კანცელარიის ინსპექტორი, კანცელარიის შიკრიკი, საბურთალოს რაიონის საზ. კვების ტრესტის მუშა. ამის შემდეგ ღვინიაშვილი კვლავ პროკურატურას დაუბრუნდა, იგი გენერალური პროკურორის მოადგილის ტექნიკური თანაშემწე გახდა და მისი კარიერული წინსვლაც პროკურატურაში დაიწყო.**

2004 წელს გენერალური პროკურატურის იუსტიციის, უშიშროების სამინისტროებსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის, ამჟამად კი კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულ გიორგი ღვინიაშვილის ქონება ასე გამოიყურებოდა: **ბინა თბილისში, მამამისის — ილია ღვინიაშვილის სახელზე, — 50 000 ლარის ღირებულების; საცხოვრებელი სახლი გურჯაანში, სოფელ ჩალაუბანში — 20 000 ლარის ღირებულების; მსუბუქი ავტომანქანა — 3000 ლარის ღირებულების; ნაღდი ფული — 18 000 დოლარი მამამისის სახელზე; ხოლო თავად გიორგი ღვინიაშვილს — 3 500 დოლარი; ასევე, ილია ღვინიაშვილის სახელზე მიწის ნაკვეთი, რომელზეც 1996 წელს 10-წლიანი ვადით 8 000 ლარად გურჯაანის რაიონის სოფ. ჩალაუბანში იჯარა გაუკეთებია.**

2005 წელს იგი დეკლარაციაში უთითებს საცხოვრებელ სახლს მიწის ნაკვეთით გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში, შეფასებულს 25 000 ლარად. **ბინას თბილისში, საირმის ქუჩაზე — 80 000 ლარად (მამამისის სახელზე), ასევე დეკლარაციაში ჩნდება ავტოფარეხი თბილისში, საირმის ქუჩაზე, ღირებულებით 8000 ლარი, აღნიშნული ნამატი მამამისის სახელზეა და, ასევე, მამის სახელზეა 7000 ლარად შეფასებული მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ 21 21".** შვილებს — მარიამსა და ილიას, საბავშვო ანაბარზე „თიბისი ბანკში" გიორგი ღვინიაშვილი 500-500 დოლარს ურიცხავს. **ამავე დეკლარაციაში უთითებს ნაღდ ფულს, მამამისის, ილია ღვინიაშვილის სახელზე 19 000 დოლარსა და 5 000 ლარს, ხოლო თავად გიორგი ღვინიაშვილს 2005 წელს უკვე 11 000 დოლარი აქვს. ხელფასის სახით, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსად მუშაობისას, 525 ლარი აუღია, გრანტის სახით — 1 770, სამივლინებო კი — 371.** გენერალური პროკურატურის იუსტიციის, უშიშროების სამინისტროებში და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსობისას ხელფასის სახით — 678 ლარი, გრანტი — 1 464 ლარი; ამავე წელს პროკურატურაში დეპარტამენტის უფროსად გადაუყვანიათ, სადაც ხელფასის სახით 960 ლარი, გრანტის სახით — 1 800, პრემია კი 3 150 ლარი აუღია. ამავე წელს დაინიშნა იგი ქალაქის პროკურატურაში, სადაც ხელფასის სახით — 1 450 ლარი, გრანტის სახით კი 6 400 ლარი აიღო. 2006 წლის დეკლარაციაში ღვინიაშვილი უთითებს საცხოვრებელ სახლს მიწის ნაკვეთით გურჯაანის რაიონ სოფელ ჩალაუბანში — 25 000. ბინას თბილისში, კვლავ საირმის ქუჩაზე და კვლავ მამამისის სახელზე — 80 000 ლარი. ავტოფარეხს საირმის ქუჩაზე — 8 000 ლარად. მსუბუქ ავტომობილს მამის სახელზე — „ვაზ 21 21", 7 000 ლარის ღირებულების, **ხოლო საკუთარ სახელზე 22 000-ლარიან ავტომანქანა „აუდი ა 8"-ს.** კვლავ 500-500 დოლარი უდევს ბავშვების ანაბრებზე. ცვლილებებია ნაღდი ფულის გრაფაში: მამამისს 20 000 დოლარი აქვს, თავად კი — 18 000 დოლარი. 2005 წლის დეკემბრიდან 2006 წლის დეკემბრამდე „საქართველოს ბანკში" 6 800 ლარის უცხოური წარმოების ავეჯის განვადება გაუკეთებია. ხოლო ავტომანქანა „აუდი ა-8" 1997 წ.გ. 15 000 დოლარად შეუძენია. **ამ წლის დეკლარაციაში ღვინიაშვილის სახელფასო ანგარიშზე**



## 95 899 ლარი — სახელფასო ანგარიშზე, 54 000 ლარი — გრანტისა და პრემიის სახით, 52 280 ლარი — დახმარება და «გასაკეთებელი კიდევ ბევრია»

**ჩნდება თანხა 95 899 ლარი, ხოლო შვილების ანაბარზე ცვლილება არ არის. გიორგი ღვინიაშვილს ხელფასის სახით მიღებული აქვს 13 179 ლარი, პრემიის სახით — 11 000 ლარი, გრანტის სახით — 19 440 ლარი, ქალაქის პროკურორს ასევე მიუღია დახმარება — 52 280 ლარი. საინტერესოა, რაში დასჭირდა ამხელა თანხის დახმარება ღვინიაშვილს, ასეთი შემოსავლების მქონესა და 15 000-იანი „აუდის" მყიდველს და თანაც მაშინ, როცა ხელისუფლება სოციალურად დაუცველებს გადაუდებელ ოპერაციებზეც კი ეუბნება უარს.** ავსტრიაში მივლინებისთვის ღვინიაშვილს ამავე წელს მიუღია სამივლინებო თანხა 400 დოლარის ოდენობით.

2007 წლის დეკლარაციაში, ქონების თვალსაზრისით, ცვლილებებია. მასში აღარ არის დაფიქსირებული ღვინიაშვილის ავტომანქანა. სახელფასო ანგარიშიდან ქრება 95 899 ლარი. პროკურორი მზარდ ანაბარს ხსნის 300 ევროთი. ნაღდი ფულის სახით მამამისის სახელზე 15 000 დოლარი ფიქსირდება, თავად კი 25 000 დოლარს და 10 000 ლარს უთითებს. გასულ წელს 15 000 დოლარად ნაყიდი „აუდი" 12 000 დოლარად გაუსხვისებია. ხელფასის სახით ღვინიაშვილს 25 902 ლარი, ხოლო პრემიის სახით 42 000 ლარი აუღია. უძრავ ქონებაში 2008 წლის დეკლარაციაში ცვლილებები არ არის. მიმდინარე სახელფასო ანგარიშზე ღვინიაშვილს 1000 ლარი აქვს, ხოლო წინა წელს შეტანილი 300 ევრო უკვე 3 000-ს შეადგენს. ნაღდი ფული მამამისს 15 000 დოლარი აქვს, ხოლო თავად 30 000 დოლარი და 5 000 ლარი.

**ამავე დეკლარაციის სხვა გრაფაში სახელფასო ანგარიშზე არსებულ 86 240 ლარს უთითებს. ხელფასის სახით მას 27 000 ლარი აქვს მიღებული, ხოლო პრემია — ხელფასზე ორჯერ მეტი, 71 000 ლარი.**

2009 წელს, უკვე კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული გიორგი ღვინიაშვილი დეკლარაციას ცვლის. იგი უძრავ ქონებაში მხოლოდ საცხოვრებელ სახლს უთითებს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში (სახლი 150 კვ.მ. ხოლო მიწა 1500 კვ.მ.) და 120 კვ.მ. ფართის საცხოვრებელ სახლს, მამამისის სახელზე თბილისში, საირმის ქუჩაზე. მისი დეკლარაციიდან ქრება ავტოფარეხი ამავე ქუჩაზე და მამამისის ავტომანქანა. სახელფასო ბარათზე ღვინიაშვილს 2 500 ლარი აქვს, ხოლო შვილებს, ილიასა და მარიამს 1020-1020 დოლარიანი საბავშვო ანაბარი. გიორგი ღვინიაშვილს აქვს ნაღდი ფული — 40 000 დოლარი, ხოლო მამამისს — 15 000 დოლარი. როგორც აღვნიშნეთ, ამ წელს ღვინიაშვილმა სამსახური შეიცვალა, იგი ქალაქის პროკურორობიდან ჯერ საკანონმდებლო ორგანოში, ხოლო შემდეგ კახეთში, პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობაზე ინაცვლებს. საქართველოს პროკურატურაში მას ხელფასის სახით მიუღია 33 735 ლარი, პარლამენტში — 12 521, ხოლო გუბერნატორის პოსტზე — 14 356 ლარი.

გიორგი ღვინიაშვილი რომ ხელისუფლების კურსს კარგად აგრძელებს, მისი თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობაშიც გამოიხატება. მეტიც, იგი პირდაპირ იმეორებს ხელისუფლების გავლენიანი პირების საქციელს.

**ცოტა ხნის წინათ „საქართველო და მსოფლიო" წერდა, რომ, როცა ხელისუფლება საწვავის ხარჯვის შემცირებისა და საბიუჯეტო სახსრების ავტომობილებში დაზოგვაზე ალაპარაკდა, მეტიც, როცა თბილისისა და რუსთავის მერებმა ავტომანქანები აუქციონზე გაიტანეს, გიგი უგულავასთვის თბილისის მერიამ 50 000-დოლარიანი მანქანის შესაძენად ტენდერი გამოაცხადა.**

„ახალი მემარჯვენეების" თელავის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ნიკა ვარდოშვილის განცხადებით, კახეთის გუბერნატორმა 50 000 დოლარის ღირებულების ავტომანქანა „ტოიოტა პრადო" იყიდა. მისივე განცხადებით, გუბერნატორი ძალიან დიდი რაოდენობის საწვავს მოიხმარს.

**სოფო გელაშვილი**

მსოფლიო

## თვითმკვლელის მოტივი ცნობილია

**თვითმკვლელი ტერორისტი მუჰამედ ევლოევი, რომელმაც 24 იანვარს რუსეთის დედაქალაქის აეროპორტ დომოდედოვოში ტერაქტი განახორციელა, მოსკოვში მეგობარმა, ძმამ და დამ — სპეცსამსახურების მიერ მოკლული ბოევიკის ქვრივმა გააცილეს.** როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ევლოევის ტყეში წასვლა და მისი თვითმკვლელად ქცევა სპეცსამსახურების მიერ სოფელ ალი-იურტაში ჩატარებულ იმ წმენდას უკავშირდება, რომლის შედეგადაც მისი ნათესავები დაიღუპნენ. უკანასკნელ წვეთად კი გასული წლის აგვისტოში ფედერალების მიერ მისი დის ქმრის მკვლელობა იქცა. ტერაქტამდე 20 წლის მუჰამედ ევლოევი მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და ნათესავებისაგან ასაფეთქებელი მოწყობილობა მიიღო. დნმ-ის ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ დომოდედოვოს ტერაქტი ნამდვილად მუჰამედ ევლოევმა განახორციელა.

## იაპონიამ მოინანია

**მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მკაცრი განცხადებები გააკეთეს კურილიის კუნძულების კუთვნილებასთან დაკავშირებით, ტოკიომ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა რუსეთის იმ განზრახვასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც კურილიის კუნძულებზე ორი ვერტმფრენმზიდი მისტრალი უნდა გაიგზავნოს.** გუშინ ცნობილი გახდა, რომ ამ საბრძოლო გემებს წყნარი ოკეანის ფლოტს გადასცემენ შეიარაღებაში. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სეიძი მაეხარიმ ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე კურილიის კუნძულებს უწოდა იაპონიის მიწა, რომელიც საერთაშორისო სამართლის დარღვევით რუსეთის შემადგენლობაშია. იაპონიის პრესა კი ამ ყველაფრის პარალელურად წერს, რომ ახლა იაპონიას რუსეთზე ზეწოლის რაიმე ბერკეტი არ გააჩნია.

## ევროკომისიის წევრებს ეკრძალებათ

**ახალი „მმართველობის კოდექსის" თანახმად, ევროკომისიის წევრებს ეკრძალებათ ოლიგარქების კუთვნილ იახტებზე დასვენება და მათი თვითმფრინავებით ფრენა.**

როგორც რუსული მედია წერს, 2005 წელს ევროკავშირის აღმასრულებელი ხელისუფლების თავმჯდომარეს ჟოზე მანუელ ბაროზუს ევროპარლამენტის წინაშე თავის მართლება მოუხდა იმის გამო, რომ მეუღლესთან ერთად ბერძენი მილიარდერის — სპიროს სატსის კუთვნილ იახტაზე დაისვენა. ინტერესთა კონფლიქტში ეჭვმიტანილი იყო ყოფილი ევროკომისარი ვაჭრობის საკითხებში პიტერ მანდელსონიც, რომელმაც 2008 წელს შვებულება რუსი მილიარდერის — ოლეგ დერიპასკას კუთვნილ იახტაზე გაატარა.

## ნაზარბაევი კვლავ პრეზიდენტობას აპირებს

**ნურსულთან ნაზარბაევი ყაზახეთის პრეზიდენტის პოსტზე ისევ იყრის კენჭს. მმართველი პარტიის „ნურ ოტან"-ის ყრილობაზე, რომელიც ასტანაში გაიმართა, მოქმედმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხალხის ნებას შეასრულებს, ვიდრე ამისთვის ძალა და ენერგია ეყოფა.** ამგვარად, მან თანხმობა განაცხადა ყრილობის წინადადებაზე, რომლის მიხედვითაც პარტიის კანდიდატურა ნაზარბაევია. ყაზახეთის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 3 აპრილისთვის არის დანიშნული. „პრეზიდენტის პოსტზე ჩემი კანდიდატურის დასახელება, ჩემი ხელმძღვანელობით გატარებული კურსის მხარდაჭერად მიმაჩნია. ხალხის ნებას შევასრულებ, ვიდრე ამისთვის ძალა და ენერგია მეყოფა", — განაცხადა ნაზარბაევმა, რომელსაც მალე 70 წელი შეუსრულდება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



## გამოსაშვები გამოცდებისთვის რეგისტრაცია 14 თებერვალს დაიწყო

**სკოლებში გამოსაშვები გამოცდებისთვის, მოსწავლეთა რეგისტრაცია 14 თებერვალს დაიწყო და 25 მარტამდე გაგრძელდება.**

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მოსწავლეები რეგისტრაციას საკუთარ სკოლებში ელექტრონული ფორმით გაივლიან, ექსტერნებმა კი ამავე ფორმით რეგისტრაცია საგანმანათლებლო რესურსცენტრებში უნდა გაიარონ.

„რეგისტრაციისას მათ თავიანთი სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, გამოცდის ჩაბარების ენა და ის უცხო ენა უნდა მიუთითონ, რომელსაც სკოლაში სწავლობდნენ და რომლის ჩაბარების სურვილიც აქვთ მისაღებ გამოცდებზე," — აღნიშნეს გამოცდების ეროვნულ ცენტრში. ცენტრის ინფორმაციით, რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მონაცემებში ცვლილებების შეტანა აღარ მოხდება. მოსწავლე და ექსტერნი მოსაწვევს მიიღებს, სადაც მითითებული იქნება გამოცდებზე გამოცხადების დრო და ადგილი.



## თურქული მხარე აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის შესახებ პირველ კომენტარს აკეთებს

**„ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართული ტაძრების რეაბილიტაციისა და საქართველოში თურქული სამლოცველოების, მათ შორის აზიზიეს მეჩეთის აღდგენის, შესახებ გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილისა და რეჯებ-ტაიბ ერდოღანის შეხვედრისას იქნა მიღებული," – ეს განცხადება ბათუმში სტუმრად მყოფმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა.**

ახმედ დავუთოღლუმ დასძინა, რომ თურქეთი საქართველოში მუსლიმანური დანიშნულების სამლოცველოების რეაბილიტაციისთვის მზად არის და, ასევე, ქართულ მხარესთან ერთად იზიარებს თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების აღდგენის პასუხისმგებლობას.

ოფიციალური პირების პირისპირ შეხვედრისას საუბარი, ასევე, მარადიდი-მაჭახელას გზის რეაბილიტაციას, რეგიონში არსებულ ბიზნეს გარემოს, ინვესტიციების მოზიდვას და ერთობლივ სამომავლო პროექტებს შეეხო.

## მარტში პური კიდევ გაძვირდება



**„საქართველოს მეხორბლეთა ასოციაცია" მარტში პურის გაძვირების მორიგ ტალღას პროგნოზირებს.**

როგორც „მეხორბლეთა ასოციაციის" თავმჯდომარე დავით გალიგაშვილი აცხადებს, თებერვლის განმავლობაში ფქვილზე ფასი არ მოიმატებს.

„თებერვალში ერთი ტომარა ფქვილის ფასი, დაახლოებით, 2 ლარით გაიზარდა, ამიტომ მიმდინარე თვეში მისი კიდევ გაძვირება მოსალოდნელი არაა, თუმცა მარტიდან ფქვილის გაძვირების ახალი ტალღაა მოსალოდნელი, რაც, შესაბამისად, პურის ფასზეც აისახება", — აცხადებს გალიგაშვილი და აღნიშნავს, რომ ფქვილის გაძვირების ტენდენცია აპრილშიც გაგრძელდება.

ცნობისთვის, დღეს 50 კგ-იანი ტომარა ფქვილის ფასი — 50-52 ლარის, პურის ფასი კი 65-80 თეთრის ფარგლებში მერყეობს.

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტერვიუ ტელეკომპანია "ბი-ბი-სი"-ს ეთერში



**„მე მალე ჩავალ აფხაზეთში, როგორც ეპარქიის ხელმძღვანელი," — ამის შესახებ საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ ბი-ბი-სი-ს რუსული რედაქციისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

„ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება აფხაზეთზეც და ცხინვალზეც. ამას ცნობს რუსული ეკლესიაც. 11 წელი ვიყავი მიტროპოლიტი სოხუმისა და აფხაზეთის, ამიტომ ეს ჩემთვის ახლობელი ეპარქიაა. მე კარგად ვიცნობ აფხაზ ხალხს," — აღნიშნა პატრიარქმა.

საქართველოს პატრიარქმა 2008 წლის ომის შემდეგ გორში ჩასვლის შესახებაც ისაუბრა.

გარდა ამისა, ილია მეორემ ისაუბრა დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ მეორესთან შეხვედრაზეც.

„რთულია იყო დიდი ქვეყნის მეზობელი" — ეს სიტყვები უთხრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს დიდი ბრიტანეთის დედოფალმა, ელისაბედ მეორემ.

„ეს იყო ძალიან თბილი შეხვედრა. მან მითხრა, რომ რთულია, იყო დიდი ქვეყნის მეზობელი. საქართველო უდიდეს პატივს სცემს მის უდიდებულესობას, დიდი ბრიტანეთის დედოფალს", — აღნიშნა ილია მეორემ.

პატრიარქი თქმით, ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა პატარა ქვეყნებმა შეინარჩუნონ თვითმყოფადობა, კულტურა და დიდმა სახელმწიფოებმა პატარა ქვეყნების კულტურა არ გადაყლაპონ.

ინტერვიუ დიდ ბრიტანეთში მყოფ პატრიარქთან ჟურნალისტმა ირაკლი იმნაიშვილმა ჩაწერა. მან მადლობა გადაუხადა პატრიარქს, რომ რუსულ ენაზე ინტერვიუს დათანხმდა. პატრიარქმა ეს იმით ახსნა, რომ ქართულ ენაზე „ბი-ბი-სი" არ მაუწყებლობს.

## მერიის მაღალჩინოსნებზე პრემიის სახით 620 ათას 654 ლარი გაიცა



**თბილისის მერზე, ვიცე-მერზე, მერის მოადგილეებზე, ადმინისტრაციის უფროსზე, მის მოადგილეებსა და საქალაქო სამსახურების უფროსებზე 2009 წელს პრემიის სახით სულ 620 654 ლარი გაიცა. ამის შესახებ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის" თბილისის მერიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.**

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია მერიისგან საჯარო ინფორმაციას ითხოვდა მერის, ვიცე მერის, მერის მოადგილეების, ადმინისტრაციის უფროსისა და უფროსის მოადგილეებზე, საქალაქო სამსახურის უფროსებზე 2009-2010 წლებში გაცემული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ. მერიის მიერ გაცემული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მერიის მაღალი თანამდებობის პირებზე 2010 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე პრემიის სახით 578 ათას 443 ლარი გაიცა. აღნიშნული პირების სამივლინებო ხარჯებზე თბილისის ბიუჯეტიდან სულ 220 ათას 58 ლარი დაიხარჯა, ხოლო 2010 წელს — 80 ათას 562 ლარი. 2009 წელს თბილისის მერიის თანამშრომლებზე ხელფასის სახით 8 მილიონ 873 ათას 923 ლარი გაიცა, ხოლო 2010 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე – 8 მილიონ 4 ათას 625 ლარი. დედაქალაქის მერიიდან გაცემულ ოფიციალურ ინფორმაციას ხელს აწერს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ოთარ ტატალაშვილი.

## ახალი ინვესტიციები ტყიბულის მაღაროების უსაფრთხოებისთვის



**ტყიბულის მაღაროების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ახალ ინვესტიციებს მოიზიდავს.**

როგორც „საქინფორმის" კორესპონდენტს კომპანია "საქნახშირის" პრეს–სამსახურში აცნობეს, უსაფრთხოების თანამედროვე ტექნოლოგიებს ამერიკული კორპორაცია „კოვალენტ ენერჯი" დანერგავს.

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ამ პროექტის დასაფინანსებლად მოლაპარაკებებს კომპანია „ოპიკთან" აწარმოებს.

25-მილიონიანი პროექტი, რომლის მიზანი ქვანახშირის მოპოვებისას გამოყოფილი მეთანის გაუვნებელყოფა იქნება, ივლისიდან განხორციელდება და რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების თანამშრომლებმა თებერვლის დასაწყისში გაფიცვა მოაწყვეს სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. ბოლო ერთი წლის მანძილზე ტყიბულის მაღაროებში სამი აფეთქება მოხდა, რომელსაც ცხრა მაღაროელი ემსხვერპლა, ხოლო ათი – დაშავდა.

მაშინ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მიესალმა მაღაროელებსა და „საქნახშირს" შორის მიღწეულ შეთანხმებას და განაცხადა, რომ ის მოიცავს ყველა იმ ძირითად ასპექტს, რის გამოც მაღაროელებმა გაფიცვა გამოაცხადეს, მათ შორისაა შრომის უსაფრთხოებაც.

## შავი სია არ გაუქმებულა

**ურთიერთშეთანხმების მემორანდუმზე, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკს, ,,კრედიტინფო საქართველოსა" და კომერციულ ბანკებს შორის გაფორმდა, ტელევიზიით არაერთხელ ისაუბრეს. მემორანდუმის თანახმად, ბანკების ე.წ შავი სიები უნდა გაუქმებულიყო.**

„მოხარული ვარ, რომ რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, ეროვნული ბანკი, საბანკო სექტორი და კრედიტინფო მივედით საერთო გადაწყვეტილებამდე. პრინციპულად იცვლება მიდგომა კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციისადმი. აღარ იარსებებს ცალკე ე.წ. შავი სიები. მომხმარებელთა უფლებების დაცვა ჩვენი უახლოესი პერიოდის მთავარი პრიორიტეტია. ამ ამოცანის შესასრულებლად, ეროვნული ბანკი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას იწყებს. დღევანდელი მემორანდუმი პირველი დიდი ნაბიჯია ამ მიმართულებით", — აცხადებდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძე იმ დროისთვის.

მისივე თქმით, მსესხებლის შესახებ უნდა ყოფილიყო ერთი საკრედიტო ისტორია, რომელშიც ერთიანად აისახებოდა მსესხებლის მიერ შესრულებული ან ვერშესრულებული ვალდებულებები. მსესხებლის საკრედიტო ისტორია




უნდა შენახულიყო 7 წლის განმავლობაში.

კომერციული ბანკები შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ ,,კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია აღარ იქნებოდა მსესხებლისთვის სესხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა „ტაოპრივატ ბანკში" სულ სხვა რამეს ამბობენ.

„ტაოპრივატ ბანკის" საინფორმაციო განყოფილების ოპერატორი:

— შავი სია არ გაუქმებულა და შესაბამისად „კრედიტინფოს" სიაში არსებულ არც ერთ კლიენტზე არანაირი სახის სესხი არ გაიცემა.

— არც მათზე, ვისაც სესხი დაფარული აქვს?

— არა, ვიდრე არ გავა ის ვადა, რომელსაც შავი სია ითვალისწინებს.

— მაშინ რისთვის გაფორმდა მემორანდუმი „კრედიტინფოსა" და ეროვნულ ბანკს შორის?

— უბრალოდ, 7 წლის ნაცვლად „გაშავებული" კლიენტი ბანკთან 5 წლის განმავლობაში ვერ ითანამშრომლებს...

## ახმეტაში საბავშვო ბაღის აღმზრდელები მოატყუეს

**მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს" ახმეტის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის განცხადებით, ახმეტაში 34 საბავშვო ბაღის 500-მდე აღმზრდელი მოატყუეს.**

როგორც „საქინფორმს" მოძრაობის წარმომადგენელმა ოთარ კვირიკაშვილმა განუცხადა, გასული წლის 28 დეკემბერს მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღის აღმზრდელს ხელშეკრულება შეუჩერეს, იმ მიზეზით, რომ ბაღებში რეორგანიზაცია უნდა განხორციელებულიყო, რეალურად კი მხოლოდ ბაღების ცენტრის დირექტორის შტატი დაამატეს.

„რეორგანიზაციის გამოცხადების შემდეგ ხელშეკრულება 500-მდე აღმზრდელს შეუწყდა და შესაბამისად, ხელფასები აღარ მისცეს. ახლა კი ახალი ხელშეკრულებები გაუფორმეს, რომელსაც პირადი ნომერი არ გააჩნია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივად ხელშეკრულებას არანაირი ძალა არ აქვს", — განაცხადა ოპოზიციონერმა ოთარ კვირიკაშვილმა. მან შესაბამის ორგანოებს ფაქტით დაინტერესება და აღმზრდელების უფლებების დაცვაც სთხოვა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელის კობა მაისურაძის განმარტებით, სამი ბაღის გაერთიანება მოხდა. საკრებულოს გადაწყვეტილებით განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შემდეგაც გაუქმდა ბაღების გაერთიანება და შეიქმნა ბაღების ცენტრი. სწორედ ამ მიზეზით აღმზრდელები გათავისუფლდნენ და თანამდებობებზე თავიდან დაინიშნენ, რომლებსაც ხელფასებიც აუნაზღაურდათ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ონკოლოგიური საავადმყოფოს ყოფილმა ექთანმა პატიმრობაში თვითმკვლელობა სცადა

**ონკოლოგიური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ყოფილმა ექთანმა, პატიმრობაში მყოფმა ხუროშვილმა თვითმკვლელობა სცადა.**



როგორც საქინფორმისთვის გახდა ცნობილი, ხუროშვილმა საკანში თავდაპირველად ჯერ ვენები გადაიჭრა, შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შემდეგ კი — თავის ჩამოხრჩობა სცადა; თუმცა საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლებმა მისი გადარჩენა ამჯერადაც შეძლეს.

ცნობისთვის, ხუროშვილი შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით იანვარში დააკავეს.

ოფიციალური ინფორმაციით, ხუროშვილს პაციენტებისთვის განკუთვნილი ნარკოტიკული საშუალებები რეანიმაციის განყოფილებიდან უკანონოდ გაჰქონდა და შემდეგ რეალიზაციას უწევდა.

## ლეიბორისტებმა სააკაშვილს ქართული ბიზნესის მონოპოლისტის ტიტული მიანიჭეს

**ლეიბორისტები ქართული ბიზნესის მონოპოლისტად ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ასახელებენ.**




როგორც პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა, მიხეილ სააკაშვილმა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ყველა ძირითადი ბიზნესსექტორი ხელში ჩაიგდო და სრულ მონოპოლისტად გადაიქცა.

გიორგი გუგავამ ამ ბიზნესების ჩამონათვალიც წარადგინა, რომელთა შორისაა ნავთობკომპანიები „ვისოლი“ და „სოკარ ენერჯი ჯორჯია“, სადაზღვევო კომპანია „ირაო“, სააქციო საზოგადოება „მადნეული“, თბილისისა და ბათუმის აეროპორტები, კომპანია „ბილაინი“, თხილის ბიზნესი, ხეტყის ბიზნესი, უნივერსიტეტი „საქართველო“ და „ლიბერთი ბანკი“ და იქვე დასძინა, რომ ეს მიხეილ სააკაშვილის ოჯახური ბიზნესების არასრული ჩამონათვალია, რომელთა მეშვეობითაც პრეზიდენტის ქონება 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს.

## ენერგო დახმარების მიუღებელი პრინციპი

**საქართველოს ხელისუფლებამ 10 თებერვლიდან ქვეყნის მასშტაბით ენერგოვაუჩერების დარიგება დაიწყო, რაც მოსახლეობისთვის 20 ლარის შეღავათს ითვალისწინებს. დახმარება ერთჯერადია და, როგორც თავიდან განაცხადეს, იგი საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა დარიგებოდა. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნულ შეღავათს მხოლოდ ეგრეთ წოდებული აქტიური აბონენტები მიიღებენ, ანუ ამ დახმარების ღირსი მხოლოდ ის ოჯახები გახდებიან, რომლებმაც ბოლო 6 თვის განმავლობაში არანაკლებ 200 კილოვატი ელექტროენერგია მოიხმარეს.**

ამ დახმარების ლოგიკა თავად განსაჯეთ, ანუ ეხმარებიან ადამიანებს, რომლებიც მეტ ელექტრო ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე ოჯახები, რომლებიც, უსახსრობის გამო, ეკონომიას საკუთარ თავსა და ოჯახის წევრებზე აკეთებენ და თავს უფლებას არ აძლევენ, რომ ელექტროენერგია არაეკონომიურად მოიხმარონ.

საქინფორმს თბილისში მცხოვრები ქალბატონი დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ იგი ყველა იმ პირობას აკმაყოფილებს, რომელიც ხელისუფლებამ დახმარების გაწევის მიზნით დაადგინა, თუმცა მას სოცაგენტმა ვაუჩერი მაინც არ მიუტანა:

„რა თქმა უნდა, გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ ხელისუფლება, როგორც იქნა, რამეში დახმარებას გვიწევდა ქართველებს და უკვე დაანგარიშებულიც მქონდა, რამდენის გადახდა მომიწევდა თებერვლის თვეში. საშუალოდ ჩემი ოჯახი ელექტროენერგიისთვის ყოველთვიურად 45-50 ლარს ვიხდით და, შესაბამისად, ამ თვეში ვიცოდი, რომ მხოლოდ 30 ლარის გადახდა მომიწევდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. სოცაგენტმა, რომელმაც ჩემს მეზობელს მიუტანა ვაუჩერი, მე განმიცხადა, რომ ამ სიაში ვერ მოვხვდი. შემდეგ გადავიანგარიშე და ვიფიქრე, რომ, ალბათ, 200 კილოვატს არ ვაწერინებთ ეკონომიის გამო-თქო, მაგრამ 200 კილოვატი მხოლოდ 32 ლარია, რადგან კილოვატი „თელასის“ დადგენილი ტარიფით 16 თეთრი ღირს, მე კი ყოველ თვე, როგორც უკვე გითხარით, 50 ლარს ვიხდი. სად ვი-



ჩივლო ან რა აზრი აქვს? მაინც ყველაფერი ისე დარჩება, როგორც მათ აწყობთ. მე აქტიური აბონენტების სისტემაც არ მესმის. დახმარება იმას უნდა გაუწიო, ვინც ცოტას ხარჯავს, ესე იგი უჭირს და თავს ამ „ფუფუნების“ უფლებას არ აძლევს. აბა, ვისაც ბევრი ფული აქვს, იმას მათი 20-ლარიანი ვაუჩერიც არაფერში სჭირდება“.

## მობილური კავშირის რომელი კომპანიები დაკარგავენ აბონენტებს

**15 თებერვლიდან ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე ნომრის პორტაბელურობის სისტემა ინერგება. შეგახსენებთ: აღნიშნული სისტემის შედეგად, „მაგთის“, „ბილაინისა“ და „ჯეოსელის“ აბონენტი ნომრის შეცვლის გარეშე გახდება იმ ოპერატორის მომხმარებელი, რომელსაც თავად აირჩევს.**



კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში აცხადებენ, რომ ეს თანამედროვე ტექნოლოგიაა, რომელსაც განვითარებული ქვეყნები, დიდი ხანია, იყენებენ. ეს პროცესი ევროპაში 2003-2004 წლებიდან დაიწყო.

კომისიის ინფორმაციით, 16 თებერვლიდან ყველა მომხმარებელი შეძლებს, ნებისმიერ სერვის ცენტრში მივიდეს პირადობის მოწმობით, დაწეროს განცხადება, რომ ერთი ოპერატორიდან მეორეზე გადასვლა სურს საკუთარი ნომრით.

კომისიის შეფასებით, ეს სისტემა ხელს შეუწყობს კონკურენციას, ოპერატორები უფრო მოქნილები გახდებიან და მომხმარებელს სხვადასხვა სატარიფო გეგმას შესთავაზებენ.

თავად კომპანიებიც არ მალავენ, რომ ახალი სისტემის ამოქმედების შემდეგ კონკურენცია გამძაფრდება.

## რას ეძებს ხალხი ნაგავში

**ვის არ შესცოდებია ნაგავში ჩაყუდებული მოხუცი, ქილების, ბოთლებისა თუ საჭმლის ნარჩენების პოვნის იმედით რომ იქექება. საქინფორმმა ერთ ასეთ მოხუცს სწორედ ნაგვის ურნასთან მიაგნო. სხვათა შორის ეს ქალბატონი ხშირად შეგხვდებათ ვარკეთილის მეტროსთან, სადაც ბინას 130 ლარად ქირაობს, საარსებო მინიმუმის შოვნას კი ვაგზლის მოედანზე სიმღერით ახერხებს.**



— ვაგზლის მოედანზე ვმუშაობ, ფანდურზე ვუკრავ და ვმღერი, კეთილი ხალხი მეხმარება, თუმცა, რაც მეტროთი მგზავრობა გაძვირდა, ჩემმა შემოსავალმაც საგრძნობლად იკლო, ამიტომ ახლა ბოთლებს ვეძებ, ჩავაბარებ და პურს მაინც ვიყიდი.

ჯიხურში, სადაც გაჭირვებული ხალხი ბოთლებს აბარებს, გვითხრეს, რომ პლასტმასის სამ ბოთლში ერთ თეთრს უხდიან, ხოლო ერთ ლუდის ბოთლში – 7 თეთრს. ჯიხურის მეპატრონის თქმით, ბოთლების ჩამბარებელნი ერთ ჩაბარებაზე 5-6 ლარს იღებენ. თავად რამდენად აბარებენ გაჭირვებული ხალხისგან ნაყიდ ბოთლებს, ამაზე საუბარი არ სურთ, თუმცა არ მალავენ, რომ რაც უფრო მატულობს ფასი პროდუქტზე, ნაკლებად იყრება ურნებში ნაგავი. შესაბამისად, ბოთლებსაც ნაკლებად აბარებენ ჯიხურში.



## 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერის დარიგება ინფლაციის გაღრმავების რისკს ზრდის

**ეკონომიკის ექსპერტ შოთა მურღულიას განცხადებით, უკეთესი იქნებოდა, მთავრობას 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერი მხოლოდ იმ ადამიანებისთვის გადაეცა, ვისაც ეს მართლა სჭირდებოდა, რადგან ბაზარზე დამატებით 30 მილიონი ლარის გაშვება ინფლაციის გაღრმავების რისკს გაზრდის. მისი აზრით, ეს უფრო სოციალური დახმარებაა, ვიდრე — ანტიინფლაციური ან ეკონომიკური პროგრამა, რაც დიდ ეფექტს ვერ მოიტანს.**

შეგახსენებთ, რომ ყველა ოჯახისთვის 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერის გადაცემის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 11 თებერვალს პარლამენტის წინაშე ყოველწლიური საანგარიშო მოხსენების წარდგენისას განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, სასურსათო ვაუჩერი ფასიანი ქაღალდია, რომლის ბანკში განაღდება იქნება შესაძლებელი.

ამასთან, ვაუჩერის ყველა მფლობელს ასევე ექნება საშუალება, იგი ნებისმიერ სხვა ოჯახს დაუთმოს.

ამ ღონისძიების განსახორციელებლად მთავრობა 30 მილიონ ლარს გამოყოფს, ვაუჩერების დარიგება კი მარტიდან დაიწყება.

## „დაშლა-არმოშლის“ მოტივებზე ახალი პოლიტიკური მოძრაობა იქმნება

**რამდენიმე დღეა, ქართულ პრესაში ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომელთა გარკვეული ნაწილი „თავისუფლების ინსტიტუტის“ „გამოზრდილები“ არიან, ახალი პოლიტიკური მოძრაობა იქმნება, რომელიც ვარდების რევოლუციის დროინდელი მოძრაობის – „კმარას“ ანალოგი იქნება და ხელისუფლების „შეცვლაზე“ იმუშავებს.**




ახალი „კმარას“ შემქმნელებს შორის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე და „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრები: ლევან რამიშვილი და თეა თუთბერიძე მოიაზრებიან. თავად მოძრაობა კი იმ ახალგაზრდებით დაკომპლექტდება, რომლებიც „პატრიოტთა ბანაკებში“ ისვენებდნენ.

კულუარული ინფორმაციით, მოძრაობა ხელისუფლების მძაფრი კრიტიკით დაკავდება და 2003 წლის ნოემბრის ცნობილი მოვლენების განმეორებას შეეცდება. თუმცა მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე, პოლიტიკურ წრეებში არც იმას გამორიცხავენ, რომ ამ ყველაფერს სოციალური ბუნტის სახე მიეცეს.

ამ ინფორმაციას ის გარემოებაც ამყარებს, რომ ექსპერტები და პოლიტიკოსები სოციალურ ბუნტს, უკვე კარგა ხანია, პროგნოზირებენ.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი უკვე მსჯელობს იმაზე, რომ ახალი „კმარა“ ისევ „დაშლა-არმოშლის“ მოტივებზე იქმნება და ის ხელისუფლების გაოპოზიციონერებულ „ნაციონალებზე“ გადაბარებისთვის იბრძოლებს, მმართველი გუნდის რღვევაზე კი, უკვე დიდი ხანია, მიდის საუბარი და, როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული ოპოზიციაში გადაბარგებული ერთ–ერთი პირველი, არც მეტი, არც ნაკლები, უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ვიხილოთ. ასე რომ, არ არის გამორიცხული, 2003 წლის მსგავსად, ოპოზიციური ტრიბუნა ამჯერადაც ხელისუფლებაში მეორედ მოსვლისთვის და ძალაუფლების კიდევ უფრო გასამყარებლად იქნას გამოყენებული.

ინფორმაციის გადასამოწმებლად საქინფორმი „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრ თეა თუთბერიძეს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ „კმარას“ სხვა ადამიანები ვერ შექმნიან და ამ ჭორებს საფუძველი არ აქვს“.

„საოცრად ვნერვიულობ, როგორ გაჟონა ამ ინფორმაციამ. რაც ბოკერია უშიშროების საბჭოს მდივანი გახდა, მას მერე „კმარას“ შექმნაზე ფიქრობს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... „კმარას“ ჩვენ გარდა ვერავინ შექმნის და არ ვთვლი, რომ ამ ჭორებს რაიმე სერიოზული საფუძველი აქვს“, — განაცხადა თუთბერიძემ.

კომენტარისთვის კი პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილსაც დავუკავშირდით, რომელიც მსგავსი მოძრაობის შექმნას არ გამორიცხავს და ფიქრობს, რომ, თუ ახალი „კმარა“ შეიქმნება, ის რეგისტრაციას „ნაციონალურ-ლიბერალური“ პარტიის სახელით გაივლის, „კმარა“ კი პარტიის სავიზიტო ბარათი იქნება.

„თუ „კმარას“ სიცოცხლის განახლების რაიმე პერსპექტივა აქვს, ის იქნება მხოლოდ ყვავილი, რომელსაც ფესვები იგივე, თუმცა ოდნავ მოდერნიზებული, ექნება. არ გამოვრიცხავ, რომ ახალი მოძრაობა არა მხოლოდ თინეიჯერებით, არამედ უფრო ასაკოვანი ხალხითაც დაკომპლექტდეს, რომელთაც მოუთმენლობისა და თავხედობის ანალოგიური კოეფიციენტი აქვთ. მთავარია, როგორი იქნება ახალი მოძრაობის მიმართ „ნაციონალური მოძრაობის“ შეგუებადობა. რაც შეეხება მოძრაობის მიზნებს, მიზანი კვლავ ძლაუფლების სავარძლებზე განთავსება იქნება, თუმცა განსხვავებული გზებით“, – განაცხადა ცისკარიშვილმა.

რაც შეეხება სოციალური ბუნტის საფრთხეს, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამის შესახებ საზოგადოებაში გადაჭარბებული მოლოდინებია, თუმცა გამორიცხული არაფერია, თუ გონიერება არ გაიმარჯვებს და ხელისუფლება არ შეაჩერებს გამოცდას, რომელსაც მოსახლეობას უწყობს.

„საჭიროა გონიერი ნაბიჯის გადადგმა. სააკაშვილს აქვს შანსი მეორედ მოსვლის. ნუ ჩათვლის, რომ მისი ცხოვრება გასულია. რაც დიდ ხანს დარჩება ის ერთ თანამდებობაზე, მით უარესი მისი მომავალი პოლიტიკური კარიერისთვის, ამიტომ, იმედი მაქვს, გონივრულობა გაიმარჯვებს“, — დასძინა ცისკარიშვილმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მეცნიერებაშიც დამღუპველია «მივარდნით» ცვლილებების განხორციელება

**ფრიდონ თოდუას წარდგენა არ სჭირდება — საქართველოში მას ყველა იცნობს — როგორც მკურნალს, საზოგადო მოღვაწეს და კარგ კაცს. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცეპრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული კლინიკის ფუძემდებელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი, საქართველოს და უცხო ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოების კავალერი და უამრავი რეგალიის მქონე საერთაშორისოდ აღიარებული მედიკოსი.**
**და მაინც, უპირველეს ყოვლისა, „მკურნალი და მაჯისამცა შემტყობარი“. ექიმია ბატონი ფრიდონი მოწოდებით და ცხოვრების წესით, სულისკვეთებითაც, შეიძლება ასეც ითქვას. სრულიად ახალგაზრდა წავიდა იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვში დასაოსტატებლად, გამოცდილების შესაძენად. 1990 წელს ბრუნდება საქართველოში.**



## 21 კაციდან საქართველოში დავრჩი მხოლოდ მე

— საქართველოში ჩამოვედი იმიტომ, რომ რაღაც გამეკეთებინა ჩემი ხალხისთვის, ჩემი ქვეყნისთვის, — **ამბობს ბატონი ფრიდონი**, — რაც შემეძლო, იმით რომ ამოვდგომოდი მხარში — ჩემი ცოდნითა და გამოცდილებით.

ახალგაზრდა ვიყავი, მოსკოვიდან რომ ჩამოვედი. ქართველები, ვინც სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, ამ ასაკში უნდა წამოვიდნენ და არა პენსიონერობისას, როცა იქაც არავის ენდომება, უცხოეთში. ჩვენ 21 კაცი 1990 წელს ჩამოვედით მოსკოვიდან კეთილშობილური გადაწყვეტილებით. 1992 წლისთვის კი დავრჩი მარტო მე.

დღეს ისინი კარგად არიან — თითქმის ყველა... მოსკოვში კლინიკებს ხელმძღვანელობს, ინსტიტუტის დირექტორიც არის, კათედრები აქვთ. მაგრამ მე უფრო მოგებული დავრჩი.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ **ჩემს ხალხთან ვარ ახალი ქვეყნის, ახალი ცხოვრების ჩამოყალიბების პროცესში. პრობლემები ყველგან არის ამ გარდამავალ პერიოდში, ჩვენთანაც არის და მათ გადაჭრაში შენი წვლილი უნდა შეიტანო. ასე მესმის მე პატრიოტიზმი.**

მარქსმა დაწერა, როგორ გადავიდეთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, პირიქით როგორ და რანაირად უნდა გაკეთდეს, არავის დაუწერია და არავინ იცის. ასეთ ვითარებაშია საჭირო შენს ხალხთან ყოფნა.

მე ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა, ურთულეს პერიოდში ვყოფილიყავი თბილისში, რომელმაც დამიფასა ჩემი მოკრძალებული შრომა და 1998 წელს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭა.

**სოციალიზმს ბევრი მინუსი ჰქონდა, მაგრამ, რაც დადებითი იყო, მაგალითად, ჯანდაცვა, განათლება, სოცუზრუნველყოფა, რატომ უნდა უარვყოთ?! აქ დაგროვებულ გამოცდილებაზე რატომ უნდა ვთქვათ უარი?! არადა, სწორედ ამ სფეროებში დაგვიგროვდა დღეისთვის ბევრი პრობლემა და ბევრი გადასაწყვეტი საკითხი.**

**საბჭოთა კავშირის დანგრევა შოკის მომგვრელი იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ ხალხისთვის. მაგრამ, ასე თუ ისე, გამოვედით ამ მდგომარეობიდან, შეგვიძლია სალად შევაფასოთ უახლესი ისტორია. ერთის მხრივ, არ უნდა დავრჩეთ წარსულში, მეორეს მხრივ, პირწმინდად არ უნდა გადავუსვათ ხაზი იმდროინდელ მეცნიერულ მიღწევებს, კულტურას, ხელოვნებას.**

სად არიან ის ტალანტები, მაშინ რომ გვყავდა? ხომ თავისუფალია დღეს შემოქმედი, მაგრამ რატომ არ იქმნება შედევრები?

ამ და მსგავს პრობლემებს ღრმად სჭირდება შესწავლა. თანამედროვე ანალიტიკოსებისგან რატომღაც არ მესმის პასუხი ამ კითხვაზე.

**— პოლიტიკაში რომ არ გადავიჭრათ, საუბრის მთავარ თემას რომ არ ავცდეთ, აქ დავსვათ წერტილი. რა მოგცათ მოსკოვმა, ბატონო ფრიდონ?**

— მომცა ის, რომ გავხდი კარგი ექიმი. არ ვთვლი ჩემს თავს ცუდ ექიმად. ვისწავლე, როგორ უნდა მეცხოვრა. მოსკოვში რომ ჩავედი 60-იან წლებში, ქართველები აგერ-ეგერ თუ ვიყავით — ლეო ბოკერია, კიდევ რამდენიმე. იყვნენ ჩვენ ირგვლივ რუსები, ებრაელები, სხვა ერების წარმომადგენლები. ყველა — ძლიერი იყო, ნიჭიერი და ამ „ინტერნაციონალში“ გამორჩეული რომ ყოფილიყავი, არნახულად ბევრი უნდა გემუშავა, უწინარესად, — საკუთარ თავზე. ათჯერ მეტი უნდა გამეკეთებინა, ეს ამოცანა რომ გადამეწყვიტა.

ასეთი მისწრაფება გამომყვა მოსკოვიდან.

მოსკოვი მაშინ მოწინავე მეცნიერული აზრის ცენტრი იყო, რაც მეცნიერული მიღწევების ათვისების შესანიშნავ გარემოსა და პირობებს ქმნიდა.

**— მაგრამ ამ სიახლეთა ზღვაში კარგი კომპასი გჭირდებოდათ, გეხმარებოდნენ, გიკვალავდნენ გზას?**

— ასეთები იყვნენ ჩემი უფროსი კოლეგები და მასწავლებლები. მაგრამ ამას აკეთებდნენ უდიდესი ტაქტით, პიროვნული ღირსების ორმხრივი შენარჩუნებით. მაგალითად, აკადემიკოსი ალექსანდრ ვიშნევსკი, ჩემს შეცდომებს რომ შეამჩნევდა, ისე ინტელიგენტურად მომცემდა შენიშვნას, როგორც კოლეგიალურ რჩევას, და, რაც მთავარია, ისე, რომ ახლის ძიების, გაბედულად მოქმედების სურვილი არ გამნელებოდა. ვინ ვიყავი მაშინ — 21-22 წლის ბიჭი, მაგრამ ისე მექცეოდა, როგორც თანატოლს. ა. ვიშნევსკი ადამიანებს საერთოდ უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა. დღემდე მახსოვს მისი შეგონება: — დაიხსომე, ხანდაზმულ ადამიანებს პატივისცემით უნდა მოეპყრო, არ აწყენინო. რომ დაბერდები, შენც ისე მოგექცევიან, როგორც შენ ექცეოდი მათ. ხალხს მოფერება სჭირდება.

მოსკოვში პირველად ჩასული, მარტოდმარტო აღმოვჩნდი ალექსანდრე ვიშნევსკის უზარმაზარ კლინიკაში, სადაც საბჭოთა კავშირის მთელი ელიტა თავს იყრიდა სამკურნალოდ — კოსმონავტები, დიდი თეატრის მსოფლიო სახელის მქონე სოლისტები, სხვები. ბევრმა დღეს არც იცის მათი სახელები, მაგრამ მაშინ ისინი იყვნენ იმ ეპოქის უდიდესი წარმომადგენლები და თვითონ ქმნიდნენ ეპოქას.

**— იცნობდით მათ?**

— ვიცნობდი და კარგი ურთიერთობაც მქონდა. ჩემი დიაგნოზით მკურნალობდნენ, გამოჯანმრთელდებოდნენ და ჩვენი ურთიერთობა შემდეგაც გრძელდებოდა.

**— მათ შორის იყვნენ პარტიის გენერალური მდივნებიც?**

— იყვნენ. ყველა დონის ხელმძღვანელები იყვნენ. იმ უმაღლეს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, თქვენ რომ ახსენეთ, უმრავლესობა კარგები იყვნენ — ზოგი მოგეფერებოდა, ზოგი — არა. მაგრამ ჩვენ ვასრულებდით ექიმის მოვალეობას, რომლისთვისაც ყველა ადამიანი ერთნაირია, პაციენტია, ვისაც უნდა უმკურნალო.

განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა პირველი თაობის კოსმონავტებთან. ვმეგობრობდი იური გაგარინთან, რუკავიშნიკოვთან, მათ კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან.

## დამატებითი სტიმული გასაჯანსაღებლად

**— ბატონო ფრიდონ, თქვენ ეს-ესაა ახსენეთ თბილი დამოკიდებულება, რასაც უფროსი კოლეგებისგან გრძნობდით და ისიც, რომ ასეთსავე დამოკიდებულებას პაციენტებისადმი გინერგავდნენ ისინი თქვენ.**

**ასეთი ურთიერთობა, როგორც ექიმები ამბობენ, დამატებითი წამალია, სტიმულია განკურნებისთვისო, ასეა?**

— ნამდვილად ასეა... მაგრამ არამარტო მედიცინაში. მართალია, პოლიტიკას წერტილი დავუსვით (*ღიმება*), მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: როცა ლანძღავენ ადამიანს პრესაში, საჯაროდ, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ვიღაცამ ამ კაცზე რაღაც თქვა, შეუმოწმებლად, ფაქტის დადასტურების, მეორე მხარესთან შეხვედრის გარეშე, არ ნიშნავს სიტყვის თავისუფლებას. მიმაჩნია, რომ სწორედ ეს არის ადამიანის უფლებათა დარღვევა.

ახლოს ვიცნობ ოპოზიციური სპექტრის ხელმძღვანელებს და არა მარტო მათ. მაგრამ განა შეიძლება ის წვრილმანი კინკლაობა — შენ ეს გააკეთე, შენ ისეთი ხარ, რის უფლებასაც ისინი საკუთარ თავს აძლევენ, საქვეყნოდ გამოიტანო, პოლიტიკის რანგში აიყვანო? დარწმუნებული ვარ, არ შეიძლება.

**ადამიანურ თბილ დამოკიდებულებას რომ უგულებელვყოფთ, მერე გვიჩნდება პრობლემები, მათ შორის, ჯანმრთელობის პრობლემებიც. პატარა ერი ვართ, მცირერიცხოვანი, მიმტევებლები უნდა ვიყოთ ერთმანეთისადმი. ესაა მთავარი.**

ბევრმა მაწყენინა ცხოვრებაში, აქ, ჩვენთან, საქართველოში. მაგრამ იმათთან დღეს კარგად ვარ, რითაც ფრიად გაკვირვებულნი არიან. ეს წუთია, ჩემგან წავიდა ერთი ცნობილი პიროვნება, ვისთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა მოსკოვში წასვლამდე. დაბრუნების შემდეგ ყველაზე ბევრი ცუდი მან გამიკეთა — დაუფარავად გამოხატავდა ჩემს მიმართ აგრესიას — რა უნდა გვასწავლოს, რითაა ჩვენზე მეტი, მერე რა, რომ მოსკოვში მოღვაწეობდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დღეს, როცა გაუჭირდა, მე აღმოვჩნდი ერთადერთი, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა.

**— ეს თვისება მოსკოვში შეიძინეთ?**

— არა, დედაჩემისგან გამომყვა... ხშირად მეტყოდა ხუმრობით: რომ გაჯილდოებენ, წოდებებს რომ განიჭებენ, სულ ფრიდონ იპოლიტოვიჩს გეძახიან, ნინას არაფერი გაუკეთებია შენთვის? იცინოდა ხოლმე გულიანად.

**— პრაგმატული გახდა ცხოვრება.**

— მართალია. მაგრამ მით უფრო მეტი ყურადღება სჭირდება ხალხს. ერთი ცნობილი პიროვნება მეკამათება ყოველთვის, რატომ არ არისო ქარხნები და ფაბრიკები საქართველოში. მართალია — არ არის. მაგრამ იმიტომ კი არ არის, რომ არ გვინდა, არამედ იმიტომ, რომ ის მრეწველობა, რომელიც საბჭოთა სისტემაზე იყო აგებული, დაიშალა, რაც გვქონდა, ჰაერში გამოკიდებული დარჩა — ნედლეულის, მასალების, გასაღების ბაზრის გარეშე. ხალხი კი, რომელიც ამ მრეწველობაში იყო დასაქმებული, უმუშევარი დარჩა.

ამიტომ ვამბობ, რომ ხალხს მეტი ყურადღება სჭირდება.

თუ მომგებიანი არ არის საწარმო, რაგინდ კარგად ჰქონდეს აწყობილი საქმე, განწირულია დასახურად. პრაგმატიკა დრომ მოიტანა.

**— მაგრამ, როგორც ვიცი, პრაგმატიკა ყოველთვის და ყველაფერში, უწინარესად კი, ადამიანურ ურთიერთობებში გადამწყვეტი არ არის. უამრავ გაჭირვებულს უანგაროდ ეხმარებით, ბატონო ფრიდონ. საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე კი ეს წამგებიანია.**

**დინების წინააღმდეგ მიდიხართ?**

— აბა, როგორ უნდა მოვიქცე, როცა ადამიანს უჭირს და არავითარი საშუალება არ აქვს, გადაიხადოს ფული სამედიცინო მომსახურებისთვის?!

**— მომგებიანი რომ არ არის?**

— მომგებიანი რას ნიშნავს? ექიმს ხომ უნდა მივცეთ ხელფასი, სხვა თუ არაფერი, გადავიხადოთ კომუნალური გადასახადი, რომელიც დღითიდღე იზრდება. ჩვენ კი 1994 წლიდან (ჩვენს ინსტიტუტზე ვლაპარაკობ), სახელმწიფოსგან არც ერთი კაპიკი არ მიგვილია. თვითდაფინანსებაზე ვართ. ვიღებდით ბანკის კრედიტს, ვაშენებდით ინსტიტუტს, აღვჭურვავდით თანამედროვე სამედიცინო აპარატურით, შემდეგ ვისტუმრებდით ამ კრედიტს.

ასე მოვედით დღემდე. დღეს კი თამამად შემიძლია ვთქვა, ჩვენი კლინიკა ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. გრანდიოზომანიით არ ვართ გატაცებული, ჩვენი ინსტიტუტი კომპაქტურია, მაგრამ, აბა, ვინმემ გვითხრას, რომ მასთანაც წელიწადში 2000 ოპერაციას აკეთებენ? ჩვენ ვაკეთებთ!

**— რისი წყალობით?**

— სხვა მენტალიტეტით ვცხოვრობთ.

**— ეს რას ნიშნავს?**

— ახლავე მოგახსენებთ: რა ქმნის დღეს მაღალმწარმოებლურ, მეცნიერებატევად, მომგებიან ეკონომიკას? უწინარეს ყოვლისა, პროფესიონალიზმი.

მეორე. მკაცრი დისციპლინა, რასაც განმარტება არ სჭირდება. ამ ორი კომპონენტის ერთობლიობა თანამედროვე ეკონომიკის წარმატების საფუძველია. ▶

**სად არიან ის ტალანტები, მაშინ რომ გვყავდა? ხომ თავისუფალია დღეს შემოქმედი, მაგრამ რატომ არ იქმნება შედევრები?**

**აკადემიკოსი ალექსანდრ ვიშნევსკი, ჩემს შეცდომებს რომ შეამჩნევდა, ისე ინტელიგენტურად მომცემდა შენიშვნას, როგორც კოლეგიალურ რჩევას, და, რაც მთავარია, ისე, რომ ახლის ძიების, გაბედულად მოქმედების სურვილი არ გამნელებოდა. ვინ ვიყავი მაშინ — 21-22 წლის ბიჭი, მაგრამ ისე მექცეოდა, როგორც თანატოლს**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## პრაგმატიზმი თუ გულმოწყალება?

**— გულმოწყალება, რომელიც ექიმების თანმდევი თვისება იყო ყოველთვის, რომ ვერ ჯდება ამ ფორმულაში — საბაზრო ეკონომიკის პრინციპებში? მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, საერობო ექიმების (земский врач) ლეგენდად შემორჩენილი დამოკიდებულება პაციენტებთან, რომელთაც, როგორც წესი, ეხმარებოდნენ მედიკამენტებით, არც თუ იშვიათად, მატერიალურადაც.**

— ჯერ ერთი, ჩვენი ქართული მენტალიტეტი და მხარში ამოდგომის ტრადიცია ნებისმიერ ეკონომიკურ პრინციპებზე მაღლა დგას. მაგრამ, ამასთან ერთად, ანგარიშს ვუწევთ არსებულ რეალობას და ჩვენს ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს გარკვეული პროცენტი ქველმოქმედებისთვის. ბევრი ადამიანი მოსულა ჩემთან, რომელსაც არც ფინანსური საშუალება აქვს, არც — დაზღვევა, არც რომელიმე პროგრამაშია ჩართული. როგორ უნდა უშველოს მან ოჯახის ავადმყოფ წევრს? რა ქნას? თვალები ცრემლით აქვს სავსე. უჭირს ლაპარაკი.

მე თვითონ მიმყავს ასეთი კაცი ან მისი ოჯახის წევრი გამოსაკვლევად და დიაგნოზის დასასმელად. ვერავინ მისაყვედურებს, რატომ ვიქცევი ასე.

**არაერთი სამედიცინო დაწესებულება იყო საქართველოში, რომლებიც წამყვან პოზიციებზე იდგა საბჭოთა კავშირის დროს. ახალ ვითარებაში ერთი დირექტორი მეორეთი შეიცვალა, მეორე — მესამეთი, მაგრამ თანდათან დაიკარგა ის წამყვანი პოზიციები, რომლებზეც მოგახსენეთ. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ყველაფერი პიროვნებაზეა დამოკიდებული. შეიძლება ბრწყინვალე ექიმი იყო, ბრწყინვალე ქირურგი, მაგრამ, თუ ღმერთს არ მოუცია ორგანიზატორული ნიჭი და უნარი, ვერ მოუვლი შენს სამედიცინო დაწესებულებას.**

ამიტომ ვურჩიე ბევრ ჩემს კოლეგას, უარი ეთქვა დირექტორობაზე და თავისი არაორდინალური ნიჭი მთლიანად პროფესიისთვის მოეხმარა.

თავის ქებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ, აქ მუშაობა რომ დავიწყე, მხოლოდ ერთი სართული გვქონდა. ახლა ერთი მრავალსართულიანი კორპუსი უკვე მწყობრშია და მეორე მთავრდება. რაღაცის გაკეთება, ეტყობა, შევძელი. ახლახან შემოვიტანეთ სამ მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების თანამედროვე აპარატურა.

მეამაყება, რომ მაგნიტური რეზონანსის ტომოგრაფი „სამი ტესლა“ ჩვენთან დგას. რუსეთში ორია. რამდენი ადამიანი გადავარჩინეთ ამის წყალობით!

დილით გაუკეთებენ ავადმყოფს თავის ტვინის სიმსივნის ოპერაციას, საღამოს წამომჯდარია. აი, რა დონეზე განვითარდა ტექნოლოგიები.

**ტექნოლოგიები შეიძლება შეიძინო, მაგრამ, თუ არ გყავს პროფესიონალი, ადამიანის მკურნალობის ეფექტიანობაზე ლაპარაკი ფუჭია.**

**ოცი წლის განმავლობაში, რაც აქ ვმუშაობ, ჩემთვის მთავარი იყო ექიმების მომზადება, გადამზადება, სამედიცინო კონგრესებში მათი მონაწილეობა, სპეციალიზაცია საზღვარგარეთ.**

შეჩერება ამ გზაზე დაუშვებელია, რადგან ტექნოლოგიები განუწყვეტლივ ვითარდება და, თუ ფეხდაფეხ არ მიჰყევი, უიმედოდ ჩამორჩები.

**— ასეთ უმკაცრეს პირობებში, ზნეობრივი კრიტერიუმები შეიძლება გაეცრიცოს ექიმს. როგორ ახერხებთ ამ „ტექნოკრატული დაავადების“ თავიდან აცილებას?**

— სამედიცინო დაწესებულებაში მთავარია მაღალი სულისკვეთება, შიდა ატმოსფერო შემოქმედებითი, საქმიანი უნდა იყოს. არავითარი ენის მიტან-მოტანა, განსაკუთრებით, ხელმძღვანელობის „საქმის კურსში ჩაყენება“. თითოეულმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ იგი აქ მოსულია სამუშაოდ. პაციენტს, რომელმაც გაჭირვებით იშოვა ფული, გადაგიხადა, ვალდებული ხარ პროფესიულად მოემსახურო. მენტალიტეტი — „როგორ, მე ვინმეს მონა ვარ?!“ — აუცილებლად უნდა დაიძლიოს. რადგან პაციენტს გადახდილი აქვს გარკვეული თანხა, ეს ნიშნავს, რომ მან გარკვეული დროით დაგიქირავა, რათა მოემსახურო მას, ანუ შენი ცოდნით, გამოცდილებით დაეხმარო, განკურნო, შეასრულო შენი პროფესიული მოვალეობა.

მაქსიმალური ყურადღება! თანაც არა მარტო ავადმყოფის მიმართ (ეს აქსიომაა!), არამედ საკუთარი გარეგნობის მიმართაც! არ გაგიკვირდეთ — პაციენტზე გავლენას ახდენს ის გარემოც, ესთეტიკა, რომელიც კლინიკაში დახვდება, და ექიმის სუფთა ხალათიც, მისი ყოველმხრივი მოწესრიგებულობა.

**— ნოტაციებს არ უკითხავთ ექიმებს?**

— არა, რადგან ამის აუცილებლობა არ არის. ჩვენ საუნივერსიტეტო კლინიკა ვართ, ბევრი რეზიდენტი გვყავს. ისინი, როგორ მორალურ ატმოსფეროშიც მოხვდებიან, იმის ადეკვატურად იქცევიან. ჩვენ სისტემატურად ვაახალგაზრდავებთ კოლექტივს და ამ რეზიდენტებმა იციან, რომ მათ აქვთ შანსი კლინიკაში მუშაობის დაწყების, მაშასადამე, უნდა მიიღონ ჩვენთან დამკვიდრებული წესები, მიეჩვიონ, გაითავისონ.

**ახალგაზრდა ექიმმა თვითონ უნდა იფიქროს და იზრუნოს იმაზე, რომ გახდეს ნამდვილი პროფესიონალი. უვიცი, ზედაპირული არავის სჭირდება. დღეს ბევრია უმუშევარი ექიმი. მაგრამ კარგი ექიმი უმუშევარი არ რჩება. კარგ ექიმებს ეძებენ.**

ბევრს უნდა ჩემგან ექიმების გადაბირება.

**— არ მიდიან?**

— არ მიდიან. მუშაობის ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი და — იმიტომ. მაგრამ მომთხოვნელობაც გასამმაგებულია. სამუშაო ატმოსფეროა შექმნილი, თანაც — ესთეტიკური: საქართველოს წამყვანი მხატვრებისა და სკულპტორების ნამუშევრებით არის გალამაზებული ჩვენი ინტერიერი. ზოგი — გვაჩუქეს, ზოგი — ვიყიდეთ. ლამაზი და მშვიდი გარემოა.

ასეთი გარემო ავადმყოფს ეხმარება სტრესის მოხსნაში, რომელიც ექიმთან მოსვლას ყოველთვის თან სდევს.



ფრიდონ თოდუას კლინიკა

**კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი, ერთბაშად გადმოგვეტანა ამერიკული, ევროპული გამოცდილება საქართველოში. თანდათან უნდა გადავსულიყავით თანამედროვე მედიცინაზე, ისევე, როგორც განათლების ახალ სისტემაზე. მეცნიერებაშიც დამღუპველია „მივარდნით“ ცვლილებების განხორციელება.**

## გთხოვთ ყურადღებას, პოტენციურო პაციენტებო!

**— კი ვართ ჩვენ ყველანი პოტენციური პაციენტები, მაგრამ უმჯობესია, ეს პოტენცია რეალობად არ ვაქციოთ. ხომ ასეა?**

— რა თქმა უნდა.

**— მაშინ გვითხარით, ბატონო ფრიდონ, როგორ ვიცხოვროთ, ცხოვრების როგორი წესით?**

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ, მასაში არ გვაქვს შინაგანი კულტურა. ამასწინათ ჩვენმა ინსტიტუტმა „თიბისი“ ბანკთან ერთად გამოვაცხადეთ საქველმოქმედო აქცია, სარძევე ჯირკვლების უფასოდ გამოკვლევა დავიწყეთ. სარძევე ჯირკვლის დაავადება, გავრცელების თვალსაზრისით პირველ სამეულში შედის, დიდი პრობლემაა. ამიტომ მისი ადრეულ სტადიაზე გამოკვლევა და მკურნალობა გამოჯანმრთელების უებარი საშუალებაა.

მაგრამ გაირკვა, რომ ონკოგინეკოლოგიური დაავადების პირველ, მეორე სტადიაზე სამკურნალოდ, პრაქტიკულად, არ მოდიან. მხოლოდ მესამე, მეოთხე სტადიის დროს მიაკითხავენ ექიმს.

**— ფული არ აქვთ...**

— ჩვენი აქცია უფასო იყო!

**— მაშ, რატომ არ მოდიან?**

— ზოგს ჰგონია, რომ არ დაემართება, სხვას — ეზარება ექიმთან მისვლა, სახვალიოდ გადადებს და ა.შ. ათას მიზეზს მოიგონებენ. მაგრამ სწორედ ეს არის იმ შინაგანი კულტურის უქონლობა, რომელიც ვახსენე: თვალს არ ვადევნებთ, უყურადღებოდ ვექცევით ჩვენს ჯანმრთელობას. ესაა პრობლემა.

**ნორმალურმა ადამიანმა ნორმალურად უნდა იცხოვროს. ერთი და ორი კოლოფი სიგარეტი არ უნდა მოსწიოს ყოველ დღე, არ უნდა დათვრეს ყოველ დღე. ახალგაზრდა ორგანიზმი, ასე თუ ისე, გარკვეულ პერიოდში უძლებს ასეთ „დატვირთვას“, მაგრამ შემდეგ იფეთქებს დაავადების რისკფაქტორები, ახლა უკვე ახალგაზრდულ ასაკში, და ისე ძლიერად, რომ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა ძალიან ძნელი ხდება, არცთუ იშვიათად — შეუძლებელი.**

ადრე ვერც წარმოვიდგენდით, რომ 25 წლის გოგო შეიძლებოდა კუჭის კიბოთი დაავადებულიყო. ახლა არავის უკვირს; ან — ფილტვის კიბოთი! რა დიდი შრომა და სახსრები სჭირდება წელიწადში ერთხელ ფილტვების გაშუქებას, სურათის გადაღებას?! არადა, ფილტვის კიბო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

**— სიგარეტი?**

— სიგარეტი, ატმოსფეროს დაბინძურება...

**— ესე იგი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანმა თვითონ უნდა მიხედოს თავის ჯანმრთელობას?**

— რა თქმა უნდა.

**— მაგრამ აქედან თვითმკურნალობამდე ხომ ერთი ნაბიჯია?**

— თვითმკურნალობა და ექიმბაშები ყოვლად დაუშვებელია! ამ დილით კონფერენციაზე ვიყავი და ერთ-ერთი მონაწილე თავდაჯერებით ამტკიცებდა, პატრიარქს ვუმკურნალებ და გამოვაჯანმრთელებო(!).

**ეს კატასტროფაა. ექიმბაშებთან „მკურნალობის“ შემდეგ ჩვენთან მოდიან ავადმყოფები, რომელთა გადარჩენა უმეტესად შეუძლებელია.**

ვთავაზობ ასეთ თავდაჯერებულ ექიმბაშებს: ავიყვანოთ პაციენტები, ვისაც გადაწყვეტილი აქვს მათთან მკურნალობა. გამოვიკვლევთ მათთან ერთად — თავიდან და მკურნალობის შემდეგ. კატეგორიულად არ სურთ.

გამოჩნდა თბილისში ერთი ასეთი „მკურნალი“, იმდენი ავადმყოფი მიდის მასთან, რომ პოლიცია იცავს წესრიგს. შედეგები უარყოფითია. კარგად ილაპარაკა ამ საკითხზე პროფესორმა რეზო გაგუამ, ონკოლოგიური ცენტრის დირექტორმა. მანაც შესთავაზა პაციენტების გამოკვლევა. უარზე არიან.

არ შეიძლება ერთი წამლით ყველა დაავადების განკურნება. დღეს კიბოს ვერავინ მოარჩენს. თუმცა არის კიბოს რაღაც ფორმები, რომელთა მკურნალობა შეიძლება. მაგალითად, სარძევე ჯირკვლის, თანაც ადრეულ სტადიაზე. ამაზე უკვე ვილაპარაკე.

**— ოფიციალურად შესთავაზეთ თქვენი წინადადება ექიმბაშებს?**

— პიროვნულად შევთავაზე. ახლა თქვენი გაზეთის საშუალებითაც მივმართავ, მოდით, გამოვიკვლიოთ! ჩემს დაწესებულებაში უფასოდ მოვემსახურებით. უმკურნალონ და ბოლოს ერთად ვნახოდ შედეგი!

**— სწორად აქვთ კი იმ ავადმყოფებს დიაგნოზი დასმული?**

— დიაგნოზი დაუსვეს და შესთავაზეს ოპერაციის გაკეთება. მაგრამ პაციენტი უარს ამბობს ოპერაციაზე და მიდის ექიმბაშთან. ის ეუბნება, მოგარჩენო. ავადმყოფი იჯერებს. ესაა ჩვენი ტრაგედია.

**— როგორ ვუშველოთ ასეთ ხალხს?**

— ჯანდაცვის სამინისტრო, თვითონ მინისტრი უნდა ჩაერიოს, პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა უნდა განიხილოს ეს საკითხი და ოფიციალურად ჩატარდეს გამოკვლევა. ამ გამოკვლევის შედეგები კი საჯაროდ გაცხადდეს.

## რეფორმა რეფორმისთვის თუ ხალხისთვის?

**— უწინ აუცილებელი იყო წელიწადში ერთხელ დისპანსერიზაციის გავლა — ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. თქვენ რომ გისმენთ, ეჭვი მეპარება, იმუშავებს კი ის სისტემა დღევანდელ პირობებში?**

— კომუნისტების დროს შვებულებაში არ გაგიშვებდნენ, დისპანსერიზაცია თუ არ გექნებოდა გავლილი. პროფილაქტიკური ღონისძიება იყო. **დღეს ადამიანები იმდენად სხვა პრობლემებით არიან დაკავებული, რომ საკუთარი ჯანმრთელობის საკითხმა მეორე პლანზე გადაიწია. სახვალიოდ აქვთ გადადებული. მაგრამ ასე გადადებით გროვდება პრობლემები და კრიტიკულ ზღვარს აღწევს.**

იტყვით, ხალხს არ აქვსო საშუალება. არ შეგეკამათებით, მაგრამ ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასი სხვა რა არის ამქვეყნად, რომ ასე აგდებულად მოეკიდო?

მთავარი ყველა დროში, ყველა სისტემაში იყო და არის პროფილაქტიკა. ბევრი რამ აკლია მედიცინას, განსაკუთრებით, პერიფერიაზე. პრობლემები გამოიწვია უმთავრესად იმან, რომ ერთი სისტემიდან მეორეში გადავედით და დაინგრა ძველი ან — დავანგრიეთ.

**სულ მესმის, რომ რეფორმებს განვახორციელებთ მედიცინაში. 1990-იან წლებში კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი, ერთბაშად გადმოგვეტანა ამერიკული, ევროპული გამოცდილება საქართველოში. თანდათან უნდა გადავსულიყავით თანამედროვე მედიცინაზე, ისევე, როგორც განათლების ახალ სისტემაზე. მეცნიერებაშიც დამღუპველია „მივარდნით“ ცვლილებების განხორციელება.**

**ძველის ტრავმირების გარეშე ახლის აშენება — ასეთია ჭეშმარიტად რაციონალური მიდგომა.**

**მაგრამ მოვინდომეთ უცებ და ერთი დაკვრით, ამიტომაც არ გამოგვივიდა თუნდაც მეცნიერებათა აკადემიის „გარდაქმნა“, რისი წინააღმდეგიც ვიყავი ყოველთვის. უნდა გაგვეთვალისწინებინა ჩვენი სპეციფიკა, ის პრობლემები, რომლებიც თან სდევს იმ სისტემებს, რომელთა დანერგვას ჩვენთან ვცდილობთ.**

დეტალიზაცია შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ორ მაგალითს დაგისახელებთ: უმდიდრესი ქვეყანაა გერმანია, მაგრამ იქაური ექიმი უფრო ნაკლებს იღებს, ვიდრე ჩემი თანამშრომელი საუნივერსიტეტო კლინიკაში.

ამიტომ მიდიან გერმანელი ექიმები არაბეთის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სამუშაოდ.

ლონდონში კომპიუტერული ტომოგრაფიის გაკეთება რომ დაგჭირდეთ, თუ დაზღვეული ხართ, რამდენიმე თვის ლოდინი მოგიწევთ გამოკვლევის ჩასატარებლად. კერძო კლინიკაში იმავე დღეს გაიკეთებთ!

**დღეს რადიკალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელად და, უწინარეს ყოვლისა, სოციალური დაცვის სფეროში. მოსაწესრიგებელია ადამიანების დაზღვევის საკითხი.** ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოში უნდა გვქონოდა სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია, კერძო კომპანიები რომ არ ყოფილიყვნენ მონოპოლისტები. **არ შეიძლება პატარა ქვეყანაში ფუნქციონირებდეს 20 სადაზღვევო კომპანია! რასაკვირველია, დრო დაალაგებს და 3-4 კომპანია დარჩება, მაგრამ ადამიანებიც უნდა ეცადონ, რომ დაეზღვიონ. ესაა საშველი და სწორი გზა.**

კაპიტალიზმს აქვს კარგი და ცუდი მხარეები. უნდა გადმოვიღოთ ის, რაც მისაღებია ჩვენი ქვეყნისთვის და არა ძველებური „ავრალით“, რათა დღესვე ვიცხოვროთ იმ წესითა და რიგით, როგორც ამერიკაში ან გერმანიაში ცხოვრობენ.

ჩვენ ჩვენი მენტალიტეტი გვაქვს, ქართული.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. და სწორედ ამ ქართული მენტალიტეტის გამო იყო, რომ ბატონმა ფრიდონ თოდუამ ინტერვიუს დამთავრების შემდეგ ეზომდე გამომაცილა და იქ დამემშვიდობა.**

**ამას არც ამერიკაში, არც გერმანიაში, არც შვედეთში არც ერთი მისი რანგის ხელმძღვანელი არ გააკეთებდა.**

**საუბარს ვაგრძელებდით გზადაგზა და ამ მონაკვეთსაც, ისევე, როგორც მთელ ინტერვიუს რეფრენად გასდევდა დედააზრი: რადგან ძნელია დღეს ცხოვრება, გაუფრთხილდეთ ერთმანეთს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ხელახლა დევნილები

**გიორგი სამუშაოს ბოლო ექვსი თვის განმავლობაში უშედეგოდ ეძებს. ეთნიკური ქართველი, რომელსაც საკუთარი სახლი აფხაზეთის რეგიონში ძალით დაატოვებინეს, ახლახან თბილისში დროებითი საცხოვრებლიდანაც გამოასახლეს და ბინა დედაქალაქიდან ერთი საათის სავალ გზაზე მდებარე დასახლებაში მისცეს. ამ ადგილას არც სამუშაოა, არც რაიმენაირი პერსპექტივა. „სამუშაო? მთელი დღე სახლში ჯდომა, არა საჭმელი, არა სასმელი და მხოლოდ სუფთა ჰაერის ყლაპვა!“ — ამბობს იგი.**





## ქართველ ლტოლვილებს დროებითი საცხოვრებლებიდან ასახლებენ

ისინი, ვინც ქალაქ ბაკურციხის დასახლებაში ცხოვრობენ, ჩივიან რომ არ აქვთ გაზი და შესაბამისად, — არც გათბობა, წყალი გადაჭრილია, საავადმყოფოც ხელმისაწვდომი არ არის.

ლალი აფხაზეთის საპორტო ქალაქ ოჩამჩირიდან იძულებით გადაადგილებული პირია. ის ამბობს, რომ საკმარისი ფული არ აქვს, ელემენტარულ პრობლემებს რომ გაუმკლავდეს. **„მაღაზიაში მივდივართ და საჭმელს კრედიტით ვიღებთ,** — ამბობს ის, — **როგორც კი კუთვნილ 22 ლარს ავიღებთ, უმალ მაღაზიაში ვალს ვიხდით. ეს არის ჩვენი ცხოვრება. ზოგიერთს ნათესავი ეხმარება. მათხოვრებივით ვართ“.**

რამდენიმე ათასი დევნილი ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ზაფხულში მთავრობამ გამოაცხადა, რომ თბილისში არსებული 36 თავშესაფრის ევაკუაციას გეგმავს და იქ მცხოვრებ დევნილებს ალტერნატიულ საცხოვრებლებს ქალაქიდან მოშორებულ ორ სოფელში სთავაზობს. ბევრმა სოფელში საცხოვრებლად გადასვლას დედაქალაქში მეგობრებთან ან ნათესავებთან დარჩენა არჩია.

**გამოსახლების ორი რაუნდი უკვე ჩატარდა — ერთი აგვისტოში და მეორეც იანვარში. მორიგი ტალღა, რომელიც 5300 ადამიანის გასახლებას გულისხმობდა, სავარაუდოდ, 10 თებერვალს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ უფლებადამცველი ორგანიზაციების პროტესტისა და 9 თებერვალს დევნილების გამოსახლების ეთიკაზე ცხარე დებატების შემდეგ, ხელისუფლებამ ეს პროცესი გადადო.**

ქალაქ გორში დაგეგმილი გამოსახლებების სერიაც გაურკვეველი დროით გადაიდო.

### ხარჯების შემცირების მცდელობა

**საქართველოს დაახლოებით 246000 დევნილის ბედი ქვეყნისთვის ემოციური და პოლიტიკურად ფეთქებადსაშიში თემაა. უმრავლესობამ საკუთარი სახლი აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში მაშინ დაკარგა, როდესაც ეს პრორუსული სეპარატისტული რეგიონები საქართველოს იურისდიქციას 1990-იანი წლების ომების შემდეგ გამოეყვნენ. დევნილების ახალი ტალღა სამხრეთ ოსეთიდან მაშინ გაჩნდა, როდესაც 2008 წელს რუსეთმა და საქართველომ ამ რეგიონის გამო ომი დაიწყეს.**

მიხეილ სააკაშვილის მთავრობა მოითხოვს, რომ დევნილებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომელიც დღემდე კანონით საქართველოს ტერიტორიის ნაწილია, სახლებში დაბრუნების უფლება მისცენ.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, საქართველოს უფულო მთავრობას მათი საცხოვრებლითა და საარსებო სახსრებით უზრუნველყოფა სჭირდება. ბევრი დევნილი თბილისის ცენტრს აფარებდა თავს, სადაც უძრავი ქონების ფასი მაღალია, ამიტომ ხელისუფლება უფრო რენტაბელურ ვარიანტებს ეძებს.

ქართველი დევნილების 40% 1658 დროებით თავშესაფარში ცხოვრობს, აქედან 515 თბილისშია.

**„HUMAN RIGHTS WATCH“-მა გააკრიტიკა გამოსახლების ის ორი რაუნდი, რომელიც დედაქალაქში უკვე განხორციელდა და განაცხადა, რომ დევნილები სათანადოდ არ გააფრთხილეს; ამასთან, ალტერნატიული საცხოვრებლები მოშორებულ რეგიონებშია. ზოგ სახლს დაზიანებული აქვს სახურავი, ზოგან არ არის ელექტროენერგია და გაზი.**

**მეტიც, ყველა დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა არ მოხდა, ზოგიერთი სახლ-კარისა და ადეკვატური კომპენსაციის გარეშე დატოვეს.**

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წარმომადგენელი კეტლინ რაიანი ამბობს, რომ თბილისიდან იანვარში გასახლებული 500 ოჯახიდან სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ალტერნატიული საცხოვრებელი მხოლოდ 19-მა მიიღო. დანარჩენებმა ოჯახის წევრებთან დარჩენა ან იაფი საცხოვრებლის დაქირავება არჩიეს.

**„ბევრი დევნილი საკმაოდ მძიმე პირობებშია. ვგულისხმობ იმას, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე, ზოგადად, მაღალია და დევნილები სოციალურ დახმარებაზე არიან დამოკიდებული, რასაც თვეში ერთხელ იღებენ,** — ამბობს რაიანი, — **ამიტომ, ჩემი ვარაუდით, ბევრი გამოსახლებული დევნილისთვის ეს პროცესი უფრო მძიმეა, ვიდრე სხვებისთვის, რომლებმაც საცხოვრებელი იქირავეს“.**

გაეროს დევნილების უმაღლესი კომისარი ამბობს, რომ იანვარში ჩატარებული გამოსახლების პროცესი აშკარად გაუმჯობესებული იყო, ვიდრე პირველი — აგვისტოს ტალღა და „საერთაშორისო სამართლის ან სტანდარტების განსაკუთრებულ დარღვევებს“ ადგილი არ ჰქონია.

ამ განცხადებას გამოეხმაურა 9 თებერვალს პარლამენტში გამართულ დებატებზე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ გაერო „დევნილების გადასახლების მთელ პროცესში ჩართული იყო“.

### „კრიმინალები“

**თუმცა გაეროს დევნილთა სააგენტო აცხადებს, რომ პროცესში კვლავ „ხარვეზებია“, მათ შორის ის, რომ დამკვირვებლებს დევნილებამდე თავისუფლად არ უშვებენ, არსებობს კომუნიკაციის პრობლემები, კამათის საგანია ფინანსური დახმარების კალკულაცია.**

ადვოკატი და ადამიანის უფლებათა დამცველი ლია მუხაშავრია ამბობს, რომ ის და სხვა ადვოკატები გეგმავენ, რომ მთავრობას დევნილებისადმი მოპყრობის გამო სასამართლოში უჩივლონ.

**„არც ერთ დევნილს ამ საკითხზე სასამართლოში დავის უფლება არ მისცეს,** – ამბობს მუხაშავრია, – **ეს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რადგან ამ ადამიანებს არასდროს არ აძლევდნენ შანსს, რომ გამოსახლების კანონიერება სასამართლოში გაესაჩივრებინათ“.**

**ოპონენტები ამბობენ, რომ ბევრი დევნილისთვის არც არასდროს მიუციათ ის 10000 დოლარი, რომელსაც მთავრობა იმათ ჰპირდებოდა, ვინც გადაწყვიტა, უარი ეთქვა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საცხოვრებელზე და ფონდების განაწილების პროცესი გაუმჭვირვალე იყო.**

აფხაზეთიდან დევნილი ლიდა კვასტიანი, რომელიც 20 იანვარს თბილისში მისი თავშესაფრიდან გამოასახლეს, ამბობს, რომ მას და მის ოჯახს გამოსახლების დროს როგორც კრიმინალებს ისე მოექცნენ:

**„მათ ალყა შემოგვარტყეს და ტერიტორიიდან როგორც მანიაკები და ტერორისტები ისე გაგვიყვანეს, ექვსი შვილი მყავს და ასე გამომაგდეს. ლაპარაკიც კი არ შემიძლია. მართლა ცუდად ვარ“.**

**კორტნი როუზ ბრუქსი**
რადიო „თავისუფლება“

Radio Free Europe Radio Liberty



**ალტერნატიული საცხოვრებლები მოშორებულ რეგიონებშია. ზოგ სახლს დაზიანებული აქვს სახურავი, ზოგან არ არის ელექტროენერგია და გაზი**

## მოკლედ

### კოლუმბია ნარკოტიკებს დააკანონებს

**კოლუმბიის პრეზიდენტმა ხუან მანუელ სანტოსმა განაცხადა, რომ, თუ ეს ნაბიჯი ქვეყანაში დამნაშავეობასთან ბრძოლას რამენაირად ხელს შეუწყობს, მზადაა, ნარკოტიკების ლეგალიზების საკითხი განიხილოს.** „მე არ ვარ წინააღმდეგი არანაირი სამოქმედო გეგმისა, თუ მსოფლიო ჩათვლის, რომ ნარკოტიკების ლეგალიზება ხელს შეუწყობს ძალადობისა და დამნაშავეობის შემცირებას, შემიძლია ამ გადაწყვეტილებას დავეთანხმო“. ხუან მანუელ სანტოსი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ერთადერთი ლიდერი არაა, რომელიც საკითხის ამგვარად გადაწყვეტას თანხმდება. მანამდე მსგავსი განცხადებები გააკეთეს კოლუმბიის ყოფილმა პრეზიდენტმა, მექსიკისა და ბრაზილიის ლიდერებმა.

### ქალები ბერლუსკონის წინააღმდეგ

**ასი ათასზე მეტმა იტალიელმა ქალმა და მათმა გულშემატკივრებმა დემონსტრაციით გააპროტესტეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის დამოკიდებულება არასრულწლოვანი გოგონასადმი.** მომიტინგეები მოითხოვდნენ 74 წლის პოლიტიკოსის გადადგომას, რომელიც ახალგაზრდა ქალებისადმი საკუთარ სისუსტეს არ მალავს. ამის პარალელურად ბერლუსკონის მომხრეებმა განაცხადეს, რომ საპროტესტო აქცია მთავრობის მეთაურის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ იყო ორგანიზებული. შეგახსენებთ, ბერლუსკონის მაროკოელ კარიმა ელ-მარუგისთან კავშირში ადანაშაულებენ. გოგონა პრემიერის ვილაზე სტუმრობისას მხოლოდ 17 წლისა იყო. უახლოეს დღეებში სასამართლო დაადგენს, საკმარისი საფუძველი წარმოადგინა თუ არა პროკურატურამ პრემიერის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის დასაწყებად.

### ეგვიპტეში კონსტიტუცია გააუქმეს

**ეგვიპტის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესმა საბჭომ დაითხოვა ქვეყნის პარლამენტი და შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება. შესაბამისი განმარტება სახელმწიფო ტელევიზიის ეთერით გაკეთდა.** დროებითმა სამხედრო ხელმძღვანელობამ ახალი არჩევნებისთვის მოსამზადებლად ექვსთვიანი ვადა დააწესა. ამ დროის განმავლობაში ქვეყანაში გარდამავალი მთავრობა იმოქმედებს. ახალი კონსტიტუციის შესაქმნელად სამხედრო საბჭო შექმნის კომისიას, რომლის მუშაობის შედეგებსაც საყოველთაო კენჭისყრაზე წარადგენს. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ფაქტიური მეთაური იქნება სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ჰუსეინ ტანტავი. სამხედრო საბჭოს განცხადებით, დროებითი მთავრობა ქვეყნის ყველა საერთაშორისო ვალდებულებას განახორციელებს.

### იტალიაში ჰუმანიტარული კრიზისია

**იტალიის მთავრობამ ჰუმანიტარული კატასტროფის მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნული სიტუაცია ტუნისიდან წამოსულმა ლტოლვილთა ნაკადმა განაპირობა. ტუნისში დაახლოებით ერთი თვის წინათ მომხდარი რევოლუციის შემდეგ მხოლოდ ორიოდე დღეში იტალიას სამი ათასამდე დევნილი მიაწყდა.** იტალიამ გადაწყვიტა, აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ევროკავშირს დევნილთა ექსტრემალური განთავსების კუთხით დახმარება სთხოვოს. მთავრობა ლამპედუზში ნავებით ჩასული დევნილების ქვეყნის კონტინენტურ ნაწილში მდებარე ქალაქებში გადასანაწილებლად დამატებითი საშუალებების გამოყოფას გეგმავს. ამისათვის უკვე მობილიზებულია სატრანსპორტო საშუალებები, დაგეგმილია ავიარეისებიც.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნაცისტები ამერიკული დემოკრატიის სამსახურში

**მოკავშირეების მედლის მეორე მხარე — ასე შეიძლება ეწოდოს იმ მასალებს, რომლებსაც დღეს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს. ფაქტები სარწმუნოა, რადგან აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მოხსენებიდან და ამერიკის პრესიდან არის ამოღებული. ფაქტები, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მოკავშირეების პრინციპის დამრღვევ ქვეყანას. მით უფრო, როცა ლაპარაკია ნაცისტებისთვის კალთის გადაფარებაზე, იმ სამხედრო დამნაშავეებისთვის თემიდას მახვილის არიდებაზე, რომლებმაც ათასობით უდანაშაულო ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე ადოლფ შინკლგრუბერის ნაბოდვარი იდეების დროშით.**



**ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა შეიფარეს ათობით ნაცისტი, რომელთა უმრავლესობა უკვე არასდროს წარსდგება საერთაშორისო სასამართლოს წინაშე**



ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეგნებულად არ დააპატიმრა ცნობილი სამხედრო დამნაშავე ადოლფ აიხმანი

**ამერიკის ხელისუფლება არა მარტო შეგნებულად აძლევდა თავშესაფარს ნაცისტ დამნაშავეებს, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც იყენებდა მათ.**

ამ თემის წამოწევის მიზეზი გახდა ნაცისტი სამხედრო დამნაშავის — **პიტერ ეგნერის** გარდაცვალება, რომელიც შეთავსებით აშშ მოქალაქე იყო და მეორე მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა სტარო-საიმიშტეს საკონცენტრაციო ბანაკში 17 ათასი ადამიანის მკვლელობაში. იგი გასულ კვირაში აღესრულა 88 წლისა ისე, რომ თავის დანაშაულზე პასუხი არ უგია.

მის გადაცემას მოითხოვდა სერბეთისა და ისრაელის ხელისუფლებები, მაგრამ ამერიკელებმა გააჭიანურეს საქმე და ნაცისტს საშუალება მისცეს, აუღელვებლად დაელია სული. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ხელისუფალნი სხვადასხვა საბაბით უარს ამბობენ ნაცისტი დამნაშავეების ექსტრადიციაზე.

ამის დამადასტურებელია თუნდაც **სანდორ კეპიროს** ისტორია, რომელსაც ბრალად ედებოდა სერბეთის ნოვი სადში მინიმუმ 1250 მშვიდობიანი მოქალაქის დახვრეტის ორგანიზებაში მონაწილეობა 1942 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მისი დანაშაული ჯერ კიდევ 1944 წელს უტყუარად დაამტკიცა უნგრეთის ხელისუფლებამ, მას პასუხი არ უგია. **უნგრეთთან ერთად იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც მაინც და მაინც არ ცდილობენ ნაცისტი დამნაშავეების გამოვლენას, შედის ნორვეგია, შვედეთი, სირია, ესტონეთი, ლიტვა და უკრაინა.**

ბოლო 30 წლის მანძილზე ავსტრია არ თანამშრომლობს ასეთი პირების ძებნისა და ექსტრადიციის საკითხებში. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ხორვატიის პოლიციის შეფის **მილოვოშ ასნერის** შემთხვევაც, რომელმაც ათასობით ადამიანი გაუყენა სიკვდილის გზას. მაგრამ ვენამ უარი თქვა ამ დამნაშავის გაცემაზე.

**ნაცისტ დამნაშავეებს, რომელთა თავზეც მართლმსაჯულების მახვილი აღიმართა, აქტიურად ეხმარება ლატვიის ხელისუფლება.** მაგალითისათვის საკმარისია თუნდაც ის იურიდიული დახმარება, რომელიც გაუწიეს ცნობილ პოლიცაის — **ივან დემიანიუკს,** რომელსაც ბრალად ედებოდა ათი ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის განადგურება.

დღეს ნათელი ხდება, რომ **ნაცისტი დამნაშავეების დაცვის საქმეში ტონის მიმცემი ამერიკის შეერთებული შტატებია.** აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მოხსენებით, რომელიც 2005 წელს დაიწერა, **ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა შეიფარეს ათობით ნაცისტი, რომელთა უმრავლესობა უკვე არასდროს წარსდგება საერთაშორისო სასამართლოს წინაშე.**

ნიშანდობლივია, რომ სპეცსამსახურების მონდომებით ყველაზე უფრო პიკანტური ფაქტები ამ დოკუმენტში ვერ მოხვდა, მაგრამ The New York Times-ის ჟურნალისტებმა ყველაფერი სააშკარაოზე გამოიტანეს.

**ნაცისტ დამნაშავეებს შეგნებულად მისცეს თავშესაფარი აშშ-ში, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარსულის შესახებ ყველაფერი ცნობილი იყო.** უწინ ისინი მესამე რაიხს ემსახურებოდნენ, შემდეგ ამერიკის დემოკრატიის სამსახურში ჩადგნენ. მათ ორი მიმართულებით იყენებდნენ — როგორც მეცნიერებს და როგორც სადაზვერვო ინფორმაციის წყაროს.

დოკუმენტები, რომლებითაც სინათლე მოეფინა ამერიკის დაზვერვის სამსახურის ნაცისტებთან ურთიერთობას, გასაიდუმლოვდა ჯერ კიდევ 2006 წელს. ამ წყაროებიდან ირკვევა, რომ **ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეგნებულად არ დააპატიმრა ცნობილი სამხედრო დამნაშავე ადოლფ აიხმანი, რადგან იფიქრეს, რომ პირს მოხსნიდა და მოყვებოდა ჰანს გლობკეს ნაცისტური საქმეების შესახებ. ეს გლობკე 1950-იან წლებში დასავლეთ გერმანიის კანცლერის — კონრად ადენაუერის უახლოესი თანაშემწე იყო.**

იმავე გაზეთის ჟურნალისტების მონაცემებით, ყველაზე უფრო საშიში სამხედრო დამნაშავე, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამსახურში აღმოჩნდა, იყო **ოტო ფონ ბოლშვინგი,** ებრაელთა ჯალათის — **ადოლფ აიხმანის** მარჯვენა ხელი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ამ ერის წარმომადგენელთა ტოტალურ განადგურებაში. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, გამოძიების ფედერალურ ბიუროსა და პენტაგონში მუშაობდა აიხმანის კიდევ ოთხი უახლოესი თანაშემწე.

ან კიდევ ერთი საინტერესო პერსონაჟი — **არტურ რუდოლფი,** რომელიც ხელმძღვანელობდა ტყვიაწამლის ქარხანა Mittelweek-ს და რომელსაც ბრალად ედებოდა სამხედრო ტყვეებისა და გერმანიაში ძალით გარეკილი მუშების იძულებითი შრომა. **ამერიკელებს მისი ბნელი წარსული ნაკლებად აინტერესებდათ. მთავარი ის იყო, რომ მან ბევრი რამ იცოდა რაკეტების ტექნოლოგიების შესახებ.** უფრო მეტიც, ამერიკელების სამსახურში ყოფნისას მან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რისთვისაც **აშშ-ის კოსმოსურმა სააგენტომ — ნასამ დააჯილდოვა და „რაკეტა Saturn-5-ის მამის" სახელი მიაკუთვნა.**

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. გაზეთი The Times-ი წერდა, რომ **ცსს შეეცადა კიდევ 23 სამხედრო დამნაშავის გადაბირებას.** ცნობილია, რომ ამ სპეცსამსახურისთვის მუშაობდა ესეს-ის მაღალი თანამდებობის ოფიცერი **თეოდორ საევეკი,** რომელიც პასუხისმგებელი იყო ჩრდილოეთ აფრიკიდან ებრაელთა დეპორტაციაზე და წინააღმდეგობის მოძრაობის ჩახშობაზე იტალიაში. ვერც ისრაელმა, ვერც იტალიამ ვერ შეძლეს ამ დამნაშავის ხელში ჩაგდება. ნაცისტებზე მონადირეთათვის კარგად არის ცნობილი **კარლ ხასის** სახელიც, რომელიც **ჰიტლერელიდან ამერიკის დემოკრატიის თავგამოდებულ მსახურად სასწაულებრივ გარდაიქმნა.**

**ომის შემდგომ პერიოდში ინგლისელებისთვის მუშაობდა ცნობილი გესტაპოელი ხორსტ კოპკოვი, რომელიც ეხმარებოდა მათ საბჭოთა ჯაშუშობის წინააღმდეგ ბრძოლაში.** ამერიკელებსა და მათ ევროპელ მოკავშირეებს ხოლოკოსტის გამოცდილების მქონენი და „ოსტის" გეგმის განმხორციელებლები სჭირდებოდათ ევროპაში კომუნიზმის აღმავლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ იყო, რომ **ყოფილი მოკავშირეები ხელს უშლიდნენ საიმიგრაციო ხელისუფლებას არა მარტო ამ პირების დეპორტაციაში, არამედ უკრძალავდნენ მათი სახელების გათქმაშიც.**

მრავალ კოლაბორატს იყენებდნენ იმიგრანტთა წრეებში ჩასანერგად კონტრსადაზვერვო მუშაობისთვის. უწინარეს ყოვლისა, მათ მიზნად უსახავდნენ, ხელი შეეშალათ კომუნისტური იდეების გავრცელებისთვის.

**განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ყოფილი საბჭოთა მოქალაქენი, რომელთაც თავი გამოიჩინეს მესამე რაიხის სამსახურში.**

ცნობილია, რომ 1945 წლის იალტის კონფერენციის შეთანხმებების საფუძველზე, ყველა კოლაბორანტი, საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან, გერმანიის განადგურების შემდეგ საბჭოთა კავშირისთვის უნდა გადაეცათ. ეს გადაწყვეტილება, ძირითადად, პირნათლად სრულდებოდა. სსრკ-ს გადასცეს რუსეთის გამათავისუფლებელი არმიის ყველა ის ხელმძღვანელი, რომლებიც მოკავშირეთა ხელში აღმოჩნდნენ. მაგალითად, გენერლები ჟილენკოვი და მალიშკინი, არაფერი რომ არა ვთქვათ, ვლასოველთა არმიის რიგით შემადგენლობაზე.

**ინგლისელებმა და ამერიკელებმა, ზოგ შემთხვევაში, გადაამეტეს კიდეც. კომუნისტებს ანგარიშის გასასწორებლად გადასცეს ემიგრანტები, რომლებმაც რუსეთი რევოლუციის შემდეგ დატოვეს და არ ექვემდებარებოდნენ გადაცემას, რადგან არ იყვნენ საბჭოთა მოქალაქეები. მაგრამ, ამასთან, ასობით და ათასობით კოლაბორანტი, რომელთა უმრავლესობას დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, არ გადასცეს საბჭოთა ხელისუფლებას.**

**სულ ცოტა შვიდმა ათასმა ვლასოველმა, ათასობით ესესელმა თავი შეაფარა ფრანგულ უცხოურ ლეგიონს და აქ სამსახურის დამთავრების შემდეგ გამოჩნდა ავსტრალიასა და აშშ-ში გადარქმეული სახელებით.** თუმცა დასავლეთში გაქცეულ კოლაბორანტთაგან ზოგიერთს დამალვა მაინც და მაინც არ უცდია. მაგრამ მათთვის ხელი არავის უხლია. უკრაინელი მიკოლა ლებედი, რომელსაც სამხედრო დანაშაულობანი ედებოდა ბრალად, მუშაობდა აშშ საარმიო კონტრდაზვერვაში და შემდეგ — ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში. **ჰიტლერელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მაიკოვსკის** შავბნელი ფიგურა, გამოჩენილი გესტაპოელისა, რომელმაც არაერთი ბოროტმოქმედება ჩაიდინა იმავე უკრაინაში.

**რით იყო განპირობებული ასეთი მიდგომა? „პრავდა.რუს" ამ შეკითხვას უპასუხებს ისტორიკოსი კირილ ალექსანდროვი.**

— ჯერ ერთი, — **თქვა მან,** — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოკავშირეები საბჭოთა კავშირს გადასცემდნენ იმ პირებს, ვისითაც დაინტერესებული იყვნენ კომუნისტები, გადასცემდნენ ზუსტად განსაზღვრული დროის მონაკვეთში. **თუ ვინმემ მოახერხა და გაყუჩდა 1947 წლის მეორე ნახევრამდე, შემდეგ, გადაცემის შიში ნაკლებად უნდა ჰქონოდა: დაიწყო „ცივი ომი" და მოკავშირეებმა შეკვეცეს უწინდელი თანამშრომლობა სტალინთან.**

ეროვნულ ფორმირებათა წარმომადგენლებს, მაგალითად, დივიზია „გალიჩინის" პირად შემადგენლობას, ბალტიისპირელებს მოკავშირეები საბჭოელებს არ გადასცემდნენ იმიტომ, რომ, იალტის შეთანხმებებით, გადაცემას ექვემდებარებოდნენ სსრკ-ის მოქალაქენი. ხოლო ისინი, ვინც 1939 წლის შემოდგომამდე ცხოვრობდნენ ტერიტორიებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გერმანიასთან შეთანხმებით მიიერთა, ასეთებად არ ითვლებოდნენ.

იბადება კითხვა: მაშ, რატომ გადასცეს საბჭოთა კავშირს თეთრი ემიგრანტები: კრასნოვი, შკურო, რომლებიც იმავე იალტის შეთანხმებით გადაცემას არ ექვემდებარებოდნენ? არის ორი ვერსია. პირველი. ისინი გროსადმირალ რედერში გაცვალეს. მეორე. ინგლისელებმა და ამერიკელებმა კრასნოვი და შკურო გაცვალეს „კაზაჩი სტანის" უდიდეს ფულად სახსრებში.

**გერმანელებთან თანამშრომლობაში შემჩნეული პირების საბჭოთა კავშირისთვის გადაცემის დროს მოკავშირეები ხელმძღვანელობდნენ იმით, თუ რამდენად გამოადგებოდათ ესა თუ ის ადამიანი კომუნისტებთან ბრძოლის საქმეში.** გამოიკვეთა ასეთი კანონზომიერება: არავითარ შემთხვევაში არ გადასცემდნენ იმათ, ვინც სპეცსამსახურებთან და, განსაკუთრებით, სადაზვერვო სკოლებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, **მაშინ, როცა საბჭოთა კავშირს გადასცეს „კაზაჩი სტანის" სრული შემადგენლობა, თეთრი ემიგრანტებიც კი, სადაზვერვო სკოლა „ატამანის" არც ერთ თანამშრომელს ხელი არ ახლეს.**

**სერგეი ბელმასოვი**
*pravda.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# «ASGLA» — წარმატებული «მშობლების» შვილი



**გერმანულმა „Rheinmetall Defence"-მა და უკრაინულმა „Арсенал"-მა შექმნეს საზენიტო-სარაკეტო კომპლესი „ASGLA", რომელიც „ASRAD-2"-ის და „Игла"-ს სიმბიოზს წარმოადგენს.** მისი რადარი „X-Tar 3D" სამიზნეებს 50 კილომეტრის რადიუსში აღმოაჩენს, ინფორმაციის განახლების პერიოდი 1,5 წამია. გამშვები დანადგარის წონა 1,3 ტონაა, შეიარაღება — 4 „Игла"-1M (კიდევ 8 კაბინაში) და 12,7 მმ. ტყვიამფრქვევი. ოცეულის შემადგენლობაში შედის სამეთაურო და ცეცხლის მართვის პუნქტები და 8 გამშვები დანადგარი; სამიზნეთა განადგურების რადიუსი 5-7 კილომეტრია.

# ნეტავ, რა იგულისხმა ადმირალმა?



აშშ-ის სპეციალური ოპერაციების სარდლობის ხელმძღვანელმა, ადმირალმა ერიკ ოლსონმა განაცხადა, რომ **„აშშ ავღანეთში ქალთა საგანგებო დანაყოფების განთავსებას იწყებს, რომელთა ამოცანა ამერიკული ძალების კულტურული მხარდაჭერა იქნება".** ადმირალის თქმით, სამხედროები ავღანეთში „ყოველთვის როდი აცნობიერებენ, რა ქვეყანაში იმყოფებიან და ამ პრობლების გადაწყვეტაში ქალთა აღნიშნული დანაყოფები დაეხმარებიან".

# პაკისტანში ახალი რაკეტა გამოსცადეს

**პაკისტანმა წარმატებით გამოსცადა ახალი ფრთოსანი რაკეტა „Hatf-7 (Babur)".** მისი მოქმედების რადიუსი 600 კილომეტრია და სამიზნემდე როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი ქობინების მიტანა შეუძლია. ზუსტი მახასიათებლები უცნობია, თუმცა „The Nation"-ი აღნიშნავს, რომ რაკეტა მცირე სიმაღლეებზე მიფრინავს, რაც მის აღმოჩენას ართულებს.

# ვენესუელაში სამხედრო ავტომობილებს ააწყობენ



**ვენესუელამ სამხედრო ავტომობილების წარმოება დაიწყო.** „Tiuna UR-53AR50"-ის შემდეგ ვარიანტებში იქნება წარმოდგენილი: სადაზვერვო 12,7 მმ. ტყიამფრქვევით, ტანკსაწინააღმდეგო 106 მმ. დანადგარით „M-40A1, საჰაერო თავდაცვის, რომელზეც „Bofors RBS-70" დამონტაჟდება და პოლიციური. ძრავა- „Vortec V8" 5,3 ლ. ფორმულა — 4X4, ზომა — 4,92X2 მ., წონა — 3,2 ტონა, დესანტი — 9 მებრძოლი (პოლიციურ ვარიანტში — 12); წელიწადში 400 ასეთ მანქანას გამოუშვებენ.

# კანადელებმა ტანკები განაახლეს

**კანადურმა კონტინგენტმა ავღანეთში განახლებული „Leopard 2 A4M-ების მიღება დაიწყო.** 20 ტანკიდან „Leopard 2 A6M, რომელიც ავღანეთში 2007 წლიდანაა დისლოცირებული, გერმანულმა „KMW"-მ ხუთი უკვე განაახლა. ტანკები კაპიტალურად გარემონტდა, მათზე ჯავშნის დამატებითი ელემენტები დაამონტაჟეს. კოშკურის მართვა 100%-ით ელექტრონული გახდა, შეიცვალა საბორტო კომპიუტერი, მართვის ბლოკი და ოპტიკური ხელსაწყოები; რამდენიმე „Leopard 2 A4M-ი ყანდაგართან მიმდინარე ბრძოლებში უკვე ჩაერთო.

# აღმოსავლეთის დრაკონმა კლანჭები გამოაჩინა

**ბოლო დროს ჩინეთის წარმატებებზე სამხედრო აღმშენებლობის სფეროში საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ვრცელდება. ალბათ, დროა, ეს ინფორმაცია დავახარისხოთ და ძირითადი მიმართულებები გამოვკვეთოთ.**



ამ წარმატებებს სამი ძირითადი წინაპირობა განსაზღვრავს: ა) ეკონომიკის სწრაფი ზრდა, მისი გასვლა ლიდერის პოზიციებზე გლობალური მასშტაბით; ბ) პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება თავდაცვის პრობლემების მიმართ; გ) წარმატებული „ნადირობა ტექნოლოგიებზე".

დავიწყოთ რაკეტებით: აშშ-ის თავდაცვის მინისტრის — რობერტ გეითსის შეფასებით, **ჩინეთმა, წინა წელთან შედარებით, 30%-ით გაზარდა ფრთოსანი რაკეტების წარმოება. უკვე დღეს ჩინეთის სარაკეტო არსენალი საკმარისია იმისთვის, რომ სრულიად გაანადგუროს** (ასაფრენი ზოლები, ანგარები, საწვავის მარაგები და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პუნქტები) **6-დან 5 ამერიკული ბაზა წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში; კერძოდ: კადენა, მისავა და იოკოტა — იაპონიაში და ოსანი და კუსანი — სამხრეთ კორეაში.** ახალი რაკეტები „DF-21C" (მოქმედების რადიუსი 1700 კმ.) აღჭურვილია დამიზნების ახალი სისტემით, რომელიც იძლევა ზუსტი დარტყმების განხორციელების საშუალებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ტაივანთან მიმართებაში. ხომალდსაწინააღმდეგო „DF-21D"-ს კი (მოქმედების ასეთივე რადიუსით) ამერიკელი ანალიტიკოსები უწოდებენ პირველ საფრთხეს აშშ-ის ფლოტის გლობალური ბატონობისთვის „ცივი ომის" შემდეგ. ისინი მიიჩნევენ, რომ **ამ რაკეტას მანევრული საბრძოლო ბლოკებით, რომელთა დამიზნებას 3 ახალი თანამგზავრი უზრუნველყოფს, ავიამზიდი დაჯგუფებების დაცვის გარღვევა შეუძლია. შესაბამისად, ამერიკული ავიამზიდები კარგავენ შესაძლებლობას, მიუახლოვდნენ ჩინეთის სანაპიროსა და ტაივანს.**



მეხუთე თაობის გამანადგურებლის „J-20"-ის პირველი გაფრენა არცთუ დიდი ხნის წინათ შედგა. მისი მახასიათებლები ცნობილი არ არის, მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მისი შექმნისას გამოიყენეს რუსული ძრავა და ამერიკული სტელს-ტექნოლოგიები. რობერტ გეითსი მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს „DF-21D"-სთან ერთად „J-20-იც წარმოადგენს.

წელს ჩინეთის საზღვაო ძალების შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს ავიამზიდი კრაისერი „Shi Lang" (ყოფილი „Варяг", რომელიც ჩინელებმა უკრაინაში შეიძინეს და მისი აგება დაასრულეს). 2015 წლისათვის აიგება 2 ავიამზიდი, 2020-ისთვის კი ფლოტში 4 ავიამზიდი უნდა იყოს. ქალაქ უხანის მახლობლად აშენდა პირველი საწვრთნელი კომპლექსი მომავალი ▶

# ყანდაგარი — შიშის და ტერორის ქალაქი

**შარშან, ოქტომბერში, ჩვენ ყურადღებით ვადევნებდით თვალს ავღანეთში, ქალაქ ყანდაგართან მიმდინარე ბრძოლებს, საინტერესოა, რა ვითარებაა ამ რეგიონში დღეს?**



სტრატეგიული თვალსაზრისით, ოპერაციამ „Dragon Strike" წარმატებას ვერ მიაღწია. თალიბები ისევ ინტენსიურად უტევენ მაგისტრალურ ტრასას და ყანდაგარის აეროდრომს. მართალია, უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა ქალაქის გარშემო შედარებით გაძლიერდა, მაგრამ უსაფრთხოება არ გამყარებულა.

„უსაფრთხოების რკალს" ქალაქის გარშემო 16 საყრდენი პუნქტი (10 კაპიტალურ შენობაშია განთავსებული, 4 — კარვებში, 2 — შენდება) უზრუნველყოფს, სადაც ადგილობრივი და ამერიკელი სამხედრო პოლიციელები (850 კაცი; სამხედრო პოლიციის 504 ბატალიონი, მეთაური პოდპოლკოვნიკი ჯონ ვურჰისი) მსახურობენ. 1600 ავღანელი პოლიციელი განლაგებულია ქალაქის შიგნით, ზაფხულში მათი რაოდენობა 2100-მდე გაიზრდება.

**ავღანელი პოლიციელები, ძირითადად, სხვა პროვინციებიდან არიან და ყანდაგარს ცუდად იცნობენ. ქალაქში გასვლისას სახეებს მალავენ, რათა თალიბებმა არ იცნონ.** კანადელი ინსტრუქტორის — ნატალი ქერონის თქმით, ისინი დაქტილოსკოპიას, არც მეტი, არც ნაკლები, ჯადოქრობად თვლიან და, შესაბამისად, თითების ანაბეჭდების აღებაზე უარს ამბობენ. კორუფცია და ნარკომანია ავღანურ პოლიციაში ფართოდაა გავრცელებული. პატრულირება ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში დღისით შესაძლებელია, თუმცა სამხრეთ-აღმოსავლეთ უბნებში შესვლას მთელი სამხედრო ოპერაციის დაგეგმვა სჭირდება; ღამე კი ქალაქს თალიბები ეპატრონებიან.



მათი მობილური რაზმები მოტოციკლებით მთელ ქალაქში დადიან და პოლიციელებს ან იმ ადამიანებს ეძებენ, ვინც ხელისუფლებასთან თანამშრომლობს. როგორც წესი, მსხვერპლს წინასწარ გაფრთხილებას უგზავნიან, და თუ ის ყანდაგარიდან გასვლას ვერ მოახერხებს, კლავენ. **გასულ წელს თალიბების „სიკვდილის ესკადრონებმა" სიცოცხლეს 600-მდე ადამიანი გამოასალმეს. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მოქმედებდა „თალიბანის" ორი მებრძოლი მოტოციკლზე. პრაქტიკულად, ყოველდღე ხდება თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების აფეთქება მძიმე შედეგებით, ყანდაგარი მუდმივი შიშისა და ტერორის ატმოსფეროში ცხოვრობს.**

თავის დროზე ეს პროვინცია და ქალაქი მუდმივ თავის ტკივილს საბჭოთა სარდლობისთვისაც წარმოადგენდა. აქ, სხვა პროვინციებ- ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net





ჩინური ავიამზიდების მფრინავებისთვის, კიდევ ორი კომპლექსის მშენებლობა ლაონინის და ჩენგდუს პროვინციებში დაიწყო.

**ამ ავიამზიდებიდან, სავარაუდოდ, „J-15“-ის ტიპის გამანადგურებლებიც აფრინდებიან. ჩინეთმა წარმატებით მოახდინა რუსული „Су-33“-ის კოპირება, უფრო სწორედ „J-15“-ი „Су-33“-ის ერთ-ერთი პროტოტიპის „T10K“-ის ბაზაზე შეიქმნა, რომელიც ჩინელებმა, ასევე, უკრაინაში შეიძინეს. თავდაპირველად, ჩინეთი რუსეთში 50 „Су-33“-ის ყიდვას აპირებდა, თუმცა შემდეგ მხოლოდ 2 თვითმფრინავის შეძენა ისურვა. მოსკოვი მიხვდა, რომ ეს თვითმფრინავები ჩინელებს კლონირებისთვის სჭირდებოდა და ამ გარიგებაზე უარი თქვა.**

საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „HQ-9“-ს „მშობლები“ რუსული „C-300 და ამერიკული „Patriot-ია. რადარი „NT-233“, რომელიც ჩინურ დანადგარზე აყენია, საეჭვოდ მოაგონებს ამერიკულ „MPQ-53“-ს; სხვა მხრივ, კომპლექსი რუსულ ანალოგს ჰგავს. მართალია, „HQ-9“ თავისი მახასიათებლებით ჩამოუვარდება „C-300 –ის ბოლო მოდიფიკაციას „ПМУ1-ს (მოქმედების რადიუსი 10-15%-ით მცირეა; შესაძლოა, ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩინელების ხელთ იყო შედარებით ძველი „300МПУ და „C-300ПС), თუმცა ის უფრო იაფია. სხვათა შორის, ეს დანადგარები მალე ჩვენს რეგიონშიც გამოჩნდება, თუ თურქეთი, ხელმოწერილი კონტრაქტის თანახმად, 12 „HQ-9“-ს მიიღებს.

**ჩინეთმა წარმატებით გამოსცადა ორბიტალური აპარატი, რომელსაც ორბიტაზე შეუძლია 270 დღე დარჩეს და სხვადასხვა ამოცანები შეასრულოს, მათ შორის კავშირგაბმულობის თანამგზავრები გაანადგუროს.**

ჩინეთმა მოახდინა რუსული მრავალმიზნობრივი გამანადგურებლის — „Су-27“-ის კოპირება. ჩინელები თვითმფრინავს ჯერ ლიცენზიით აწყობდნენ, შემდეგ კი ადგილობრივი ნაწილებისგან (ძრავის გარდა) მისი ვარიანტის — „J-11B“-ის აწყობა დაიწყეს. ამის გამო მოსკოვმა ლიცენზია გააუქმა, თუმცა არალიცენზიური ასლი წარმოებისთვის მზად იყო.

ჩინეთმა წარმატებით მოახერხა ყველა რუსული დიზელ-ელექტრული სუბმარინის, მათ შორის, ახალ პროექტ 677 „Лада“-ს კოპირება და მსოფლიოში დიზელ-ელექტრული სუბმარინების უდიდეს მწარმოებლად იქცა.

ახალი ჩინური საშუალო მანძილის მართვადი რაკეტა „SD-10“ საჰაერო ბრძოლისთვის აღჭურვილია დამიზნების დუბლირებული (აქტიური რადიოსალოკაციო და პასიური ინფრაწითელი) თავაკით. „Jane's Defense Weekly“-ის ვარაუდით, ეს რაკეტა, რომელსაც ამჟამად შეიარაღებაზე იღებენ, შესაძლოა, ამ კლასის ყველაზე მძლავრი რაკეტაა მსოფლიოში.

არის სხვა მნიშვნელოვანი მიღწევები, თუმცა ჩვენ მხოლოდ ის შეიარაღება ჩამოვთვალეთ, რომელსაც ძალთა გლობალურ ბალანსზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. ამასთანავე, **ტრადიციულად ითვლება, რომ ჩინეთის ბირთვული არსენალი არასაკმარისია იმისთვის, რომ ეს ქვეყანა ზესახელმწიფოების ბირთვულ შანტაჟს წინ აღუდგეს. ასე რომ, ის, ნებისმიერ შემთხვევაში, არათანასწორუფლებიან მოთამაშედ გვევლინება. თუმცა ბოლო წლებში ჩინური სტრატეგიული ქობინების რაოდენობამ** (სახმელეთო ბაზირების რაკეტებში), **ექსპერტთა ვარაუდით, 160-ს მიაღწია, ხოლო ჩინეთის მეორე საარტილერიო კორპუსმა** (სახელწოდება ნუ დაგვაბნევს, ეს ბირთვული ძალებია) **ახალი რაკეტების — „DF-31“ და „DF-31A** (ეს უკანასკნელი სამქობინიანია) **— მიღება დაიწყო.** სავარაუდოდ, ორი ბრიგადა (813-ე და 818-ე) ამ რაკეტებით უკვე შეიარაღდა. ამასთანავე, ბირთვული რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების რაოდენობა მომავალ ხუთ წელიწადში, სავარაუდოდ, ორიდან (24 რაკეტა 72 ქობინით) შვიდამდე გაიზრდება და საზღვაო სტრატეგიული არსენალი 192 ქობინამდე ავა. სახმელეთო ბაზირების ძალებთან ერთად ეს უკვე ძალზე სერიოზული არგუმენტი გახდება.

**თუ უახლოეს ოც წელიწადში ჩინეთის აღმასვლა არ შეფერხდება, ის, სამხედრო თვალსაზრისით, აშშ-სა და რუსეთს გაუთანაბრდება; შესაბამისად, ძალთა გლობალური ბალანსი, კერძოდ, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, რადიკალურად შეიცვლება და სულ სხვა მსოფლიოში ცხოვრება მოგვიწევს.**

---

თან შედარებით, ყველაზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა. თუმცა ფაქტობრივ „ორხელისუფლებიანობამდე“ საქმე არასოდეს მისულა, საბჭოთა ძალები ყანდაგარს გაცილებით თავდაჯერებულად აკონტროლებდნენ. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მათი რაოდენობა როგორც ყანდაგარში, ისე მთელ ავღანეთში, გაცილებით ნაკლები იყო. **„ISAF“-ის კონტინგენტი საბჭოთაზე 50 ათასით დიდია, მათი მოკავშირე ავღანური არმია დღეს 150 ათას მებრძოლს ითვლის, 2014-ში კი 260 ათასამდე უნდა გაიზარდოს. საბჭოთა კონტროლის პერიოდში კი ავღანური არმიის რიცხოვნება 25 ათასიდან 40 ათასამდე მერყეობდა.** გაცილებით მეტი ადამიანი დღეს სამართალდამცავ სტრუქტურებშიც ირიცხება: ავღანურ პოლიციაში დღეს 90 ათასი თანამშრომელია (2014-სთვის 160 ათასამდე გაზრდას გეგმავენ), დაზვერვაში — 40 ათასი, დამხმარე „ანტითალიბურ ლაშქარში“ შსს-ს ქმაყოფაზე — 20 ათასი (50 ათასამდე უნდა გაზარდონ), კიდევ 100 ათასი მებრძოლი კერძო სამხედრო კორპორაციების სამსახურშია.

ამასთანავე, კოალიციას გაცილებით სუსტი მოწინააღმდეგე ჰყავს: **აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფასებით, საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ 250 ათასი მოჯაჰედი იბრძოდა, ხოლო თალიბების რაოდენობა 35 ათასს არ აღემატება. მხოლოდ ამ უწყების ბანაკებში მომზადდა 13 ათასი მოჯახედი, გაცილებით მეტი პაკისტანელმა ინსტრუქტორებმა მოამზადეს** (ასევე იყო ბანაკები ირანში). **დღეს თალიბები მსგავს მომზადებაზე ვერც იოცნებებენ.** მხოლოდ აშშ ყოველწლიურად აწვდიდა ავღანელ პარტიზანებს 65 ათას ტონა მაღალტექნოლოგიურ შეიარაღებასა და აღჭურვილობას („სტინგერები“, პლასტიკური ნაღმები, კავშირგაბმულობის საშუალებები და ა.შ.); **ამასთანავე, იყო საუდის არაბეთის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ირანის დახმარებაც, რომლის მოცულობა ჯამში 20 მილიარდ დოლარს აღწევდა. დღეს თალიბებს ყოველწლიურად მხოლოდ 150 მილიონ დოლარის** (გავითვალისწინოთ დოლარის გაუფასურებაც 80-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე) **50 ათას ტონამდე დაბალტექნოლოგიურ შეიარაღებასა და აღჭურვილობას იძენენ.**





თანამედროვე შეირაღება, 80-იან წლებთან შედარებით, უფრო ეფექტური გახდა. კოალიცია ავიაციას გაცილებით უფრო ფართოდ იყენებს. დაზვერვის საშუალებები ტექნიკური ევოლუციის თვისობრივად ახალ საფეხურზეა ასული; „ISAF“ სამხედროების განკარგულებაშია უპილოტო საფრენი აპარატები და უამრავი სხვა ხელსაწყო, რომელიც საბჭოთა კონტინგენტს, უბრალოდ, არ ჰქონდა. თუმცა, ყოველივე თქმულის მიუხედავად, **საბჭოთა არმია, ავღანეთში სამჯერ მეტ ტერიტორიას აკონტროლებდა, ვიდრე დღეს კოალიცია ახერხებს.** საინტერესოა, რა არის ამის მიზეზი — მხოლოდ საბჭოთა სამხედრო მანქანის მაღალი ეფექტურობა თუ სხვა რამეც?

შესაძლოა, სხვა „დიდ“ პოლიტიკურ და სამხედრო მიზეზებთან ერთად საქმე ისიც არის, რომ ამერიკელები, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიებში კარგად ერკვევიან, ურთიერთობა ავღანელებთან ვერა და ვერ ააწყვეს. პარადოქსულია, მაგრამ, როგორც ჩანს, **საბჭოელებს კომუნიკაცია ადგილობრივებთან უკეთ ჰქონდათ აწყობილი. ავღანელები, მათ შორის ყოფილი მოჯახედები, მათ, როგორც წესი, პატივისცემით იხსენიებენ. პატივისცემა კი აღმოსავლეთში ძალიან ბევრს ნიშნავს. „ისინი პატივს გვცემდნენ. მახსოვს, როდესაც ქალაქის პატრულირებას ახდენდნენ, ადამიანებს ელაპარაკებოდნენ. ხალხი დღემდე სარგებლობს უნივერსიტეტით და სხვა შენობებით, რომელიც მათ ააშენეს“,** — ეს პროპაგანდა კი არა, ერთ-ერთი ტიპიური ამონარიდია ინტერვიუებიდან, რომელიც ბრიტანული „Times“-ის კორესპონდენტმა ქაბულის ბაზარში აიღო.

რა თქმა უნდა, ადგილობრივებისთვის საბჭოელებიც უცხო ქვეყნის ჯარისკაცები იყვნენ, რომელთაც ავღანეთში არაფერი ესაქმებოდათ, თუმცა ერთია ჯარისკაცი, რომელიც მზად არის, ზედმეტი ნერვიულობის გარეშე დაგელაპარაკოს, და სულ სხვაა ჯარისკაცი, რომელიც (ხშირად) მიახლოებისთანავე ავტომატს გიმიზნებს, შიშითა და სიძულვილით გიყურებს და გიბრძანებს, შეჩერდე ან სულაც დაიჩოქო; ავღანელები კი ასეთ ნიუანსებს დიდ ყურადღებას აქცევენ.

მოამზადა
**გიორგი გიგიბერიამ**

---

## გამონათქვამები



**დიმიტრი მედვედევი,
რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

რუსეთი იმედოვნებს, რომ ეგვიპტეში უახლოეს პერიოდში განახლდება დემოკრატიული პროცესები, რისთვისაც გამოყენებული იქნება ყველა ლეგიტიმური საარჩევნო პროცედურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეგვიპტეში კონფესიათაშორისი მშვიდობა და თანხმობა შენარჩუნდეს. ძლიერი დემოკრატიული ეგვიპტე ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პროცესის გაგრძელების მნიშვნელოვანი ფაქტორია. რუსეთი განაგრძობს აქტიური როლის შესრულებას ამ პროცესისთვის ხელის შეწყობის საერთაშორისო ძალისხმევაში.

*rian.ru*



**ბარაკ ობამა,
აშშ-ის პრეზიდენტი:**

ეგვიპტელმა ხალხმა საკუთარი ნება გამოხატა და მისი ხმა შესმენილ იქნა. მომხდარი არა დასასრული, არამედ დასაწყისია და ეგვიპტე უკვე აღარ იქნება ძველებური, ეგვიპტელები კი აღარ თანხმდებიან არაფერს, გარდა ნამდვილი დემოკრატიისა. ეგვიპტის არმიამ, რომელსაც დროებით გადაეცა ქვეყანაში ძალაუფლება, მოსახლეობა უნდა დაიცვას და ეგვიპტის დემოკრატიაზე გადასვლა უზრუნველყოს. უმთავრესი ამოცანა დემოკრატიული არჩევნების ორგანიზებაა. ეგვიპტეს რთული პერიოდი ელის.

*ტელეკომპანია CNN*



**ნიკოლა სარკოზი,
საფრანგეთის პრეზიდენტი:**

საფრანგეთში მულტიკულტურიზმის პოლიტიკამ კრახი განიცადა. ჩვენ საკმაოდ ვზრუნავდით ქვეყანაში ჩამოსულ ადამიანთა იდენტურობაზე, მაგრამ არასაკმარისად — საკუთარი ქვეყნის იდენტურობაზე, რომელიც ამ ადამიანებს იღებდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველამ პატივი უნდა ვცეთ განსხვავებას. მაგრამ, თუკი შენ საფრანგეთში საცხოვრებლად ჩამოდიხარ, მაშინ უნდა დაეთანხმო იმას, რომ შეუერთდე ერთიან, კონკრეტულად, ეროვნულ საზოგადოებას. ამის მიღება თუ არ გსურს, მაშინ ვერ შეძლებ საფრანგეთში სასურველი სტუმარი იყო.

*lenta.ru*



**აჰმედ დავითოღლუ,
თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:**

ჩვენ და საქართველოს გვაქვს საერთო ისტორია და ის ეკლესიები, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზეა, ასევე, ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა და ჩვენ მათი რესტავრაციისთვის ყველა სამუშაოს შევასრულებთ. ასევე, საქართველოში არსებული კულტურული ძეგლები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობაა. განსაკუთრებით ეს ეხება აჭარის რეგიონსა და ბათუმს, სადაც ძალიან დიდია მუსლიმანი მოსახლეობის რაოდენობა. ეს თემა არის ჩვენს ქვეყნებს შორის არა წინააღმდეგობის, არამედ ერთიანობის სფერო და ეს სამუშაოები ჩვენ გვაერთიანებს.

*ინტერპრესნიუსი*



**იური ბარანჩიკი,
ბელორუსი პოლიტოლოგი:**

მინსკი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ფსიქოლოგიური მიზეზების გამო არ აღიარებს.მინსკის მხრიდან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება პოლიტიკური სიბრტყიდან დიდი ხანია, გავიდა და ბელორუსის ხელმძღვანელობის ქცევის წმინდა ფსიქოლოგიურ ასპექტზეა დამოუკიდებული... თუ ბელორუსის ხელისუფლება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, ბუნებრივად გაჩნდება კითხვა, რატომ ყოყმანობდა იგი ამ საკითხში 2,5 წელი?

*„პირველი“*



**ჯეიმს აპატურაი,
ნატოს ოფიციალური წარმომადგენელი:**

ნატოს მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ უკრაინა და საქართველო ალიანსის წევრები გახდებიან, როცა პირობებს შეასრულებენ და გაწევრიანების სურვილი ექნებათ, თუმცა კონკრეტული ვადის დასახელება შეუძლებელია... საქართველოს ნატოში გაწევრიანებამდე გრძელი და რთული გზა აქვს გასავლელი.

*„ეხო მოსკვი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# აკაკის მამული

## მარგვეთი

**მარგვეთი მრავალი სახელიანი მამულიშვილის ადგილ-ქვეყანაა, მაგრამ აკაკი, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, არათუ აქ, მთელ საქართველოში ერთადერთი და განუმეორებელი აკაკია, რომელიც სახელ-გვარის ერთად ხსენებას მაინცდამაინც არ საჭიროებს. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ სანამ ყვირილის ხეობის ისტორიულ ძეგლებს მოვინახულებთ, აკაკის ბუდეს ავაკითხოთ სხვიტორში.**





მოდინახე

სახლში, რომელშიც აკაკი დაიბადა, 6 წლით ადრე — 1834 წელს აუგია მამამისს — როსტომ წერეთელს, მაგრამ ის, რაც ადრე როსტომ წერეთლის კუთვნილება იყო, დღეს საერთო ქართულ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობად და ძეგლად ქცეულა, აკაკის გამო.

მართალია, ჩვენი მოგზაურობა და ეს წერილი აკაკის არ ეძღვნება, მაგრამ რაკი ყვირილის სათავეები მოგვიანებით საწერეთლოდ იქცა, ამ გვარის წარმომავლობაც უნდა გავიხსენოთ.

**ყვირილის ხეობის სათავეებში წერეთლები XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა გამოჩენილიყვნენ, როცა თემურლენგმა ქართლ-კახეთი დააქცია. მანამდე ეს გვარი, ატენის ხეობის სათავეებში ცხოვრობდა, სადაც დღემდეა შემორჩენილი ტოპონიმი წერეთის მთა და სოფლები დიდი და პატარა წერეთი.** სხვათა შორის, წერეთიდან აყრილი წერეთლების ერთი ნაწილი დროებით ფრონეს ხეობაში, დღევანდელი ყორნისის მახლობლად, თიღვის მიდამოებშიც დასახლებულა, მაგრამ განსაკუთრებული მდგომარეობისათვის მათ მაინც ზემო იმერეთში მიუღწევიათ. XIV საუკუნის საბუთებში უკვე გვხვდება ტერმინები: „საწერეთლო" და „საწერეთლოელთა საყდრის ყმანი".

სხვიტორში მისულები თუ იქიდან გამობრუნებულები უთუოდ ციხესიმაგრე „მოდინახეს" დავუწყებთ ძებნას მთაზე, მაგრამ სამწუხაროდ ველარ დავინახავთ. ეს ცნობილი ციხესიმაგრე დღეს ისეა დანგრეული, რომ თვალი ველარც კი გამოარჩევს შორიდან. საბედნიეროდ შემორჩენილია ძველი ფოტოები და დიუბუა დე მონპერიეს მიერ 1830 წელს შესრულებული ჩანახატი.

„მოდინახე", სარწმუნო გადმოცემის თანახმად, XVIII საუკუნეში აუგია პაპუნა წერეთელს, რათა თავმომწონე აბაშიძეებს მისთვის ქალი მიეთხოვებინათ. მისულა აბაშიძეებთან პაპუნა და უთქვამს — მოდით, ნახეთ რა ციხე ავაგეო. წერეთლების საგვარეულო თავგადასავალზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს ჩვენზე უკეთ თავად აკაკიმ, შემდგომში გ. წერეთელმა, ლ. ასათიანმა, ო. სოსელიამ და გ. შარაძემ მოახერხეს.

ახლა, ჩემო თანამგზავრებო, სხვიტორიდან სავანეში გადავინაცვლოთ, სადაც როსტომ წერეთელმა 6 თვის აკაკი მიაბარა გასაზრდელად სადუნიშვილების ოჯახს.

სადუნაშვილი შემთხვევით არ ჰყავდა როსტომ წერეთელს აკაკის ძიძად შერჩეული. ძიძის მამა სვიმონ სადუნიშვილი იქვე მდგარი XI საუკუნის ეკლესიის წინამძღვარი ყოფილა... ძიძისეულ კარმიდამოში მოხვედრილი ადამიანი 150-200 მეტრში მდგარ მშვენიერ ტაძარს უმალ დაინახავს. პირველი განცდა, რომელიც ამ დროს დაგეუფლება ის არის, რომ აკაკი თავისი ლირიკითა და მამულიშვილობით ამ ტაძრის ალიკვალია. მას მშობლებთან და ძიძასთან ერთად, ჩანს ეს


სხვიტორი. წერეთელთა სასახლე და კარის ეკლესია

დიდებული ძეგლიც „წვრთნიდა". მიუხედავად იმისა, რომ წმინდა გიორგის ეკლესია XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მშვენიერი ნიმუშია, სოფელი სავანე უძველეს საისტორიო წყაროებში არ მოიხსენიება. პირველად მას ვახუშტი ბატონიშვილი ახსენებს და „საკურველად შენებულს" უწოდებს. ტაძრის მთავარი, ქტიტორული წარწერა მოთავსებულია სამხრეთ პორტალის ულამაზეს ტიმპანზე ნახევარწრიულად და 3 სტრიქონად: **„სახელითა ღმრთისაითა მე — გიორგი ერისთავთ-ერისთავმან ავაშენე ეს წმიდა ეკლესიაი სავანისაი სალოცველად სულისა ცოდვილისა ჩემისა და ძმისა ჩემის ხ ერისთავისა და მშობელთა ჩემთათვის გულზვიადისათვის და მარიამისათვის და შვილისა ჩუენისა გოლიათისათვის და დედისა მისისათვის. წმიდაო გიორგი მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა. ამენ იყავნ. ქორონიკონი იყო 266.** (ე.ი. 1046 წ.) **აეშენა მეფობასა ბაგრატ კუროპალატისასა".** ტიმპანს ქვევით მიუყვება კიდევ ერთი წარწერა: **„სახელითა ღმრთისაითა და შეწევნითა სავანის მთავარმოწამისა შექმნეს კარნი ესე ქავთარის ძეთ. ივანეს, ალბუღას, მიქელს და მისსა მეუღლესა თამარსა შეუნდენ ღმერთმან".**


ცხამის „წმ. გიორგი"



ქავთარის ძენი, რომ უშუალოდ ულამაზესი პორტალის შემოქმედნი არიან, ეს უდავოა. ასევე უეჭველია, რომ კუროპალატი მეფე ბაგრატ მეოთხეა, მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყვნენ წარწერაში დასახელებული სხვა ისტორიული პირები? გიორგი წერეთელი ფიქრობდა, რომ **გიორგი ერისთავთ-ერისთავი ის ტაოელი ერისთავთ-ერისთავია, რომელიც XI საუკუნის 50-60-იან წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო. გ. წერეთლისავე მოსაზრებით ამავე წარწერაში მოხსენიებული მამამისი გულზვიადი ის ცნობილი ზვიად სპასალარია, რომელიც ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის მხედართმთავარი გახლდათ.**

ამ მოსაზრებას თუ დავეყრდნობით, გიორგი ტაოელი მარუშიან-მარუშისძეთა გვარისა ყოფილა. აქ საისტორიო სიახლე ისიცაა, რომ სახელი ზვიადი „გულზვიადის" ფორმით გვხვდება. კუმურდოსა და გომარეთის ტაძართა წარწერებიდან და სხვა ისტორიულ საბუთებიდან აქამდე ეს ერისთავთ-ერისთავი ზვიადის სახელით იყო ცნობილი. **სავანის ლაპიდარულ წარწერაში „ხ"-ინიციალით დასახელებული ერისთავი, გ. წერეთლის მოსაზრებით, ის ხახულა გურთაჯვარისციხელი ფეოდალია, რომელიც ბაგრატ IV-ს შველოდა კახთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

სავანის ეკლესია სხვა საინტერესო ლაპიდარულ წარწერებსაც ინახავს. დასავლეთ პორტალის 2 სტრიქონიანი წარწერა გვაცნობს ტაძრის ხუროთმოძღვარს: **„სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, წმიდისა გიორგისითა, დამაყენა მე, სულითა საწყალობელი ჰარაბაი აღსაშენებლად ამის საყდრისა, ადიდენ ღმერთმან გიორგი ერისთავთ-ერისთავი, სალოცველად სულისა მათისათვის და მშობელთა მათთავის და გოლიათისათვის და დედისა მათითათვის".**

აღმოსავლეთ ფასადზე წერია: **„სახელითა ღმრთისაითა, მე ერისთავთ-ერისთავმან გიორგი დაუწერე და მივეც ამის ეკლესიასა ნახევარი სავანისა სოფელსა, თანადამიდგეს ოდეს შენებაი დავიწყეთ მშობელთა ფასითა და ყოვლითა ფერითა. ღმერთმან უბედნიერენ უკუნისამდე. ვინ უქციოს, ჰრისხვამცა ღმერთი და წმიდა გიორგი".**

სამხრეთის ფასადის წარწერა ასე იკითხება: **„წმიდა გიორგი, შეიწყალე საურმაგ ძე აქონისა და განუსვენე სულსა მშობელთა მისთასა. ამის ეკლესიისა აგებასა შეწირა აკაზმულობაი ერთი მძიმე გოლიათის სულისათვის. ვინ წაიკითხოთ, ლოცვასა მოიხსენეთ, ამენ გვეყავნ ჩუენ".**

წარწერაა სამხრეთ კარიბჭის ერთ-ერთ სვეტზეც, რომელშიც კვირიკე (ან კონსტანტინე) გმირისძეა ნახსენები. ეს კარიბჭე ოდნავ მოგვიანებით უნდა იყოს აგებული.

თუ კარგად დავაკვირდებით, სავანის „წმ. გიორგი" თავისი გეგმარებით, სამკაულებითა თუ თაღების გაფორმებით XI საუკუნის დარბაზულ ეკლესიათა შორის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესია. აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე დაასკვნიდა: **„იგი უყოყმანოდ შეიძლება ჩავაყენოთ ჩვენი ხუროთმოძღვრების პირველხარისხოვან ნიმუშთა რიგში ისევე როგორც ხცისის ცალნავიანი და იშხნის მცირე ეკლესიები, საორბისის წმინდა გიორგი, ბეთანიის მცირე ტაძარი, გუდარეხის, დაბის, სხალთის და მაღალაანთ ეკლესიები"**. ღვაწლმოსილი მეცნიერი ძეგლთა ამ ჩამონათვალში არც სპეთის „ზედა მცხოვარს" და ეხვევის „დედახვთისას" ივიწყებს, რომელთაც მომდევნო მოგზაურობისას გავეცნობით. სავანიდან სოფელ ეხვევამდე 11 კილომეტრია და მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. მეორეხარისხოვანი სამანქანო გზა ყვირილის მარცხენა შენაკადს — იზვარას მიუყვება მთებში. ეხვევამდე ორი სოფელია ამ გზაზე: იტავაზა და ცხამი. ეს უკანასკნელი, მგონი ყველაზე მაღალი დასახლებაა ამ მხარეში. ჩვენ სწორედ ცხამში უნდა შევჩერდეთ, ეს სოფელი საკმაოდ მოზრდილია და 300 კომლამდე მცხოვრებს ითვლის.

სასაფლაოზე დგას ახალაღდგენილი წმინდა გიორგის მოზრდილი ტაძარი (11,5X6,5 მ), რომელსაც ორი შესასვლელი აქვს. დასავლეთის შესასვლელი ახალი კარიბჭით არის გამდიდრებული. აქვე დგას ასევე ახალი სამრეკლო. ტაძარი პირველად XIX საუკუნეში აღუდგენიათ. ამას მოწმობს კედლის ზედა რეგისტრებში შედარებით მცირე ზომის უთანაბროდ ჩაწყობილი ქვები. ქვედა რეგისტრებში თეთრი ქვიშაქვის დიდი და სუფთად გათლილი კვადრები ზუსტადაა ერთმანეთთან მიდგმული. XIX საუკუნისა უნდა იყოს კონქამდე ამაღლებული ორსართულიანი კანკელი, რომელიც ამ ეპოქის რუსული სკოლისთვის დამახასიათებელი ფერწერული ხატებითაა შემკული. ტაძრის დიდი ნაწილი რომ განვითარებული შუასაუკუნეებისა უნდა იყოს, ამას ამტკიცებს აღმოსავლეთ სარკმლის საკმაოდ დიდი და სახიერი საპირეც, რომლისთვისაც გამორჩეულად ღია ვარდისფერი ქვაა შერჩეული. ეს საპირე ძალიან წააგავს გორის რაიონის სოფელ საორბისის წმინდა გიორგის სარკმლის მორთულობას, თუმცა აქ სხვაგვარ ჩუქურთმებს ვხვდებით.

მშვენიერია ცხამის აღდგენილი საყდარი, მაგრამ ჩვენ მაინც „ეხვევთან" შეხვედრის მოლოდინში ვართ. ვიცით, რომ იგი ძალიან საინტერესო ძეგლია...



სავანის „წმ. გიორგი" სამხრეთისა და დასავლეთის წარწერიანი კარიბჭეები

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მოკავშირეები და მტრები რიონისპირა მხარეში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4

**გურულს თავზე ფაფახი ეხურა, გრძელი ჩოხის ნაცვლად — მოკლე მოსაცმელი, წელზე სქელი ქამარი (თურქული შალისგან), რომელშიც იარაღი ჰქონდა გაჩრილი. ბრძოლაში წარმატებები გურულებს სულ გარანტირებული ჰქონდათ. ყოველთვის თან ჰქონდათ: ტყავის წყლის ჭურჭელი, ტყვიების ჩასაწყობი, ცეცხლის დასანთები კვესი, პატარა ლამაზი ქისა და ათასი წვრილმანი — სადგისი, დანა, ბზე, ტილოს ფითილი (ღამით გზის გასანათებლად), გრძელი ქამანდი ტყვეთა შესაპყრობად...**



თუ ყველაფერ ამას დავუმატებთ იმას, რომ გურულს ყოველთვის თან ჰქონდა გრძელი ხანჯალი, წყვილი პისტოლეტი თავისი პატრონაჟით და ხელში ეჭირა შაშხანაც, ე.ი. შეიარაღებული გურულის სრულ სურათს ხედავდით.

იმერლები და მეგრელები ნაკლებად თადარიგიანები არიან: მათ თქვენ ვერ უპოვით იმის ნახევარსაც, რასაც თან ატარებს გურული. მათი ნაციონალური ტანსაცმელი ჩოხაა, მაგრამ ისინი ფაფახს არ ატარებენ, მის ნაცვლად ახურავთ ყაბალახი.

**ქალები რიონისპირა მხარეში უფრო მეტად სარგებლობენ თავისუფლებით, ვიდრე საქართველოში. ამასთან, მეგრელ და გურულ ქალთა სილამაზე მთელ კავკასიაში ამბად დადიოდა. ეს სილამაზე იყო სწორედ მათი უბედურების მიზეზი, წყარო ტყვეთა სყიდვის განვითარებისა. თურქული ჰარემები სისტემატურად ივსებოდა მეგრელი და გურული ტყვე ქალებით, ანუ გურჯებით. ისინი ძალიან ძვირად ფასობდნენ** (ათი ათასობით თურქულ ლირამდე). ასეთივე მოგებას ნახულობდნენ ლამაზი პატარა ბიჭების გაყიდვითაც.

**შავი ზღვის სანაპიროზე ადამიანებით ვაჭრობა ისე პოპულარული იყო და იმდენად ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები, რომ რუსეთის ჩარევამ და მონდომებამ კარგა ხანს ვერ შეძლო ამ ბოროტების დასამარება. XIX საუკუნის ოციან წლებში კაპიტანი კოცებუ, ჩავიდა რა სამეგრელოში, გენერალ ველიამინოვს სწერდა, რომ ფოთში, როგორც არასდროს, ისე მიმდინარეობს ადამიანებით ვაჭრობა. ის პირდაპირ ადებდა ხელს გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანის დას, რომელიც გურიის მთავრის ქვრივი იყო.** იგი წერილში აღნიშნავდა, რომ ქალბატონი თავისი მხლებლებით ჩადიოდა რა ფოთში, რომელიც მაშინ თურქეთს ეკუთვნოდა, უკან მხოლოდ განახევრებული ამალით ბრუნდებოდა. გაჩნდა ეჭვი, რომ ის ადამიანებით ვაჭრობდა. ერმოლოვის ბრძანებით, მასზე თვალთვალი დააწესეს, რასაც შედეგი არ მოჰყოლია.

ბუმბერაზი მთებისა და ველური ტყეების გარემოცვაში მკაცრმა ცხოვრებამ, მუდამ ომისა და თავდასხმების მოლოდინმა ამ ხალხის ხასიათზეც მოახდინა ზეგავლენა. როგორც კრისტალურად სუფთა, მაგრამ აქაფებულ ჩანჩქერში ცისარტყელას ფერებით ბრწყინავს და ანათებს ცისფერი ზეცის ანარეკლი, ისე ამ ხალხის ეპოსში, ლეგენდარულ სიმღერებში ასახულია მათ წინაპართა საგმირო საქმეები, მშობელი მიწისა და ბუნების სიყვარული...

**აი, ორი უძველესი იმერული ლეგენდა:**

## სვეტი – იმერული გადმოცემა

მდინარე ყვირილის ამწვანებული ნაპირიდან არც თუ ისე მოშორებით, კაცერის მთის ძირში, რომელზეც ამავე სახელწოდების უძველესი მონასტერია აღმართული, გადაჭიმულია ვიწრო და მოხატული ველი — სვეტი. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მას შემოვლებული აქვს შიშველი კლდეები. გადმოცემით, სვეტის ველი ყოველთვის უკაცრიელი არ ყოფილა. დავით განმაახლებლის დროს იგი თავად ივანე მურაშიძეს ეკუთვნოდა. იგი დიდი კლდის მოშორებით ცხოვრობდა. კლდე მაშინაც მიუვალი იყო და არავინ იცოდა, მის მწვერვალზე ვინ ან როგორ ააგო ორმაგი კედლით გარშემორტყმული ციხე-კოშკი. უხსოვარი დროიდან მიუვალი და ფეხდაუდგმელი კოშკის აგებას ხალხი უხილავ სულებს მიაწერდა. მწყემსები, რომლებსაც ღამის გათევა მეზობელ მთებში უხდებოდათ, საშინელ ამბებს ყვებოდნენ ამ კოშკის შესახებ. **ამბობდნენ, რომ კოშკის ფანჯრებში დაინახეს მკვეთრი შუქი. ახლომახლო მცხოვრებთ არაერთხელ გაუგონიათ იქიდან ყვირილი, სატანისტური ხარხარი, კვნესა... საიდუმლოებით მოცული ციხე ხალხის თვალში საშინელებათა ადგილს წარმოადგენდა.**

ერთხელაც ბნელ ღამეში მოჯადოებული ციხის ფანჯრები განათდა, შეამჩნიეს მოძრავი ჩრდილებიც. ისმოდა ხან სიმღერა, ხან ყვირილი, ხანაც სიცილი. ხალხმა ბერები მოიყვანა; ბერების ლოცვის შედეგად შუქი ფანჯრებში თანდათან თურმე გამქრალა. გათენებისთანავე კოშკი ძველებურად პირქუში და უსიცოცხლო გამხდარა.

თავადმა მურაშიძემ, აქეზებდნენ რა მეზობლები, გადაწყვიტა, ბოლოსდაბოლოს ახლოს ენახა კოშკი. მისი განკარგულებით დაიწყო კიბის აგება. ის ის იყო, კიბე შუა კლდემდე აიყვანეს, რომ მეფე დავითმა, გაიგო რა ამ სასწაული კოშკის ამბავი, სანახავად წამოსულა. იგი თავად მურაშიძეს ესტუმრა.

და აი, ისადილა რა თავადის სახლში, თანმხლებ თავადებთან ერთად მეფე კლდისკენ გაემართა. მის ამალაში ერთნი ამბობდნენ, რომ იქ უზარმაზარი ქონება უნდა ინახებოდესო, რომელთაც ავი სულები იცავენო; მეორენი, — რომ ის რომელიღაც ჯადოქარი ფერიას საცხოვრებელიაო. ყველანი ერთად კი სინანულს გამოთქვამდნენ, რომ კიბე არ იყო ბოლომდე აყვანილი. **„მე ვპირდები,** — თქვა მაშინ მეფემ, — **მეორე ადგილს ჩემს სამეფოში მას, ვინც არ დაელოდება კიბის ბოლომდე აყვანას და ახლავე ავა კოშკის ქონგურებზეო; ხოლო ჩემი ერთგული მსახური თავადი მურაშიძე მზადაა, თავისი ულამაზესი ქალიშვილი მიათხოვოს მას, ვინც ჩემს სურვილს შეასრულებსო“.**

თავად მურაშიძის ასული სალომე კი თვალცრემლიანი იჯდა მშობლიური სახლის აივანზე. ლამაზი, წარმოსადეგი ახალგაზრდა კი ამშვიდებდა: „ჩემი სიცოცხლის სიცოცხლეო, ბედი შანსს მაძლევს, შენი ხელი მივიღო ან მოვკვდე შენი გულისთვისო“.

ამ სიტყვებით ის მიიჭრა კიბესთან, სადაც უკვე ახალგაზრდები მზად იყვნენ მეფის ბრძანების შესასრულებლად.

ყმაწვილები კიბის ბოლო საფეხურზე რომ ავიდნენ, კლდეზე ფეხის მოკიდება უჭირდათ. იყო სიცილი და ხალისი. უცებ ცა მოიქუფრა. მზე ღრუბლებში დაიმალა. მოხალისეები თითქოს მიაქვავდნენ კლდეს, მხოლოდ სამი განაგრძობდა ცოცვას. ცოტაც და მიზანი მიღწეული იქნებოდა, რომ უცებ ელვამ გაჰკვესა, ქარიშხალი გაძლიერდა. როცა ახალგაზრდა აზნაურმა, სალომეს გულის რჩეულმა, მიაღწია კლდის მწვერვალს, საშინელმა ხმამ შეაზანზარა იქაურობა: კლდე შეირხა, მკვეთრად განათდა მთელი ველი, გრიგალმა სამივე ახალგაზრდა მოსწყვიტა კლდეს და ხრამში მოისროლა.

მრისხანე ღამე ჩამოწვა მიწაზე. მომხდარი საშინელებით თავზარდაცემულმა ხალხმა მეზობელ სოფლებს შეაფარა თავი. საბრალო მსხვერპლთა გვამები მეორე დღეს წყაროსთან იპოვეს. გადმოცემის თანახმად, სალომემ ვერ გადაიტანა მისი რჩეულის დაღუპვის ამბავი და ახლა მის გვერდით განისვენებს.

## ლეგენდა როსტომზე

**ორი მდინარის ხობისა და ცივის შესართავთან ახლაც შეიძლება ბალახით დაფარული უძველესი ნანგრევების ნახვა. ვერც ერთი მეგრელი, თუნდაც ძალიან მოხუცი, ვერ იტყვის, როდის იდგა ამ ნანგრევების ადგილას კოშკი, რომელიც მოხუცი თავადი ჯაიანის ზედამხედველობით დარაჯობდა სამეგრელოს და იცავდა თურქების შემოსევისგან.**

ჯაიანს ულამაზესი ასული ჰყავდა, ახალგაზრდა თავადის ქალი მენიკე. თავის შესაფერს, ალბათ, ვერც სამეგრელოში, ვერც იმერეთში და ვერც გურიაში ვერ იპოვიდა, რომ არ დაბადებულიყო როსტომ დიდებულიძე. ამ ჭაბუკის მშვენიერებაზე ხალხში ხმები დადიოდა. ერთხელაც (მისი რიგი რომ მოვიდა) ჯაიანის კოშკში სადარაჯოდ მიმავალი ტყესთან მგზავრებს შეეჩეხა. მამასმონატრებული მენიკე კოშკში მიდიოდა თავისი მხლებლებით. ეს შეხვედრა ქალ-ვაჟისთვის საბედისწერო შეიქნა.

კარგა ხანს დარჩა მენიკე მამასთან. შინ დაბრუნებას კი არ აპირებდა, სიყვარულმა იგი ძლიერი ჯაჭვით მიაბა სამეთვალყურეო კოშკს, მისი ტრფობით დადარდიანებულ ვაჟკაცს თავად დაუნიშნა პაემანი. დადგა მეგრელთათვის საბედისწერო ღამე. სწორედ იმ ღამეს კოშკის საგუშაგოში როსტომი მორიგეობდა, მაგრამ მას ყველაფერი დაავიწყა — სამშობლოც და მეგობრებიც (რომელთაც, მის მოიმედეთ, მშვიდად ეძინათ) — მენიკეს შემონათვალმა. შუაღამისას როსტომმა დატოვა პოსტი და სატრფოსთან შესახვედრად წავიდა. აბა, რას წარმოიდგენდა, თუ თურქები უკვე სათვალთვალო კოშკის ძირას იყვნენ, თორემ ხომ გაისროდა მაინც და თავისიანებს დროზე გააღვიძებდა, ხომ გადაარჩენდა ტყვეობისგან მოხუც დედასა და ახალგაზრდა დებს. მაგრამ როსტომი იქ არ იყო და არც წინათგრძნობა ეუბნებოდა რამეს მოახლოებული საფრთხის შესახებ.

უცებ თოფი გავარდა. შეშინებული, ბურანში მყოფი მეგრელები თითქმის უიარაღოდ ჩაუვარდნენ ხელში თურქებს. სისხლის ნიაღვარი წამოვიდა. თვითონ ჯაიანი თავგაჩეხილი უსულოდ გადავარდა კოშკიდან. ახლაღა მიხვდა როსტომი, რა მოჰყვა მის დაუფიქრებელ საქციელს. სასოწარკვეთილმა, გრძნობდა რა თურქთა მოახლოებას, ხელი ჩასჭიდა თავადის ასულს, აირბინა კოშკის ყველაზე მაღალ ადგილზე და გადაეშვა ძირს, სადაც ორი მდინარე — ხობი და ცივი ერთმანეთს ერთვის და სადაც წყლის სიღრმე არავის არასდროს გაუზომია.

გავიდა საუკუნეები. კოშკი დაცარიელდა, მერე დაინგრა და აღიგავა პირისაგან მიწისა. მაგრამ ბნელ ღამეში, როცა ნისლი ამოვა ზღვიდან და ადამიანის თვალისთვის უხილავს გახდის მთებს, ტყეებსა და ველებს, ორი აჩრდილი გამოჩნდება. ამ დროს ქვეითადმოსიარულე ნაბიჯს აუცქარებს ხოლმე, რომ გასცდეს ამ დაწყევლილ ადგილს. ეს ორი აჩრდილი კი ნისლთან ერთად როგორც მოდის, ისევ ნისლთან ერთადვე ქრება.

**ასეთია რიონისპირა მხარის რომანტიკული თქმულებები, რომლებიც ხალხის მეხსიერებამ დღემდე შემოინახა. მაგრამ რაინდული, საბრძოლო ცხოვრება, ასახული ამ ლეგენდებში, ცოტა არ იყოს მიივიწყეს. არადა, აქ ასწლეულების განმავლობაში გმირულად იხოცებოდნენ მტერთან ბრძოლაში საუკეთესო მეომრები.** 1827 წელს სპარსეთთან გახურებული ომის დროს, როცა რუსული ძალები სხვა მხარეს იყო გადასროლილი, გურულები დაესხნენ სამეგრელოს და დაიკავეს პალიასტომის ტბა, საუკუნეების განმავლობაში სამეგრელოს მთავრებს რომ ეკუთვნოდა. „და ეს გაკეთდა არა იმის გამო, — წერდა სამეგრელოს მთავარი დადიანი, — რომ ტბის დაპატრონება უნდოდათ, არამედ იმიტომ, რომ გურიის მმართველის — გურიელის ქვრივი არაკეთილდამოკიდებულებას იჩენდა რუსეთის მიმართ“. მან ტბასთან ძლიერი დაცვა დააყენა, რომლის დახმარებით ის თავისუფლად ამყარებდა კავშირს ფოთთან (რომელიც მაშინ თურქულ გარნიზონს ეკავა), რისი გაკეთებაც ნამდვილად არ შეიძლებოდა. დადიანი რომ მართალი იყო, ეს მალე ნათელი გახდა.

**მაგრამ დადიანიც აწარმოებდა ბრძოლას სამურზაყანოსთან. ასე რომ, სიმშვიდე მხარეში ყოველწუთს ირღვეოდა, საამისო მიზეზი კი, როგორც ყოველთვის, ახლაც უმნიშვნელო და უბადრუკი იყო.**

**ვასილი პოტო**

**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთოთხმეტე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

16 — 22 თებერვალი, 2011 წელი. №05 (96)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## ვინ «მოიგებს» უკრაინელ ცოლს



**ახალი ზელანდიის რადიომ „rok FM“-მა მსმენელებს კონკურსში „მოიგე ცოლი“ მონაწილეობის მიღება შესთავაზა. კონკურსის გამარჯვებული უკრაინაში გაემგზავრება და მეუღლეს იმ უკრაინელი გოგონებიდან აირჩევს, რომლებსაც გაცნობის სააგენტოებში ანკეტები აქვთ შევსებული.** გამარჯვებულ მამაკაცს უკრაინაში 12-დღიან მგზავრობას დაუფინანსებენ. კონკურსის შედეგები 28 თებერვალს გახდება ცნობილი. გამარჯვებულს 5 ფინალისტიდან აირჩევენ. მათ ხასიათსა და ფსიქოლოგიურ მდგრადობას პროფესიონალი ფსიქოლოგები შეაფასებენ. „ rok FM“-ის იდეამ ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების უკმაყოფილება გამოიწვია. მათი აზრით, კონკურსის მიზანი ოჯახური ღირებულებების ნგრევის ხარჯზე ფულის შოვნაა. რადიოს მფლობელების თქმით, ისინი ამ კონკურსში ცუდს ვერაფერს ხედავენ. აღსანიშნავია, რომ რადიოსადგური კონკურსანტის მიერ მოწონებულ გოგონას ახალ ზელანდიაში ჩასვლის ხარჯებს არ დაუფარავს.

## გადასახადების გადაუხდელობის მსხვერპლი



**შვეიცარიაში, მაკონტროლებელი ორგანოების ბრძანებით, პატრონს ძაღლი ჩამოართვეს და მოკლეს. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ძაღლის მეპატრონე ქალმა ძაღლზე კანონით დაწესებული გადასახადი არ გადაიხადა.** შვეიცარიის ქალაქ რეკონვილეს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. 3 წლის პუდელი სიცოცხლეს 38 ევროს გამო გამოასალმეს. ეს თანხა მეპატრონეს იმის გამო უნდა გადაეხადა, რომ ოთხფეხა მეგობარი სახლში ჰყავდა. როგორც გაირკვა, პატრონს გადასახადის გადახდა დაავიწყდა. იგი საგადასახადო ინსპექტორების დარწმუნებას ცდილობდა, რომ დაშვებულ შეცდომას დაუყოვნებლივ გამოასწორებდა, თუკი მას გადასახადის გადახდის საშუალებას მისცემდნენ, მაგრამ ამაოდ. ინსპექტორებმა ძაღლი მაინც წაიყვანეს. ხელისუფლება ოთხფეხა ცხოველების გულმავიწყ პატრონებს გასული წლის დასასრულს აფრთხილებდა, რომ ძაღლის მეპატრონეებს ყოველწლიურად 38 ევრო უნდა გადაეხადათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ საყვარელ შინაურ ცხოველს მოკლავდნენ. შვეიცარიაში შინაური ცხოველების ყოლისთვის მკაცრი წესები მოქმედებს.

## ლომის გალიაში



**დახეიბრებული და მიტოვებული ცხოველების ცენტრის მფლობელმა, 22 წლის ფლორიდელმა ჯიმ ჯაბლონმა, განაცხადა, რომ მთელ თვეს 2 ლომთან ერთად გაატარებდა გალიაში და ცხოველებისთვის საჭირო თანხას ამ გზით იშოვიდა.** ლომების ვოლიერში ჯიმი თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და არც ახალ მეზობლებს უჩივის. 18 თვის ლეა და 10 თვის შავფაფრიანი ედი მის ნამდვილ მეგობრებად იქცნენ. ჯაბლონი იმავე დროს სადილობს, როცა ლომებისთვის საკვები მოაქვთ, ღამით კი 4 მეტრის სიმაღლეზე განთავსებულ თივის საფენზე ძინავს. ჯიმი მხოლოდ შარვლებზე დარდობს — საკმარისია მეგობრებს ზურგი შეაქციოს, რომ ისინი მაშინვე „ერთ ადგილას“ სწვდებიან, რის გამოც მან ხუთი წყვილი ჯინსი გამოიცვალა. ჯაბლონი, რომელიც მრავალ წელს სამხედრო ვეტერინარად მუშაობდა, იმედოვნებს, რომ მისი ჩანაფიქრი ცენტრისა და ცხოველების შესანახ თანხას მოუტანს.

# აშშ-ის ნარკობიზნესი «Los Zetas»-ის სამიზნეში

**მექსიკურმა ნარკოკარტელმა „Los Zetas“-მა დამოუკიდებლობა რამდენიმე წლის წინათ მოიპოვა. მისი მმართველი ბირთვი ყოფილი სპეცრაზმელებისგან შედგება. მსახურების წლებში ისინი ესპანური ანბანის ბოლო ასოს — „Z“-ს რადიოსაუბრებისას მიმართვისთვის იყენებდნენ და აქედან გაჩნდა სახელწოდებაც „Los Zetas“. დიდი ხნის მანძილზე ზეტას ბოევიკები გავლენიანი მექსიკური ნარკოკარტელის — „El Golfo“-ს მეთაურებისა და ოპერაციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოიყენებოდნენ. ეს ნარკოკარტელი აშშ-ს კოლუმბიური კოკაინითა და ჰეროინით ამარაგებს. მაგრამ ზეტას ხელმძღვანელობას როლი „ქილერები გამოძახებით“ ძალიან მალე მობეზრდა და გადაწყვიტა, გასაღების ბაზრებისა და გავრცელების არხებისათვის ომი დაეწყო. „El Golfo“-ს მაფიოზები მათ მტრებად იქცნენ, საერთაშორისო გარჩევებში კი სხვა მექსიკური კარტელებიც ჩაითრიეს.**



„LOS ZETAS“ წევრები





სიტუაცია გაართულა კიდევ ერთმა ომმა, რომელიც მექსიკურმა კარტელმა ფილიპე ქალდერონის მთავრობას გამოუცხადა. იგი მექსიკის პრეზიდენტი ძალზე საეჭვო სიტუაციების თანხლებით გახდა. ავტორიტეტის გასაზრდელად ქალდერონმა ქვეყანაში აბსოლუტურად დაუსჯელად მოქმედი ნარკოკარტელების წინააღმდეგ კამპანიის წამოწყება გაბედა. მისი გეგმა ვაშინგტონიდან წაახალისეს. იქ აუცილებლობად მიიჩნევდნენ მექსიკური ნარკოექსპანსიის ალაგმვას ნაწილობრივ მაინც, რადგან აშშ-ის ტერიტორიაზე მისი კონტროლირება სულ უფრო რთულდებოდა. **ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტი (DEA) და გამოძიების ფედერალური ბიურო სამუშაოს ვერ უმკლავდებოდნენ. ეკონომიკური კრიზისის მიზეზით, ჩრდილოამერიკული ბანკები დიდი სიამოვნებით იყენებდნენ „კოკაინის რესურსის“ ზეშემოსავლებს. გამრავლდნენ DEA-სა და აშშ-ის სხვა სპეცსამსახურებს დაუმორჩილებელი ნარკომაფიის სტრუქტურები. უდიდესი ფინანსური სახსრები „გვერდზე მიედინებოდა“. აუცილებელი გახდა სტატუსკვოს აღდგენა.**

სწორედ ამ პირობებში დაიწყო ზეტამ აშშ-სა და ცენტრალურამერიკულ სუბრეგიონში, ასევე კარიბის აუზისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, საკუთარი დასაყრდენი ბაზების შექმნა. **მისი მეთაურების მთავარი ამოცანა იყო, წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების „დერეფნებით“ უზრუნველეყოთ პერუდან და კოლუმბიიდან ნარკოტიკების აშშ-ში შეტანა.**

ნარკოტიკების ბაზარზე ახალი მოთამაშე ყველა დაინტერესებულმა პირმა უმალ შენიშნა. **უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემი იყო ზეტას ბოევიკების ზღვარგადასული სისასტიკე: ისინი არასდროს ტოვებდნენ ცოცხალ მოწმეებს, კონკურენტებისა და ძალოვანების შესაშინებლად ხშირად აწამებდნენ, შემდეგ კი თავს აჭრიდნენ მსხვერპლს. მათი კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი მრავალრიცხოვანი მკვლელობებია.**

**გავიხსენოთ, წამების პრაქტიკის „რენესანსს“ ათასწლეულის მიჯნაზე თანამედროვე მსოფლიო, პირველ რიგში, ცსს-ს, აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტსა და აშშ-ის სამხედრო დაზვერვას უნდა უმადლოდეს. მექსიკური ნარკოკარტელი ზეტას ბოევიკებმა პროფესიული უნარჩვევები სწორედ ამ სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან მჭიდრო პროფესიული ურთიერთობისას შეიძინეს.** აშშ-ის ინსტრუქტორებმა 15 ათასზე მეტი მექსიკელი სამხედრო მოსამსახურე ცეცხლში გამოაწრთეს. მაგრამ მათმა უმცირესმა ხელფასმა განაპირობა ის, რომ ჯარიდან უამრავი ჯარისკაცი გარბოდა და გარბის, მათი უმეტესობა კი დამნაშავეობრივი დაჯგუფებების რიგებში საქმდება.

**ყოფილი სამხედროების კრიმინალიზაციის პროცესი შეინიშნება გვატემალაში, ჰონდურასში, სალვადორში. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებულ სისასტიკეს მათგან ისინი იჩენენ, ვინც მომზადება აშშ-ის სპეცკურსების ფარგლებში გაიარა. მექსიკელი და გვატემალელი დამნაშავეობრივი ელემენტების სულ უფრო მჭიდრო კავშირი არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს ამერიკულ სპეცსამსახურებში, რომლის წევრებმაც მშვენივრად იციან, რა ჯიშის „ფრანკენშტეინებიც“ გამოიყვანეს პენტაგონის სკოლებში „პარტიზან მარქსისტებთან“ საბრძოლველად.**

„მე გაგაჩინე და მევე მოგკლავ!“ — სწორედ ამ მეთოდით ცდილობენ ახლა ზეტას წინააღმდეგ ბრძოლას მისი ყოფილი შემქმნელები. მაგრამ აშშ-ის სპეცსამსახურები ჩამორჩნენ. აშშ-ის ტერიტორიაზე უკანასკნელ დეტალამდე გათვლილ „საშინაო ნარკობიზნესში“ უკვე შეაღწიეს ზეტას კბილებამდე შეიარაღებულმა პირებმა. **ნარკოომის კერების მექსიკიდან აშშ-ში გადატანის ალბათობა სულ უფრო რეალური ხდება. აშშ-ის საზღვრისპირა რაიონებში უკვე ყველგან მოქმედებენ ზეტას ქვედანაყოფები. მათ პენტაგონის არსენალის სუპერთანამედროვე იარაღით ამარაგებენ ძველი სამხედრო მეგობრები მექსიკური არმიიდან.**

2011 წლის ივნისში გვატემალაში ცენტრალური ამერიკის, მექსიკისა და კოლუმბიის პრეზიდენტები შეხვდებიან და უმთავრესი თემა, ალბათ, ნარკოკარტელების ექსპანსიასთან ბრძოლის გადაუდებელი პრობლემატიკა იქნება. გვატემალის პრეზიდენტმა ალვარო კოლომ უკვე განაცხადა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უამრავი ადამიანი ნარკოტერორისტების მსხვერპლი გახდება, სალვადორის პრეზიდენტი მაურისიო ფუნესი კი იმითაა შეშფოთებული, რომ ზეტას ემისრები სალვადორელი სამხედროებისა და პოლიციელების გადაბირებით არიან დაკავებულნი.

**ნარკოკარტელების წინააღმდეგ საერთო ფრონტის გახსნა თითქოს რეგიონალური ლიდერების ინიციატივაა, მაგრამ ამ ინიციატივას წინ უსწრებდა ამ რეგიონების დედაქალაქებში აშშ-ის საელჩოების მიერ გამართული კონსულტაციები. მიზანი ნათელია: ნარკოსაფრთხესთან ბრძოლა აშშ-თან შორეულ მისადგომებზე.**

რიო-გრანდიდან სამხრეთით ნარკოტრაფიკთან გაძლიერებულ ბრძოლაში აშშ-ის დაინტერესებაც ახსნადია. მექსიკაში ნარკოომს 30 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა. აქედან გამომდინარე ნათელია, რამხელა ადამიანურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მსხვერპლს მოითხოვს ეს გრძელვადიანი კონფლიქტი. **ვაშინგტონი საკუთარ ტერიტორიაზე ნარკობიზნესთან ბრძოლას არ გააჩაღებს. ეს აშშ-ის მთელი მსოფლიოდან მილიარდიანი ნარკოინვესტიციებით ნასაზრდოები ფინანსური სისტემის დესტაბილიზაციას გამოიწვევს. ამიტომ ნარკობიზნესს ებრძვიან, სადაც მოესურვებათ — მექსიკაში, ბელიზში, გვატემალაში, ჰონდურასში, კოლუმბიაში, პერუში, მაგრამ არა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საკუთარი ნარკომაფია ხელშეუხებელია. ნარკომაფიის არსებული განტოტვილი სტრუქტურა ფინანსურ სფეროში ყველაზე საიმედო მიმართულებაა და აბსოლუტურად გამართულად მუშაობს, რადგან 10 მილიონი ამერიკელი სისტემატურად იყენებს კოკაინს, 30-40 მილიონი კი — ხანდახან.** ამ ხალხს უსიამოვნებები არ უნდა შეექმნათ. აშშ-ში ნარკომომხმარებელთა მიმართ მზარდი შემწყნარებლობის შედეგად ამას ყოველდღიური სტრესის მოსახსნელი და ადვილად გასაგები ადამიანური სისუსტე ეწოდა. ამერიკელთათვის კი არაფერი ადამიანური უცხო არ არის.

**ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის სხვა კრიტერიუმები მოქმედებს. არავითარი ლიბერალიზმი. მექსიკაში ცსს-სა და „DEA“-ს მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დახოცილი მექსიკელი ნარკობარონების ფოტოები სისხლის გუბეების, გახლეჩილი თავის ქალებისა და ასფალტზე გაგლესილი შიგნეულობით ინტერნეტში ქვეყნდება. მხოლოდ ერთ ასეთ ოპერაციას 50-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ოღონდ მექსიკელები და არა ამერიკელები. ამერიკელები სხვის ტერიტორიაზე სხვისი სისხლით ომობენ.**

**ნილ ნიკანდროვი**

*Fondsk.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნატო+ევროკავშირი =ჰაშიმ ტაჩი

**შვეიცარელი იურისტის — დიკ მარტის მიერ კოსოვოს ალბანელების ორგანიზებულ დამნაშავეობრივ დაჯგუფებებთან დაკავშირებით ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებისთვის მოგროვილი ინფორმაცია დასავლეთის სპეცსამსახურებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოებისთვის, სულ მცირე, ათი წელია, ცნობილია.**



ლონდონური „გარდიანის“ მონაცემებით, ჯერ კიდევ 2004 წელს ნატოს დოკუმენტებში „კოსოვოელი პრემიერი“ ტაჩი ორგანიზებული დანაშაულის „ერთ-ერთ დიდ თევზადაა“ მოხსენიებული. **სინამდვილეში „კოსოვოს მთავრობა“ სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი დაქვემდებარებული რგოლი ალბანურ კრიმინალურ ჯაჭვში, რომელმაც თავის ქსელში გაახვია ბალკანეთი, შემდეგ კი ევროპასა და აშშ-საც გადასწვდა. ამ მაფიის ერთ-ერთი ავტორიტეტი — ჯავიდ ხალითი კოსოვოს პარლამენტის პრეზიდიუმის წევრი, ჰაშიმ ტაჩის პარტიის ფუნქციონერი, მისი პოლიტიკურ-ფინანსური მრჩეველი და ზურგის მმართველია „კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიაში“, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს კოსოვოს მთელ ფულად ნაკადებს აკონტროლებდა. „გარდიანი“ წერს, რომ ჯავიდი იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობდა და, სულ მცირე, ორი ადამიანი ჰყავს მოკლული.**

შვეიცარული გაზეთი „ჰოიტე ციურჰერ ცაიტუნგი“ წერს, რომ ნატომაც და შვეიცარიის მთავრობამაც მშვენივრად იცოდა ჯავიდ ხალითის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ და რომ **სწორედ შვეიცარიის ტერიტორიაზე ჩაეყარა საფუძველი ორგანიზებულ ვაჭრობას ნარკოტიკებით, იარაღითა და ადამიანებით. შვეიცარიის ოფიციალური წყაროების მტკიცებით, ჰაშიმ ტაჩის ორმა უახლოესმა მომხრემ — ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, ახლანდელმა პარლამენტარმა აზემ სილიამ და დაზვერვის უფროსმა, „რუხმა კარდინალმა“ კადრი ვესელიმ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და შვეიცარიის კანონმდებლობის დარღვევით ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება მიიღეს. გერმანული დაზვერვა ჯერ კიდევ 2005 წელს ასახელებდა ამ ორ პირს, როგორც კოსოვოში ორგანიზებული დანაშაულის უმთავრეს ფიგურებს.**

**აშშ-ც და ევროკავშირიც, უკვე მრავალი წელია, სპეცსამსახურებისგან მიღებულ სარწმუნო და ამომწურავ ინფორმაციას ფლობენ კოსოვოში ალბანური დანაშაულებრივი ქსელის შესახებ. 2001-2004 წლების მასალებში აღნიშნულია, რომ ხაშიმ თაჩის კავშირი ჰქონდა არაერთ დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან, რომლებიც დიდი რაოდენობით ფულის გათეთრებით იყვნენ დაკავებული. ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალს არაერთი წლის მანძილზე ჰქონდა ფაქტები სერბების გატაცების, პატიმართა წამების, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის, ახლო აღმოსავლეთისა და თურქეთის ისლამისტურ ორგანიზაციებთან კონტაქტების შესახებ, მაგრამ დასავლელ პოლიტიკოსებს კოსოვოში გაჩაღებული მასშტაბური დანაშაულებრივი საქმიანობა არც ადრე აღელვებდათ და არც ახლა აღელვებთ. ამ ორ მხარეს შორის ერთობლივ ინტერესებზე დამყარებული თანამშრომლობა ყვავის.** მაგალითად, ბერნარ კუშნერს კოსოვოში სატელეფონო მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტ-პროვაიდერი კომპანიები აქვს. და ის ერთადერთი არაა, ვინც კოსოვოში სერიოზულ ბიზნესს აწარმოებს. გარდა ამისა, ამერიკულ კაპიტალს კოსოვოში ამერიკელი ჩინოვნიკები იცავენ და ადგილობრივ კომპანიებს ბაზარზე ყველა გზას უკეტავენ.

ბელგრადთან მოლაპარაკებებამდე, რომელზეც, როგორც ჩანს, კოსოვოს საქმეს სამუდამოდ დახურავენ, ალბანური პოლიტიკური ძალები კონსოლიდირებას ცდილობენ და „დიდი კოალიციის“ შექმნის თაობაზე ლაპარაკობენ. ამ კოალიციამ კოსოვოსთვის უმნიშვნელოვანესი 20 საკითხი უნდა გადაჭრას. პარალელურად სერბეთის ევროინტეგრაციის თაობაზე ახლახან მიღებული ევროპარლამენტის რეზოლუცია სერბეთს „მოვალეობების შესრულებას“ — ჰააგის ტრიბუნალთან სრულ თანამშრომლობას ავალდებულებს. ამ თანამშრომლობის ერთადერთ მტკიცებულებად კი ჯერაც დაუპატიმრებელი რატკო მლადიჩისა და გორან ხაჯიჩის გადაცემა იქნება.

**შეგახსენებთ, სწორედ კოსოვოს საკითხთა საერთაშორისო ტრიბუნალმა გაანადგურა ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის მტკიცებულებები 2004 წლის გამოძიებისას, ახლა კი სერბეთისთვის ევროკავშირის წევრის კანდიდატობის საკითხი კვლავ ამ ტრიბუნალის მთავარი პროკურორის გადასაწყვეტია.**

კოსოვოსთან დაკავშირებული ევროპარლამენტის რეზოლუცია სერბეთს ავალდებულებს, არ დაიჟინოს კოსოვოს გაყოფა ან მისი სტატუსის განსაზღვრა, ანუ ზემოქმედება მოახდინოს კოსოველ სერბებზე და მათი ხელისუფლება ევროკავშირის მისიას დაუმორჩილოს. **უფრო ზუსტად, სერბეთის ხელისუფლებას ეკისრება „საპატიო მისია“ ხელისუფლების იმ პარალელური სტრუქტურების დემონტაჟში, რომლებიც „დეცენტრალიზაციის პროცესს აფერხებს და სერბული საზოგადოების კოსოვოს ინსტიტუტებში სრულ ინტეგრაციას ეწინააღმდეგება“. გარდა ამისა, რეზოლუცია შეიცავს სერბეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ელემენტებსაც.**

ევროკავშირის მისია დაჟინებით ამტკიცებს, რომ კოსოვოს ჩრდილოეთი საშიში ზონაა. ბრიუსელის პოზიცია კი უცვლელი რჩება — კოსოვოს დამოუკიდებლობა გადახედვას არ ექვემდებარება, მაგრამ კოსოვოს ხელისუფლებას ესაჭიროება ახალი ფიგურა, რომელიც წინააღმდეგობებით არ იქნება დამძიმებული. **სხვაგვარად რომ ვთქვათ, „კოსოვოს სახე“ უნდა შეიცვალოს „კოსოვოს მხარისადმი საერთაშორისო ნდობის კრედიტის ნაკლებობის პრობლემის გადასაწყვეტად“. ამრიგად, ტაჩის კლანს გაწირავენ, მაგრამ „პროექტ კოსოვოს“ შესანარჩუნებლად ძალებს არ დაიშურებენ.**

კოსოვოსა და სერბეთთან მიმართებაში ევროკავშირსა და ნატოს სოლიდარული პოლიტიკა აქვთ. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ კოსოვოს გაყოფის საკითხი არც კი განიხილება. ნატოს საერთაშორისო ძალები კი კოსოვოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტად რჩება და მომავალშიც განაგრძობს მისი ტერიტორიის კონტროლირებას.

**დიკ მარტის მოხსენებამ ვერ მოახდინა ზეგავლენა ოფიციალური ბელგრადის პოლიტიკაზე კოსოვოსთან მიმართებაში. სერბეთის მთავრობა უკანასკნელ წუთამდე დუმდა სენსაციური მოხსენების თაობაზე. სამხედრო დანაშაულებათა პროკურორის მოადგილემ კი განაცხადა, რომ პროკურატურა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობასთან დაკავშირებით კომენტარს არ გააკეთებს.**

კოსოვოს ჩრდილოეთით სერბული თემები იძულებული არიან, სიცოცხლისა და გადარჩენისთვის ბელგრადის სრული უმოქმედობის ფონზე იბრძოლონ. სერიოზული ძალისხმევა ხმარდება იმას, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვქვეშ არ დადგეს, კოსოვოს კონფლიქტში მხარეთა ქმედებები არ გადაფასდეს და ყველაფერი ჰაშიმ ტაჩის მოშორებამდე დაივიდეს. **ევროპა თავისი ხელით ეხმარება სერბეთიდან განდევნილ კოსოვოს იმ „სახელმწიფოდ“ ქცევაში, სადაც ძალაუფლება მშვენივრად შეიარაღებული, უდიდესი ფინანსური რესურსების მფლობელი და ბალკანეთის ნახევარკუნძულის საზღვრებს დიდად გაცდენილი გავლენის მქონე დამნაშავეობრივი დაჯგუფებების ხელში იქნება.**

*Fondsk.ru*



ჰაშიმ ტაჩი და ბერნარდ კუშნერი სამხედროებთან ერთად

**ბერნარ კუშნერს კოსოვოში სატელეფონო მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტ-პროვაიდერი კომპანიები აქვს. და ის ერთადერთი არაა, ვინც კოსოვოში სერიოზულ ბიზნესს აწარმოებს**

## ცხვირგატეხილი სუპერგმირი



**უცნობი, რომელიც ამერიკის პატარა ქალაქის სადარაჯოზე დადგა, ავტოგამტაცებლებთან ჩხუბში დაზარალდა. ვაშინგტონის შტატის ქალაქ ლინვუდის მკვიდრი ღამღამობით შავ სამოსში გამოწყობილი ქუჩებში პატრულირებს და ბოროტმოქმედებს შიშის ზარს სცემს.**

ახლახან ის და მისი მეწყვილე პოლიციას რამდენიმე დანაშაულის აღკვეთაში დაეხმარნენ: შეაჩერეს მძარცველები, რომლებიც ქალისთვის ჩანთის წართმევას ცდილობდნენ და საშუალება არ მისცეს ორ ნარკომანს, მანქანა გაეტაცებინათ. ავტოგამტაცებლებთან შერკინება სუპერგმირს ცხვირის გატეხად დაუჯდა, მაგრამ მაინც არ შედრკა. უცნობი თავს ფენიქს ჯონსს უწოდებს და სახეს ნიღბით მალავს, შავი კოსტიუმის ქვეშ კი ტყვიაგაუმტარ ჟილეტს ატარებს. ადგილობრივი მედია ფენიქს ბეთმენს ადარებს. სუპერგმირად გადაქცევა ჯონსმა ერთი წლის წინათ გადაწყვიტა. დამნაშავეებთან ბრძოლაში მას ჩინებული ფიზიკური მომზადებაც ეხმარება — ის შავი ქამრის მფლობელია კარატეში და სამხედრო სპეცდანაყოფში სამსახურის გამოცდილებაც აქვს.

## უფეხო ჩემპიონი



**პატარა ხეიბარი რეკორდებს აუზში ამყარებს და დიდების „ოქროზე“ ოცნებობს. როცა 9 წლის წინათ ტეხასელ თინა და მაიკ მაკასლენდებს ვაჟი შეეძინათ, ექიმები დარწმუნებული იყვნენ, რომ ბავშვს სიცოცხლე არ ეწერა, მაგრამ კოდი გაიზარდა და პარაოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობს.** საბრალო კოდი მუხლსახსრის გარეშე დაიბადა და სუნთქვის დარღვევებიც აქვს. დაბადებიდან მესამე დღეს ბიჭს ოპერაცია გაუკეთეს, ხოლო წელიწად-ნახევრისას ორივე ფეხი მუხლამდე მოჰკვეთეს. ორი წლისაც არ იყო, როცა თავის პირველ პროთეზებზე დადგა, მაგრამ ბიჭუნა საოცრად მარჯვე და სწრაფი აღმოჩნდა – პროთეზიანს სირბილში ბევრი ჯანმრთელი ბავშვი ვერ ჯობნის. პროთეზი კი უამრავი აქვს, რადგან მალე იზრდება. ოთხი წელია, ბიჭი შეჯიბრებებში მონაწილეობს. 60 და 100-მეტრიან დისტანციებზე ცურვაში „ოქროც“ კი მოიპოვა. წყალში 50 მეტრის დისტანციას ის 27.4 წამში ფარავს და უპროთეზებოდ ცურავს. თუმცა კოდისთვის ეს საკმარისი არაა — ბიჭი ოლიმპიურ მწვერვალებზე ოცნებობს.

## ყველაზე ძვირადღირებული სათამაშო სახლი



**ყველაზე ძვირად, 250.000 დოლარად, ღირებული სათამაშო სახლი ბავშვებისთვის შვეიცარიელი მილიონერის შეკვეთით ააგეს. მის შექმნას 2000 საათი დასჭირდა. სახლს, სახელწოდებით „ვენდი“, ბრიტანული ფირმა აშენებდა ნორფოლკში. დასრულების შემდეგ კი ის გშტაადში, შვეიცარიაში, გადაიტანეს.**

სახლის მშენებლობის მოტივად მილიონერის მიერ შვილებისთვის საშობაო საჩუქრის გაკეთების სურვილი იქცა. გარეგნულად სახლი არაფრით განსხვავდება იმ სახლისგან, რომელიც მას ალპების ძირას აქვს. სამშენებლო მასალებსა და მშენებლობას — 155.000 დოლარი, ხოლო სახლის შვეიცარიაში გადატანას 95.000 დოლარი დასჭირდა.

16 — 22 თებერვალი, 2011 წელი. №05 (96)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



## მუშარაფს დააპატიმრებენ

**პაკისტანის ქალაქ რავალპინდის ანტიტერორისტულმა სასამართლომ ქვეყნის ექსპრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფის დაპატიმრების ორდერი გასცა.** უცხოური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, პაკისტანის ექსპრეზიდენტის დაპატიმრების მოტივი 2007 წლის დეკემბერში, ქალაქ რავალპინდიში წინასაარჩევნო მიტინგზე პრემიერ-მინისტრ ბენეზირ ბჰუტოს მკვლელობას უკავშირდება. გასულ პერიოდში პაკისტანის საგამოძიებო ფედერალურმა სააგენტომ ფერვეზ მუშარაფი იმ პირთა სიაში შეიყვანა, რომლებსაც ბენეზირ ბჰუტოს მკვლელობასთან დაკავშირებით აქვთ ბრალი წაყენებული. არმიის მეთაური ფერვეზ მუშარაფი პაკისტანის ხელისუფლებაში 1999 წლის უსისხლო სამხედრო გადატრიალების დროს მოვიდა. 2007 წლის ნოემბრამდე ის ქვეყნის მთავარსარდალიც იყო და პრეზიდენტიც.

## საბერძნეთს 15 მილიარდს გამოუყოფენ

**ევროკავშირი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი საბერძნეთს მორიგი ანტიკრიზისული პაკეტის ფარგლებში 15 მილიარდ ევროს გამოუყოფს.** ორგანიზაციების ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ძალისხმევა, დაძლიოს ფინანსური კრიზისი, შედეგს არ გამოიღებს, თუ არ დაჩქარდება ხელისუფლების გეგმა საგადასახადო რეფორმის გატარებისა და პრივატიზაციის პროგრამის განხორციელების შესახებ. 2010 წელს საბერძნეთისთვის გამოყოფილმა კრედიტმა 110 მილიარდ ევროს მიაღწია, ქვეყნის საგარეო ვალმა კი 300 მილიარდს გადააჭარბა.



## ისრაელმა სახიფათოდ ჩაგვთვალა

**ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში შეიყვანა. ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფო შტაბის ინფორმაციით, ისრაელის მოქალაქეებისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ ეგვიპტე, თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, კოტ-დივუარი, მალი, მავრიტანია და ვენესუელა; უსაფრთხოების სამსახურები ისრაელის მოქალაქეებს ამ ქვეყნებში სტუმრობისაგან თავის შეკავებას ურჩევენ.** ისრაელის მოქალაქეების მისამართით მოსალოდნელი ტერაქტების განხორციელების შესაძლებლობაზე ტერორიზმთან ბრძოლის შტაბი „ჰეზბოლას" სამხედრო ფრთის ხელმძღვანელის, იმად მუგნიეს ლიკვიდაციის მესამე წლისთავის მოახლოების გამო ალაპარაკდა. მუგნიე 2008 წლის 13 თებერვალს დამასკოში მოკლეს. „ჰეზბოლა" მის მოკვლაში ისრაელს ადანაშაულებს.

# «გამოცდილები»

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი" — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**






1943 წლის მაისის ერთ ღამეს მინსკის ოლქის პარტიზანული აეროდრომიდან საბჭოთა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი აფრინდა. ამ თვითმფრინავით მოსკოვში გაფრინდნენ ახლადდაქორწინებულები — გერმანელი ოფიცერი კურტ ვლუსგუსი და მისი ახალგაზრდა რუსი ცოლი ვერა სტასოვა. მოსკოვში მოუთმენლად ელოდნენ ვერმახტის მაღალი რანგის ოფიცერს. ბელინის მიერ კურსკის შემოგარენში 1943 წლის ივლისისათვის დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია „ციტადელის" შესახებ მან უმნიშვნელოვანესი დეტალები იცოდა.

## დასაწყისი



აეროდრომზე გამცილებელთა შორის დარჩა ადამიანი, რომელსაც ჩეკისტურ სპეცრაზმში ნამყოფთაგან ყველა დიდი პატივისცემით ეძახდა ძია კოლიას. ეს სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი, გადაბირების ვირტუოზი და ვერმახტის ოფიცერთა ოკუპაციური ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების ლიკვიდაციის დიდოსტატი პეტრე ლაპატინი გახლდათ.

პეტრე ლაპატინს უმართლებდა. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როდესაც გლეხების აჯანყების ჩახშობისას ცოცხალი გადარჩა. 30-იან წლებში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მუშაობისას ყოველ დღე შეიძლებოდა გამხდარიყო თავისი საკუთარი კოლეგების სამიზნე. სასწაულით გადაურჩა სიკვდილსაც და ტყვეობასაც ომის პირველი კვირების განმავლობაში. ნამდვილად სასწაულებრივად დაბრუნდა ცოცხალი 1941 წლის შემოდგომაზე გერმანელების ზურგში პირველი რეიდიდან. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. კიდევ რამდენი სასწაული გამოიარა მოგვიანებით, ამაზე მხოლოდ წარმოსახვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. დივერსიულ რაზმ „გამოცდილების" შესახებ მასალების უდიდესი ნაწილი გასაიდუმლოებულია ამ დრომდეც.

პეტრე ლაპატინი ტამბოვში 1907 წელს დაიბადა. ძროხებს მწყემსავდა, საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა და იმ ნამდვილი გლეხური ომის ცოცხალი მოწმე იყო, რომელიც ტამბოვის მხარეში 1921 წელს გაჩაღდა.




**ტამბოვის გუბერნია, ფაქტიურად, ცენტრალური რუსეთია და მთელი რუსეთის მასშტაბით მეხუთე ადგილზე იყო მოსახლეობის ცხოვრების დონით. იქ იმდენი ხორბალი მოდიოდა, რომ ცენტრალური რუსეთის უდიდეს ნაწილს პურით სწორედ ტამბოვი კვებავდა. სწორედ ამ მიზეზის გამო სამოქალაქო ომისას ის იმ ომის არენად იქცა, რომელმაც საბჭოთა ისტორიაში ანტონოვის აჯანყების სახელითაა ცნობილი. ანტონოვის აჯანყება საერთო ჯამში ორ წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა. 1921 წლის ზაფხულში კი ისე გამწვავდა, რომ ათი ათაზე მეტი გლეხისგან შემდგარი ქრისტიანული არმიის წინააღმდეგ 40-ათასიანი ჯარი გაიგზავნა მომავალი წითელი მარშალის — ტუხაჩევსკის მეთაურობით. ამ ჯარს ავიაცია და ბრონირებული მატარებლები უმაგრებდა პოზიციებს. გარდა ამისა, ისინი იყენებდნენ ქიმიურ იარაღს აჯანყებულების წინააღმდეგ.**



1929 წელს პეტრე წითელ არმიაში არტილერისტად გაიწვიეს. გლეხის ბიჭს სამხედრო სამსახური მოეწონა, ამიტომ ვადის მოხდის შემდეგაც დარჩა ჯარში. დაამთავრა უმცროსი მეთაურების სკოლა და მეთაურობდა ოცეულს. ახალგაზრდა და გონიერი მეთაური სწორედ აქ ჩააბეს მუშაობაში სამხედრო კონტრმზვერავებმა თანამშრომლობის გაუხმაურებლობის პირობის საფუძველზე.

1934 წელს ლაპატინი დემობილიზებული იყო. მისი შემდეგი სამუშაო ადგილი ანკეტაში მოიხსენიება, როგორც ბელარუსის საბჭოთა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ექსპედიტორი და ძალიან ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რას საქმიანობდა ამ პერიოდში მომავალი სპეცრაზმელი. მაგრამ ბელარუსის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელთაგან სახეზე მას თითქმის ვერავინ ცნობდა. ეს კი, როგორც ცნობილია, მცირე მნიშვნელობის დეტალი არაა.

სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ ლაპატინი მოულოდნელად გაათავისუფლეს სამსახურიდან და მანაც რკინიგზელად გაიარა პერეკვალიფიკაცია. მისი ახალი თანამდებობა სადგურ მინსკში ვაგონების გამცილებლობა იყო. გამცილებელი ლაპატინი იმ დროისთვის ყველაზე გრძელ ტრანსკონტინენტურ მარშრუტს ემსახურებოდა ვლადივოსტოკსა და მინსკიდან 30 კილომეტრით დაშორებულ სადგურებს შორის. ამ მარშრუტის აღმოსავლეთის ბოლო სამურაების იაპონიამდე აღწევდა, დასავლეთის კი — პოლონეთამდე, რომელიც იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის მთავარ სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ მოიაზრებოდა. აღნიშნული სამსახურისთვის კადრებს საბჭოთა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი დიდი გულმოდგინებით არჩევდა. ცხადია, ამხანაგი ლაპატინი ახალ თანამდებობაზე გაუხმაურებელი სამუშაოების შესრულებას განაგრძობდა.

კურიერული მატარებლის მგზავრთა უმეტესობა უცხოელები და საბჭოთა საზოგადოების ელიტის წარმომადგენლები გახლდნენ. უბრალო გლეხს ან მუშას უბრალოდ ფული არ ეყოფოდა, რომ ამ მატარებლის ბილეთი ეყიდა და ვლადივასტოკიდან მინსკამდე მთელი ქვეყანა გაევლო. პეტრე ლაპატინი და მისი მეგობრები გულმოდგინედ აკვირდებოდნენ მგზავრებს, რომელთა შორის თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო იაპონელი, პოლონელი, გერმანელი ან კიდევ რომელიმე ქვეყნის ჯაშუში, რომ აღარაფერი ვთქვათ ხალხის მტრებზე.

**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**

**ომამდე იგი ჩეკისტი, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომელი იყო და კაბინეტებში არ მუშაობდა. იმ ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებთანაც მას უხდებოდა ურთიერთობა, მის ხელებსა და მის სინდისზე უდანაშაულოდ რეპრესირებულთა სისხლი არ არის.**



1941 წლის 22 ივნისის დილით გამცილებელთა ბრიგადირი პეტრე ლაპატინი მორიგი რეისის შემდეგ მინსკში ისვენებდა. სწორედ იქ გაიგო ომის დაწყების შესახებ. როგორც რკინიგზელთა უმეტესობა, მას მოქმედ არმიაში გაწვევისაგან ჯავშანი ჰქონდა, როგორც სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი კი ომის დაწყების შემდეგ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოში უნდა გამოცხადებულიყო და ახალი დავალება მიეღო. სეიფში, დალუქულ კონვერტში გეგმა ინახებოდა, თუ რა უნდა ეკეთებინათ პეტრე ლაპატინსა და მის კოლეგა გამცილებლებს ომის დაწყების შემთხვევაში.

საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელობა სასწრაფოდ ევაკუირებულ იქნა ბელორუსიის დედაქალაქიდან. 24 ივნისს ქალაქი რესპუბლიკის მთელმა ხელმძღვანელობამ დატოვა. მინსკი ყოველდღიური დაბომბვების ქარცეცხლში იყო. ლაპატინს თითქოს სხვა რკინიგზელებთან ერთად უნდა მიეღო მონაწილეობა ევაკუაციაში, მაგრამ ამის ნაცვლად მას მოსკოვისკენ მიეჩქარებოდა. სარკინიგზო გზაზე პანიკა იყო. მატარებლები ქვეყნის შიგნით კვირაობით უნდებოდნენ გადაადგილებას. პეტრე ლაპატინს კი მოსკოვამდე ჩასაღწევად სულ რაღაც ორი დღე დასჭირდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ჩეკისტი გამცილებლები აღარ სჭირდებოდა. ყველაზე მწვავედ დივერსანტებისა და პარტიზანების დეფიციტი შეიმჩნეოდა.



შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის — ლავრენტი ბერიან ბრძანებით, საგარეო დაზვერვის მეთაურის მოადგილემ პავლე სუდოპლატოვმა ომის პირველივე დღეებში განსაკუთრებული რაზმი შექმნა. მოგვიანებით ეს რაზმი ჯერ მეორე განყოფილებად გადაკეთდა, შემდეგ კი — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია- ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დავალებაზე მიდიან

◀ ტის მეოთხე სამმართველოდ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტად. ახალი ქვედანაყოფის მთავარი ამოცანები დაზვერვა, დივერსიების მოწყობა და ფრონტის ხაზს მიღმა პარტიზანული მოძრაობის ორგანიზება იყო.

ამავე დროს, მოსკოვის დინამოს სტადიონზე დაიწყო განსაკუთრებული დანიშნულების ცალკე მოტომსროლელი დივიზიის ფორმირება. ამ დივიზიას განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელთა ბრიგადა ეწოდა.



**ალბერტ ცესარსკი, პარტიზანულ რაზმ „გამარჯვებულების" ექიმი:**

**მიიღეს პირველი ფორმები. უნდა გენახათ ეს ბიჭები და სტუდენტების უდიდესი რაოდენობა, როგორ თავგამოდებით ცდილობდნენ ამ ფორმებში გამოწყობას. მხრებიდან და წელიდან სძვრებოდათ ტანსაცმელი, არ იცოდნენ, როგორ მოერგოთ ფორმები და, როდესაც ჩექმებიც დაურიგდათ, ეს საერთოდ სანახაობა იყო. ამ ბიჭებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ უნდა მოერგოთ ამ ჩექმების ქვეშ სპეციალური ნაჭერი, რომელიც ფეხებზე უნდა შემოეხვიათ. იქ იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელსაც სიცოცხლეში არასდროს სჭეროდა ხელში არც იარაღი, არც რაიმე საბრძოლო მასალა. თევზების შესწავლით იყო დაკავებული და უცებ ომში მოხვდა. ეს ბიჭი ტყვიამფრქვევის ნამდვილი ოსტატი გახდა.**



და მაინც, განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელთა ბრიგადის მებრძოლთა უმეტესობა სპორტსმენები, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები, სასაზღვრო ჯარების ოფიცრები და ჩეკისტები იყვნენ. თვით მათ შორისაც კი მკაცრი შერჩევა ხორციელდებოდა.

**ალბერტ ცესარსკი, პარტიზანულ რაზმ „გამარჯვებულების" ექიმი:**

**მევალებოდა, ჩაწერილთა ამხელა მასიდან, სამედიცინო ჩვენებების მიხედვით, სულ 80 ადამიანი შემერჩია. ჩემთვის ეს ძალიან რთული დავალება იყო. მახსოვს, მოვიდა საშა ბაზანოვი, ფეხბურთელი, რომელიც ჩვეულებრივ შევამოწმე და აღმოჩნდა, რომ გულთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა. ვუთხარი, საშა, გულში ხმაურია, არ შეიძლება შენი შერჩევა. მან მიპასუხა, მაგ მილში რას მისმენ, თვალებში შემომხედეო. შევხედე, მთელი მისი სული ანათებდა ამ თვალებიდან. ავიყვანე. შემდეგ ის ჩვენთან ერთად იყო მტრის ზურგში და ჩვენი რაზმის შტაბის უფროსიც გახდა.**

ასე შეიქმნა უნიკალური ქვედანაყოფი, რომელიც მოგვიანებით ლუბიანკას სპეცრაზმად მოინათლა.



**ვასილი ხრისტოფოროვი,** რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის რეგისტრაციისა და საარქივო ფონდების სამმართველოს უფროსი:

**უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ირჩევდნენ სასაზღვრო ჯარების საკადრო ოფიცრებისგან, გამოცდილი ოპერატიული მუშაკებისგან, რომელთაც ესპანეთში საბრძოლო სამუშაოების გამოცდილება ჰქონდათ მიღებული, მაგრამ ასეთი მეთაურები საკმარისი რაოდენობით არ გვყავდა. მოთხოვნა იყო გაცილებით მეტი რაოდენობის პერსონალზე, ამიტომ ირჩეოდნენ ისინიც, ვინც პირადი თვისებებისა და ცოდნის მიხედვით გამოსადეგად ჩაითვლებოდა.**

განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელთა ბრიგადის უკვებლივ ყველა მებრძოლმა სპეციალური მომზადება გაიარა. გამოცდილმა ინსტრუქტორებმა მათ ჩასაფრებების ორგანიზების ტაქტიკა, მცველების უხმაუროდ მოცილება, გზებისა და ხიდების დანაღმვის ილეთები ასწავლეს. დიდი ყურადღება ეთმობოდა სროლასა და ხელჩართულ ბრძოლაში მომზადებას.



1941 წლის შემოდგომაზე ჩეკისტების პირველმა სპეცრაზმებმა ფრონტის ხაზს მიღმა პავლე სუდოპლატოვის დავალების შესრულება დაიწყეს. ლუბიანკას სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების მეთაური თავად პავლე სუდოპლატოვის ძველი მეგობარი დიმიტრი მედვედევი გახლდათ. სამამულო ომის წლებში ჩეკისტი დიმიტრი მედვედევი მონაწილეობდა უკრაინაში მრავალრიცხოვანი ბანდების განადგურებაში, შემდეგ კონტრდაზვერვისა და საგარეო დაზვერვის ორგანოებში მსახურობდა. 1939 წლის ბოლოს ხერხემლის მძიმე დაავადების გამო პენსიაზე გავიდა. როდესაც ომი დაიწყო, მან დაჟინებით მოითხოვა, ფრონტის ხაზს მიღმა რაზმის მეთაურად გაეგზავნათ.



1941 წლის აგვისტოში დიმიტრი მედვედევი თავის სპეცრაზმ „მიტიასთან" ერთად ფრონტის ხაზს მიღმა გაემგზავრა. 120 დღე-ღამის განმავლობაში სპეცრაზმ „ლუბიანკას" ქვედანაყოფი ორლოვის, სმოლენსკისა და მოგილევსკის ოლქებს გადიოდა. დიმიტრი მედვედევის ხელმძღვანელობით, წითელარმიელების გარემოცვაში მოხვედრილი სახალხო შურისმაძიებელთა დაშლილი ჯგუფების წევრებისაგან ექვსი პარტიზანული რაზმი ჩამოყალიბდა. 1942 წლის იანვარში რაზმი „მიტია" მოსკოვში დაბრუნდა.



**მაქსიმ ტოკარევი,** ისტორიკოსი:

**120 დღეზე მეტ ხანს რაზმმა მტრის ზურგში გაძლო, თანაც ეს იყო ახლო ზურგები, ანუ ვერმახტის მოწინავე პოზიციებიდან ერთ კილომეტრზე ნაკლები დაშორებისა, სადაც, შესაბამისად, საკმაოდ მკაცრად იყო გათვლილი და აწყობილი გარნიზონის საყარაულო სამსახური, რეგულარულად იწმინდებოდა ტერიტორია. ამ პირობებში რაზმის შემადგენლობა 30 ადამიანიდან 120-მდე გაიზარდა და ეს ხალხი ახერხებდა სადაზვერვო ცნობების უწყვეტ მოწოდებას. გარდა ამისა, მათ 30-ზე მეტი დივერსიული აქტი განახორციელეს. 1942 წლის თებერვალში მაშინდელი ფრონტის ხაზის გარღვევით მინიმალური დანაკარგებით დაბრუნდა დიდ მიწაზე.**

ამ რეიდის დასასრულისთვის ლაპატინი უკვე ოცეულს მეთაურობდა. საქმე სამსახურებრივი დაწინაურებით არ დასრულებულა. დიმიტრი მედვედევმა ამასთან ერთად დაწერა წარდგინება „წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოების თაობაზე. ამ წარდგინებაში მედვედევმა აღნიშნა, რომ პეტრე ლაპატინმა ორგანიზება გაუკეთა მოწინააღმდეგის ბატალიონის შტაბის განადგურების ოპერაციას, ააფეთქა ხიდი, გაანადგურა ეშელონი და ფაშისტების ერთი თვითმფრინავი.

როდესაც პავლე სუდოპლატოვმა ახალი სადაზვერვო-დივერსიული რაზმების ფორმირება დაიწყო, დიმიტრი მედვედევმა ერთ-ერთი მათგანის მეთაურად სწორედ ლაპატინის დანიშვნა შესთავაზა. სუდოპლატოვმაც გაითვალისწინა რჩევა და ლაპატინი ახალი სპეცრაზმის მეთაურად დანიშნა. მეთაურთან ერთად 21 მებრძოლი იყო. რაზმის სახელწოდება უმალ შეარჩიეს — „გამოცდილები". ამ რაზმის მებრძოლთა უმეტესობა, ისევე, როგორც მათი მეთაური, ფრონტის ხაზს მიღმა უკვე ნამყოფი იყო 1941 წლის შემოდგომაზე, რაზმ „მიტიას" რეიდისას.



იგულისხმებოდა, რომ „გამოცდილები" რკინიგზებზე განახორციელებდნენ დივერსიებს ბელარუსის ქალაქების მინსკისა და ბარისოვის ტერიტორიებსა და მიმდებარე რაიონებში. რაზმის წევრთა უმეტესობა ყოფილი რკინიგზელი იყო. თავად ლაპატინმაც, გამცილებლად მუშაობის პერიოდში ზედმიწევნით შეისწავლა მაგისტრალთა უმეტესობის გეოგრაფია ამ ტერიტორიებზე.

1942 წლის მარტის შუაგულში „გამოცდილებმა" ფრონტის ხაზი გადაკვეთეს. ისინი მინსკის ოლქის ბორისოვსკის რაიონისკენ მიემართებოდნენ. ადგილზე ჩასვლისთანავე პეტრე ლაპატინი პარტიზანთა წვრილ-წვრილი, დაქსაქსული რაზმების გაერთიანებას შეუდგა და მინსკსა და ბარისოვში მოქმედი იატაკქვეშეთის ჯგუფებთან კონტაქტები დაამყარა. იმავე წლის აგვისტოში სპეცრაზმ „გამოცდილების" შემადგენლობა 300 ადამიანს აჭარბებდა. ლაპატინი სათავეში ჩაუდგა პარტიზანულ ბრიგადა „ძია კოლიას", რომელიც ექვსი მსხვილი პარტიზანული რაზმისაგან შედგებოდა.



**ვასილი ხრისტოფოროვი,** რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის რეგისტრაციისა და საარქივო ფონდების სამმართველოს უფროსი:

**ეს მომცრო ზომის ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც სულ 20 ადამიანი იყო გაერთიანებული, ხანმოკლე პერიოდის მანძილზე ჯერ 50-კაცამდე გაიზარდა, ერთი წლის შემდეგ კი მის შემადგენლობაში უკვე ათას ხუთასამდე მებრძოლი იყო. ეს უკვე ჯგუფი აღარ იყო და, შესაბამისად, სახელიც შეეცვალა — დაერქვა ძია კოლიას პარტიზანული ბრიგადა. რატომ ძია კოლია? იმიტომ, რომ ლაპატინის ოპერატიული ფსევდონიმი კოლია იყო.**





პარტიზანული რაზმების დაკომპლექტება მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე არ ხდებოდა. პირიქით, ადგილობრივების ტყეში წაყვანას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში თანხმდებოდნენ. დასახლებულ პუნქტებში იატაკქვეშეთში სამუშაოდ ისინი გაცილებით შედეგიანი და ღირებული თანამშრომლები იყვნენ. რაზმი კი საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და ვერმახტის დამხმარე ნაწილების მოსამსახურეთა ხარჯზე ივსებოდა.

1943 წლის 20 ივლისს ლაპატინმა ცენტრს მოახსენა, რომ პარტიზანების მხარეს ვერმახტის კაზიმირის გარნიზონის 83 რუსი ჯარისკაცი გადავიდა. მათ თან მოიყოლეს ორი მძიმე და კიდევ შვიდი სხვა სახეობის ტყვიამფრქვევი და მოიყვანეს გერმანელი ობერლეიტენანტი ფერდინანდ გერცი, რომლის შემდგომი ბედი ცნობილი არაა. სამაგიეროდ, კარგადაა ცნობილი ის, რომ რუსები არაჩვეულებრივი მებრძოლები აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ, მათმა უმეტესობამ გამარჯვების დღემდე ვერ იცოცხლა.

1943 წლის 23 აგვისტოს პარტიზანების მხარეს გადავიდა 102 პოლკის ესკადრონი.

**მაქსიმ ტოკარევი,** ისტორიკოსი:

**მინსკთან, მოსკოვი-მინსკის გზის საკმაოდ მნიშვნელოვან მონაკვეთზე, რომელზეც ვერმახტის უმაღლეს სარდლობასთან კავშირის კაბელი გადიოდა, 102 პოლკის სლოვაკი იცავდა. კვლავაც ლაპატინი და მისი ხალხი განსაკუთრებული ხმაურის გარეშე, ისე, რომ ტყვიაც არ გავარდნილა და არც მსხვერპლი ყოფილა, ამ პოლკის ხალხს დაუკავშირდნენ ოცეულების მეთაურების დონეზე. შედეგად, ას ადამიანზე მეტი ამ პოლკიდან თავისი იარაღიანად პარტიზანებს შეუერთდა, დანარჩენებმა კი იმდენად დაკარგეს საბრძოლო სულისკვეთება, რომ გერმანელები თავადვე გახდნენ იძულებულნი, ისინი ამ ადგილიდან გაეყვანათ.**



სლოვაკები მშვენიერი დივერსანტები აღმოჩნდნენ. ისინი რუსებსა და უკრაინელებზე ადვილად ახერხებდნენ ბორისოვში ან ბელორუსიის სხვა რომელიმე ქალაქში შეღწევას მხოლოდ თავიანთი სამხედრო ფორმის წყალობით. გაცილებით რთული იყო ბორისოვში განლაგებული სადაზვევო სკოლის ტერიტორიაზე შეღწევა. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე გერმანულმა სამხედრო დაზვერვამ თავისი აგენტურა მასიურად გადაგზავნა ფრონტის ხაზის ტერიტორიებსა და წითელი არმიის ზურგში. გერმანელი ჯაშუშების რაოდენობა ათი ათასობით წევრს ითვლიდა. მათი უმეტესობა მოხერხებული პროფესიონალი იყო. თითეულმა მშვენივრად იცოდა, რომ დაკავების შემთხვევაში დახვრეტა ელოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



16 — 22 თებერვალი, 2011 წელი. №05 (96)
www.geworld.net
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ადგილები, საიდანაც აუცილებლად უნდა გადმოიხედოთ

**სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მოსახლეობის 5% სიმაღლის შიშით იტანჯება, თუმცა, ხშირ შემთხვევებში, ყველაზე საინტერესო და ლამაზი მოვლენები სწორედ იქ — ზემოთ ხდება. მსოფლიოში არის რამდენიმე ადგილი, საიდანაც ადამიანმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა გადმოიხედოს და შეიგრძნოს ის მშვენიერება, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ყურადღების მიღმა რჩება.**



## ბურჯ ხალიფას გადმოსახედი მოედანი, დუბაი

**იმისათვის, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის 124-ე სართულზე მოხვდეთ, დაახლოებით 30 დოლარის გადახდა მოგიწევთ.** სწორედ ამდენი ღირს ბილეთი იმ მოედანზე ასასვლელად, საიდანაც კარგ ამინდში არამხოლოდ დუბაი, არამედ მთელი ემირატებიც მოჩანს. მნახველებს გარესამყაროსგან სქელი, მაგრამ ძალიან გამჭვირვალე, მინა ჰყოფს. მათ განკარგულებაშია ტელესკოპი, საიდანაც დუბაის წარსული და მომავალი ჩანს.



## ტიროლის უმაღლესი წერტილი, ავსტრია

აქ შემთხვევით ვერ მოხვდებით. იმისათვის, რომ ისიდორას მთის მწვერვალზე ახვიდეთ, საკმაოდ კარგი ალპინისტური მონაცემები უნდა გქონდეთ. გარდა ამისა, სეზონიც სწორად უნდა შეარჩიოთ, ვინაიდან აქაურობა დროის უმეტეს ნაწილში თოვლითა და ყინულითაა დაფარული. მოედანი ზღვის დონიდან 3200 მეტრზე მდებარეობს. აქ მოსასვლელად ჯერ ვიწრო სათხილამურო გზა უნდა გამოიყენოთ, შემდეგ კი 15 წუთი მთებში უნდა იძრომიალოთ. გზა დამღლელია, მაგრამ მიღებული შთაბეჭდილება ყველაფერს დაგავიწყებთ.



## მოედანი „ხუთი თითი“, ავსტრია

ეს თავბრუდამხვევი გადმოსახედი მოედანი ალპებში მდებარეობს და ევროპაში ერთ-ერთ ულამაზესადაა მიჩნეული. პირველი „თითის“ ბოლოში არის სახალისო ჩარჩო სამახსოვრო ფოტოსთვის მყინვარის ფონზე. მეორე თითის იატაკი მძაფრი შეგრძნების მოყვარულთათვისაა განკუთვნილი, ვინაიდან გამჭვირვალე მინისაა და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჰაერში ხართ გამოკიდებული. მესამე თითი აღჭურვილია გადმოსახტომი დაფით, თუმცა ჩვეულებრივი მოკვდავისთვის აქედან ხტომა დაუშვებელია. მეოთხე თითს იატაკში პატარა ხვრელი აქვს, რაც პატარა ცხოვლებისთვისაა განკუთვნილი, მეხუთე თითი კი აღჭურვილია უფასო ტელესკოპით.



## Willis Tower-ის შუშის აივანი, ჩიკაგო

ეს კიდევ ერთი ადგილია მათთვის, ვისაც სიცარიელეში შებიჯება უყვარს. ამ აივანზე გასასვლელად ამერიკის ყველაზე მაღალი შენობის 103-ე სართულზე უნდა ახვიდეთ. აბსოლიტურად გამჭვირვალე შუშის აივანი გასაოცარ შეგრძნებას ჰპირდება ყველა მნახველს. კარგ ამინდში აქედან ოთხი შტატის დანახვაა შესაძლებელი.



## მალაიზიის ციური ხიდი

ეს ხიდი მდებარეობს მალაიზიის კუნძულ ლანგკავიზე და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ, ერთსაყრდენიან ხიდად ითვლება. მისი სიგრძე 125, ხოლო სიგანე 1,8 მეტრია. უშუალოდ ხიდი ზღვის დონიდან 652 მეტრზე მდებარეობს, მისი გადმოსახედი მოედანი კი უფრო ზემოთ — 710 მეტრის სიმაღლეზეა განთავსებული. კარგ ამინდში აქედან ულამაზესი ხედი იშლება, ღრუბლიან ამინდში კი იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ღრუბლებში მიაბიჯებ.



## ორლანდი, ნორვეგია

ეს ადგილი ამერიკის მთების მოყვარულთათვის ზედგამოჭრილია; ბავშვებისთვის და მოზრდილებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით აფასებენ ვაგონის თითქოს სიცარიელეში დაშვების მომენტს, ამაზე მეტი სიამოვნების წარმოდგენა შეუძლებელია. თუმცა უსაფრთხოება აქაც პირველ ადგილზეა და ამიტომაც ბუნებასთან ჰარმონიას შუშის კედელი არღვევს. თუ ხელით არ შეეხებით, ამ კედელს ვერც კი შეამჩნევთ — ის უზადოდ გამჭვირვალეა და ყოველგვარი ნაკლოვანების თავიდან ასაცილებლად ხშირად და საგულდაგულოდ წმენდენ.







## უსასრულო ოთახი სიცარიელეში, ვისკონსინი

ოთახში 3 264 ფანჯარაა, ამდენი ფანჯარა მსოფლიოში არც ერთ სხვა ოთახს არ გააჩნია. მისი არქიტექტურა და დიზაინი, უბრალოდ, გასაოცარია. შემსვლელს ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს წინ კოსმოსია, შუშის კედლები და ბილიკის ბოლოს გამჭვირვალე იატაკი კი სწორედ კოსმოსის უსასრულობისკენ მიუძღვება პირველივე წუთიდან მონუსხულ სტუმრებს.



## Grand Canyon Skywalk, არიზონა

ის 2007 წლის 20 მარტს გაიხსნა და არქიტექტურის თანამედროვე ნიმუშად ითვლება. Grand Canyon Skywalk-ი 1200 მეტრ სიმაღლეზე კიდია ყოველგვარი კაბელებისა და საყრდენების გარეშე. გამჭვირვალე იატაკის სისქე 10 სანტიმეტრია. მოედანს შეუძლია ერთდროულად 120 ტურისტის დატევა, თუმცა, როგორც შემქმნელები ამბობენ, იგი თავისუფლად გაუძლებს 35 ტონამდე დატვირთვასაც.



## ციური გემბანი „ევრიკა“. მელბურნი

დღესდღეობით ყველას შეუძლია თავი არქიმედედ იგრძნოს ოთხმეტრიანი გემბანის შუშის იატაკზე გავლისას მრავალმილიონიანი მელბურნის თავზე. ასფალტიდან 300 მეტრის სიმაღლის გამჭვირვალე საყრდენზე სეირნობისას ადამიანები უამრავ სიახლეს ამჩნევენ და არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებებს იღებენ. „ევრიკა“ არის ყველაზე მაღალი გადმოსახედი მოედანი სამხრეთ ნახევარსფეროში.

# 70 წელი წყლისა და საკვების გარეშე

**პრალადა ჯანი მშიერი კუჭით ცხოვრებასაა მიჩვეული და ამტკიცებს, რომ სასიცოცხლო ძალებს კოსმოსიდან იღებს.**





თავდაპირველად, ექიმებმა მოხუცი თაღლითად მიიჩნიეს, თუმცა მისი გასინჯვის შემდეგ გამოუსწორებელი სკეპტიკოსებიც კი სხვანაირად ალაპარაკდნენ. უნიკალური იოგი პალატაში ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოათავსეს. პირველივე გამოკვლევის შედეგებმა ექიმთა უნდობლობა გააქარწყლა და ახლა ისინი ცდილობენ, გაარკვიონ, შეიძლება თუ არა სხვა ადამიანებმაც ისწავლონ ცხოვრება წყლისა და საკვების გარეშე.

82 წლის პრალადა ჯანის თქმით, ის წყლისა და საკვების გარეშე, უკვე 70 წელზე მეტია, ცხოვრობს. 8 წლის ასაკში, როდესაც ინდუსების ტაძრის გვერდით მდებარე გამოქვაბულში ცხოვრობდა, თურმე ქალღმერთი ამბა ესტუმრა. ამბას ობოლი ბიჭი შეეცოდა და იგი ამ არაჩვეულებრივი შესაძლებლობით დაასაჩუქრა. მას შემდეგ სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჯანის ჰყოფნის იმ ჯადოსნური ნექტრის მხოლოდ ორი წვეთი, რომელსაც ყოველდღე უგზავნის ქალღმერთი ზეციდან. სწავლულებს ამ მონათხრობზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებიათ, როგორც ჩანს, ჯანის ნაამბობთა ხელაღებით უარყოფას უკვე ყველა უფრთხის.

პალატაში, სადაც სრულ იზოლაციაში იოგი იწვა, რამდენიმე სათვალთვალო კამერა იყო დამონტაჟებული და ამგვარად დამტკიცდა, რომ მოხუცი არც წყალს გაკარებია და არც საკვებს. ქქიმები ყოველ დღე ცდილობდნენ, ორგანიზმის გადამშევისა და გამოფიტვის ოდნავი შედეგი მაინც აღმოეჩინათ, მაგრამ ამაოდ — კვირეების განმავლობაში მოხუცს გრამიც კი არ მოუკლია წონაში. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 82 წლის ჯანის ტვინის უჯრედები არაფრით ჩამოუვარდება 25 წლის ახალგაზრდის ტვინის მდგომარეობას. მისი სხეულიც უჩვეულოდ ძლიერი და ახალგაზრდულია.

ექიმმა ნევროლოგმა სუდხირ შახიმ გაოცების ყველა ეტაპის გავლის შემდეგ განაცხადა: „ვფიქრობ, საქმე ნამდვილ სასწაულთან გვაქვს. იმ 108 საათის განმავლობაში, რაც ჩვენს ჰოსპიტალში იმყოფება, მას არაფერი უჭამია, წვეთი სითხე არ მიუღია და არ გასულა საპირფარეშოში. ყოველივე ეს კი მეცნიერების წინაშე, რბილად რომ ვთქვათ, რთულ კითხვებს სვამს“.

ფიზიოლოგები, ბიოქიმიკოსები მოლეკულური ბიოლოგიის წარმომადგენლები, რომლებიც სწავლობენ ჯანის სხეულის მუშაობის პრინციპს, ირწმუნებიან, რომ მისი სხეული ბიოლოგიურ ცვლილებამდე იოგამ მიიყვანა. ექიმები იმედოვნებენ, რომ ამ შემთხვევის წყალობით აღმოაჩენენ მეთოდს, რაც ადმიანებს ექსტრემალურ სიტუაციებში საკვებისა და სასმელის გარეშე გადარჩენაში დაეხმარება.

# საპნის სიყვარული

**ექიმები, უკვე დიდი ხანია, აფრთხილებენ მას, რომ, ასე თუ გააგრძელა, მალე ცოცხლების სიაში აღარ იქნება, მაგრამ 19 წლის გოგონა ამტკიცებს, რომ საპნის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. მისთვის საპონი ჰიგიენური საშუალება კი არა, საკვები პროდუქტია.**



ფლორიდის შტატში მცხოვრები ტემპესტ ჰენდერსონი კვირაში 5 შეკვრა საპონს მიირთმევს, შემდეგ კი დესერტად სარეცხ ფხვნილს აყოლებს.

„მახსოვს, როცა პირველად ამოვავლე თითები სარეცხ ფხვნილში. ფხვნილის ნამცეცები ენაზე დავიყარე და ვიგრძენი, რომ საოცრად ტკბილი გემო ჰქონდა, ცოტათი მარილიანი. თან არაფერი მომსვლია. იმის მერე საპონსა და ფხვნილს შევეჩვიე“, — ამბობს იგი და დასძენს, რომ ამ ჩვევის მავნებლობის შესახებ თავიდანვე იცოდა, თუმცა ყურადღებას არ აქცევდა.

ერთხელ, შხაპის მიღებისას, ჰენდერსონმა საპნის ქაფსა და ბუშტებსაც გაუსინჯა გემო და რაციონი გაამრავალფეროვნა.

„აბაზანაში მწვანე საპონს ვაქაფებ, შემდეგ ბუშტებს ვლოკავ. ბოლოს კი საპონს ვაქუცმაცებ და პატარა ნატეხებს მივირთმევ. ეს არაამქვეყნიური სიამოვნებაა. ამასთან, საპონს რომ ვჭამ, საოცარი სისუფთავის შეგრძნება მეუფლება. ჭამის შემდეგ უფრო სუფთად ვგრძნობ თავს, ვიდრე დაბანის შემდეგ“.

სარეცხი საშუალებებით კვებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ ტემპესტმა ყოველი შემთხვევისთვის ექიმთან მისვლა გადაწყვიტა. მას დაუდგინდა უიშვიათესი დარღვევა PICA, რომლის შემთხვევაშიც ადამიანი საკვებად ეძალება ისეთ ნივთებს, რაც, როგორც წესი, კვების რაციონში არ შედის. მაგალითად: მონეტებს, წებოს, ნახშირს, ცარცს, ფანქარს, მიწას, ბატარეას, კალამს და ასე შემდეგ. დაავადებას უმეტესწილად მინერალების ნაკლებობა იწვევს, ეს კი ხშირად ორსულ ქალებსაც ახასიათებთ ხოლმე.

ტემპესტის შემთხვევაში საქმე არც ისე მარტივადაა. ექიმები ფიქრობენ, რომ მისი უცნაურობის მთავარი მიზეზი სტრესია. გოგონას განცხადებით, ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ბოიფრენდს დაშორდა. ექიმები ამბობენ, რომ ამ გატაცებამ გოგონას ჯანმრთელობას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს. საპონი მომწამლავ ქიმიურ ნივთიერებებს, ტუტეებს შეიცავს, ეს კი უჯრედების მიერ საკვების გადამუშავების პროცესს მოშლის და საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემებს გამოიწვევს. ასევე დაარღვევს სისხლში მჟავის ბალანსს.

ოჯახმა მყარი საპნის მაგივრად თხევადის გამოყენება დაიწყო. ტემპესტს, რატომღაც, მისი გასინჯვის სურვილი არ გასჩენია. ამჟამად ის ხანგრძლივ თერაპიას გადის. სწავლობს, როგორ გადაიტანოს ყურადღება სხვა რამეზე, როცა აკრძალული სასუსნავის გასინჯვის სურვილი გაუჩნდება. ხშირად დასეირნობს, ერიდება ისეთ ადგილებს, როგორიცაა აბაზანა და სამრეცხაოები. იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან, გადაეჩვევა საპნის ჭამას და ნორმალურ ცხოვრებას გააგრძელებს.





# მანათობელი ღიმილი

**იაპონელმა დიზაინერებმა მოტოი იშიბაშიმ და დაიტო მანეიბმა შექმნეს მოწყობილობა, რომელიც კბილების უკან მაგრდება და კბილებს ანათებს. მოწყობილობა იაპონიაში ძალიან პოპულარული გახდა, ამიტომ, როდესაც ამ ქვეყანაში მოხვდებით, არ გაგიკვირდეთ თუ ტოკიოს ქუჩებში ადამიანები გაბრდღვიალებული ღიმილით შემოგანათებენ.**





# ედუარდის საოცარი სკულპტურები

**რაც უმრავლესობას უბრალო ჯართად მიაჩნია, ზოგიერთისთვის ნამდვილი ხელოვნებაა.**



უიშვიათესი ნიჭით დაჯილდოებული ფრანგი ხელოვანი ედუარდ მარტინეტი მასალად იყენებს სამზარეულოს გამოუსადეგარ ტექნიკას, საბეჭდი მანქანის კლავიატურას, ძველ სათამაშოებს, ავტომანქანის ნათურებს, სამუხრუჭე ნაწილებს, ჯაჭვებს და მრავალ სხვა ისეთ ნივთს, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯართად მოვიხსენიებთ, და, უკვე 20 წელია, შესაშური ოსტატობით ქმნის საოცარ კოლექციას.

იგი ყველაფერს მხოლოდ საკუთარი ხელით, ყოველგვარი შედუღებისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე ქმნის! მიუხედავად იმისა, რომ უსულო, გამოფიტული მეტალისა და პლასტმასისაგანაა დამზადებული, მარტინეტის თითოეული სკულპტურა ცოცხალის შთაბეჭდილებას ტოვებს. სწორედ ამიტომ, არამარტო საფრანგეთის, არამედ მსოფლიოს მრავალი მუზეუმი სიამოვნებით მასპინძლობს მის ნამუშევრებს.









# პროფესიონალიზმის ხიბლი

## არმაზ სანებლიძე — 75

**ყველა თაობის ჟურნალისტისთვის ერთნაირად საამაყოა ისეთ პროფესიონალთან მუშაობა, ვინც ჟურნალისტიკის სიმძიმე საკუთარი მხრებით ზიდა და, მიუხედავად ფორმაციათა ხანდახან შოკისმომგვრელი ცვალებადობისა, ბოლომდე ერთგულად ემსახურა არჩეულ გზას.**



არმაზ სანებლიძე, უკვე 50 წელიწადზე მეტია, ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს. მისთვის ჟურნალისტიკა ბედისწერად იქცა და 75 წლის ასაკშიც ახალგაზრდული ენერგიით გვაოცებს, ხანდახან კი მასტერკლასებსაც გვიტარებს — ისეთი ოსტატობით გაივლის პოლიტიკურ ლაბირინთებში. თუმცა ამ ყველაფერს, ჩვეულებისამებრ, მოკრძალებულად აკეთებს და, ალბათ, სწორედ ეს არის პროფესიონალიზმის ხიბლი.

**პროფესიის სიყვარული თუ არა, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ მის, როგორც საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელის, მივლინებებს ცხელ წერტილებში — ავღანეთსა და ჩერნობილში და ბოლოს — აფხაზეთში.**

ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეს არავინ ავალდებულებდა, კვლავაც კორესპონდენტის „ტყავში ჩამჯდარიყო“ და ხან ავღანეთიდან, საომარი მოქმედებების ზონიდან, წაეყვანა რეპორტაჟები და ქართველი ჯარისკაცების დაზაფრული მშობლებისთვის ეჩვენებინა მათი შვილები, ხანაც ისტორიისთვის შემოენახა ჩერნობილის ტრაგიკული სინამდვილე, რომელსაც მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლება საგულდაგულოდ ნიღბავდა.

**ესეც მისი ბედისწერა იყო.**

ძნელია, ადამიანს ჰკითხო, რატომ დგამს რისკიან ნაბიჯებს. თუმცა ერთხელ შესაძლებლობა მოგვეცა, ამის თაობაზე ბატონ არმაზს გავსაუბრებოდით და მის პასუხში მოულოდნელი არაფერი ყოფილა: **„აბა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, ავღანეთსა და ჩერნობილში წასვლა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და კორესპონდენტი როგორ გამეშვა?!“. ამის შემდეგ სრულიად ზედმეტი იყო იმის შეკითხვა, რატომ გადაწყვიტა 1992-93 წლებში აფხაზეთში წასვლა და იქიდან ცხელ-ცხელი რეპორტაჟების მომზადება.**

რისკი კი მართლა განუზომლად დიდი იყო. ჯერ ერთი, ვინ მოგცემს იმის გარანტიას, რომ მოჯაჰედის ტყვიას მაინც და მაინც ტელეჟურნალისტის მიკროფონი აისხლეტს, და მეორეც, ბირთვული რადიაციის ზონაში, სადაც ყველა სპეციალური სკაფანდრით დადის, ასე „შეფუთული“ ჟურნალისტი როგორ ჩაწერს ე.წ. სტენდაფს? ამიტომაც არმაზ სანებლიძეს „ჩერნობილის სამახსოვრო“ დღემდე შემორჩა. თუმცა **უკრაინის ხელისუფლებამ ცნობილ ჟურნალისტს ღვაწლი დაუფასა და 2002 წელს საქართველოში ვიზიტად მყოფმა უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — ორდენი გადასცა.**

**საქართველოს ხელისუფლებამაც ღირსეულად დააფასა დამსახურებული ჟურნალისტის ღვაწლი, რასაც მოწმობს ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენები, რომლებითაც საქართველოს პრეზიდენტმა 1996 და 2001 წლებში დააჯილდოვა.**

მაგრამ ყველა ჯილდოსა და ორდენზე მეტად არმაზ სანებლიძისთვის კოლეგების მიერ მისი განვლილი გზის აღიარებაა — **ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ მისთვის მინიჭებული ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის მიერ გადაცემული „ოქროს ფრთა“ სწორედ მაღალპროფესიული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის დაფასებაა.**

და მაინც: ორდენები და ჯილდოები, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ **მისთვის კიდევ უფრო ღირებულია მისი ახალგაზრდა კოლეგების სიყვარული და პატივისცემა, ვისაც უშურველად უზიარებს არამარტო ჟურნალისტიკის საიდუმლოებებს, არამედ ასწავლის, თუ როგორ უნდა ამსახურო შენი პროფესია სამშობლოს და ადამიანებში სიყვარულისა და ურთიერთგატანის ნიჭი გააღვივო.**

არმაზ სანებლიძე 75 წლისაა. ამ თარიღს მისი ყველა კოლეგა აღნიშნავს, **ჩვენთვის, „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის თანამშრომლებისთვის კი განსაკუთრებით საამაყოა, რომ საშუალება გვაქვს ქართული ჟურნალისტიკის მეტრს ყოველდღიურად დილა მშვიდობისა ვუსურვოთ.**

ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე დადის მისი საყვარელი თბილისის ქუჩებში არმაზ სანებლიძე და ვრწმუნდებით — **რას მიჰქვიან წლები, მთავარია „გული, გული შეგრჩეს უბერებელი...“**

**თითქოს ბევრიაო, მაგრამ სამოცდათხუთმეტიც არაფერი ყოფილა.**

**გილოცავთ, ბატონო არმაზ!**

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია**




# უნივერსალური წყალი „ისიდა“

## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

# საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი

www.saqinform.ge

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო

# ესტუმრეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net